²⁵ რწამს CI. ²⁶ სიცოფე A. ²⁷ უფლისა]ღ-ისა G. ²⁸ თანამზრახველ ABCDEFGHI. ²⁹ დამბა-
დებელისათა+განმზადებულისათა I. ³⁰ მოიგნენ I. ³¹ მათთს—E. ³² ძალღნი C. ³³ ძალღ-
ნიცა... ესენი ვა—C. ³⁴ ძნელნი—EI.

მოცულ არიან¹ მცუველად ცხოვართა მათთჳ ქრისტსთა, და იერუსალმში² ქალაქი იგი სიწმიდისა მეუფისა დიდისაჲ, რომლისა თქუა მოსე: *„თუალნი უფლისანი მას ზედა ჰვიან მარადის³ დასაბამითგან და უკუნისამდე⁴“*, ესე დაშწნებულ არს შორის უდაბნოთა ვრცელთა, რომელთა შორის დამკვდრებულ არიან კაცნი მგეცისა⁵ ბუნებანი, მტაცებელნი, რომელთა სახლი⁶ არს⁸ და ცხოვრებაჲ აქლემისა ზურგი, ნათესაენი შრიცხუნი, რომელთათჳ ვითარცა ძალენი მბრძოლნი არიან მგეცთა მათ ველურთა, რათა⁷ ეკლესიანი ღმრთისანი მშუდობით ეგნენ, რომელთა ზედა მრავალნი ძვრნი და სამწყსონი იგი⁸ ქრისტსანი მყუდროებით ისწავებოდენ⁹ ღმრთის მსახურებასა, და არა ბრძოლასა¹⁰, ვითარცა წინაწარმეტყუელი იტყვს: *„დასჭრიდენ მახვლებ-10* სა მათსა მანგლად და დაბუხრებსა მათსა საჯნისად¹¹“, და არღარა ისწავებდენ მერმე ბრძოლასა, ვითარცა აწ ყოლადგე არა ეკადრებდეს¹² ქრისტეანეთა აუგად მახვლისა მათ შორის¹³ და არცა მგედარი¹³ აღჯდომად¹⁴ ცხენსა. და ამისა შემდგომად ესაია იტყვს: *„მაშინ ძოვდენ მგელნი¹⁵ კრავთა თანა და ვეფხი¹⁶ განისუენებდეს თიკანთა თანა, კბოჲ და კუროჲ და ლომი ერთად 15* ძოვდენ¹⁷“,***. მგლად¹⁸ და ვეფხად სიბოროტისა მათისა მძწნვარებასა იტყვს, მგეცის სახედ—მოსწარავედ დათხევასა¹⁹ სისხლისა[სა], და ლომად—მძღავრობასა²⁰ მას²¹, მათსა მთავრობასა, იტყვს დანიელის²² ჩუ[148]ენებითა²³ ხილვასა მას მგეცთასა; დათუად²⁴ მოასწავებს [სპარსთა მეფობასა ბაბილოგნს და ლომად²⁵ სარკინოზთა მეფობასა ბაღდადს ბაბილოგნისასა, და თიკნად მწვალე-20 ბელთასა იტყვს, რომელნი მღუმრიად აჩუენებენ და შინაგან მგელ, ვითარცა თქუა უფალმან: *„მაშინ დაადგინენ²⁶ თიკანი²⁷ მარცხენით მისსა²⁸, რომელთა ჰრქუას²⁹: წარვედით წყეულნო ცეცხლსა მას საუკუნოსა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათჳ და მსახურთა მისთათჳ“*,**** და კრავად—ქემმარიტნი სამწყსონი ქრისტსანი, და კბოდ—უმანკობაჲ იგი, და კუროჲ წმიდათავე 25 პირუტყუთაგანი არს, და სარქენელი იგი ძლევაჲ ჯუარისაჲ მტერთა მიმართ, და ორნი³⁰ იგი რქანი—სარწმუნოებაჲ განსრულებული საქმეთაგან კეთილთა მსგავსად ორთა მათ დანაკთა სახიერებისათა³¹. და ნოცეა მოასწავა სარწმუნოებაჲ ეკლესიისაჲ კიდობანსა მას შინა შეყვანებად შვდ-შვდი წმიდათაგანი³² და ორ-ორი არაწმიდათაჲ³³. ხოლო აწ მადლითა ღმრთისაჲთა ასეულად გან-30 ფენილ არს სიმრავლჳ ქრისტს შორწუნეთაჲ მათ და არა უნასებენ. და ლომთა მათ და მგელთა არა აქუს ფლობაჲ განხეთქად კრავთა მათ სამწყსოთა ქრისტსთა, რომელნი ერთად ძოვენ მშუდობით.

VI. და რაჲმას მოიწია ჯამი იგი, ვამოვიდა ბრძანებაჲ გელმწიფისა³⁴ მისგან წოდებად ჩინებულთა მათ ტაბლასა მას წამებისასა და წარდგომად დალიქსა 35 მას საშინელსა განჩინებასა³⁵ სიკუდილისასა, ვითარცა დღესა მას განკითხვისა უფლისასა. საშინელ და შესაძრწუნებელ არს დღჳ იგი სასჯელისაჲ, მეო-

* II ს ჯ უ ლ 11,12. ** ესაია 2,4. *** ესაია 11,6. **** მათე 25,41.

¹ არიან] არს I. ² იერუსალიმი HI. ³ მარადის—E. ⁴ მგეცის AC. ⁵ სახელი I. ⁶ არა—H. ⁷ რა B] ვა BCDEFGHI. ⁸ იგი—EFL. ⁹ ისწავებოდენ BDHG. ¹⁰ ბრძოლასა] ბრალსა I. ¹¹ ეკადრების E. ¹² ~ მათ შორის მახვლისა C. ¹³ მგედარ AC. ¹⁴ აღჯდომად] აღტდომად E. ¹⁵ მგელი BDEFL. ¹⁶ ვეფხი G. ¹⁷ ძოვდეს H. ¹⁸ მგლად E. ¹⁹ დათხევად AC. ²⁰ მძღავრობასა] მძწნვარებას BE. ²¹ მას] მათ BDEFGHI. ²² დანიელის] და ნათლის G. ²³ ჩუენებათა CGI, ჩუენებასა H. ²⁴ დათუად] ლომად H. ²⁵ ლომად] დათუად H. ²⁶ დაადგინენ C. ²⁷ თიკანი C. ²⁸ მისა C. ²⁹ ჰრქუას] თქვას DG, + წმიდას I. ³⁰ ორი B. ³¹ სახრბისათა A, სხრბისათა BF, სახარებისათა GI, სხრბისათა E. ³² წმიდათაგან E. ³³ არაწმიდაჲ ABCDEFGHI. ³⁴ გელმწიფისა] მეფისა E. ³⁵ განჩინებასა—E.

მებაა მათი ქრისტეს მიერ. ხოლო ნეტარი გობრონ წარადგინეს წინაშე მისა მის.

და ჰრქუა ნეტარსა გობრონს: „მეწყალის მე სიკეთეს სიკბაბუქისა შენისა და მშურის¹ სიკუდილისათჳს მკედრობაა შენი, რომელი სახელოვან ხარ წინაშე ჩუენსა². და აწ, ვითარცა შეილსა საყუარელსა, გასწავებ შენ, დაუტე-⁵ვე უგუნურებისა შენისა შჯული³, რომლითა ვერა ირგეს მოყუასთა შენთა, და აღიარე ჰეშმარიტი შჯული⁴ ტელმწიფებისა [150] ჩუენისაა, რომელსა დამორჩილებულ არს ყოველი; და აღგიტუამ თქუენ, ვიცით ჩუენ ამის სუბუქისა შმედ-გომად. რომლისადაცა კაეტისა ინებო მთავრობაა, მოგცე⁵ შენ, პალატი, კარ-¹⁰ვები, მონები, ტაძარი, აქლემები, საკურველთა შუენიერთა სიმრავლეს, და გყო შენ ვითარცა ერთი რჩეულთა ჩემთაგანი. საყუარელ იყო ჩემ წინაშე და პატივცემულ ყოველთა ამთაგან⁶ ლაშქართა“.

მიუგო წმიდამან გობრონ და ჰრქუა ამირასა⁷ მას: „გვედრები, ტელ-¹⁵მწიფეო, ნუ მიძულებ მე⁸ დატევებდ ქრისტეახობისა, რომლითა აღშხარდეს მე მშობელთა ჩემთა, და აღბეჭდულ ვარ სულითა წმიდითა. და რაა მიზეზი არს ესე მიზეზი სიკუდილისა ჩემისაა? მრავალ არიან შენ ქუეშე ქრისტეიანე-²⁰ნი და მეცა არა დავაკლო მონებაა ტელმწიფებისა⁹ შენსა¹⁰ ყოველითა სახითა, რომლითა გენებოს შენ. და ესე ჰეშმარიტად უწყოდე შენ, რამეთუ არცა კეთილთა შენთა აღთქუმათა, არცა ძვრ-ძვრთა ბოროტთა შენთა ჩემ ზედა მო-²⁵წვენითა შემძლო განყენებად უფალსა ჩემსა იესუს¹¹ ქრისტესა“.

ხოლო ამირამან¹² ჰრქუა მონათა თჳსთა: „წარიყვანეთ ეგე და უჩუენე-³⁰ნით¹³ მოკლულნი იგი მოყუასანი მისნი¹⁴ თითოსახედ დაჭრილნი. და კუალად უჩუენენით¹⁵ პალატინი¹⁶ და კარვები, და არწმუნეთ მიცემა¹⁷ მაგას, ვინ უწყის, უკუე შიშმან სიკუდილისამან ჩანუ შესაძინებელმან კეთილისამან მო-³⁵დრიკოს გული მისი“. და ვითარ მხოვლეს¹⁷ ყოველი იგი და მოვიდეს წინაშე ამირისა მის¹⁸, ჰრქუა ამირამან¹⁹: „რაა გამოირჩიე თავისა შენისაა²⁰?“. ჰრქუა მას წმიდამან გობრონ: „მე პირველადე გითხარ შენ, არა მიდრეკად ქრისტეს უფლისა²¹ ჩემისაგან“.

ხოლო ამირამან²² ჰრქუა მონათა თჳსთა: „არა იცის მაგან კირი²³ სიკუ-³⁵დილისაა, წარიყვანეთ ეგე, და წარწყმიდენით²⁴ მაგის წინაშე დარჩომილნი²⁵ ქრისტეანენი, და მცირედ წყალთ ეგე, და კუალად მოიყვანეთ“. და კუალად წარიყვანეს ნეტარი გობრონ, და²⁶ დაადგინეს შორის დაშთომილთა მათ მო-⁴⁰ყუასთა და ურიდად შეგორინეს მათ მახვლითა. და ცემასა მას მათსა უწყალოდ²⁶ სისხლი მათი ეპკურებოდა მას, და რომელიმე²⁷ გუამი დავარდის მის წინაშე და რომლისამე გუამი შეგორდის²⁸ ქუეშე ფერჯთა მისთა. და ესრეთ აღეს-⁴⁵რულნეს წამებანი მათ ყოველთა[ნი] საშინელებითა²⁹; ვერ³⁰ შეაძრწუნეს გული მისი.

1 მშურს ABCDEFGH. 2 ჩუენსა ჩემსა BDEFGHI. 3 შჯული სსხველი I. 4 ~ სჯუ-
ლი ჰეშმარიტი E. 5 მიცე AC. 6 ამთაგან G 7 ამირსა BI. 8 მე—E. 9 ტელმწიფებისა DH,
ტელმწიფებისა G. 10 შენისა H. 11 იესო DHI. 12 ამირმან BI. 13 მოტუნენით H, მოტუნენით
AC. 14 პალატი ACDEFGHI 15 მოცემა AC. 16 მოვლეს I. 17 მის+და BDEFGHI. 18 ამი-
რმან GI+მან C 19 უფლისა ღისა DGH. 20 ამირმან I. 21 კირი—E. 22 წარწყმიდეთ E.
23 დაშთომილნი E. 24 და—ACDEFGHI. 25 უწყალოსა I. 26 რომელიმე C. 27 შეგორდის
შეგორდის E. 28 საშინელებათა H. 29 ვერ და ვერ B.



მაშინ წარუპყრეს¹ ქედი მისი და სცეს² მახვლითა ორგუნს³ ზედა⁴ და წყლეს მცირედ. და გამოიძრო⁵ კელი ნეტარმან⁶ მან კრულებისა⁷ შინგან⁸ და სისხლი იგი თვის გამოიწერა ჯუარის სახედ⁹ შუბლსა თვისსა და თქუა: [151] „გმაღლობ შენ, უფალო იესუ¹⁰ ქრისტე, რომელმან ღირს მყავ მეუღირსი ესე და ცოდვილი და უკუნადასკნელი ყოველთაა ნაწილსა ამას მკვდრობისასა და მოწამებებისასა¹¹. უფალო, სრულ ყავ მოწყალებდა შენი და სიტკბობდა ჩემდამო, და ნურა დამაბრკოლებნ¹² მიზეზი რაჲვე, მანქანება და მცლავრება უსჯულოება ამის¹³. და კუხლად მოჰყვანდა იგი წინაშე ამირისა მის და ბრწყინვიდა პირი მისი და შუბლი მისი ეღვარედ, და რომელნიმე¹⁴ ქრისტეანეთაგანნი მახლობელ იყვნეს¹⁵, იხილეს იგი თუალითა სარწმუნოებისადათა, ვითარცა გვრგვინოსანი¹⁶ ზეგარდამო, და პრწმენა ქეშმარიტად მარტულობა¹⁷ მისი. და ესრტო უშუენოდა¹⁸ იგი სისხლისა მის გამოწერითა¹⁹ შუბლსა მისსა, ვითარცა იგი, რაჲემს უფალი ჩუენი²⁰ ცხოვრებისასა მას ენებასა აღასრულებდა, და გამოიყვანეს იგი ეკლისა გვრგვინთა, იხილეს იგი ყოველთა. და ესევეითარისა მსგავსებისათჳს უფალი იტყჳს: «კმა არს მოწაფისა მის, თუ იყოს, ვითარცა მოძღუარი თვისი და უფალი თვისი»²¹.

მაშინ წამა ადარნასე მეფემან ქეშმარიტი მარტულობა²² მისი, ვითარცა გიორგისი²³ და თეოდორესი. და რაჲემს წარადგინეს იგი წინაშე ამირისა მის²⁴, მრავლითა სიტყუთა ლიქნისადათა ვერ აჯერებდა²⁵ ამას დატევებად²⁶ ქრისტესა²⁷ და ეტყოდა: „ესე უწყოდე, უკუეთუ არა მოიქცე მოაჩილებად ჩემდა, ვერა რომლითა ღონითა²⁸ განერე²⁹ სიკუდილსა³⁰. და აწ ისმინე ჩემი, ვითარცა კეთილისა განმზრახისადა, და ნუ წარსწყმედ თავსა შენსა, და მე უბრძანო მკურნალსა განკურნება შენი მცირედისა მაგისგან წყლულისა, და პირველნი იგი აღნათქუენნი³¹ მტკიცე ვყენე³² შენ ზედა“. პრქუა მას წმიდამან გობრონი³³: „იქმოდე, რაჲცა გნებავს, მე ქრისტეანე ვარ და არასადა უვარცყო³⁴ სახელი მისი³⁵. მაშინ ბრძანა ამირამან³⁶ მოკლვად წმიდისა გობრონისი³⁷. და წარიყვანეს და წარაკუეთეს თავი მისი, და დააგდეს³⁸ მოკლულთა მათ თანა. ესრტო სრულ იქმნა წამება მისი თთუესა ნონებრსა: იზ-სა³⁹. და მიემთხვა გვრგვინსა დაუქნობელსა⁴⁰ წმიდათა თანა⁴¹ მოციქულთა და ყოველთა მოწამეთა.

კუხლად შეიმოსა ეკლესიამან სამკაული სიხარულისა და ბრწყინვილებისა სისხლითა მისითა, დაიდგა გვრგვინი შეუენიერებისა და დიდებისა მისითა. და ქრისტეანეთაგანმან არაჲინ იკადრა მიახლებად მისა. ხოლო ამირამან⁴² უბრძანა მოთხრად სამი მთხრებლი, და შეეკრიბნეს გორცნი მათ ყოველთა მოკლულთანი და შთაყარნეს მას შინა. და უბრძანა, რაჲთა არაჲინ ქრისტეან[152]ეთაგანი მიეახლოს მათ.

* მათე 10, 25.

¹ წარუპყრნა E. ² სცეს წყლეს C. ³ გამოიძრო გამოიღო C. ⁴ მან - DGH. ⁵ კრულებისა კრებულისა I. ⁶ ~ სახედ ჯუარისა E. ⁷ იესო I. ⁸ მოწამებისა ABCDEFGHI. ⁹ დამაბრკოლებენ H. ¹⁰ რომელნიმე H. ¹¹ ~ იყვნეს მახლობელ I. ¹² გვრგვინოსანი BH. ¹³ მარტულობა ACFI. ¹⁴ შენოდა I. ¹⁵ ჩუენი ჩემი ABCDEFG ¹⁶ გიორგისა ABCDGH. ¹⁷ მის - BDEFGH. ¹⁸ დააჯერა E, აჯერებდეს FI. ¹⁹ ქესა GI, ქესა H. ²⁰ ღონითა სახითა E. ²¹ განერი FI ²² სიკუდილისა I, ²³ აღნათქუამნი CEHGI. ²⁴ ვყენე იყვნენ BDEFGHI. ²⁵ ბოგრონი A. ²⁶ უარ-ვყოფი H. ²⁷ ამირამან GHI. GHI. ²⁸ ბოგრონისი A. ²⁹ დადგეს I. ³⁰ იხილემეტსა AC, შეათჯემეტსა I, იზ-სა BDFGH. ³¹ დაუქნობელსა + და BDEFGHI. ³² თანა - I. ³³ ამირამან GHI.



ხოლო ღმერთმან, რომელმან¹ არა უფულებელს-ყენა² მონასრ-თუნს³, და ადიდნა⁴ მაქებელნი თუნსი და აჩუნენა⁵ სასწაულნი [ი] ზეგარდამო, — ნათელნი ბრწყინვალენი ღამე ყოველ, ვითარცა ღამპარნი აღნთებულნი, და⁶ დაადგინან⁷ ზედა მთბრებლსა მას. მრავალთა⁸ იხილეს ესე სასწაული⁹ ყოველთა მორწმუნეთა და ურწმუნოთა, მოვიდეს და უთბრეს ამირასა¹⁰. ხოლო მან მი-
 ზეზი უთბრა, ვითარმელ: „ესე სარკინოზთაცა ზედა იქმნების, რომელნი ბერ-
 ძენტთაგან მოიკლვიან“.

VII. აწ საყუარელნო, მოციქულისა სიტყუასა ვერჩდეთ და ქსენებასა წმი-
 დათასა ვეზიარნეთ¹¹ და საქსენებელსა მათსა აღვასრულებდეთ! ვითარცა წმი-
 დათა მოწამეთა სულნი მათნი წარუდგინეს¹² ღმერთსა გუამთა¹³ მათთა ტანჯ-
 ვითა, ნუ¹⁴ ეგრე¹⁵ შენცა შემძლებელ ხარ¹⁶ ეგვიპტარისა¹⁷ მსხუერპლისა¹⁸
 წარდგინებად წინაშე ღმრთისა¹⁹. რამეთუ რაოდენცა დღეს²⁰ არავინ არს,
 რომელმან წამებისათს დაჰკრნა ჯორცნი შენნი მახულითა, არამედ შენ²¹ შე-
 მძლებელ ხარ დაწუად მათა²² იწროებითა და მწუხარებითა და ნებსით სი-
 გლახაკითა უფლისათს, რომელი ვითარცა-იგი შემძლებელ იყოს, სოფლისა²³
 საშუებელთა და განსუენებათა²⁴, და ნებსის აღირჩიოს მწუხარებად და იწ-
 როებად ნაცვალად მისა²⁵. იგი არს, რომელი შესწირავს მსხუერპლსა ქებისა-
 სა წინაშე ღმრთისა, ვითარცა მოწამემან ქრისტესმან გობრონ²⁶.

აწ უკუე მოაკუდინენით ჯორცნი²⁷ თქუნნი და ჯუბრს-აკუთ იგი შრო-
 მითა და მარხვითა, გვრგვინითა მოწამეთათა, რომლისათს იგი მღაგრნი²⁸
 მარტულთა მოსწყუედდეს და იწამნეს. ხოლო შენ ნებსით²⁹ თავი თვისი მო-
 სწყუდე იწროებით³⁰. და ესე არს მსხუერპლი უბიწოა, რომელსა³¹ არა უკმს
 მღღელი³² შემწირველი, რამეთუ რომელი ამის ქუეყანასა ზედა³³ დამდაბლდეს³⁴,
 იგი ცათა შინა ამალღდების³⁵ ქრისტეს³⁶ იესუსს³⁷ მიერ უფლისა ჩუენისა, რომ-
 ლისაა არს დიდებად მამისა თანა სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და³⁸
 უკუნითი უკუნისამდე, ამჟნ³⁹.

[173] თთუესა ფებ[ერვალსა] :კ:ბ:

წამებარდ ყრმათა წმიდათაჲ რიცხვთ ცხრათაჲ, რომელნი იყვნენ
 სულითა ძმანი ნათლის-ღებითა წმიდისაგან ეგვაზისა, ხოლო
 მობილ იყვნენ თავის-თავისა ღმდისაგან თქნისა

ქრისტე, ადიდე არსენი, ამენ

1. იყო სოფელი ერთი დიდი თავსა ზედა დიდისა მის მდინარო-
 სისა, რომელსა პრქვან მტკუარი, გეესა, რომელსა პრქვან კოლაჲ. და

¹ ბრ—E. ² ყენაქო AG. ³ ადიდნი C, ადიდნი I. ⁴ აჩუნენა ABCEFG. ⁵ და—AC.
⁶ დაადგინა BEFI, დაადგინა C, დაადგინა DGH. ⁷ მრავალთა D. ⁸ ~ სასწაული ესე E.
⁹ ამირასა I. ¹⁰ ეზიარნეთ DG. ¹¹ წარუდგინეს CE. ¹² გუამთა|გუამათა ABCDEFGHI ¹³ ნუ—
 BDEFGHI. ¹⁴ ეგრე| ეგრეთვე BDEFGHI. ¹⁵ ხარ| იქმნენ BDEFGHI ¹⁶ ეგვიპტარისა BDE
 FGHI. ¹⁷ მსხუერპლისა| მსხუერპლად BDEFGHI. ¹⁸ ღრსა| უფლისა DGH. ¹⁹ დღე FI.
²⁰ შენ+შენ B. ²¹ მათდა FHI. ²² განსუენებითა I. ²³ მისსა EH. ²⁴ ბოჯრონ A. ²⁵ ჯორც-
 ნი+გვ C. ²⁶ ნებსით—E. ²⁷ იწროებით I. ²⁸ რომელსა| რასა B. ²⁹ მღღელი| მადლი H. ³⁰ ზე-
 და—E. ³¹ დამდაბლდეს—AC. ³² ამალღდეს E. ³³ ქს ABCDEFG. ³⁴ იესუსს HI. ³⁵ ამინ DH
 GI; და მარადის... ამჟნ—F.



იყო უმრავლესი ერი სოფლისაჲ მის წარმართთა კერპთ ^{მნახუტნი, კლასი} უმცროსი ერი ქრისტეანე, ღმრთის მსახური. და შეკრბიან ^{ცტჰანნი, მწამს-კ} ტეანეთანი და წარმართთანი მღერად, ვითარცა არს ჩუეულებჲა ყრმათაჲ, და იმღერდიან დღჲ ყოველ. და ეამსა მწუხრისასა პრეცის ხუცესმან და წარვიდიან ყრმანი ქრისტეანეთანი ეკლესიად ლოცვად, ვითარცა არს წესი ქრისტეანეთაჲ, ხოლო ყრმანი წარმართთანი რიცხუთ ცხრანი მიუდგვიან ჯუჲანა, რამეთუ შესუ^[v]ლებულ იყვნეს ყრმათა მათ ქრისტეანეთადა და უყუარდა მათ რჩული ქრისტეანობისაჲ. და ვითარცა მიიწინიან კართა ეკლესიისა, არა შეუტევიან ქრისტეანეთა ეკლესიად, არამედ ესრჲთ პრეკჲან მათ, ვითარმედ „თქუენ შეილნი ხართ მეკერპეთანი და არა ჯერ-არს შემოსლვაჲ თქუენი სახლსა ღმრთისასა“. და იგინი წარვიდიან გულკლებულნი და სირცხულეულნი. და მრავალგზის ყვიან ესრჲთ ყრმათა მათ.

და შემდგომად ამისა მივიდეს ყრმანი იგი წარმართთანი ეკლესიისა ქრისტეანეთასა და ენება შესლვაჲ მათ თანა მძლავრობით. მაშინ პრეკჲეს ქრისტეანეთა: „უკუეთუ ვნებავს შემოსლვად ჩუენ თანა ეკლესიად, გრწმენინ უფალი ჩუენი იესუ ქრისტჲ და ნათელ-ილ^ტთ სახელისა მიმართ მისისა, და ეზიარენით საიდუმლოთა მისთა და შეგუერთენით ქრისტეანეთა“. ხოლო მათ მუნქუესვე სიხარულით შეიწყნარეს სწავლაჲ იგი ქრისტეანეთაჲ და აღუთქუეს ესე ყოფად.

ხოლო იგინი მწრაფელ წარვიდეს მღდელისა¹ მის, რომელი იყო ხუცესი სოფლისაჲ მის, კაცი წმიდაჲ ღირსი და პატიოსანი, და აუწყეს საქმჲ ყრმათაჲ მათ. ხოლო მან მოიკსენა სიტყუჲა იგი სახარებისაჲ, რომელი თქუა უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან: «რომელმან არა დაუტევოს მამაჲ თჳსი, და დედაჲ თჳსი, დანი და ძმანი, ცოლი და შეილნი, და არა აღიღოს ჯუჲარი თჳსი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირსა»^{*}.

მაშინ წარვიდა მღდელი იგი თავსა ზედა მდინარისა მის დიდისასა და მის თანა სიმრაველჲ ქრისტეანეთაჲ. და იყვნეს ყრმანიცა იგი წარმართთანი მათ თანა. იყო ეამი ზამთრისაჲ და ღამჲ ნეფვისაჲ, რამეთუ დღისი ვერ იკადრებდა ნათლის-ცე^[174]მასა მათსა მიშისაგან წარმართთაჲსა და უფალ-მანცა ჩუენმან იესუ ქრისტემან ღამჲ ნათელ-ილო იორდანესა მდინარისა იოვანესგან. მაშინ მოსცემდა წყალი იგი მკსინეარებასა სიცივისასა. და ვითარცა შთაჭდეს ყრმანი იგი მდინარესა მას და ნათელ-მსცა ხუცესმან მან სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, და იტყოდა ეამობასა ამას, — „სული წმიდაჲ გარდამოკდა ვითარცა ტრედი ზედა იორდანესა, რაჲამს ქრისტჲ ნათელს-ილებდა, ანგელოზნი თანა უდგეს, ამას გალობასა იტყოდეს: ალილუიაჲ, ალილუიაჲ“ — მაშინ მოსცა წყალმან მან ფრიადი სიტუოჲ ვითარცა აბანომან, და ბრძანებითა ღმრთისაჲთა სამოსელნი სპეტაკნი მოიხუნეს ანგელოზთა ზეცით და შეკმოსნეს ყრმათა მათ ახალ ნათელ-ლებულთა უხილავად კაცთაგან. და ყრმანი იგი ქრისტეანენი ექმნნეს მათ ნათლის მამა; და არღარა ვიპქიცეს ყრმათა მათ ნათელ-ლებულთა მშობელთა მათთა თანა, არამედ დაადგრეს ქრისტეანეთა თანა და იყოფვოდეს მათ თანა.

II. და შემდგომად რავდენთამე ეამთა აგრძენეს მშობელთა მათთა საქმჲ ესე და გამოიტაცნეს ყრმანი იგი მძლავრობით სახლებისაგან ქრისტეანეთაჲსა

* მათ გ 10,38.

ნუსხაშია: ¹ ... მღდელისა. ² შემომიდეს.

დიდითა შეურაცხებითა და რისხვითა, გულის წყრომითა და გინებათა, [დ] მიიყვანეს სახლად თჳსა, დაჰბძარნეს თავნი მათნი და დაალებნეს ჳორცნი მათნი ფიცხლითა მით ცემითა. ხოლო მათ ესთენ ოდენ მიუგეს და ჰრქუეს მშობელთა მათთა: „ჩუენ ქრისტეანენი ვართ და არა ჯერ-არს, ვითარჰცა ვჳამეთ და ესუთ ნაგები კერბთაჲ“. და დაყვეს ყრმათა მათ შჳდი დღს უტემ-
 ლად და უსუმელად, [v] და არაჲსა გემოჲ იხილეს, არამედ იხარდებოდეს სუ-
 ლისა მიერ წმიდისა, რომელიცა ნათლის-ღებასა შეიმოსეს. მაშინ უთქუმი-
 დეს მშობელნი მათნი ყოველსა კეთილსა და სამოსელსა ჳრელსა თითო ფერ-
 სა, ხოლო მათ იგივე სიტყუაჲ თქჳან, ვითარმედ: „ჩუენ ქრისტეანენი ვართ
 და არარაჲ ვგჳმს თქუენგან, არამედ განგჳტევენით და წარვიდეთ ჳრისტე-
 ნეთა თანა.“ და ვითარ ვერ შეუძლეს(!) მტკიცს იგი სარწმუნეობაჲ მათი,
 მივიდეს მთავრისა წინაშე მის ჟამისასა, რამეთუ იყო იგიცა წარმართი, და
 აუწყეს ყოველი იგი ყოფილი და საქმს ყრმათაჲ მათ. ხოლო მთავარმან მან
 ჰრქუა მათ: „შვილნი თქუენნი არიან, ჳელმწიფებაჲ გაქუს, უჳავთ, რაჲცა
 გნებავს“. ხოლო მათ ჰრქუეს: „ბრძანე და მოვედ ჩუენ თანა, და ქვითა გან-
 ვტუნნეთ იგინი, რაჲთა არა სხუანი აჰბადდენ და ჳრისტეანე იქმნენ“. და ხუ-
 ცესსა მას ზედა არა მცირედი ჳირი მიაწიეს, რამეთუ იავარ-ყვეს ყოველი
 ნაყოფი მისი, და განიყვეს მონაგები მისი. და დასდევს თავსა მისსა წყლუ-
 ლებაჲ ფიცხელი კნინ ერთ-და მო-მცა-კლეს და განგადეს სამკვდრებელით
 თჳსით.

III. მაშინ განაჩინეს დღს იგი დუაწლისაჲ წმიდათა მათ მოწამეთაჲ.
 და გამოვიდა მთავარი იგი და მის თანა სიმრავლს ერისაჲ ურიცხჳ, და მო-
 ვიდეს თავსა მას ზედა წყაროსასა, სადა-იგი ნათელ-ელო წმიდათა მათ ყრმა-
 თა, დათხარეს ჳნარცჳ ფრიად ღრმაჲ, და მოიყვანნეს მშობელთა მათთა წმი-
 დანი იგი ყრმანი და შთაყარნეს ჳნარცუსა მას შინა. ხოლო იგინი იყვნეს ²⁵
 რომელიმე ცხრისა წლისაჲ და რომელიმე შჳდისა წლისაჲ¹, გინა უფრო, გინა
 უმცრო. სხუაჲ არარაჲ იცოდეს, რაჲმცა თქუეს, ამას ოდენ იტყუდეს: „ჩუენ
 ჳრისტეანენი ვართ და მისთჳსცა მოვსწყდებით და მოვ[175]კუდებით, რომ-
 ლისა მიმართ ნათელ-ვიდეთ“. მაშინ უღმრთოთა მათ მშობელთა მათთა განუ-
 ხეთქნეს თავნი მათნი და განტუნნეს იგინი. გუელთა და იქედნეთა, ასპიტთა ³⁰
 და მტეცთა იციან წყალობაჲ შეილთაჲ, ხოლო ამათ უსჯულოთა არა ყვეს
 წყალობაჲ შეილთა მათთათჳს. და სიმრავლემან ერისამან დაჰკრიბეს ქვაჲ,
 ვიდრემდის აღავსეს ჳნარცჳ იგი და დაფარნეს ქვითა წმიდანი იგი გუამნი
 მათნი და მიწაჲ იგი აღმოთხრილი მიასხეს ზედა კერძო მათსა. და ექმნა მათ
 ადგილი იგი სამარხო და სამარტვლო წმიდათა მათ ნაწილთა მათთა. მაშინ ³⁵
 აღესრულა სიტყუაჲ იგი სახარებისაჲ: «მისცეს მამამან მამა სიკუდიდ და მა-
 მამან შვილი; და აღდგენ მამა-დედანი შვილთა მათთა ზედა და მოჰკლვიდენ
 მათ*».

და სრულ იქმნა წამებაჲ მათი, და შეირაცხნეს იგინი პირველთა მათ
 მოწამეთა თანა, და მათ თანა იხარებენ სასუფეველსა ცათასა გზრგზროსანნი ⁴⁰
 წინაშე უფლისა ჩუენისა იესუ ჳრისტისა, რომელსა შეენის დიდებაჲ და პა-
 ტივი და თავყუანის-ცემაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ², აწ და მარა-
 დის და უტუნითი უტუნისამდე, ამენ.

* მათე 10,21; მარკ. 13,12.

ნუსხაშია: ¹ შჳდისაჲ წლისაჲ. ² წმიდითურთ.



წმიდათა ჟამათა ორთა ძმათა დავითისი და ტირიქანისი
საქითხაში

ქრისტე, ადიღე! არსენი, ანონ.

- 5 [299] I. ჟამთა მათ ოდენ მეფეთა მათ ქუეყანის მპყრობელთასა სა-
ბერძნეთს ჰერაკლე მეფისა და სომხეთს არშაკ მეფისასა და სპარსეთს ვა-
რამშაპოასა მეფობასა იყო შეწირვაჲ იგი წმიდათა მათ გორცთა მათა მსხუ-
ერპლად უფლისა.
- იყო სანახებთა მათ სოფლისა სომხითისათა, ჟამთა ნეტარისა დიდისა
10 ნერსე კათალიკოზისათა და ადამ არეგაწოტელისათა, ჳეგსა ბასიანისასა, და-
ბასა, რომელსა ჰრქჳან ონკომ, იყო ვინმე კაცი წარჩინებული და ერისთავი
და სახელი ერქჳა ვარდან. და სახელი ცოლისა მისისაჲ თაგინე. იყვნეს ორ-
ნივე იგი ნათესავთაგან სამეფუთათა. და ამათ აქუნდა სარწმუნოვებაჲ ჳეშმა-
რიტი და მართალი წმიდისა სამებისაჲ. ცხომდებოდეს იგინი ღმრთის მსახუ-
15 რებით, ყოვლითა ღირსებითა და ღმრთის მოშიშებითა. და მისცა მათ უფალ-
მან ორნი შვილნი, ესე ყუაგილნი შუენიერნი, ნერგნი სამოთხისანი მის ედე-
მისანი. და განიხარეს მშობელთა მათთა, რამეთუ სასმენელ ყვეს ღმერთმან
ლოცვანი მათნი. და მოსცნა ორნი იგი ყრმანი. და უწოდეს პირმშოსა მას
სახელი დავით სახელად დავითისა დიდისა მის შარვანდელისა და წინაწარ-
20 შეტყუელისა დავითისა. ხოლო სახელ-სდევს ამასცა მეორესა წინაწარმეტყუე-
ლებით, რამეთუ ესეცა ღირს იქმნა ზეცისა მეუფისაგან გზგზნსა წამებისასა,
დაღათუ საწუთროჲ ესე განხრწნადი დააკლდა, არამედ წარუვალითა მით
სრულ იქმნა. ხოლო შემდგომსა მას ძმასა მისსა სახელ-სდევს ტირიქან ენი-
თა სომეხებრითა. აღიზარდნეს ესენი სარწმუნოვებასა ზედა მართალსა.
- 25 და იყო ძმაჲ დედისა მათისაჲ თევდოსი. და იყო იგი წარმართი, და
აქუნდა შჯული წარმართთა უშჯულოჲ. და ჟამსა ოდენ სიჩოასა დავით და
ტირიქანისთა მოკუდა ვარდან მთავარი იგი ერისთავი, და თევდოსი უღმრ-
თომან მძღავრ მოიტაცა [v] საწელწიფოჲ იგი ვარდანისი დისიძისა თჳსისაჲ,
და დაიპყრა სამკვდრებელიცა მათი. და ვითარ იხილა ბოროტმან მან მგეცმან
30 შუენიერებაჲ ყრმათა მათ წმიდათაჲ, ჰკონებდა, ვითარმედ „ნუჟჳე შემდ-
გომად ჟამთა სრულებისა ჰასაკისა მათისა განძლიერდენ და აღდგენ ბორო-
ტის ყოფად მის ზედა“. ვერ გულპყრობილ იქმნა, არამედ უბოროტსითა
ძმაცუეჲ იზრახა, არა კმა-იყო მიღებად სამკვდრებელისა მათისა, არამედ
სრულიად უნდა მოსპოლვაჲ მათი.
- 35 ხოლო ღირსი იგი ღმრთისაჲ ნეტარი თაგინე ისმენდა ყოველსავე მას
ბოროტსა აღძრულსა მის ზედა. და იტყოდა: „დაუტევთ შჯული ეგე ჯუარ-
ცმულისაჲ და იპყართ შჯული ჩემი შენ და შვილთა შენტა, და იყვნენ ყრმა-
ნი ეგე შვილად ჩემდა და მე განვზარდნე იგინი შუებითა და სიხარულითა
დიდითა“. ხოლო ნეტარმან მან დედაკაცმან ყოლადვე უგუნურებით საბრვაჲ
40 იგი მისი მგეცისაჲ მის სულთა განმრყუნელისაჲ არა თავს-იდვა, არამედ ჰრქჳა
მას: „სამკვდრებელი ესე შვილთა ჩემთაჲ და ყოველი მონაგები მამისა მათი-
საჲ კმა-იყავნ შენდა, ხოლო საფასჲ იგი გამოუპარველი და სამკვდრებელი
მიუღებელი მამისა მიერ ზეცათაჲსა და ღმრთისაჲ ვერ შემიძლოთ(!)“.

და ვითარ იხილა დედაკაცი ესე დამტკიცებული შჯულსა ზედა ქრისტესისა, არაღარა შესძინა კულად სიტყუად მისა, არამედ თუნიერ დედისა მათისა მოუწოდა სინატრელთა მათ ყრმათა და სიტყუთა რეცა ტკბილითა უნდა სიმწარედ რეცა გარდაქცევად მათი. და ჰგონებდაცა უგულისხმოსა შინა გულსა თუსსა, ვითარმედ: „გამოცვადნე იგინი გულითად სახითა ამით, უკუე- 5 თუ თავს-იდგან შჯული ჩემი და არა დაიმარხონ მანკიერება ჩემთს გულსა მათსა“.

მოიყვანნა იგინი და შეკრიბნა და ამბორს-უყოფდა, რეცა სიყუარულითა [300], რომელსა იგი ეგულებოდა¹ პირველ სიკუდილი სულთა მათთა[ა]. ხოლო ვითარ ესე ვერ უძლო, იზრახა მოწყუედაა მათი, და ესრეთ ეტყოდა 10 მათ: „თქუნ, შეილნო, აწ შეილნი ჩემნი ხართ, და დღეს მე ვითარცა მამაა თქუენი, და აწ ჩემიცა თქუენი არს. ესე ხოლო ყავთ ჩემდა მამართ და რომელი გრჭუა თქუენ, ისმინოთ ჩემი, ვითარცა შეილთა მორჩილთა საყუარელთა. შჯული ეგე, რომელი ეპყრა მამასა თქუენსა, განუტევეთ, და მე უკეთესი შჯული მიგცე თქუენ“. ხოლო წმიდათა მათ ყრმათა შემდგომად დუმილი- 15 სა მიუგეს დედის ძმასა [თუსსა [და პრჭუეს: „ჩუენდა კმა-არს შჯული იგი, რომელი ეპყრა მამასა ჩუენსა, და ვპვიეთ მას, ვიდრე სული ესე იყოს-ლა ჭორცთა შინა ჩუენთა. ხოლო სიყუარულისათს და მოთმინებისა ღმრთისა სხუად თუნიერ შჯულისა დატევებისა განმზადებულ ვართ, ვითარცა მამისა ჩუენისასა“. და ვითარ განიმსტოვრა უწყალომან მან და ნაწლევ-რგალმან 20 თეფლოსი, ამას მიზეზსა ზედა ვერ იკადრა მოკლვად მათი ერისა მისგან ქრისტეანეთაჲსა, არამედ მიუშუა მცირედ და ეგულებოდა¹ წარწყმედაა მათი.

II. აგრძნა ესე თავინე, დედამან მისმან, და განიზრახვიდა, თუ ვინაჲ კერძო იელტოდის. და მოილო ზოგი რაჲმე მონაგებთა მისთაგანი და შეილ- 25 ნი თუსნი და წარმოიელტოდა ჩრდილოთ კერძო ქუეყანად ტავოჲსა. და მოვიდა დაბასა ერთსა, რომელსა ერჭუა ვაგვანი. და იყო მუნ მთავარი ერთი წმიდათა მათ ნათესავი, რომელსა სახელი ერჭუა ვაზგენი². და შეევედრნენ მთავარსა მას. და სიმავრესა მის ადგილისასა გულპყრობილ იყვნეს დევნი-სათს დედის ძმისა თუსსა. დაემკვდრნეს მუნ და ცხომდებოდეს ღმრთის მსახურებით. ხოლო სამკვდრებელისა მათისაჲ და უცხოებისაჲ ვერ იკადრებ- 30 და(!), არამედ მცირესა მას და კნინსა საფასესა ზედა იხარებდა, რამეთუ სა-შუებლად და სიმდიდრედ მათთა იყო შჯული იგი ქრისტესი. [v] და იყვნეს ცხოვარნიცა მცირედ დედისა თუსისანი, რომელთა თანა განვიდიან ნეტარნი ესე ძმანი განცხრომად ანუ მწყსად მათა. და კრავნი იგი ღმრთისანი უბი-წონი და ჰენმაროიტი მსხუერპლნი, კრავთა მათ თანა ცხოვართასა იმლერი- 35 ედ და უბიწოებასა მათსა ურთიერთას ცვალებდიედ და სწორად შესაწირავად ღმრთისა მალღისად განემზადებოდეს.

ხოლო თეფლოსი, დედის ძმაჲ იგი მათი, შეიკუთვოდა ზაკულებითა მრავალფერითა და ვერ იფარვიდა მჭეცებრ განძნებულსა მას გულის-წყრომა-სა თუსსა, შურდა განრომაჲ იგი ყრმათაჲ მათ გელთაგან მისთა, და სი[ვლ- 40 ტოლ]აჲ მათი უკეთურსა გულსა მისსა. წარმოავლინნა მსახურნი თუსნი და განიმსტოვრა ქცევაჲ იგი ყრმათაჲ მათ. და მიეთხრა მჭეცსა მას, რომელი უმზორდა სისხლსა მას უბრალოსა, ვითარმედ „არს მთაჲ ერთი მაღალი წყუ-დიადი, მუნ აღვლენ ყრმანი იგი ცხოვართა თანა“. და ვითარ ესე ესრეთ



ქართული
ენის
მეცნიერება

გულისხმა-ყვეს, შეკრიბა ერი მრავალი და მოვიდა კრძალულად დაიხარა მთასა მას შინა, რამეთუ იყო იგი ურწყული. და იყო მალნარი ტყე ურწყული და ვერხუნარი.

III. და მოუწოდა დედამან ყრმათა მათ და წარავლინა იგინი ჰვეთა მათ ვაჟანის[ა]თა, ვითარცა იაკობ იოსებ ლელეთა მათ ქებრონისათა, და პრქუა მათ: „წარვიდით, შვილნი ჩემნი, და იხილენით მცირენი იგი ცხოვარნი ჩუენნი“. და წარვიდეს სიხარულით და აღვიდეს მთად, განცხრომად ურთიერთას წარსქრებოდეს და ესრეთ აღიწინეს წუერსა ზედა მის მთისასა. ხოლო მძღავრნი იგი იყვნეს მზირად ვითარცა ლომნი. და ვითარცა შუვა ოდენ მოვიდეს, მზირთა მათ ჰმა-ყვეს და გარემოიქცეს ყრმანი იგი. და წარსქრა თვედოსი, დედის-ძმა იგი მათი, და მირბიოდა მათ ზედა [301] წარწყმედად მათა. ხოლო ყრმანი იგი უბიწონი ქამდეს პურსა სძესა თანა, რ დაეწინენეს ცხოვარნი იგი მათნი. და შეძრწუნდეს ყრმანი იგი, განჰკრთეს და იწყეს მიმოხედვად და არაა უწყოდეს მიზეზი. ხოლო ნეტარმან დავით იცნა დედის ძმამა იგი თვისი, ნუგეშინის-იცა და მზიარულითა პირითა და წრფელითა გულითა მირბიოდა, და შევარდა ჰელთა დედის-ძმისა თვისისათა. ხოლო მან მოყვნა ჰელნი თვისნი და აღიქუა იგი მკლავთა თვისთა ზედა და ამბოვრებისა წილ მიაგება მახული, ჰსცა და მოკლა იგი. და სრულ იქმნა წამება, და პოვა მან მწრათლ გზად ზეცისა და მოიგო გვრგვნი იგი მოწამებისა. ხოლო არგანი იგი, რომელი განეგრა ჰელთაგან მისთა, ნიგუზისა იყო, დავარდა მიწისა ზედა, ხედ დიდ იქმნა მთასა მას ზედა. და დაყო ხეგან მან ვითარ ორასი წელი, და წარიდეს იგი ევლოგიად მლოცავთა.

ხოლო ტირიქან ვითარცა იხილა სიკუდილი უწყალოდ ძმისა თვისისა, შეეშინა და იწრათა სივლტოლად, მიემართა ლელედ კერძო, დასავალად სოფელსა მას, რომელსა პრქვან დივრი, რომელსა უქმობენ კაცნი დევობით. და ვითარცა იგრძნა ამბოხი ესე მთავარმან მან და იხილნაკაცნი მტეობარნი საქურველითა და მახვლითა აღმოვდილნი, იწყო დაღადებად და ერისა კრებად მწრათლ, რამეთუ ეგონა, ვითარმედ მისა კლვად მივლენ. განეშხადა მწრათლ ბრძოლად მათა. ხოლო მდევარნი იგი ეწინეს წმიდასა ტირიქანს და მოკლეს იგი. და დაუტევეს იგი და თვთ უკუნიქცეს. და დაუკვრდა მთავარსა მას მწრათლ ქცევამ იგი მათი. და მიიწინეს კაცნი იგი მის ადგილისანი და იხილეს ყრმამ იგი ქუეყანასა ზედა მდებარე, დაწყლული მწარითა წყლულებითა, და სული მისი აღძრულ წარსლვად დამბადებელისა თვისისა. შეეწყალა სიყრმე იგი მისი [v] და არა უწყოდეს მიზეზი სიკუდილისა მისისა. მაშინ მოიწია მთავარიცა იგი დივრისა და იხილა სისხლი იგი უბრალო დათხეული, დაუკვრდა და განკვრებამან შეიპყრა¹ ფრად. და მყის მოიწინეს დედანიცა იგი მის ადგილისანი და იყო ტირილი დიდი ყრმისა მის ზედა.

ხოლო მკლველნი იგი ტირიქანისნი ვითარ მიიწინეს და აღტდეს მთასა მას, პოვეს ერისთავი იგი მათი თვედოსი, რამეთუ იყო იგი მწუხარმ და ყოლად ვერ ეწლო ხედვად. და ესენიცა შეიპყრნა განკვრებამან, დარჩეს განკვრებულნი. და სიმრავლესა იგი ერისაა შემფოთნეს და იწყეს ურვად და დასულებად საკურველებისა მისგან, რომელი იხილეს. შეძრწუნდეს და ვერ უძლეს სიტყუად და ვერცა სივლტოლად, რამეთუ მოელო წინამძღუარი იგი მათი, და იგუემა სიბრმითა მით მსგავსად ნეტარისა მის პავლესსა. ვითარცა

ნუსხაშია: ¹ შეიპყრნა.

შეგარდა იგი სწავლასა მას საღმრთოსა, და მუნქუესევე აღური იგი ნიჭიანი ბისა მისისაჲ აღუდგა პირსა მისსა, რაჲთამცა მოიქცა ველური იგო ვანგროდო. მილი გონებაჲ მისი და შემძლებელ იყომცა განცდად თავისა თვისისა, რაჲ-იგი უქმნიეს, რამეთუ ჰგონებდა, ვითარმედ „არა უჯგროჲ ვქმენით, რამეთუ მოვსწყვდენი დის წულნი ჩემნი.“ რამეთუ ამით სახითიკა ემსგავსა პავლეს, და მანცა დის წული თუხი მოკლა სტეფანე პირველ-მოწამს.

და მუნქუესევე ხოლო ამჟღერდა მთავარი იგი დიერისაჲ და აღწდა ერთურთ თვისით მთასა მას ზედა ღვრიად მალალსა, რაჲთამცა იხილა ერი იგი და გულისხმა-ყომცა მიზეზი იგი შეფოთისაჲ მის. და ვითარცა იხილა ერი იგი შესულეზული და ერისთავი მათი მწუხარედ, და აჰა ესერა მიიწია ბავთი იგი ამბოხისაჲ მის, რომელი-იგი იქმნა შევილთა მისთა ზედა ნეტარისა თავინესთა. და აღდგა დედაკაცი იგი [302] თავინე და აღივლტოდა მთად. და მოვიდა და მოიწია იგი პირის ცემით და ეგოდენსა მას სიმძაფრესა მის გუერდისასა არა დაშურა იგი ტკივილითა მით შევილთა თვისთათა. ემობდა იგი ტირილითა და განმწარებულითა სულითა. დაიპო სამოსელი თუხი და ჰრქუა მასა თვისსა თვედოსის: „რად მიმიხუნენ ნათელნი თუალთა ჩემთანი? არა კმა-იყოა გლოვად ჩემდა სიკუბრივე ესე ჩემი? არა კმა-გეყოა სამკვდრებელი შევილთა ჩემთაჲ და ყოფაჲ ჩემი წყუდიადსა ამას ქუეყანასა? ვერ კმა-გეყოა სამკვდრებელი ქმრისა ჩემისაჲ და მოხუედ უდაბნოდ და მოსწყვდენ კრავნი ესე ცხოვართა უკუანა და დასხენ უბრალონი ორნივე ესე მწყემსნი და და-შთეს უდაბნოსა ზედა საწყესონი იგი მათნი უმწყემსო? 15

„თვედოსი, მწეცო უწყალო, რაჲმე ძური შეგამთხუეს შევილთა ამით ჩემთა? რად დამიბნელე მშპ ჩემი ეამსა ოდენ პირველსა დღისასა, ვიდრემღის არა დასცხერი დევნად ჩემდა? არა კმა-იყო შენდა ნადირად ერთი ესე, მწეცო ბოროტო, და ერთმეცა მე დამიტევეთ და შე-მცა-იწყალეთ ქურობაჲ ესე ჩემი!? აჲ ვითაღა ვინ იყოს იმედი ჩემი, ანუ სასოა ჩემი? მომკალ მეცა უღმრთოვო და განცელი სისხლითა, ვეფხო, სისხლისა მოყუარეო! არღარა წარვიდე ამიერ მითთ, არამედ ვითარცა-იგი ცხოვრებასა შევილთა ჩემთასა ვიხარებდი ხილვასა მათსა, აჲცა სიკუდილსა მათსა თანა იყავნ ჩემი სიკუდილი. მოკუედინ სული ჩემი სულსა თანა მართალთასა და იყავნ გუამნი ჩუენნი სამარესა ერთსა, ვითარცა-ესე ცხოვრებასა ქუროვობისა ჩემისასა იყო ჩუენდა ცხედარი ერთი. 25

„თვედოსი, არღარა მოიკსენეა საშოა იგი მშობელისა შენისა და ჩემისაჲ და ცუტუნი იგი, რომელთა [V] განგუზარდეს შენ და მე? ყოლად მედგარო, რაჲსათეს ესოდენითა ერთთა გამოხუედ წყობად უცლურისა დედაკაცისათეს და ნინველთა ყრმათა მისთათეს? რად დამიესენ სანთელნი ესე ჩემნი, ჰ უშჯულოვო?“. ამით და ესევითართა და სხუათაიკა მსგავსთა ამისთა სიტყუათა იტყოდა ნეტარი იგი თავინე. და ყოველი იგი სიმრავლს ერისაჲ დუმნა და გოდებდეს, და ვითარცა ნაკადულთა გარდამოადინებდეს ცრემლთა. და თვედოსიკა ტიროდავე მათ თანა. 40

ხოლო ნეტარმან თავინე ვითარცა იხილა მშ თუხი საყუარელი დავითი მოკლული, მდებარს, თუალნი მისნი მიმოდასტუანვიდეს და ეძიებდა ძესა თუსსა ტირიჭანს, რაჲთამცა იხილა იგიკა მოკლული. და არა იყო იგი მუნ. და ქირისა მისგან და იწროებისა განკრთომილ იყო გული მისი.



და ვერ გულსხმა-ყო თევდოსი სიბრძე იგი. მას ეამსა სიტყუად იწყო თევდოსი და პრქუა დასა თუსსა თავინეს: „ჟ დაო ჩემო, თავგნენ, ჩემნდჷ ჟრქ იქეც და იხილე, რამეთუ ესერა წუერსა ზედა მთისასა ბნელბან ცდამქრქმე ვითარცა ჳევეთა შინა ღრმათა, ანუ მღკმესა შინა, უფსკრულთა. ჩემ ზედა იქ-
 5 ცევის ბნელი წყუდიადი, ხოლო შენ ნათელი ვამოგიბრწყინდა მიუწლომელი ნათლისა მისგან წარუვალისა და ქეშმარიტისა მისგან დაუსრულებელისა ნათ-
 10 ქრისტეს მოწყალისა ღმრთისასა, რომელი-იგი მოვიდა ცოდვილთათუს. მრწამს მე ქეშმარიტი ღმერთი“.

და ვითარცა მოეგო გონებასა თუსსა და იხილა, რამეთუ ღმრთისა მსხუერპლად შეიწირნეს შეუნიერნი იგი საკუერთბნი, შვილნი მისნი, მუნქუეს-
 15 ვილისაჲ შეილთა მისთაჲსა. და მასვე ეამსა გლოვასა მისსა ეწია სიხარული, და ამბორს-უყო ძმასა თუსსა და პრქუა ძმასა თუსსა: „იყავნ ღმერთი მიმტეგე-
 20 ბელ შენდა და ნუ შეგიბრაცხოს შენ უფალმან მოწყალემან სიკუდილი შვილ-
 თა ჩემთაჲ და დის წულთა შენთაჲ, ვითარცა-იგი ოდესმე პაელეს დის წული მისი სტეფანე პირველ-დიაკონი და პირველი მოწამს“. ევედრებოდა ღმერთ-
 25 სა, აღიხილნა ზეცად და აკურთხევედა უფალსა და ერიდებოდა ცრემლთა, რათა არად შეპრაცხოს ნაკუერცხალი გონებისა მისისაჲ და საკუმეველი იგი მისი არა განფენილ იყოს სულნელებითა თუსითა. და იტყოდა დედაკაცი იგი თავინე: „შენ, უფალო, ყოვლით კერძოვე მოწყალეო და ყოველთა მწყალო-
 30 ბლო, მამაო ობოლთაო და მსაჯულო ქურთათაო, რომელმან მკირენი ესე
 და მდაბალნი ყრმანი ესე არაჲუგულებელს-ჰყვენ და ზიარ-ჰყვენ იგინი ნა-
 წილსა წმიდათა მოწამეთასა, შვილნი ესე ჩემნი, რომელთა-იგი შენთუს მრავა-
 ლი ტანჯვაჲ დაითინეს და მოიღეს ზეცისა იგი გვრგვინი დაუქნობელი და
 35 ცხორებაჲ იგი წარუვალო, ამათი ესე სიჩოოჲსა წამებაჲ, ღირს ყვენ ესენი მათ
 თანა შეებასა და სიხარულსა შინა და მათ თანა განსუენებასა და მათ-თანა
 40 გვრგვინსა, მათ თანა განკურნებასა ენებულთასა,—ვითარცა იგინი, ეგრეთვე
 ესენი. და რათა უწყოდი, თუ სათნო გეყვენს, მოეც ძმასაჲცა ამას ჩემსა კურ-
 ნებაჲ, რათა ჰხედვიდეს“. და მოიღო მიწაჲ იგი, რომელი შესუარულ იყო
 სისხლითა მით დავითისითა, და ჰსცხო თულთა მისთა და მყის აღიხილნა
 თულნი მისნი. ესე ორი სასწაული იქმნა წმიდისა დავითის ზედა.

ხოლო კულადცა ჯერ-იჩინა კაცთ-მოყუარებმან ღმერთმან, რათა ყო-
 45 ველა კაცთა ვამოუცხადოს სიმგნს მათი და აუწყოს, [V] ვითარმედ სათნო-
 იყო ღმერთმან მსხუერპლი იგი წამებისა მათისაჲ. მას ღამესა ვამოუბრწყინ-
 დეს ნათელნი, ვითარცა მთიებნი, სუეტის სახედ ნათლისად, რომელთა თავი
 მისწულებოდა ვიდრე ცადმდე, რომელსა ყოველნი ერნი ქუეყანისანი ჰხედვი-
 50 დეს, და რომელთა უწყოდეს, აღიდებდეს ღმერთსა, და რომელნი შორს მყოფ-
 ნი ჰხედვიდეს ნათელსა მას, დაუკრდებოდა და ვამოიძიებდეს ურთიერთას¹.

IV. მაშინ ვითარცა ეუწყა საქმს ესე წმიდასა მამასა ჩუენსა ნერსეს კათალიკოზსა სომხეთისასა, რამეთუ თუთ ჰხედვიდა იგი იშხნით საკვრე-
 ლებასა და ბრწყინვალებასა მიუწლომელსა ნათლისასა, რომელ-იგი უფალმან

ნუსხაშია: ¹ ორთიერთას.



აღიდნა ღირსნი მისნი, გულისხმა-ყო საქმე ესე სულისა მიერ წმიდისა და სრბით მიიწია დივრის. და თანა წარმოიყვანა მღღელნი; იოვანე და სოფრ და გრიგოლ. ხოლო თევდოსი შეუვრდა ფერკთა ნერსე კათალიკოზისათა და აღუვარნა ყოველნი იგი შეცოდებანი, რომელნი ქმნა და მოიღო ქრისტს-მიერი ბეჭედი. და პრწმენა ყოვლითა გულითა თვისითა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე და ყოველნი მოწამენი და წმიდანი მისნი. ხოლო წმიდამან ნერსე თვისითა ჰელითა წარგრაგნა გუამნი იგი წმიდათანი თავინეს თანადგომითა დედისა მათისაათა და თევდოსისითა. და დაუსუენა ერთი იგი ზედა მთასა და ერთი იგი დევრის ქუემო კერძო, დასავალით ჰეცსა მას ნალუარევისასა.

და თევდოსი წარაგო საფასს და აღაშენა ეკლესია და ვითისი ზედა, და 10 იპყრა და დადვა საქსენებელი მათი. ხოლო მთავარმან მან დივრისამან მოიხუნა ნაწილნი წმიდათა ძუალთა ტირიქანისთანი და მანცა აღაშენა ეკლესია საწამებელად მისა, რომელი-იგი იქმნა საზღვართა მისთა შოვრის ვენაჲთა მათ. ხოლო ნეტარი თავინე წარვიდა ჰევთა მამორვანისათა, [304] სოფელსა, რომელსა პრქვან ტაძარანი, და მუნ შეისუენა. და საფლავნი მისნიცა 15 აღმოაცენებენ კურნებასა. ხოლო მთავარმან მან დივრისამან აღაშენა ეკლესია შოვრის ვენაჲთა მათ სადიდებელად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ტ

ჟ

[426, 14] ცხორებად წმიდისა მამისა 20 ჩუენისა იოვანე ზედაქნელისად. რომელი ბრძანებითა ღმრთისად-თა და წინამძღურობითა სულისა წმიდისადთა მოივლინა ჰუმუხანით უშამდინარით ჰუმუხანად მართ- 25 ლისად ათორკმბთა მოწაფეთა მისთა წმიდა [427] თა თანა.

ცხორებად და მოქალაქობად წმი- 20 დისა მამისა ჩუენისა იოვანე ზე- 25 დაქნელისა¹ და მოწაფეთა მის- 30 თად. რომელთა ბანანათლეს ჰუმუ- 35 ხანად ესე ჩრდილოეთისად.

განახლდა¹ და განავრცო წმიდამან [მა- 25 მამან] ჩუენმან ქრისტეს მიერ არსე- 30 ნი კათალიკოზმან.

ხოლო აღწერა არსენი ქართლისა 25 კათალიკოზმან სარგებელად, რომელნი 30 ისმენდენ*

გუაქვრთხენ, მამაო!

მიზეზნი არიან აღმძრველ² სიტყუსა და სიტყუაჲ არს მიმთხრო- 25 ბელ მიზეზთა, რომლისათჳს პირველ მივლენან სავრძნობელთა და 30 მიართჳნ³ მიმღებელსა, და მიმღებელმან მისციის განმკითხველსა, და განმკითხველმან — დამმარხველსა. და ესრეთ გამოსახული იგი 35 მოიქცის და დაებერის ნესტუსა ენისა თვისისასა და განგებულ(ად),

* ხელნაწერების ნუსხა: A: A—199; B: Ier.—36; C: H.—136.

ტ ნუსხა შია (Q—795):¹ განახლდა. ² აღმრველ. ³ მიართონ.

ჟ ¹ ზედაქნელისა ზედადნლისა A, ზადნლისა B.



C

ოხრინ, რაათა¹ კულად სასმენელთა სხუათა მისცემდეს თუთ თანა-
ზიარებითა სმენისაჲთა, რომელ არს აწინდელი ესე ჩუენი მოქ-
ცეჲა.

რამეთუ ჯერ-არს გამოცხადება სანატრელთაგან უწყებასა, —
გელითმოკსენებულთაგან წერილთასა, — სიტყუად დიდთა მათთჳს,⁵
რომელნი განფენილ ქადაგებად ჯერ-არიან ყოველსა სოფელსა
მსახურთაგან სიტყუსათა გამოცხადებითა მადლისაჲთა, რომელნი
განშუენდეს გამოცხადებითა² ქეშმარიტებისა[ჲ]თა. არა თუ ადვი.
ლად საურაფსა რასმე ვეძიებთ, არამედ სიღრმეთაგან ზღუსათა პა.
ტიოსანთა მარ[428]გალიტთა, შრომით მოსაგებელთა, გუნებაჲს¹⁰
ცხადად გამოჩინებაჲ, რომელნი განშადებულ არიან განყოფად
სიმდიდრესა, უხრწნელსა საფასესა საღმრთოთა ნიქთასა, ნათესა-
ვისა მიმართ ჩუენისა სიტყუთა მადლისაჲთა.

წიგნი ვედრებისა შენისაჲ აღმოვიკითხე, ძმაო მიქაელ, და
თხოვისა შენისა წადიერებაჲ გულსჳმა-ქეყავ და ფრიად მონდა¹⁵
სწავლის მოყუარობაჲ შენი, რამეთუ გენება, რაათამცა დიდისა
იოვანე ზედაზნელისა ცხორებაჲ აღვწერე და მიუძღუნე თქუენსა
მას უდაბნოსა, პირველად, რაათა არა სიღრმესა შინა დაფარულ
იყვნენ სათნოებანი³ წმიდისა მის მამისა და მოძღურისანი, და
მერმე, მათ გამო, რაათა სარგებელი ვპოოთ. და ქართა იგი წუ-²⁰
ლილი, რომელ[ი] წარმოგედღუნა ჩუენდა, რომელთაგანი (!) საქმეთა
მამისა ჩუენისა ზედაზნელისანი [წარვიკითხე] და ზოგ[ი] რაამე
გამოვიკითხეთ მისთჳს და მისთა მათ მოწაფეთა მათთა, მათ შინა
ადგილთათჳს, ვითარცა ვინ მარტულელნი⁴ ოქროსა წარსცის ვის-
მე⁵ გელოვანსა, რაათა შექმნეს⁶ იგინი ქურქულად შუენიერად ერ-²⁵
თად [429] შეკრებულთა.

და ამით ესევითარითა წადიერებითა არა თუ რას მი-
იღებ ჩუენგან, არამედ მომცემ, ვითარცა უფალი იგი დიდებისაჲ
მისრული ჯურღმულსა მას ზედა და წყალსა ითხოვდა დედაკაცისა
მისგან სამარიტელისა⁷, არა თუ მოიღებდა, არამედ წყაროსა⁸
ცხორებისასა მი[ა]ნიქებდა. ესრეთ მოვიღებ და⁹ არა თუ მიცემ.
ხოლო მე, ვითარ ვიხილე⁹ კეთილი იგი სტუმარი, რომელი მოვი-
და ჩემდა, სიხარულით მივრბიოდე და აღვიყვანე იგი ქორსა ჩემსა
და მინდა განძღებად შიმშილი მისი, რომელსა-იგი ეძიებდა.

და ვითარ აღვიხილე საუნჯე ჩემი, ვპოვე იგი ნაკლულევანად³⁵
მცირედ მეცნიერებისა ჩემისაგან და, რამეთუ ენა-ბრკუნვალ ვარ
და ვერ-მეტყუელ, ვინაჲთ ვიწყე წმიდისა მისთჳს თხრობად სათ-
ნოებთა მისთა! არამედ განვიზრახე, რაათა ვემსგავსო ფუტკარსა
შრომის მოყუარესა და საშოთხეთა შუენიერთა წიგნთა მიერ მო-
ვიწილენ ყუავილნი, რაათა განუშადლო ქამადი ტკბილი წადიერთა⁴⁰

* შდრ. იოანე 4,4-15.

1. ნუსხაშია: ¹ რათა. ² გამოცხადებულად. ³ სათნოებანი + და ⁴ მარტულ-
ელნი. ⁵ ვინმე. ⁶ შექმნენ ⁷ ჯუარცმულსა. ⁸ მოიღებდა. ⁹ ვიხილე.

სადიდებელად ჩუენ[და]. არამედ ჯერ-არს, რაათა ლოცვაჲ წინათ
წარუძღუნათ. ჰელი შემოყავთ ჩემ თანა ვედრებითა!

[430] რამეთუ ყოველთა კეთილთა განმასურნელებელ ლოცვა[ჲ]
არს. აზნ მუცელსა შინა დედისასა განაპოხა სამოელ და წინაასწარ-
მეტყუელად გამოაჩინა. იხილეთ-ღა ნაყოფი იგი ლოცვისაჲ—[წი- 5
ნაასწარმეტყუელ იქმნა ჭეშმარიტებისა სიყრმითგან, რამეთუ
ითხოვა იგი ანა ცრემლითა და ლოცვითა*.

კუალად სჯულის-მდებელსა მოსეს მო-რაჲ-აქუნდეს ფიცარნი
იგი სჯულისანი, ორმეოც დღე ლოცვაჲ და მარხვაჲ საფუცველ ყო.
და მოსეს ფიცარნი, დაწერილნი თითითა ღმრთისაჲთა, გარდა- 10
მოაქუნდეს მთისა მისგან ერთგზის და მეორე[დ]—სრულებად,
რამეთუ პირველნი იგი შეიმუსრნეს, ვითარცა ურდინი¹, ხოლო მეო-
რენი პატივ-იცნეს მოცვალებითა**². მისთჳს ჯერ-არს, რაათა ყო-
ველმან, რომელმან ჰელ-ყოს საღმრთოსა მსახურებასა, ითხოვ[ო]ს
მისგან, რომელი-იგი უხუად მიმნიჭებელ არს ღმერთი, და მისცემს 15
ხაზრდელსა, ვითარცა იტყუს იაკობ მოციქული: «უკუეთუ ვინმე
ნაკლულეგან არს თქუენგანი სიბრძნითა, ითხოვენ, და მოსცეს მას
ღმერთმან ნიჭთა განმყოფელმან»***.

ხოლო დაწყებასა მწერალთასა ჯერ-არს [431] მოგსენებაჲ დი-
დისა მოსესი, დამწყებელისა სახლის წვრითა, ჭეშმარიტისა მომა- 20
სწავებელითა, იგი, რომელ ნოეს მსგავსად კიდობნისა მის წყალსა
ზედა იქცეოდა შეჭურვილი დიდებისაგან, შიშითა განგდებულ, გან-
რინებულ იქმნა მოღუაწებითა ღმერთთაჲთა, ფარაოას ასულისა-
გან განიპოხა სახლსავე მას შინა მისვე მეფისასა, მოკლა მეგვპტე-
ლი იგი, სიძე ფარაოასი, არა მშორებელი² და უჩინოა, არამედ 25
მახლობელი ფარაოასი (ვითარცა იყო სახე ყოველთავე ჭეშმარიტი-
სა, პირველი იგი—ახლისა მის სჯულისა სიძე იგი ფარაოასი, ფა-
რაოა უტორცოასი³ მის ფარაოასი, ვითარცა ეგვპტე ჯოჯობეთისაჲ,
ერთიერთისა მახლობელი სახითა). მეოტ იქმნა რისხვისაგან მე-
ფისა, განვიდა უდაბნოდ მთასა სინასა. გამოეცხადა ანგელოზი 30
ღმრთისაჲ ცეცხლითა ნაყულოვანსა მას შინა, საიდუმლოა ქალ-
წულისაჲ, და ზარგანტილი მოვიდა ხილვად. მის მიერ უწოდა და
ტყავი იგი მკუდრისაჲ განსძარცუა⁴ ფერტთაგან ცხოველი და წარ-
მო[432]იდგინა გამოცხადებად, რომელი მისვე მალღისაგან იწამა
ყოფად იგი ღმერთი ფარაოასი, მთავრისა ბნელისა და განდგომი- 35
ლისა უზეშთაესისაგან კეთილისა, იგი, რომელ მაღალთა უმწუერ-
ვალესთა [მ]ითათა უმაღლეს იქმნა (სახე იგი ჭეშმარიტისა მის სჯუ-
ლისა მდებელ[ი]საჲ!), მას ჳსნად ისრაელ[ი]სა წარავლინებდა სას-
წაულითა და ნიშებითა.

* შდრ. I მთვ. 1,1-20; 3,20. ** შდრ. გაშოსლ. 32,15—19; 34,1; 34,28-29. *** შდრ. იაკობ 1,5.

ნუსხაშია: ¹ საურთანნი. ² მშრომელი. ³ უტორცოსი. ⁴ განსძურცა.

ხოლო მომავლინებელი იგი თავსა თვსსა გამოუცხადებდა¹ იგი იყო, და თქუა: «მე ვარ ღმერთი² აბრაამისი, ღმერთი ისაკისი, ღმერთი იაკობისი»* და მათუწყებელისა მამათა შენთაჲსა. სახელსა მისსა მითთ აუწყებდა სამთა მათ ნახაპეტთა, დიდთა მათ და მართალთა, სახელ-იდვა ღმერთად. მერმე კუალად იკითხავს-ვე ღმერთ-სა მიმღებელი იგი მოსე: «უკუეთუ მრქუან, ვინ მოგავლინა, რაჲ ვთქუა?»³. ერთი იგი უფსკრულით სიღრმე ასწავა თქუმად და პრქუა: «ესრეთ არქუ, «რომელი-იგი არს, მან მომავლინა»⁴. არს იგი არს, რომლისა დასაბამ არა არს». და მარწმუნებელად მისცნა ათნი იგი დიდ-დიდნი სასწაულნი, რომლი⁵ [433]თა არს⁶ იგი [ღმერთ-თი მამათაჲ, [რაათა პ]რწმენეს ჭეშმარიტისა ღმერთის მეცნიერებისა საზღვარი, ნათელი იგი დიდი, შეიპყრეს იგინი ბნელმან და სიღრმესა დაინთქნენ. და რომელი ნათელი იგი [არს], ერთი უხილავი და უცვალეზელი ღმერთი [არს] არა დასაბამიერი, არცა გასრულებადი, განუზომელი, მარადის კურთხეული, ნათელი სამები-15 ს[აჲ], რამეთუ ესე უსაღმრთეებისა შეპყრებს სამგუამოვნებასა მამისა, ძისა და სულისა წმიდისა თანა. აღიარებების ესრეთ შეპყრებულად შეურწყმელი და განუყოფელი, და არა ჯერ-არს დაკლებად ძე მამისაგან და არცა სულ[ი] ძისაგან. და უკუეთუმცა არა ესრეთ იყო ღმრთებება, ვიდრე-მემცა არა დიდებულ იყო ფრიად, რამეთუ 20 არს იგი უხილავ, უეპმო, დაუტევნელ, უცვალეზელ,—უცვალეზელ თვნიერ ვითარებისა, თვნიერ რაოდენობისა, ხატებისა,—შეუპყრობელ და შეუწაწმენებელ, თუთ იძრვის⁷ მარადის ძრვითა, თავით თვსით ძლიერ. დაღათუ მიიწვევის პირველისა მიზეზისა ყოველი, რომელი მისი არს ვითარცა ძე, მხოლო[ა] ცხოველი და განმა-25 ცხოველებელი, [434] მომცემელი ცხოვრებისა, ვითარცა იტყვს: «მე ცხოველ ვარ და თქუენცა ცხოველ იყვენით, და რომელსა [პ]რწმენეს ჩემი, იგიცა ცხოვნიდეს ჩემ მიერ»⁸, ნათელი იგი, მარადის კურთხეული და ბრწყინვალე, განუ[რ]ჩეველი უზეშთაებისაგან ბუნებისა არსებისა, საუკუნებრ ნათელი სმენით-რე⁹. და სული 30 წმიდაჲ, მთავრობისა უფალი, წარმავლინებელი, განმკუთნებელი, ტაძრად თვსა მოქმედი, ვითარ [პ]ნებაგნ და ვის თანაცა უნებნ.

რამეთუ სული მომცემელი და შემოქმედი და არა შექმნილი, რომლისაგან დადვა შექმნილიცა იგი ნათელი მეორეთა მათ ბრწყინვალეებათა, ანგელოზთასა ვიტყვ, და ნათელი მესამე [...]ცი 35 ესე, დაწყებულნი პირველისა მისგან ნათლისაჲ, დასაბამისაჲ იგი, რომლისაგან სამნი და სამისაგან ერთი, გარნა ესე ხოლო. რამეთუ მამა არა ძე და ძე არა მამა და სული წმიდა არცა მამა, არცა ძე. და ესე არა განყოფს ბუნებასა, არამედ განიყოფვინ ბუნებასა შინა და მოასწავებს ერთობასა. ხოლო რომელთა სამებისა¹⁰ 40 ერთსწორობა ვერ¹¹ გულისკმა-ყვეს, [435] ბნელსა შინა არიან და

* გამოსლ. 3,6. ** შდრ. გამოსლ. 3,14.*** შდრ. იოანე 11,25.

ნუსხაშია: ¹ ღმერთა. ² რათა არსი. ³ იძრვისა. ⁴ სმენელ-რე. ⁵ სამებასა.

⁶ მერქრთ.

C

ეჩქუებთან. ჰ[რ]ცხუენოდენ¹ არიოზს, რომელმან დაბადებულად იკად² რქცნსუ³ ი
რა თქუმად სიტყუაჲ იგი ღმრთისაჲ, რომელი-იგი მისი იყო ღმრ⁴ ბ⁵ იქცნსუ⁶
არა სხუაჲ. და ესე შეემთხვა, რამეთუ ვერ ცნა საზღვარი გუამისა
და ბუნებისა მისისაჲ, ხედვიდა მას კაცად და ბუნებაჲ ღმრთეები-
საჲ დაუსაბამოჲ ვერა ცნა.

და კუალად არიანნიცა¹, რომელნი იტყუან ქრისტესა, ვი-⁵
თარმედ სიტყუაჲ იყო ღმრთისაჲ, და სული კუალად დაბადებულ-
თა შეაერთეს² და იტყუან, ვითარცა ადამიო, სიტყუაჲ იგი და[პ]ხადა
ღმერთმან, რამეთუ³ [.....]*. ყოველთა კაცთა უუგუნურენო, უკუე-
თუ სიტყუაჲ მისი იყო, ვითარ-მემცა იყო ზოგი ღმრთეებისა მისი-
საჲ დაუსაბამოდ და ზოგი დაბადებული? რომელი-იგი ხურომან¹⁰
ქმნის, სუეტი გინა ტაძარი, არა ითქუ¹¹ მისი სიტყუაჲ ხუროსაჲ
მის, არამედ სიტყუათა შექმნილი. და აწ ვითარმცა იყო სიტყუაჲ
ღმრთისაჲ ქრისტე და კუალად დაბადებულ[ი] სიტყუაჲ იგი? ვიდ-
რე შათი დასჯის მათ! უკუეთუ სიტყუაჲ იგი არა იყო მის თანა,
დაუსაბამოჲ უკანაჲთ დაებადა! პირველ უტყუ ვიდ[436]რე-მე იყო¹⁵
ღმერთი შენისა სიტყუსაებრ! და კუალად [3]ნებაგს, რაათა მიუგონ
მკითხველსა ყოველთა, რომელნი ერთსწორებასა სამებისა წმიდი-
სასა არა შეიწყნარებენ, ღმერთი შემწყნარებელი შესრულისაჲ არს
ანუ არა? უკუეთუ აღიაროს, ვითარმედ ღმერთი არა შემწყნარებე-
ლი არს შესრულისაჲ, ვიკითხოთ: სიტყუაჲ ღმრთისაჲ შესრული²⁰
არს ანუ არა? უკუეთუ თქუას, შესრული არს, უფარ-ვეყო, რომელი
იგი აღვიარე. [არამედ ნუ იყოფვი, ვითარმცა შე-რაამე-ვიდა
ღმრთისა თანა, რომელიცა არა იყო, უკუეთუმცა შემწყნარებელი
იგი ჩანს, რამეთუ ყოველსა შემწყნარებელსა აღმატების და და-
აკლდების, და ვითარ შესაძლებელ არს ესე ღმრთისათჳს თქ[უ]მად,²⁵
ვითარმედ: აღმატების და დააკლდების. და აშთა, რაათა იყოს
შანთ, რამეთუ ყოველი ორითავე განიყოფვის: შანთითა და შე-
სრულითა. და რომელი არა იყოს შესრული, ჩანს, რამეთუ შანთი
არს იგი. და რომელი შანთი არს, მდგომარე არიან იგი[ნი] თავით
თჳსით. ხოლო რომელი ღმრთისა არს, ესე არს დამბადებელი და³⁰
არა [437] დაბადებული. ვიტყვ სიტყუასა დაუსაბამოსა, რომლისა
მიერ და[პ]ხადა ღმერთმან ყოველი დაბადებული. და ვერ შემძლე-
ბელ არს ყოფად, რამეთუ ყოველივე განიყოფვის ორ პირად: და-
ბადებული და დამბადებელი. და რომელი დამბადებელი არს,
და არს დაბადებულ, და ჩანს, რამეთუ სიტყუაჲ იგი არა და-³⁵
ბადებული არს და, რაათა მოკლედ ვთქუათ, ვითარცა არარაჲ
არს დაბადებულთა შორის, რომელმცა დამბადებელ იყო.

ესრეთვე ვიტყვ სულისა წმიდისათჳსცა. ხოლო მაკედონ იკად-
რა სულისა წმიდისა დაბადებულთა შორის შერთვა და მადლით
მოვლენა თჳთმფლობელისა მის სულისა წმიდისა. კადნიერი იგი,⁴⁰

* აქ რალად უნდა აკლდეს, თუმცა ხელნაწერში ეს დაკლებულობა არაა
რითიმე აღნიშნული.

ნუსხაშია: ¹ აგარიანნიცა. ² შეაერთენ. ³ რამეთუ.



ჯ

თავადი, რომელსა თავი თუხი რამე ეგონა ყოფად, რომელ-იგი არა იყო. ამან ენა თუხი ღმრთის მბრძოლად განაძლიერა შემდგომად საწინელისა მის სმენისა, ვითარმედ: «ყოველი ცოდვანი და გმობანი მიეტყვენენ კაცთა, ხოლო სულისა წმიდისა გმობა არა მიეტყოს»*. და არცა გულისგმა-ყო წინაასწარმეტყუელისა დავითის თქუქული იგი, ვითარმედ: «სიტყუ[438]ჯთა უცლისაათა ცანი დაემტკიცნეს, და სულითა აირისა მისისაათა ყოველი ძალი მათი»**. უკუეთუ სული პირისა მისისა არს, წმიდა იგი სული ვითარმცა იყო დაბადებულ! რამეთუ ყოველი, რომელი არს, მისი არს. უკუეთუ დაბადებულ, უსულო ვითარმე იყო მამა ვიდრე დაბადებდამდე მის სულისა! არამედ დაბადებულ[ი] მისი[ი] სული იგი ქრწმარტებისა, რომელი მამისაგან გამოვალს და ძისა თანა თაყუანის-იცემების, იგი სული, რომელი წყალთა ზედა იქცეოდა და ქცევითა მით მათ ზედა. გამოსახვიდა და დაბადებდა ყოველთა დაბადებულთა და ზადლით წარმოაჩინებდა¹ თითოეულსა, ვითარცა მას უნდა; იგი სული, რომელი[ი] ცეცხლისა მსგავსად გარდამოჰდა მოციქულთა ზედა, უხეშთაესითა საკრველებითა ენანი განუყენა. ამა ზადლი გამოუთქუქელი, ებრაულად იტყვს მოციქული ერთითა ხოლო ენითა და ყოველთა ენითა ბარბაროზთა ესმინა!***

ამის სულისაგან სული სიბრძნისა და მეცნიერებისა და გულისგმის-ყოფისა[ა] მოვედინ ჩუენ ზედა და მოეცინ პოვნად მად- [439]ლი სიტყუსა ენასა ჩუენსა, რაათა წმიდისა მის იოვანე ზედაძნელისათუხ ვიტყოდი უცთომელად შემკობად, სარგებელისათუხ სპოდონთა უდაბნოთაჲსა (რომელ არიან მოსწრაფებანი). ხოლო თქუენ განზადენით სასმენელნი² თქუენნი და სარწმუნოებით შეიწყნარეთ, ნუ ვითარმცა გესმა სათნოება ყოველისა მის კაცისა, არამედ მცირე მრავლისაგან დაყოვნებითა ეამისათა.

დასაბამი ცხოვრებისა წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაძნელისა

I. ესე ნეტარი იოვანე იყო ქუეყანით შუამდინარით, და წინამძღურებითა სულისა წმიდისაათა მოიწია ქუეყანასა ქართლისასა, მახლობელად დედა-ქალაქსა ამას ჩუენსა მცხეთას, რომელმან განუკუთვნა³ თავი თუხი სიყრმითა თუხითგან ქრისტესა.

და აღიღო უღელი მძიმე სიჭაბუკითგან თუხით და დაჯდა თუხაგან და და-

I. ესე ნეტარი მამა ჩუენი იოვანე იყო ქუეყანით შუამდინარით კერძოთაგან ანტიოქიისათა. ხოლო წინამძღურებითა სულისა წმიდისაათა მოიწია ქუეყანასა ამას ქართლისასა, მახლობელად წმიდასა დედა-ქალაქსა მცხეთასა.

ამან წმიდამან და¹ ღმერთშემოსილმან თუხსავე მას ქუეყანასა იწყო მონა-

* მათე 12,31. ** ფსალმ. 32,6. *** 'მდრ.' საქმე 2,1-2.
 Ⴀ. ნუსხაშია: ¹ წარმოჩინებად. ² სასმენელნი+და. ³ განუკუთვნა[განკუთვთა განკუთვთა].
 9. და-B.

C

q

ქართული
ბიბლიოთეკა

ყუნდა, რამეთუ არს სასობეაჲ თმენისაჲ. პირველად თუსავე ქუეყანასა ასურეთს იწყო მონაზონებად. და იქცეოდა ყოვლითა¹ სიმდაბლითა, მარხვითა და მღვდარებითა, კრემლი[440]თა და ვედრებითა. შრომითა და მოთმენითა დღითი-დღე წარმეტებოდა, რაჲთა სრულებასა მას მიემთხვოს, რომელცა-იგი მიიღოს, რომელსა იტყვს: «ირეკდით და განგელოს, ეძიებდით და ჰპოვოთ»^{*}.¹⁹

ვითარ-იგი განათლდა, დიდებასა² მას მიიწია პირველ, და მშორებელსა მას, ვითარცა მას მახლობელსა, ხედვიდა. და გამობრწყინდა ვითარცა ვარსკულავი. და განმრავლდეს ძალნი იგი, რომელნი იქმნეს მისგან ღმრთისა მიერ, კურნებათა მრავალფერთა სახეთა სენთასა განსხმად ეწმაკათასა.

მაშინ დაუტევე ადგილი იგი, სადა იქცევინ, და წარვიდა ვანშორებულსა უდაბნოსა. და პოვა ქუაბი და დაჯდა მას შინა მოწაფეთა თუსთა თანა. და არავინ იცოდა ადგილი იგი მრავალჟამ. და იშუთ³ სადა[ქ]მე განავლინის მოწაფეთა მისთაგანი მოღებად საზრდელისა. და ესრეთ ფარულად იყოფვიდა ხოლო, ჰგონებდა ფარვასა თავისა თუისასა.

ხოლო ღმერთმან მერმეცა გამოაცხადა თუნი იგი მონაჲ, რამეთუ ჩუეულეზაჲ ესე არს ღმრთისაჲ: «ყოველი, რომელი დაიმდაბლებდეს თავსა თუსსა, იგი ამაღლ[441]ლდებისა»^{**}. იწყეს კუალად მოსლვად მუნცა მისა, რომელ დამალულ იყო ქუაბსა შინა. მიაქუნდა სნეულეზი ცხედრებითა, ფერად-ფერადად გუემულნი და მუნთქუეს ღხინება პოვიან.

ზონებად. და იქცეოდა ყოვლითა სიმდაბლითა და მოღუაწებითა, მარხვითა და მღვდარებითა, და¹ კრემლითა და ვედრებითა ღმრთისა მიმართ, ვითარცა იტყვს: «ირეკდით და განგელოს, ითხოვდით და მოგეცეს, ეძიებდით და ჰპოვოთ»^{*}.

ამანცა ნეტარმან პოვა მადლი წინაშე ღმრთისა და შორიელსა, ვითარცა მახლობელსა, ხედვიდა. და გამობრწყინდა ვითარცა ვარსკულავი. და განმრავლდეს ძალნი და საკურველებანი, რომელთა იქმოდა ღმრთისა მიერ² მრავალფერთა და თითო³ სახეთა სენთასა.

ხოლო დაუტევე ადგილი იგი⁴, სადა იყოფვიდა, და წარვიდა შორსა უდაბნოსა, რამეთუ ევლტოდა ცუდსა ამის დიდებასა. და პოვა ქუაბი უდაბნოსა მას⁵ და დაჯდა მას შინა⁶ მოწაფეთა მისთა თანა. და არავინ იცოდა ადგილი იგი მრავალ ჟამ. და წარავლინის [10] ოდესმე⁷ მოწაფეთაგანი მოღებად საზრდელისა. და ესრეთ ფარულად⁸ იყოფებოდა.

ხოლო ღმერთმან [კუალადცა]⁹ გამოუცხადა თუნი იგი მონაჲ, ვითარცა იტყვს: «რომელმან დაიმდაბლოს თავი თუნი, იგი ამაღლდეს»^{**}. და ვითარცა განცხადნა, სადა-იგი იყოფებოდა, მიჰგურიდეს მას ცხედრითა სნეულეზსა და ეწმაკეულეზსა და ყოველნი განიკურნებოდეს ძალითა ღმრთისაჲთა და ლოცვითა¹⁰ მამისა ჩუენისა წმიდისა¹¹ იოვანისითა.

^{*} მათე 7,7; ლუკა 11,9. ^{**} მათე 23,12; ლუკა 18,14.

C. ნუსხაშია: ¹ ყოველთა. ² დაბადებულსა. ³ იკვთ.

q. ¹ და—B. ² ნიერ] ნრთ B. ³ თითო B. ⁴ ადგილი იგი დაუტევე B. ⁵ მას+შინა B. ⁶ მას შინა—B. ⁷ ოდესმე—B. ⁸ +რაჲ AC. ⁹ კუალადცა]მუნცა B. ¹⁰ ლოცვითა+წმიდისა B. ¹¹ წმიდისა—B.



ტ

ამას რაჲ ვიტყვ, არა თუ მუნ რომელთამე¹ საქმეთა და ცხოვრებასა მისსა გაუწყებ თქუენ, ძმანო, არამედ რომლითა მიზეზითა მოიწია სოფელსა ამას ჩუენსა, მიგიბხრობ, ხოლო პირველი იგი ცხოვრება და საქმენი იგი ამის ნეტარისანი წერილ არიან პირველსა მას² წიგნსა და ჩუენდა ნეტარ არს მეორედ აღწერად.

II. მაშინ იწყო ნეტარმან იოვანე¹⁰ განზრახვად გონებასა თუსსა, რაჲთა-მცა წარვიდა იგი შორსა სოფელსა, სადაცა არა იყო ყოლადვე ჳმაჲ სმენისა სათნოებათა მისთაჲ, და იტყოდა³: „ვინა[ა] ვეკრძალო, ჯერ-იყოს წარმართე-15 ბაჲ სლვისა მისისაჲ“.

დაღათუ ჳგონებდა იგი ხოლო, განმგებელმან მისმან, სულმან წმიდამან, წამს-უყვნა მას ქუეყანად ჩრდილოდ, რა[ა]თა მიუძღლუეს [ქუეყანად] ქართლად⁴. [442] ხოლო არს, რომელსა უნებეს წარმოსლვაჲ აქათ, არამედ სხუაჲ იყო მიმყვანებელი მისი, რომელმან-იგი ოდესმე აბრაამს უწოდა და [ჰ]რქუა: „გამო-20 ვედ ქუეყანისაგან შენისა და შორის ნათესავთა შენთა, მივედ ქუეყანად, რომელი მე გიჩუენო შენ“*. ერთისაგან ქუეყანისა, ერთისაგან ნათესავისა გამოიყვნა აბრაამი და იოვანე; და რამეთუ ჳეშმართად ნაშობთაგან აბრაამისთა იყო წმიდა[ა] იოვანე. ისმინე პავლე მოციქულისა[ა], რასა იტყვს: „უკუეთ თქუენ ქრისტესნი ხართ, აბრაამისნი ვიდრე-მე შეილნი ხართ, აღთქ[ა]მი-25 სა მისგან მკვდრნი“**. ჳეშმართად წმიდამან ძირმან კეთილი აღმოაცენა.

მაშინ იწყო ნეტარმან იოვანე განზრახვად და [ჰ]რქუა მოწაფეთა თუსთა: „იყვენით თქუენ აქა, რამეთუ მინებს, რაჲთა წარვიდე განშორებულსა ქუეყანასა, დაღათუ ვმოვო, რომელსა ვეძიებ“.

ხოლო ნეტართა მოწაფეთა მოიჳსენეს სიტყუაჲ წინაჲწარმეტყუელისა ელისესი: „ცხოველ არს უფალი, ცხოველ არს სული შენი, არა განგიტეოთ შენ მარტოჲ***, ვიდრეცა ხვდოდე. და წყაროჲ იგი, რომელსა ვსუამთ მა-

ხოლო მრავალ არიან სასწაულნი, რომელნი მუნ აღწერილ არიან.

II. ხოლო ვინაჲთგან ველტოდა¹ პატივთა სოფლისათა, განიზრახა წარსლვაჲ უცხოებად, სადა-იგი არა ისმოდა² ჳანბავი მისი.

და ვითარცა ამას განიზრახვიდა, ჰრქუა თუსთა მოწაფეთა: „მე წარვალ ქუეყანასა უცხოსა, ხოლო თქუენ იყვენით აქა და ჩემთუსცა ილოცვედით“.

ხოლო მათ ჰრქუეს: „ცხოველ არს უფალი, არა განგიტეოთ შენ მარტოჲ, არამედ ჩუენცა წარმოვიდეთ, რაჲთა არა მოგუაკლდეს წყაროჲსა მისგან, რომელსა ვსუამთ შენ მიერ, რამეთუ შენ ხარ წინამძღუარი სულთა ჩუენთაჲ

* შდრ. შექმნ. 12,1. ** გალატ. 3,29. *** შდრ. IV მეფ. 2,2.

ტ. ნუსხაში: ¹ რომელთამე რათა. ² მას ამას. ³ ეტყოდა. ⁴ მისისაჲ + ხოლო განმგებელმან მისმან სულმან წმიდამან წამს-უყვნა მას ქუეყანად ჩრდილოდ, რაჲთა მიუძღლუეს ქუეყანად ქართლად. ⁵ ქართლად + დაღათუ ჳგონებდა იგი.

ჲ. ¹ ელტოდა B. ² ისმოდის A. ³ ილცვედით A.

ც

ღ

რადღე, განვძღვებით მისგან, არა ნაკ-
ლულევან [443] ვქმნნეთ თავნი ჩუენნი
მცირედთა. ამით დღეთა ჩუენთა. და რო-
მელი თავისა შენისათჳს იხილე კეთი-
ლად, ჩუენთჳსცა ეგრე სათნო იჩინე*.⁵
ჟ. შეუნიერთა მოძღ[უ]რისა] მოწაფე-
თა კეთილი იგი შეთქ[უ]მულეებაჲ! სა-
კრველსა მას სიყუარულისასა შეეკრნეს,
ორნატსა მას ქრისტესსა მიზიდვიდეს
ერთობით.¹⁰

III. მაშინ წარმოემართა იგი თჳსით
ქუეყანით ქუეყანად ქართლისა წინა-
მძღურობითა ძალისა მის უხილავისაჲ-
თა, რომელი-იგი ოდესმე სახითა ვარს-
კულავისაჲთა მოგუთა [უძლოდა]. მოი-
წია ჩუენსა ამას დედა-ქალაქსა მცხეთას.
და ვითარ თაყუანის-სცა წმიდათა ეკ-
ლესიათა, შევიდა იგი წინაშე წმიდასა¹⁵
კათოლიკე სუეტსა, ღმრთივ აღმართე-
ბულსა, დიდითა საკრველებითა ზეგარ-
დამო გამოჩინებულსა, რომელი-იგი
კართა ზე დაეპყრა მრავალჳმ, რომელ-
სა-იგი ხედიდა ყოველი ერი ქართლი-
საჲ, რომელი-იგი დაამტკიცა ღმერთ-
მან და არა კაცმან, რა[ჲ]თა იყვნენ სა-
ფუძველნი მისნი შეუძრველ უკუნისა-
მდე², რომლისა-იგი ამბავი განჴდა ყო-
ველსა ქუეყანასა და რომელი-იგი ყო-
ველმან ღონისძიებამან [444] ხუროთა-
მან და მეფეთამან სიმრავლითა ური-
ცხთა ვერ უძღეს აღმართებად სამ
დღე. წარმოაცალიერეს ყოველი ძალი
მათი, დაუტევეს და წარვიდეს მიმწუხ-
რი, და ყოველნი მანქანებანი მათნი
თანა წარიხუნეს და სასოებაჲ წარი-
კუეთა.³⁵

მასვე ღამესა ყოველთა მათ ქარ-
ლისა კეთილთა მიზეზი იგი წმიდაჲ და
აღყუავებული დედაჲ ჩუენი ნინო და-
ადგრა ლოცვისა ცრემლითა და ყო-
ვითა ვედრებითა ითხოვდა ძლიერისა-

და მადლთა შენთა მიერ მოველით
ღმრთისაგან წყალობასა².

ესრეთ შეკრულ იყუნეს სიყუარული-
თა სულეერთა.

III. და წარმოემართეს ქუეყანით
თჳსით, და წინამძღურობითა² სულისა
წმიდისაჲთა მოიწიენეს ქალაქსა მცხე-
თისასა. და შევიდეს და თაყუანის-სცეს
წმიდასა² სუეტსა მას, რომელი აღმარ-
თა ღმერთმან და არა კაცმან³, რამეთუ
ღონისძიებამან ხუროთამან და თჳთ
მეფემან სიმრავლითა ერთა ურიცხუ-
თაჲთა⁵ ვერ შეუძღეს აღმართებად სამ
დღე. და დაუტევეს და წარვიდეს, და
ყოველნი იგი მანქანანი თანა წარიტან-
ნეს, რამეთუ წარეკუეთა სასოებაჲ.

ხოლო ყოველთა კეთილთა მიზეზი
და განმანათლებელი და მომაქცველი
ქართველთაჲ, დედაჲ, მოციქული ჩუენი
ნინო დადგა ლოცვად ღმრთისა მიმართ
ცრემლითა მჭურვალითა და ითხოვდა

ც. ნუსხაშია: ¹ წმიდათა. ² უკუე.

ღ. ¹ ~ წყალობასა ღმრთისაგან B. ² წინამძღურობითა B. ³ წმიდასა]წე B. ⁴ კაცთა B.

⁵ ურიცხუთაჲთა] უცხოთაჲთა B.



C

4

ქართული

საქართველოს

საბჭოთაო რესპუბლიკის

საგარეო ურთიერთობების

სამსახურის

სამეცნიერო ცენტრის

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

სამეცნიერო განყოფილება

გან ქრისტეს, ღმრთისა ჩუენისა, [შე-
წევნასა] და მსწრაფლ ტყუე-ქმნიდა¹
ტყუე იგი ყოველსა მას ძალსა მეფისასა
და სიველოვნესა ხუროთასა. ლოცვითა
მიიღო სუეტი იგი ცხოველი და დაჰკი-
და ზედა აერთა აღშორებულად ხარი-
სხისაგან წყრთა ერთ, მართლ² ზე დგა.
და ვითარ³ განთენა, აჰა მირიან მეფე
და ყოველი სიმრავლე ქართლისაა მო-
იწიენეს და იხილეს დიდი იგი საკვრვე-
ლებაჲ, ღმრთისამიერი საიდუმლოჲ,
რომელი-იგი იქმნა ცხოვრებისა მათი-
სათჳს. და ნელად ჩამოვიდა მცირედ,
ვიდრე — დაემტკიცა განმზადებულსა
თჳსსა ხარისხსა ზედა. განკრთეს ყო-
ველნი, დაუკრდა სარწმუნოვებაჲ იგი
დიდი, აღ[445]იდებდეს მამასა და ძესა
და წმიდასა სულსა. და შეეცინებოდა
მორწმუნეთა მათ განახლებაჲ იგი სარ-
წმუნოებისაა ფრიად. მიერითგან აღე-
მართნეს სხუანი იგი სუეტნი და ალა-
შენეს ეკლესიაჲ, რომლისათჳს პავლე
მოციქული ავსენებს: «ვითარ-იგი ჯერ-
არს სახლსა შინა ღმრთისასა ყოფად,
რომელ არს ეკლესიაჲ. სუეტი და სი-
მტკიცე ქეშმარიტებისაჲ, რომელი-იგი,
ერუენა [ანგელოზთა, იქადაგა] წარმართ-
თა შორის და [ქრწმენა სოფელსა]*.

ამის ნათლისა შემოსილისა სუეტისა
წინაშე მოისწრაფა წმიდამან იოვანე,
ვითარცა ღმრთიე გამოჩინებულიისა სა-
კვრველისა და პატივ-ცემულისა ად-
გილ[ი]სა. ევედრებოდა იგი ღმერთსა
და აღიხილნა თუალნი და აღიპყრნა
გელნი და დასთხივნა პატიოსანნი იგი
კრემლნი წინაშე ცხოველისა მის სუე-
ტისა, რაჲთამცა აუწყა ადგილი იგი,
სადა სრბაჲ თჳსი აღასრულა.

შეწევნასა ღმრთისასა აღმართებისათჳს
სუეტისა. ხოლო იგი ესრეთ ილოცვი-
და რაჲ, მოვიდა ძალი ზეგარდამოა:
დაევიდა¹ სუეტი იგი სიმაღლესა ზე,
ვითარცა² წყრთა ერთ, და დადგა
ღმრთისამიერითა ძალითა³. და გან-
თიადსა⁴ მოვიდა მირიან მეფე და ერი
იგი ქართველთაჲ და იხილეს [რაჲ]
საკვრველი ესე და დიდებული სასწაუ-
ლი, [V] განკვრდეს. ხოლო ჩამოვიდა
ნელად, ვიდრე-ღა დაემტკიცა საფუ-
ძველსა ზედა. და ყოველნი⁵, რომელთა
იხილეს და ესმა, აღიდებდეს ღმერთსა.
და ფრიადი ერი მოიქცა და ნათელ-
ილეს⁶ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა
და სულისა წმიდისაჲთა⁷.

ამას ცხოველსა სუეტსა წინაშე მო-
წია⁸ წმიდაჲ მამა⁹ იოვანე. და აღა-
მაღლნა გელნი, და თუალნი ზეცად
აღიხილნა და კრემლნი გარდამოადინ-
ნა და მაღლობაჲ შეწირა ღმრთისა.

* შტრ. I ტომ. 3, 15-16.

C. ნუსხაშია: ¹ ტყუე-იქმნებოდა. ² მართალ. ³ და ვითარ + და ვითარ.

4. ¹ და დაევიდა B. ² ვითარ B. ³ ძალითა] მადლითა B. ⁴ განთიადსა — B. ⁵ ყოველნი — B.

⁶ ნათელს-ილეს B. ⁷ მამისაჲთა... წმიდისაჲთა] მამისა ძი B. ⁸ მოვალს B. ⁹ ~მამაჲ წმიდაჲ B.

მაშინ იგი, რომელმან ყვის ნებაჲ მოწიწთა მისთაჲ, ადრე უჩუენა მათ მთაჲ¹ ესე ერთი მახლობელად მცხეთას აღმოსავ[ა]ლით-რე და ცხოველსა ჯუ- არსა ჩრდილოეთ კერძო, რაათა აღვი- დეს [წ]446 უერსა ზედა² მის მთისასა და იყოფოდის მუნ. და ვითარცა წა- რემართა იგი, წილ-ვლო მდინარე არაგვ. მიიწია იგი წინაშე მომცემელსა³ ცხორებისასა ჯუარსა, რომლისა ფრთე- თა ქუეშე მისთა დაუფარავ[ს] ყოველი ყოვლისაგან შემთხუევისა ბოროტისა მადლით საკრველებითა დიდითა გა- მოჩინებულსა ნათელსა და ღმრთივ და- მტკიცებულსა ნათელსა. და ყო ლოც-¹⁵ ვაჲ⁴ მყოფარ ჯამ, და გამოვიდა მიერ და აღვიდა მთასა მას მაალსა, რომელსა [ქ]რქვან ზედაზადენ, სადა-იგი აწ მონასტერი მისი აღშენებულ არს. რამეთუ იყო ადგილი იგი ყოლადვე²⁰ მადნარ. და ვითარ იხილა იგი, სათ- ნო-იყო და თქუა: «ესე არს განსასუე- ნებელი ჩემი, უკუე ამას დავემკვდრო, რამეთუ მთნავს ესე, ნადირნი მისნი კურთხევით ვაკურთხნე».²⁵

ხოლო მე ვითარ ვ[ქ]გონებ, ნეტა- რო, შენი არს სიტყუაჲ ესე: «ვინ- მცა მცნა მე ფრთენი ვითარცა ტრე- დისან[ი], აღ-მცა ვფრინდი⁵, აღ[ღ]ვი- მალღე, მი-მცა-ვედ, განვისუენე უდაბ-³⁰ ნოსა»⁶.

რამეთუ უფალმან ყო დამკვდრებაჲ იგი მისი აქა ორისა საქმისათჳს: პირ- ველად, რაათა სამ[447]კაულ ექმნას⁵ და გარგვენ ჩუენისა ამის ქალაქისა იგი³⁵ და მოწაფენი მისნი, ათორმეტნი იგი თუალნი პატე-ცემულნი მიხედვითა, განდგმულ კუართსა მას⁶ არონისსა, სარგებელ და მკურნალ ყოველთათჳს

ხოლო ღმერთმან უჩუენა მას მთაჲ ერთი მახლობელად მცხეთასა და ცხო- ველსა ჯუარსა ჩრდილოეთ კერძო, და აუწყა, რაათა აღვიდეს წუერსა ზედა მის მთისასა. და წილ-ვლო¹ არაგვ და აღვიდა თაყუანის ცემად ჯუარისა პა- ტიონისსა. და ვითარცა მოილოცეს, აღვიდა მოწაფითურთ მთასა მას ზედა. და ვითარცა მოიხილა, ჰრქუა მოწაფე-¹⁰ თა თჳსთა: «აქა² დავემკვდრო, რამეთუ მთნავს ესე»³.

ხოლო ესე ამისთჳს ყო ღმერთმან, რაათა⁴, პირველად, სამკაულ ექმნეს⁵ ეკლესიათა და გარემო⁶ ქართველთა ერ- თა, და, მეორედ, ამისთჳს დაეყუდა⁷ ად- გილსა მას, რამეთუ გოდოლი აღეშენა წარმართთა და ეშმაქნი ფრთიდ დამკვდ- რებულ იყუნეს და ჰმსახურებდეს კუამ- ლითა ნაზორეეთაათა. და რაათა აწცა⁸

¹ ფსალმ. 54.6.

ს. ნუსხაშია: ¹ მთაქმითი. ² მომცემელსა/მოცემულსა. ³ ლოცვა/ლოცვად ლოცვად.

⁴ აღ-მცა-ფრინდე. ⁵ ექმნას. ⁶ მას+და.

⁷ წილ ვლოს B. ⁸ აქან B. რაათა/რამეთუ AC. ⁹ ექმნა AC. ¹⁰ გარემო B. ¹¹ დაეყუ- და A C. ¹² აწ B.



C

9

ძმათა, რომელთა აღუარებდეს ქრის-
ტე, უფალი ჩუენი, არა სიტყვთა, მო-
ძღურებითა თქუენითა, არამედ რაათა
თავნიცა თქუენნი სახედ მისცნეთ.
ამისთჳს აღრეულად დამიტეენა ჩუენ 5
უფალმან წარმართთა შორის, რაათა
იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და
ადიდებდნენ მამასა თქუენსა ზეცათასა.

„ნურა გი[449]ყუარნ, ძმანო, უფ-
როას ღმრთისა. ვეცხლის-მოყუარებაჲ 10
და სიმდიდრე განბასრეთ, შუებასა და
უძღვებებასა, ჳამადსა ნუ თავს-იდებთ
თქუენ, რამეთუ შუებისა და საჳმლისა-
გან იშვა ურჩებაჲ¹ იგი აღამისი, რო-
მელი ნაშობთა მისთა ზედა დადგრო- 15
მილ არს. ამან გამოჳდა იგი სამო-
თხისა მისგან საშუებელთასა. უკუე-
თუმცა სჯული იგი მარხვისაჲ დაემარ-
ხა, არამცა მოცემულ იყო ჩუენდა
ეკლოვანი ესე ქუეყანაჲ, არამცა სიკუ- 20
დილი უფლებდა ჩუენ ზედა, დალათუ
ძლიერებაჲ იგი მალლით დაამაბლებ-
და. მიიხ[უნა] გორცნი², მის მიერ მი-
ვემთხენით ჩუენ საწადელსა მას ჩუენ-
სა პირველსა, სამოთხისა უზეშთაესსა, 25
და მოვიდეთ ხისა მისგან ცხოვრებისა
და ვცხოვნდით უკუე. დაუტევეთ გზაჲ
იგი საცავი ქერობინისაჲ მის, და ზე-
ცად აგმალდით უკუდავ, მახლობელ
ღმრთისა ვიჳმნენით ჩუენ.

„ხოლო ღვინისათჳს მეტსა ვ[3]კონებ 30
ჩემსა სიტყუასა, რამეთუ [არარაჲ] არს-
ვე მონაზონთაჲ, ვინათგან მოციქულ-
მან პავლე ძირად და მოჳმედად სი-
ბილწისა გამოაჩინა და თქუა: «ნუ და- 35
ითრობით ღვინითა, რომლითა არს სი-
ბილწე³». წამალი [450] არს მაკუდინე-
ბელი და დედაჲ გულის-თქ[უ]მათა მათ
ბოროტთაჲ] და აღმძრველი მათი. და
უკუანაჲსკნელ თესლისა მისგან ბორო- 40

„და ნურარაჲ გიყუარს, ძმანო, უფ-
როას ღმრთისა, შუებასა და უძღვებ-
ბასა განეშორენით, რამეთუ შუებისა
მიერ და საჳმლისა¹ იშვა ურჩებაჲ იგი
აღამისი, რომელი ნაშობთა მისთა ზე-
და დადგრომილ არს. ამან გამოჳდა
იგი სამოთხით. უკუეთუმცა მცნებაჲ
იგი მარხვისაჲ დაემარხა, არამცა უფ-
ლებულ იყო ჩუენდა ხრწნილებაჲ და
სიკუდილი², დალაცათუ აწ ქრისტეს
განკაცებითა [11] უხრწნელ ვიჳმნენით-
იგინი, რომელთა აწ მცნებაჲ მისი და-
ვიმარხეთ.

„ხოლო ღვინისათჳს ნამეტნავ არს
სიტყუაღცა, რამეთუ არა არს მონა-
ზონთაჲ, ვინათგან პავლე მოციქულ-
მან ძირად და მოჳმედად სიბოროტი-
სად თქუა: «და ნუ დაითრობით³
ღვინითა, რომლისაგან არს სიბილწე⁴».
და წამალი არს⁵ მაკუდინებელი და
დედაჲ⁶ გულის თქუმათა ბოროტთაჲ.
და ყოლად ნუ შეეხებით, რომელი
საუკუნოდ სასჯელსა მოგუატყუებს⁷, ძმა-

* ეფეს. 5, 18.

C. ნუსხაშია: ¹ ურევება. ² გორცნი+ჯორცნი.9. ¹ საჳმლისა] ურჩებისა B. ² ~ სიკუდილი და ხრწნილ² B. ³ დაითრობით B.* არს—B. ⁵ დედაჲ] დაჲ AB. ⁶ მოგატყუებს B. მოგუატყუებს AC.



C

9.

ქრისტეშვი
ბიზსიონიქსქს

ტისა ბოროტი მკაჲ იქმნის. მოიძულე იგი, ნუ შეიწყნარებ წამ ერთცა ამით. მამათ-მთავარნი განძარცუნა არა თუ უძღებებით, არამედ გამოუცდელიობით, რომელმან-იგი თუალნი განუსისხლნის და ფერი განუწითის და შეუნიერი იგი სახე უშუერად გარდაქცივის. რაჲ ძეს შენი და ბოროტად მოყუარისა მის! და უკუეთუ არა განიშორო იგი¹, მისი იგი სიცრუვე ადრე გამო-¹⁰ აჩინოს შენ შორის. ემანო ჩემნო, ნუ მცირე გიჩანან თავნი თქუენნი, ვითარცა წარმავალთა და განმაქარებდათა, რომელმან ძალმან თავი თუსი იცნის, მან უწყინ ყოველი, რაჲთა უწყოდით, რა-¹⁵ მეთუ არსებანი ვართ უკუდავად და განუქარებელად, დაბადებულნი უფროჲს ყოველთა დაბადებულთა, ხილულთა პატივ-ცემულნი არსებითა დაუსრულებელითა. და ამისთვის ჯერ-²⁰ არს, რაჲთა თავნი თუსნი დაეიცნეთ და ვეკრძალნეთ მერმისა მისთვის ცხორებისა.

ნო ჩემნო, მარადის სიკუდილსა ივსენებდით და თუ სადა მიმავალ ვართ. რამეთუ ჯორცნი ესე მოკუდავ და წარმავალ არიან და სული უკუდავ არს მარადის. ვილუაწოთ აქავც სულთა ჩუენთათუს, რამეთუ ყი ესე ჭირისაჲ არს, ხოლო საუკუნოჲ განსუენებისაჲ. განვეკრძალნეთ ჟამისა მისთვის საზარელისა, ოდეს განეშორებოდის სული ჯორც-²⁵ ავან. რამეთუ დიდ არს შიში, ოდეს წარიყვანონ¹ სული და მოაგებდენ მისაგებელსა საქმეთა მისთასა².

„რამეთუ მცირესა ქაცებასა ჩუენსა კჳალად ვრცელი ესე [451] სიფელი და[3]ბადა და უმეტეს მისსა სულითა მეტყუელითა²⁵ და გონიერთა ადიდა იგი, რამეთუ მისცა მას აღსრულებაჲ დასაბამიერი და დაუსრულებელი, სული უკუდავი. და ამით ჯგერთა მოგუეახლა ჩუენ, ანგელოზთასა მას ბუნებასა, და ერთ კერძო იგი ჩუენი მსგავსი ცხოველთა მათ განქარებდათაჲ. და არა არს³⁰ კაცი იგი ანგელოზ, არცა პირუტყუ, არამედ შორის მათსა. და სხუა[ა] დაბადებული ორთავან: ერთი იგი სულისავან და ჯორცთა შეიერთა, და დაადგინა იგი ადგილსა ბრძოლისა და ძლევისასა, და ჭელმწიფებაჲ მისცა მას უფლებისაჲ, და შეაყენა იგი წამსა სასწორისა და გონებისა მისისასა, რამეთუ ესე გონებაჲ გამომავალ არს ორთა მათ შორის ბუნებათა შეერთებულთა. და იგი³⁵ არს განმგებელ, უკუეთუ ვითარ მიდრკეს.

„ბუნებასა სულიერებრივსა მიიყვანოს, ჯორცთა მათ ნება და-⁴⁰ ამორჩილა³, რომელი უკუდავებასა და ცხორებასა მოატყუებს. და უკუეთუ მოდრკეს და სული იგი მიიყვანოს ნებასა ჯორცილებრივსა, დაამონოს სიკუდილსა და ხრწნილებასა. ეს[ე] ორნი ნება-⁴⁰ ნი ერთიერთსა წინააღმდეგონი [452] გუქონან, ვითარცა მოცი-

C. ნუსხაშია; ¹ იგი + და. ² დაამორჩილნა. ³ სტქჳმს.

9. ¹ წარიყვანონ B.

ტ

ქული იტყვს: «გორცთა გული უთქუამს¹ სულისათჳს, და სულსა — გორცთათჳს, და მდღომ არიან ურთიერთას»*. და კუალად იტყვს: «არა რომელი მე მნებავს, მას ვიქმ, არამედ რომელი-იგი მცულს, მას ვყოფ; უკუეთუ იგი არა — მოწამე ვარ რჩულისა², რამეთუ კეთილ არს. აწ უკუე³ არღარა მე ვიქმ ამას, არამედ რომელი იგი იყო⁴ ჩემ თანა დამკადრებულ, არს ჩემ თანა ცოდვა. რამეთუ მე თანა-მდებ ვარ შჯულსა ღმრთისასა და ეხედავ სხუასა სჯულსა ასოთა შინა ჩემთა, რომელი წინა-განეწყევების»**.

..ხედავ, ვითარ განცხადებულად გვთხრობს ჩუენ მოციქული ორთა მათ ნებათა ერთიერთისა წინააღმდეგობითა³, მბრძოლთა მათ: ¹⁰ ერთსა ნებასა ბუნებითსა დაბადებულსა, რომელი იყო ადამისთჳს პირველ გარდასლვისა მცნებისა სამოთხესა შინა, ვიდრე სულიერ-ლა იყო და ნათანაელ (?); ხოლო ერთსა მას, რომელი შემდგომად ცთომისა დაემკადრა ჩუენ შორის არა ბუნებითა, არამედ შემუ-სრვილი გარეშე გულისა მის მზაკუ]ვარებითა. ამისთჳს არა თქუა ¹⁵ მოციქულმან, ვითარმედ: [453] „რომელი-იგი დაბადებული არს ცოდვა, რომელნი წინა-განეწყევებიან რჩულსა⁴ მას გონებისა ჩემი-სისა“***. გულისგმა-ყავთ, ძმანო, სიტყუათა ამათგან, უკუეთუ ვინმე მიერჩდეთ⁵ წინაგანწყობილთა მათ, წარტყუენულ არს იგი საძუ-ლელისა⁶ მისგან ნებისა. ხოლო უკუეთუ არა გორცთა საქმესა ²⁰ მოაკუდიანებს, ჰგიეს იგი სულიერი უნებელად. აწ გამოჩინებულ არს, ვითარმედ ტელმწიფებასა ჩუენსა აქუს ორივე ესე ნებაჲ, და-ლათუ ეშმაკისა იგი ნებაჲ დაუცხრომელად მ[ი]ხიდავს ნებასა მას თჳსსა ბოროტსა გორციელთა მათ გულის-თქუ]ვისა. არამედ იტყვს იგივე მოციქული: «შეუძლებელი იგი შჯულისა, რომელ უძ-²⁵ ლურ იყო გორცთა მათგან; ღმერთმან ძე თჳსი მოავლინა მსგავ-სად გორცთა მათ»**** და მიიხუნა ჩუენნი ესე გორცი თჳნიერ ცოდვისა, განწმენილნი ყოველისაგან[5] პირველისა ადამის ცთომი-სა, რაჲთა სიმართლე იგი შჯულისა[6] აღესრულოს ჩუენ შორის, «რამეთუ ზრახვაჲ იგი გორცთა სიკუდილი არს, ხოლო ზრახვა[6] ³⁰ სულსა ცხორება არს»*****.

..და ნანდღლე ზრახვა[6] გორცთა სიკუდილი არს, რამე[454]თუ მ[6]ზრახებენ ჩუენ ყოველსა არაწმიდებასა. არა გარეშე ხოლო მტერი არს, არამედ თანამყოფი მარადის დაწოლასა და აღდგო-³⁵ მასა ყოველთა შინა საქმეთა შენთა. ეკრძაღე მას, რაჲთა არა ჩამოგინქრიოს ქვით, ვითარ შეგიძლოს. უწყალოდ გივმობს, ვი-თარცა მტერმან ამას. არამედ მინებს, რაჲთა აღურ-ასხნეთ მას ნებასა ქუეშე სულიერებისასა, რაჲთა ეგზეთ პირველსავე მას და-ბადებულსა, რომელსა მიგუაქცივნა უფალმან ჩუენმან, რამეთუ

* გალატ 5,17. ** რთმავლ. 7,15-17; 7,22-23. *** შდრ. რთ-
მავლ. 7,23. **** რთმავლ. 8,3. ***** რთმავლ. 8,6.

ნუსხაშია: ¹ რჩულისა. ² უკუეთუ. ³ წინააღმდეგობითა. ⁴ რჩულსა A.

⁵ მიერჩდეთ A. ⁶ სიძლეელისა A.

დიდად დაბადებულ ხართ. უკუეთუ ვითარ დაიცივით და არა მხოლოდ¹ ხუდე ქუესა მას ადგილსა, რამეთუ სიბრძნესა ღმრთისასა ზიარებულ ხართ, რაზომ შესაძლებელ არს დაბადებულისა დამბადებულისა თანა! და ცხოველ ხარ და ვითარცა ანგელოზნი, და მოკუდავ—ვითარცა ცხოველნი უფსკრულთა უქუენასკენელეს და უმაღლესს, რაათა შეუპყრობელ უდიდეს ყოველთა დიდთა და უმცირეს ყოველთა მცირეთა, და მოკუდავებასა შინა უკუდავ.

„ესე არს დაბადებულებაჲ შენი ორ კერძო. ამისთჳს არს იგი საკვრველ, რამეთუ საკვრველთ-მოქმედისა არს ჯელოვნებისა. ესე განკარდა ერთი იგი ვინმე წმიდათაგანი [455] ღრმად გამომე-¹⁰ ტყუელი საკვრველსა მას შეზავებასა, უნდა, რაათამცა განეშორა რასმე. განავდო, რომელსა-იგი დაკლებულად ზედვიდა, რომელ-იგი ვერ შემძლებელ იყო. მერმე უდრტუნვიდა, თქუა ესრეთ: «ჴ ვითარ შევერთე¹, არა ვიცი, და ვითარ ვარ ხატ ღმრთისა და შევეზილე თიჯასა თანა. ოდეს განმრთელდის—იბრძვინ, და ოდეს მოიკლის—¹⁵ მწუხარება არს². მიუყარს ჩემ თანავე, მონა არს და განვეშორო ვითარცა მტერსა. ვივლტოდი კრულებისაგან და მრცხუნის³ მისგან, ვითარცა თანა-მკვდრსა. მიწებს, რაათა დავადნო იგი და არავეინ არს შემეწე ჩემდა კეთილისათჳს. მისგან მივმან⁴ ცრემლნი, მისგან მარხვა, მღვძარება, მისგან ვედრებისა შეწირვა და მრავალ-²⁰ ნი შრომანი კეთილნი, რომელნი თჳნიერ ჯორცთასა ვერ შესაძლებელ არიან. რამეთუ ვიცი, რა[ა]სათჳს ვარ. და ჯერ-არს ჩემდა, რაათა აღვიდე ღმრთისა ჩემისა საქმეთა. გავრიდო, რამეთუ-ჩემ თანა მოქმედი არს, და არა უწყვი, ვითარ განვერე ზედა-მოსლვასა მისსა, რაათა არა დავმცინდე ბორკილითა, რომელი ჩამოიზიდავს²⁵ ქუეყანად, და გამოვევარდე ღმრთისაგან. [456] იგი არს მტერი მხიარული და მოყუარე ცრუ».

„ჴ შეკრებაჲ და განყოფაჲ, რომლისაგან მეშინის. დავიფარო, რომელი მიუყარს; მეშინის მისგან, პირველ ბრძოლისა დავე-³⁰ გო და პირველ დავებისა—ვბრძოდი⁵. ამისთჳს გუყუნა, რაათა რკინობითა და ბრძოლითა ამათ ჯორცთაჲთა მივხედვიდეთ მას დამდაბლებასა, რაათა იყოს შეკრებული ესე უსუსური სწავლაჲ მთავრობისაჲ, რაათა უწყოდით, რამეთუ მაღალ და მდაბალ ვართ მკვდრნი ნათლისანი ანუ ბნელისანი, სადაცა მიდრკეს. ესე არს შეზავებაჲ ჩუენი, რამეთუ ოდეს ავმალდეთ ხატებითა მით, მიწი-³⁵ სათჳს ვმცირდით. გულსკმა-გიყოფიეს შეკრებაჲ შენი და შინაგანი ბრძოლაჲ. მიუდრეკელად იპყარ თავი შენი ყოლადვე, ნუ მიერღებია მერმესა მას და ბოროტსა განზრახვასა. და იხილე, რამეთუ სხუაჲცა მტერი გივის, რომელმან შენ მალლით ჩამოგავ-⁴⁰ დო, და არაოდეს განიზრახავს შენთჳს კეთილსა. და შეეწევის იგი ნებასა ჯორცთასა, უჯორცთაჲ იგი ფარაოჲ, ნათლისაგან ბნელად მიცვალებული განათლებულსა მას [457] კაცსა, რომელსა იორდანე

ნუსხაშია: ¹ შევერთე. ² არიან. ³ მრცხუნისა. ⁴ მივმან. ⁵ ვიბრძოდი.

წარველიეს. მას მიჰკიდაეს თუსა მას თანა კრებულსა სიჭმოსა მას თუსა ბნელისასა და ტელმწიფედ დაბადებულთა მონად თუსა აი-
ძულეზს, რაჲთამცა წარიქციენეს იგინი ბაბილოენად მრავალთა
შემქამელსა მას ჯოჯოხეთსა, რომელი-იგი დანთქმულ არს ზღუსა
მას ცეცხლისასა მოსლვითა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისაჲთა, რომელი იგი იშვა ქალწულისაგან, მეორე ადამ, ბუნებითა მით პირ-
ველისა მის აღამისითა თვნიერ ხოლო ცოდვისა. ხოლო რომელთა
განანათლნეს თავნი თუსნი მისევე ნათლისაგან დაუსაბამოჲსა, და-
შეთეს იგინი შეებულნი, მხიარულებასა შინა ეგნეს უცთომელად,
უკუდავსა და მახლობელსა ცხორებასა მას მოსწრაფებითა შე-
მსჭუალულ სიყუარულისა მისევე ნათლისა განმანათლებელისასა უკუ-
ნისამდე“.

და ვითარცა ესე და სხუანი მრავალ-
ნი მიიხუნეს, [პ]რქუა მათ: „წარვედით
და განამტკიცებდით ქრისტეს სამწყსო-
თა მათ“. და წარავლინნა რომელნიმე
მათგანნი კახეთად და რომელნიმე კუ-
ხეთად კერძო, და რომელნიმე ზენა
კერძო სოფლით, და ერთი ვინმე ვა-
რემეთად, და სხუანი გარემო [458]
ქალაქსა ამას ჩუენსა სამეფოსა. ხოლო
იგი[ნი] წარვიდეს და დაემკვდრნეს
რომელნიმე ქალაკთა და რომელნიმე
მთათა, ქუაბთა და ტურელთა¹ ქუეყანი-
სათა.

ესე და ესევეთარი ფრიად ასწავა¹
იოვანე თუსთა მოწაფეთა² და პრქუა:
„წარვედით და განამტკიცებდით ქრის-
ტეს სამწყსოთა“. და წარავლინნა მათ-
განნი რომელნიმე³ კახეთით და რომელ-
ნიმე კუხეთით⁴ და სხუანი ზენა სოფ-
ლით, ხოლო ნეტარი დავით გარესჯი-
სა უდაბნოსა, და სხუანი გარემო⁵ ქა-
ლაქსა ჩუენსა. ხოლო იგინი წარვიდეს
და დაემკვდრნეს რომელნიმე ქალაკთა
და რომელნიმე ქუაბთა და ტურელთა
ქუეყანისათა.

ხოლო ეზდერიოს ქალაკსა სამთავისი-
სასა. და ესრეთ განეშორნეს ურთიერ-
თას და დაეყუდნეს, ვითარცა სულმან
წმიდამან სათნო-იყო.

V. და მოვიდოდეს მათა ყოვლით
კერძო და აღეშენებოდეს სიტყუათა
და საქმეთა მათთაგან, რომელნი ექმნე-
ბოდეს მათ მიერ, განმტკიცებოდა მათ
მიერ სიმრავლე მორწმუნეთაჲ.

V. და მოვიდოდეს ქრისტეს მორ-
წმუნენი წმიდათა მათ ბერთასა და მათ
მიერ განსწავლულნი და სულითა აღ-
შენებულნი⁶ წარვიდიან სახედ თუსად.
და დიდთა კურნებათა იქმოდეს შეწიფ-
ნითა ღმრთისაჲთა და განამტკიცებდეს
მორწმუნეთა.

ხოლო რომელნი-იგი წარმოეყვანნეს
თანა მოსლვასა მისსა წმიდასა იოვანეს
წმიდათა მოწამეთა ნაწილნი ურიცხუ-
ნი ფრიად, აქუნდეს იგინი წინაშე თუ-
მას მოწაფეთა მისთასა მისცა ნაწილთა

ხოლო წმიდასა მიმასა⁷ იოვანეს წარ-
მოეტანნეს ქუეყანით თუსით ნაწილნი
წმიდათა მოწამეთანი. და⁸ წარგზავნასა
მას მოწაფეთა მისთასა მისცა ნაწილთა

ტ. შესახაშია: ¹ ტურელთა.

1. ასწავნა B. ² ~ მოწაფეთა თუსთა B. ³ ~ რომელნიმე მათგანნი B. ⁴ და რომელ-
ნიმე კუხეთით) — B. ⁵ გარემოჲს B. ⁶ აღშენებულნი] აღვსებულნი B. ⁷ + ჩუენსა B. ⁸ და]ხ⁸ B.



C

9

აღთა მისთა, უფროას ყოველთა საფა-
სეთა ხედავენ მათ, ვითარცა გუნდთა
მრავალთა გარე მოდგომილთა მისა. და
ესვენ და ნუგეშინის-ცემულ არიან მათ
მიერ: და ნანდღვე დიდნი იგი საფა-
სენი ყოველთა თუალთა უპატიოსნეს-
ნი, ძულნი მოწამეთანი, მგნეთა მტე-
დართანი, ღუაწლსა შინა უძღველნი,
რომელთა დასთხივნეს სისხლნი მათნი
მისთჳს, რომელმან-იგი თჳსითა სისხლი-
თა მოგჳყიდნა ჩუენ ზღუდენი კაცთა
ნათესავისანი. ჳირვეულ თუ ეინშე არნ¹,
მათდა ლიიელტინ, ნობარული მათვე
მიიობიეს (!), ევედრებიედ [459] მათ კმე-
ლისანი და ზღუსანიცა. ხოლო მამასა
იოვანეს წინაშე ეპყრნეს ნაწილნი იგი
წმიდათანი, ვითარმცა ხედვიდა დღესა
მას ღუაწლისა მათისასა, ეგრეთ ზრა-
ხაენ მათ და განიკდინ თითოეულისა
საღანჯველთა გონებითა თჳსითა. ყო-
ველთა დღეთა ეწამებინ² და შრომათა
თჳსთა შემატებნ. ევედრებინ მათ და
ამბარს-უყოფნ სურვილითა დიდითა.
ოდესმე წარავლინებდა მოწაფეთა თჳს-
თა, მისცა მათ ნაწილთაგანი წმიდათა
მოწამეთაჲ, რაათა აქუნდეს საუარვე-
ლად თავისა მათისა, და ეკლესიათაცა
აღაშენებდენ სახელითა მათითა თჳთო-
ეულისა საყოფელთა, რომელთა განე-
შხადებოდის მადლისაგან ღმრთისა. 30

VI. ნეტარი იგი ბერი მარტოდ იქ-
ცე და ერთისა მსახურისა თანა მათი-
სა მთასა მას ზედა მოლუაწებითა დი-
დითა. და ლოცვაჲ მისი აღვიდოდა
ცად. აერთა განსწმედდა და განვლიდა
ათიერსა. ხოლო კეთილის მოძულენი იგი
ეშმაკნი, რომელნი დამკვდრებულ
იყვნეს პირველითგან მთასა მას, ვერ
დაითმენდეს მამისა ჩუენისა იოვანეს
ლოცვათა და ვედრებათა, რა [460] მეთუ
საწერტელ ექმნებოდეს, ვითარცა ისარ-

მათგან, რაათა მათითა მადლითა იცე-
ბოდინ ყოველთაგანვე სადრტეთა³ ეშმა-
კისათა. და დაიმჳირნა თავისაცა თჳსი-
სა თანა, რაათა ყოლადვე მათ მიხედ-
ვიდეს და გონებითა მათ თანავე იწა-
მებოდის ყოველსა ეამსა და იგინი
აქუნდენ⁴ ნუგეშინის-საცემელად სული-
სა და კორცთა.

VI. ხოლო ჰყვა [v] ერთი მოწაფეცა,
რომლისა მიერ ნუგეშინის-იცემებოდის,
ხოლო ლოცვაჲ მისი აღვიწოდა და
ჰაერსა განსწმედდა და განჰკვიცა ათერ-
სა. ხოლო კეთილის მოძულენი იგი
ეშმაკნი, რომელნი მუნ მკვდრ იყვნეს⁵
პირველითგან, ვერ დაითმენდეს იოვა-
ნეს მამისა ჩუენისა ლოცვასა, და⁶ რა-
მეთუ საწერტელ ექმნებოდეს, ვითარცა
ისარნი. ხოლო დღესა ერთსა აღიძრნეს
და ზედა-მოუტდეს წმიდასა იოვანეს და

C. ნუსხაშია: ¹ არიან. ² ეწამებთან.

9. ¹ საბრტეთა B. ² აქუნდეს B. ³ რწლნი-იგი B. ⁴ იყუნეს B. ⁵ და—B.

ჯ

ჟ

ნი განჭურვებულნი. დღესა ერთსა აღიძრნეს ყოველნი იგი ძალნი ბნელი-სანი და ვითარცა მიუტდეს წმიდასა იოვანეს და იწყეს ბრძოლად მისა ბევ-რითა მანქანებითა, შეშფოთნეს¹ გარე-მოს მისსა, აზინებდეს, დღე და ღამე ზედა დაესხმოდეს, რეცა თუ ცალ რა-მე ედების. და აზმნობდეს კლდესა, მას ჩამოგდებად.

ხოლო ნეტარი იგი ბერი აღიჭურვო-¹⁰ და ჯუარითა ქრისტესითა და არად შეჰქრაცხდა მათსა მას ოცნებასა და „აჰა—ეტყუნ—ესერა ვარ, უკუეთუ შენ-დობაა მიგიღებოც“.

დღესა ერთსა ყოველი იგი სიმრავ-^{ლე} აღიძრა და გამოჩნდა ცხადად. გა-^{რე} მოადგეს ნეტარსა იოვანეს და ეტყოდეს: „რამასათჳს მოხუდდ აქა?“ და²⁰ ერთმან მათგანმან, უმთავრესმან ეშმაკ-^{თამან}, უკუთ სახელით: „იოვანე, რამ-^{სათჳს} გუაცილობ. ანუ ვინ[აჲ] მოიწიე, ჩუენი არს ადგილი ესე და შენ ვერ ძალ-გიც ყოფად აქა. ანუ არა უწყია,²⁵ რამეთუ კადნიერებამან მაგან შენმან ჩუენდა მომართ წარგწყმიდოს შენ სრულიად, რამეთუ ვერ ცალ გ[461]იც ყოველსა მას სიმრავლესა წინააღდგო-^{მად}, და თავსა თუსსა ნუ იცთუნებ“.

მიუგო ნეტარმან იოვანე და [ჰ]რქუა მათ: „კეთილისა განზრახვამ არა ოდეს მიგიღებოც ნათესავისა ჩუენისათჳს და მე ვითარ ვისმინო თქუენი? არამედ-^{ადგილი} თქუენი ბნელეთი არს, ივლ-³⁵ ტოდეთ მუნ.

იწყეს ბრძოლად მრავლითა და თითო.¹ სახითა მანქანებითა². და გარე მოადგეს, აშფოთებდეს³ და ეტყოდეს: „ვინ ხარ, ანუ ვინაჲ, რამეთუ ჩუენი არს ადგილი ესე. და უკუეთუ არა წარხვდე ამიერ, დიდნი და განსაკურვებელნი განსაც-^{დელნი} მოვაწიენეთ შენ ზედა“.

ხოლო მან ჯუარითა ქრისტესითა აღიბეჭდა თავი თჳსი და ჰრქუა: „აჰა⁴ ესერა, აქა⁵ ვარ. და უკუეთუ შენდობაა მიგიღებოც ქრისტესგან, იქნოდეთ⁶, რამცა გნებავს, რამეთუ მე მონაჲ ვარ¹⁰ უფლასა ჩუენისა იესუ ქრისტესი და არა მეშინის საფრტევაგან თქუენთა“.

ხოლო უმთავრესმან მან ეშმაკთამან უკუთ სახელით: „იოვანე, იოვანე, რამ-^{სათჳს} გუაწყენ და ვინაჲ მოხუდდ⁸ აქა? აწ⁹ წარვედ ამიერ, რამეთუ ჩუენი არს ადგილი ესე და ვერ ძალ-გიც ყოფამ ჩუენ თანა. და უკუეთუ არა მისმინო, წარწყმიდო თავი შენი, რამეთუ ვერ-^{წინა-დაუდგამ} სიმრავლესა ამას, რო-^{მელ} გუხედავ. წარვედ და ნუ აცთუ-^{ნებ} თავსა შენსა“.

ხოლო მიუგო წმიდამან იოვანე: „კე-^{თილისა} განზრახვამ არა ოდეს გწადის ნათესავისათჳს ჩუენისა, რამეთუ უკე-^{თურ⁹} ხართ და მზაკუვარნი და მტყუარ-^{ნი¹⁰} და ამიონი. და აწ ვითარ ვისმინო თქუენი?

„ესე ყოველი ზედა-მიწევნით ვიცი, რომელ¹¹ არა გნებავს კეთილი კაც-^{თათჳს}. და რამ გეყვის ადგილი ესე,⁴⁰ რამეთუ ცანი და ქუეყანაჲ ღმრთისა

ჯ. ნუსხაშია: ¹ შეშფოთდენ.

ჟ. ¹ თუთო B. ² მანქანითა B. ³ აღშფოთებდეს B. ⁴ აჰა — B. ⁵ აქან B. ⁶ იქნოდეთ A.

⁷ საფრტევა თქუენთაგან B. ⁸ მოხუშ B. ⁹ უკეთურნი B. ¹⁰ მტყუვარნი B. ¹¹ რამეთუ B.



C

ქრისტეშლი
ბიზლიქიქეჲ

ჩუენისა შექმნილი არიან და მას და-
უბადებიან განსასუენებელად ჩუენ მო-
ნათა მისთათჳს? ხოლო თქუენთჳს გა-
ნუზადებია ბნელი გარესკნელი და
5 ცეცხლი უშრეტი, რომელსა შინა და-
სჯად ხართ საუკუნოდ შენ და ყოველ-
ნი შემწენი შენნი და ყოველნი, რო-
მელნი ნებასა შენსა ჰყვებიან.

„ჴ მასმენლო¹, არა შენ ხარა, რო-
მელმან ადგილი იგი მიმიღე, სამოთხე
ფუფუნებისაჲ, რამეთუ ჩემი იყო და
შენ ღონისძიება[ა] ესევეთარი მოიღე-ვე
ადამისთჳს [464] და გამოკადე იგი მი-
ერ. და იყო გზა და ვიქმნენით საზრ-
დელ სიკუდილისა შენითა მანქანებითა.
ხოლო ღმერთმან ვერ დაითმინა თჳსი-
სათჳს ხატისა სრულიად შეურაცხებაჲ,
არამედ მოვიდა და პოვა იგი დაფლუ-
ლი სიღრმესა შინა და აღმართა იგი,
განაახლა და განკურნა ყოველი იგი
ნაკურემი შენი. და აჰა ესერა დღეს
იდევნები ყოვლით კერძო ნაშობთა
მისთავან, რამეთუ განფენინეს ნიჭნი
იგი ყოველსა სოფელსა და არა არს
შენდა ადგილ გარეშე ბნელეთი[სა],
ვითარცა-იგი თჳთ თავით თჳსით მოი-
ძულე ნათელი და შეიყუარე ბნელი,
რამეთუ ანგელოზ იყავ და მკდომ იქ-
მენ, მაქებელ იყავ და მასმენელ დაგე-
დვა. ხოლო ჩუენ შენ მიერ იგი ზაქ[უ]-
ვით აღთქმული ადგილით მოვიღოთ
სრულებით. და აჰა ესერა საყოფელისა
ამისგან ცად მივიცვალებით“.

და მსწრაფლ ივლტოდეს ეგეოდენი
იგი სიმრავლე ძალითა ქრისტესითა,

„და არა შენ ხარა, რომელმან სამო-
თხე იგი ფუფუნებისაჲ მომიღე ჩუენ,
რამეთუ მოიღე¹ ღონისძიებაჲ და მა-
მაჲ ჩუენი ადამ² სამოთხისაგან³ გამო-
ჰხადე და შენითა მანქანე[12]ბითა სი-
კუდილსა მივეცენით. ხოლო ტკბილი
იგი და კეთილის⁴ მოყუარე ღმერთი
კულად მოწყალე იქმნა ხატად მისსა
დაბადებულსა ზედა და შენ მიერ შე-
ურაცხ-ქმნილი იგი და სიღრმეთა ჯო-
ჯოხეთისათა დაფლული მოწყალებით
კულად⁵ აღადგინა და ზე აღმოიყვანა
და სასუფეველი მიანიჭა. და რომელი-
იგი შენ ზაკუვით⁶ უქადე და არქუ,
7 ვითარმედ „განღმრთობაჲ მოგეცესო“,
აჳ ესერა მიგვლებიეს უფლისა ჩუენისა
იესუ ქრისტეს მიერ. და აჳ ესერა ადა-
მის ნაშობთა მიერ იდევენები ყოვლით
კერძოვე და არა არს ადგილი შენი
8 თჳნიერ ბნელისა მის⁷ გარესკნელისა⁸,
რამეთუ თჳთ მოიძულე ნათელი და
9 შეიყუარე ბნელი⁹. რამეთუ ანგელოზი
იყავ და მკდომ იქმენ და დაციე უქე-
თურებისა შენისათჳს¹⁰. აჳ ძალითა უფ-
10 ლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა ივლ-
ტოდე¹¹ მთისა ამისგან, რამეთუ ქრის-
ტესა მოუნიჭებიეს ესე ჩემდა“.

ხოლო ესე ყოველი რაჲ ჰრქუა წმი-
დამან იოვანე, აღუტევეს ყოველთა მათ

C. ¹ მსმენლო.

1. ¹ მოიღე მოიპოე B. ² ადამიA. ³ სამოთხისა მისგან B. ⁴ კაცთ B. ⁵ კულად მოწყალე-
ბით B. ⁶ ზაკუვით+და ტყუვლით B. ⁷ ~ მის ბნელისა B. ⁸ გარესკნელი B. ⁹ რ'თჳთ მო-
იძულე ნათელი და შეიყუარე ბნელი—B. ¹⁰ უკეთურებისაგან შენისაB. ¹¹ ივლტოდეთ B.

ს

9.

საწყალობელითა კმითა იტყოდეს: *
„ვამა¹ ჩუენდა, რამეთუ სახელის-
დებამა იესუსისა² ყოველით ადგილით
განგუასხამს ჩუენ, ხოლო მისცემს ძალ-
სა, რომელნი შეუდგეს მას, არამედ
წარვიდეთ³ და უშინარესთა წარმართ-
თასა დავემკვდრნეთ მუნ“⁴. და მყის,
ვითარცა ნისლი კწირი და ბნელი, გა-
მოჰდა მთისა მისგან და უჩინო იქმნა
და მიმართა ჩრდილოთ კერძო. ხოლო
ნეტარი იოვანე მად[ლობდა] ღმერთსა,
ვითარ იხილა დაცემამა და წარწყმედამა
მათი.

ესმა საქმე ესე ყოველთა გარემო[ა]ს
მყოფთა მთასა მას და იხილეს საკვრე-
ლებამა იგი დიდებული საკვრელთ-მო-
ქმედისა ღმრთისა[ა] (რომელი იყო
ლოკითა მამისა ჩუენისა იოვანესითა),
რომელმან აღასრულის ნებამა მოშიშთა
მის[463]თამა. რამეთუ იტოდეს წინაშთ-
ვე სიბოროტე იგი მათი ეშმაკთამა, რო-
მელნი დამკვდრებულ იყვნეს ადგილსა
მას, და ადიდებდეს ღმერთსა.

ხოლო ნეტარი იგი ბერი იქცეოდა
მთასა მას მარტო და მოწაფისა მისგან
თქსისა იმსახურებოდა. დღითი-დღე
განაახ[ლ]ებდა თავსა თქსსა, ისწრაფ-
და, რამათა არა ცალიერი ეჩუენოს
თქსსა უფალსა, არამედ კეთილნი საქ-
მენი მიიხუნეს ძლუნად ყოველსა დღესა
წინაზე მის[ს]ა.

რამეთუ მთამ ეს[ე] პირველ ურწყუ-
ლი იყო და ყოლადვე ვერ საპოვნებელ
წყალი გარემო[ა]ს მისა, დაღათუ მრავა-
ლი ღონისძიებამა იყო პირველთა მათ
გოდოლსა შინა მყოფთა წარმართთამა,
რამეთუ ვერ შემძლებელ იყვნეს წყლი-
სა აღმოყვანებად ფიცხელითა⁴ თბრი-
თა ჳმელსა წას ქუტყანასა. ხოლო ნე-
ტარი იოვანე ხედვიდა თქსისა მის მო-
წაფისა შრომათა დიდთა, ვითარ-იგი

ეშმაკთა ჳმამ გოდებისამა და
იტყოდეს: „ჳ, რამეთუ სახელის-დებითა
იესუსისთა ყოველთა ადგილთაგან ვიდევ-
ნებით¹ და ყოველთა მისცემს ძალსა,
რომელნიცა შეუდგენ მას. გულე, გულ-
ლე, წარვიდეთ უშინაგანესთა წარმართ-
თასა და დავემკვდრნეთ მუნ“². და მეყ-
სეულად³ ვითარცა ნისლი კწირი გა-
მოჰდა მთისა მისგან და მიმართა
ჩრდილოთ კერძო და უჩინო იქმნეს.

ხოლო ესმა რამა ესე ყოველთა გარე-
მოას მყოფთა მთასა მას, რომელ-იგი
ყო ღმერთმან ლოკითა წმიდისა³ მა-
მისა ჩუენისა იოანესითა, ყოველთა
მისცეს დიდებამა ღმერთსა, რამეთუ
იტოდეს სიბოროტე ეშმაკთამა მათ,
რომელნი დამკვდრებულ იყუნეს მთასა
მას და იტყოდეს: „ჳეშმაკითად ჳყოფს
ღმერთი⁴ ნებასა მოშიშთა მისთასა“.

ხოლო ნეტარი იგი ბერი იყოფებო-
და მთასა მას და ისწრაფდა კეთილთა
საქმეთა დაჳუნჯებასა, რამათა არა ცა-
ლიერი⁵ წარმოუდგეს უფალსა თქსსა.
და იწყო ძლიერსა მარხვასა და ლოცვა-
სა, რამათა კეთილნი საქმენი მიართუ-
ნეს უფალსა.

ხოლო მთამ იგი იყო პირველ ურ-
წყული⁶ და წმიდამ იოვანე ხედვიდა
მოწაფისა მის ფიცხელთა შრომათა⁷ და
ოფლთა, რამეთუ აღიკიდის წყალი ძი-
რისა მისგან⁸ მთისა და მოართეს სა-
ჳმარად ბერსა. შეეწყალა⁹ და ცრემ-
ლით ევედრა ღმერთსა, რამათა აღმო-
უციენოს¹⁰ [v] წყალი მალალსა მას ჳედსა
ზედა¹¹.

* აქამდის ეს აბზაცი ნუსხაში გაგრძელება გვ. 209, 36-ისა.

ს. ნუსხაშია: ¹ ვამა. ² იესოსი. ³ წარვედით. ⁴ შემძლებელ იყვნეს წყლისა აღმოყვანებად ფიცხელითა შემძლებელითა.

9. ¹ განვიდევნებით B. ² მყის B. ³ წისა+მის B. ⁴ ღლიოი B. ⁵ ცარიელი B. ⁶ უწყლო B. ⁷ ფიცხელსა შრომასა B. ⁸ ძირისა მისგან ძირისაგან B. ⁹ შეეწყალა ანის-
თსცა შეეწყალა იგი ბერსა B. ¹⁰ აღმოუციენოს A. ¹¹ ~ ჳედა ჳედსა B.



ს

აღიკიდის¹ წყალი ცირით მის შთისაჲთ და აღიღის საჭმა² ად მის ბერისათჳს. რამეთუ არს ადგილი იგი ყოვლით კერძო აღსავალი ფიცხელ და აღმართი გრელ. და შეეწყალა ბერსა მოწაფე³ იგი თჳსი ელია, [464] ილოცვიდა და ევედრებოდა უფალსა თჳსსა, რაათა მოსცეს მას წყალი მახლობელად.

მაშინ რომელმან მოსცა წყალი უდაბნო-სა ერსა თჳსსა ისრაელსა ჳელითა ზოსე-სითა, მონისა თჳსისისაჲთა, და გამოუ-ტყვნა მდინარენი კლდისაგან ჳელებისა ცემითა კუერთხისაჲთა, განარინნა ათ-ორმეტნი ნათესაენი, ძენი ისრაელისანი, მანაკი იგი დიდი არა ერთგზის, ანუ⁴ ორგზის, არამედ შრავალგზის, ვი-თარცა იტყჳს პაულე მოციქული: «რა-მეთუ სუმიდეს იგინი სულიერისა მის-გან კლდისა, რომელსაცა შეუდგეს, ხოლო კლდე იგი იყო ქრისტე»⁵. კლდე⁶ იგი სახე ქრისტესი იყო და კუერთხი იგი—აზრდილი ჯუარისაჲ. და რამეთუ ნეტარიცა იგი ყოლადვე შეუდგა ქრის-ტესა, რომელმან ისმინა ლოცვაჲ მისი, და იყო ეწყსეულად ვედრებასა მისსა⁷ ადგილსა მას. სადა ჯუარი ქრისტესი აღეშართა, და ვითარცა⁸ კუერთხისა მის წილ მოსესისა ჯუართა მით სცა ჳმელსა მას ჳუეყანასა, რომელი არაგის ებილვა ყოლად [465] წყალი მუნ, და⁹ გამოჭდა წყალი ტკბილი, გრილი და ფრიად შუენიერი მდიდრად, რომელი დღეს დის მყოფთათჳს მის მონასტ-რისათა და არა ხოლო თუ მათ კმა-ეყოფდეს, არამედ სიზრავლისათჳს დიდ-¹⁰ ძალისა.

და ვითარცა იქმნა სასწაული ესე და ვითარცა იქმნა სასწაული ესე და დიდი, მოვიდეს ყოვლით კერძო ხილ-განიტჳთა მათ მიერ, რომელნი გარე-ვად, რამეთუ იცოდეს გარემო[ა]ს მოას¹¹ მთასა მას მკვდრ იყუნეს, რამე-მკვდრთა¹² მათ, ვითარმედ წყალი არა¹³ თუ ყოველთა იცოდეს, ვითარმედ არა

* I კორინ. 10, 4.

ტ. ნუსხაშია: ¹ აღიკიდის| აკლდის. ² ვითარცა. ³ მკვდრთა| მწყდართა.

ჟ. ¹ მას B. ² აღმოუცინა A, ³ გარემოს B.

ხოლო ძუელ ოდესმე, რომელმან მოს-ცა წყალი ისრაელთა უდაბნოს მოსეს მიერ, მონისა თჳსისა, და კლდესა ჳმელ-სა გამოეცნეს წყალნი, და განაძღნა ათორმეტნი ნათესაენი, მანვე¹ სახიერ-მან ღმერთმან შეისმინა ვედრებაჲ წმი-დისა მის ბერისაჲ და ჳმელსა ჳუეყანა-სა მთასა მას შედა აღმოუცინა² წყალი ტკბილი და გრილი, რომელი მოაქა-მომდე დის სადიდებელად ღმრთისა მამისა და ცისა და წმიდისა სულისა.

ს

ჟ

იყო ადგილსა მის. ხოლო მადლითა მის წმიდისა[ა]თა წყაროა იგი იქმნა არა თუ სამსახურებელად, არამედ კურნებანიცა მრავალნი იქმნებოდეს. მოაქუნდა უძლურები ფერად-ფერადი და ეშმაკეულები, და რაოდენნი იცხებდეს მის წყარო[ა]საგან, განიკურნებოდეს. და წარაქუნდა იგი შორად სოფლად. ხოლო რომელნი სარწმუნოებით მოვლენ, დღენდელად დღედმდე სარგებელ ეყოფვის.

ხოლო შენებაჲ არა ინება მის ადგილსა, არამედ ვითარცა არს წესი მარტოდ მყოფობისაჲ, იყოფოდა; ნაპრაღსა მას კლდისასა ებოვნა ქუაბი მცირე, რომელსა შინა აღასრულა მწირობაჲ სარწმუნოასა ამის ცხორებისა[ა] «ნაკლულევან[466]ებიტა დიდითა ქირვეული, ძვრ-ხილული, რომლისათჳს ღირსვე არა იყო სოფელი ესე», და შემდგომი ამისი.

და ვითარ განამრავლებდა უფალი მის მიერ სასწაულებსა მას, განჭდა ამბავი მისი ქუეყანასა ქართლისასა და გამოუბრწყინდა ვითარცა მითები განთიადისა[ა], რომელმან ფარულად აღიდა ღმერთი და მის მიერ განავრცა წილნი მისნი და დაიტია ნათელი იგი დიდი მადლით მოყვანებული, რამეთუ ვერ შესაძლებელ იყო, ვითარმცა ვინ აღანთო სანთელი და დაფარა ქუეშე ჳმირსა, არამედ ზედა სასანთლესა, რაათა ნათობდეს კაცთა**. დაღათუ უნებნ მათ, რაათამცა დაფარნეს თავნი თჳსნი, ვითარცა მენელსაცხებლემან რაჲ აღავსის შივშავი² სულნელითა და შთაავდის იგი სხუასა ჳურჳელსა და შეხვის³ იგი კეთილად, და [ჰ]კიდის იგი წარლებად, სადაცა [ჰ]ნებავნ. და [ჰ]გონებნ მესურნელე იგი, ვითარმედ

იყო წყალი ყოლად მთასა მას, ამისთჳსცა მოვიდოდეს ყოვლით კეროო. და მოაქუნდა უძლურები, და სჯან¹ რაჲ და იცხიან, ყოველნი განიკურნებოდეს. და რომელნიცა სარწმუნოებით მოვლენ, ვიდრე აქამომდეცა სარგებელ ეყოფვის.

ხოლო შენებაჲ ადგილისაჲ მის არა ინება, არამედ მარტოდ მყოფობაჲ აღირჩია, რამეთუ პოვა მუნ ქუაბი რაჲმე მცირე და მუნ შინა აღასრულა მწირობაჲ მისი. და იყოფებოდა ჳირვეული და ძვრ-ხილული, რომლისა ღირსვე არა იყო სოფელი ესე*. ხოლო სასწაულთა² მოქმედებითა გამობრწყინდა ვითარცა ვარსკულავე განთიადისაჲ.

და განჭდა ჰანბავი მისი ქუეყანასა ქართლისასა, რამეთუ ვერ შესაძლებელ არს, რომელმანცა³ აღანთო სანთელი და ქუეშე ჳმირსა⁴ დაღვა, არამედ სასანთლესა, რაათა ჰნათობდეს კაცთა.** დაღათუ ენება დაფარვაჲ თავისა თჳსისაჲ, ეგრეცა⁵ ვერ დაფარა, ვითარცა მენელსაცხებლემან რაჲ აღავსის შივშავი ნელსაცხებელითა და შთადგის სხუასა ჳურჳელსა და შეხვის და ჰგონებდის დაფარვად მისსა⁶. ხოლო რომელნი მიეახლნიან, ეცის სულნელებჲ ნელსაცხებელისაჲ. ესრეთ აღიდა იგი ღმერთმან და ღმერთიცა იდიდებოდა მის მიერ.

* ე ბ რ ა ე ლ. 11,37—38. ** შ დ რ. მ ა თ ე 5,15.

ს ნ ე ხ ა შ ი ა: ¹ განდიადისა. ² შივშავი|შივშა იგი. ³ შეხვა.

ჟ. ¹ სუან. B. ² სასწაულთა|თჳსითა A. ³ რომელმან A. ⁴ ჳმირსა B. ⁵ ეგრეთვე B. ⁶ მისდა B.



C

9.

დაფარულად აქუს მას, ხოლო ყოველთა მათ, რომელნი მიეახლნენ, ეცემინ სისურნელე მის ნელსაცხებელისაჲ. ესრეთვე კეთილნი საქმე[467]ნი ვერ დაიფარნიან, დაღათუ არა [3]ნებაჲნ 5 მოქმედთა მათ.

დღესა ერთსა მსახური იგი მისი ნეტარი ელია დიაკონი მივიდა წყაროსა მას ღმრთივ მოცემულსა მოღებად წყლისა. და მუნ დგა, წყაროსა მას თანა, დათუ მალნარისაჲ დიდი და საშინელი ფრიად. და შეეშინა ფრიად ნეტარსა ელიას და გარეიქცა და უთხრა დიდსა იოვანეს. ხოლო იგი მოვიდა და ეტყოდა დათუსა მას: „უკუეთუ არა გისუამს წყალი ეგე, სუ და ვიდოდე“. და რჩული დაუდგა მას და [პ]რქუა: „სახელითა უფლისა ჩუენ[ისა] იეაუ ქრისტესითა გეტყვ, ნულარამცა გაქუს ფლობაჲ ბოროტებად და ვნებად მათა, რომელთა შეემთხუოდე კაცთა მთასა მას ზედა“. და ვითარ მოიღო ბრძანებაჲ მკეცმან მან ბერისაგან, განსწავლა არა ვისა ვნებად, წარემართა და ვითარცა მეგობარსა ტკბილად მე- 25 ტყუელსა უკუმოხედვიდა, თავი მოედრიკა და მყუდროებით მორჩილებისა სახესა აჩუენებდა. და ყოლადგე მკეცებრივი ბუნება[ა], არცა სივლტოლაჲ [ეჩინა], რამეთუ ცვალა თჳსი იგი სი- 30 ბოროტე და გარდაიქცა კეთილად. და ლო[468]ცვითა მის წმიდისაჲთა მოაქამომდე რომელთა შეემთხუოდა, ვითარცა ცხოვარი მშვიდი თანა-წარვალს. და არა საკვრველ არს ესე, რამეთუ 35 იციან მკეცთაცა პატივისა ცემაჲ, მმართებელთა მიხედ[ვ]ენ და ნათელსა.

რომელი-იგი ჯურღმულსა შორის მკეცთასა შთავარდა და პირი დაუყო პირველითგან საზრდელ-მოკლებულთა 40 ზმა ღმრთისაჲ, რამეთუ ვითარცა ძუ-

ხოლო დღესა ერთსა მივიდა წყაროსა მას ზედა მოწაფე იგი მისი, რათა მოიღოს წყალი. და ზედა დგა დათუ დიდი. და შეეშინა და უკუნიქცა და უთხრა ბერსა. ხოლო ბერი მივიდა და პრქუა დათუსა მას: „უკუეთუ არა გისუამს, სუ დან წარვედ. და ვეტყვ: ამიერითგან ნუ ვის აენებ¹ კაცთაგანსა, რაჲმს შეგემთხვოს კაცი მთასა ამას ზედა²“. და ეგრეთცა იქმნების აქამომდე³, არა რას აენებს დათუ⁴ ყოლად. [18], ხოლო ვითარცა ესე პრქუა ბერმან დათუსა⁵ მას, მორჩილ ექმნა ვითარცა მონაჲ, და თავ-დადრეკით და მყუდროებით წარვიდა.

9. ¹ აენებთ B. ² კაცი მთასა ამას ზედა—B. ³ ე-ე აქამომდე B-+ და შე-თუ-ემთხვოს კაცი მთასა მას ზედა B. ⁴ დათვი B, ⁵ დათუსა B. * რომელთა] ყ-თა რ-ლთაცა B.

C

9.

და ფრიად მმიერთა ლომთა, მათ შორის ვითარცა ქება ანდამატისაჲ განუტეხელი იღვა და ყოლადგე ვერ იკადრებდეს შეხებად მისა მგეცნი იგი, არამედ მოუჭდეს და ლომნიდეს ფერჯთა მისთა. და ვითარცა იტყოდეს, ესე იგი ჯორცნი არა არიან, რომელნიცა¹ ჩუენ საზრდელ გუეკმნეს, ვინაჲთვან არა თავს-იდვა მან ტაბლისაგან სამეუფოჲსა სანოვაგეთა გემოჲს-ხილვაჲ, ვარნა¹⁰ თესლსა ხოლო. ამან სამთა შუდეულთა პური არა ჭამა და წყალი არა სუა. ჯერ-არს ჩუენდა, რაჲთა, ვისწავლნეთ მმარხველთა იგი პატრივისა პურობაჲ.

ხოლო ნეტარმან მან ბერმან თუხითა¹⁵ ფიცხელითა შრომითა მარხვისა[ა]თა არა თავს-იდვა, [469] [რაჲთამცა] თუხისაგან ხოლო განეყენა მგეცი იგი ჯორცის მჭამელი, არამედ ვითარცა მოციქული წარივლინა თუხთა მიმართ მოციქულთა, ნათესავთა და მოყუარეთა, რამეთუ ნაშობნი ნაშობთაცა ნათთა ნათესავთა [...*], რაჲთა არავის ავნონ. და მცნებაჲ იგი აღურ-ექმნა მათ პოლოტიკ, და კბილნი მათნი მოაღბნა,²⁵ და ჰგვიან ვიდრე დღენდელად დღედმდე მთასა მას და არავის ავნებენ².

მრცხუენინ და შეეწუხდი, ესე-ღა მესმინ, ვითარ მგეცებრივისა მას ბუნებასა უტყუსა და უგუნურსა ესმინა სიტყუაჲ იგი წმიდათაჲ, და ჩუენ მგეცთა უბოროტესად გამოიგჩნდით, ყოფილთა მათ შორის აღმოვიკითხავთ და მოცემულნი იგი მცნებანი გუასმინან და ვნებად მოყუასთა ჩუენთა არა დავსცხრე-³⁵ ბით. დაყენებულ ვართ ჯორცის ჭამისაგან და ჯორცთა მოყუასისა ჩუენისათა [ვცოხნით]³, მგეცთა მათლა თუ ვემსაგავსნეთ და არა [ჯორცის?] მჭამელ[თა] კაცთა. მიგვლებიეს მცნებაჲ ღმრთისა-⁴⁰

ელ ოდესმე დანიელ დაამდოვრნა¹ მგეცნი მღუმესა მას შინა მარხვისა მისთაჲს, რომელი საღმრთოჲსა სჯულითათუჲს დაიმარხა, და არა შეეხო ყოლად² საზრდელსა ქალდეველთასა, ეგრეთვე ლოცვითა წმიდისა ამის³ მამისა ჩუენისაჲთა მმჯღ და უვნებელ იქმნეს მგეცნი შთისა მის მისისანი.

ხოლო მრცხუენის ამისთაჲს, რამეთუ მგეცებრივისა ბუნებასა და უტყუსა ესმინეს სიტყუანი⁴ მისნი და აწ ნაშობნი და ნაშობის ნაშობნი აღასრულებენ ბრანებასა წმიდისა მამისა იოვანესსა, ხოლო ჩუენ მგეცთა და პირუტყუთა უბოროტეს გამოიჩენილ ვართ, რამეთუ დღითი-დღე აღმოვიკითხავთ ყოფილთა მათ და მოცემულნი მცნებანი გუესმიან და ვნებად მოყუასთა ჩუენთა არა დავსცხრებით. განყენებულ ვართ ჯორცისა ჭამისაგან და ჯორცსა მოყუასთა ჩუენთასა ვცოხნით. მცნებაჲ მოგვლე-

* აქ რალაც აკლია.

C ნუსხაშია: ¹ რომელნიანცა. ² ავნებენ. ³ ვცოხნით | ცხოვნდეთ.9. ¹ მოამდოვრნა B. ² ყოლად|კ²დ B. ³ ამის—B. ⁴ სიტყუანი+ ესე B.



= C

q

გან, [რათა] შევიყუაროთ მოყუსი ვითარცა თავი თვისი¹, ხოლო [470] ჩუენ ვაიბუღეთ იგი თავისა თვისისა თანა, რამეთუ სიძულელი მოყუსისა სიძულილი არს თავისა თვისისა, მომატყუებელ ამისსა არს შური.

ჰ მოშურნეო, განეყენე შურსა. შური სიკუდილი არს, ევლტოდე მისგან, რა[ა]თა არა მოკუდე. ნუ შურობ წარმატებულთა სათნოებათა და აღიარე, ვითარმედ მოშურნე ხარ. ქებულ არს შური — სიყუარული იგი სიკუდილისათჳს. ესე ცხორებისათჳს მგსნელ და აღჭექილებ(!), რომელმან განკაფნის გონებანი მომგონებელთა მისთანი, არა-¹⁵ მედ ერჩიდი წერილთა და პოვე გამოქსნაჲ, და ბანევიდი განსრულებულთა სათნოებასა შინა. ნუ შურობ, რათა განერო მკირედ საბრგესა მტერისასა.

და კუალად მუნვე მოვიდე, რომელ-²⁰ სა-იგი მიწყეის.

შემდგომად ამისსა მოართუეს მათდა ღრეკილი, შეკრული ვითარცა რკინითა, და ძნიად განრღუეული, რამეთუ წყულლ იყვნეს ყოველნი ჯორცნი მისნი, რამეთუ გუემულ იყო იგი ჟამთა მრავალთა ფიცხელ**.....

ბიეს, რათა ვიყუარებდეთ¹ ურთიერთას², ხოლო ჩუენ უდებ გჳქმნიეს ბრძანება იგი უფლისა და უწყოდეთ, რამეთუ თანამდებ ვართ სასჯელისა.

განვიფრთხოთ ამიერიტგან, ძმანო ჩემნო, განვიფრთხოთ² და განვადლოთ ჩუენგან შური და მედგრობა და ძვრის ზრახვა მოყუსისა და ყოველივე უკეთურება მოვსაოთ და ღმრთისა სათნოდ ემოქალაქობდეთ, რათა არა დავისაჯნეთ საუკუნოდ.

ხოლო მე პირველსავე ვიტყოდი.

ამას წმიდასა მამასა ჩუენსა იოვანეს მოართუეს ოდესმე ცხედრითა ღრეკილი და განრღუეული. და დაქსნილი იყუნეს ყოველნი ასონი მისნი. შეიყვანეს წინაშე მისსა⁴, ევედრებოდეს წმიდასა იოვანეს: „შეიწყალე, წმიდაო ღმრთისაო, განრღუეული ესე, რამეთუ გურწაჲს, ვითარმედ შემძლებელ ხარ³ განკურნებად ქრისტეს ძალითა“. და კუალად განრღუეული იგი ჳმობდა: „შე-მიწყალე“, მონაო ღმრთისაო, მკუდარი ესე დაუფლველი და მომზადლე მკირედი მადლი, რათა განვიკურნო.“

²⁵ ხოლო ნეტარსა იოვანეს დალაცათუ მძიმე⁶ უჩნდა საქმე ესე მის მიერ, არამედ მოეგსენა სიტყუაჲ იგი აველესი, რომელ იტყჳს, ვითარმედ: «ძლიერთა უძლურნი იტჳრ[ვ]თენით***». ამისთჳსცა ჳრქუა: ⁷ «განგჳრუნებს შენ უფალი ჩუენი იესუ ქრისტე»****, და მასვე ჟამსა აღეპართა იგი ფერჳთა ზედა თჳსთა და ასონი იგი დაქსნილნი

* მარჯ 12,31. ** ამზე წყდება A ხელნაწერის ტექსტი. *** შდრ რომაელ. 15,1 საკმე 9,34.

ტ. ნუსხაშია: ¹ რამეთუ+რამეთუ.

q. ¹ ვიყუარებოდით B. ² ურთიერთარს A. ³ განვიფრთხოთ—B. ⁴ მისსა+და B. ⁵ შე-AB. ⁶ მძიმე/მკირედ B. ⁷ თჳთა B.

მწირად ჯანიკურნეს. და რომელთა იხილეს, ჰმადლობდეს ღმერთსა და წმიდასა იოვანეს.

კუალად მოიყვანეს ეშმაკეული¹ ფრიად გუემული², რომელ სიტყუადცა ვერ ძემძღებელ იყო. და იხილა იგი და შეეწყალა. ³ მიუგო წმიდამან იოვანე და პრქუა: „სულო უკეთურო, რაჲსა სტანჯავ მაგას, რამეთუ მიცემულ არს შენდა ადგილი უდაბნოჲ და ურწყული. გეტყვ შენ სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, განვედ კაცისა მაგისგან!“ ხოლო იგი ბრძანებასავე თანა მისსა³ განვიდა. და განიკურნა კაცი იგი. და ყოველთავე დაუკრდა. ¹⁰ და ბერი ესრეთ ეტყოდა: „და⁴ რაჲსა განკვრვებულ ხართ, რამეთუ არა ვარ მკურნალი, არამედ სახელის-დებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა იელტის ყოველი სენი და ყოველი ძალი ბნელისაჲ. რამეთუ მან თავადმან ბრძანა: «რომელსა პრწმენეს ჩემდამო, რომელსა მე ვიქმ, მანცა ქმნეს და უფროჲს ჩემსა ქმნეს»“⁵.

¹⁵ ესე მცირედი მრავალთაგან დიდთა საქმეთა დევწერეთ მიმყოფრებისათჳს ჟამისა. ხოლო გემოჲს-ხილვად⁶ ღმერთმემოსილისა მის კაცისათჳს კმა-არიან. ვითარცა მდინარისა დიდისაჲ ტაჟუკითა ერთითა⁶ იხილვების, თუ რაჲ გემოჲ აქუს⁷, ეგრეთვე ნეტარისა იოვანესი, რომელთაცა ენებოს. ხოლო მრავალ არიან სასწაულნი, ²⁰ რომელნი ქმნნა მამამან ჩუენმან წმიდამან იოვანე.

ხოლო აწ ნეტართა მოწაფეთა მისთათჳს ვიტყვადით, რომელნი განათლდეს მადლითა საღმრთოთათა და სხუანიცა განანათლნეს და მონასტერნი აღაშენნეს. რომელნი ვიდრე აქამომდე ჰვიან და ²⁵ კურნებანი იქმნებიან, რომელთაჲ თუთოეულად მოთხრობაჲ ვერ ცალ-გვც⁸.

ერთმან მოწაფეთაგანმან, სახელით⁸ თათა, ქუეშე ცირსა მის შთისასა აღაშენა მონასტერი, რომელსა შინა განმრავლდეს მონა-ზონი და ყოვლითავე წესიერებითა იტყვოდეს ხოლო სხუანი შე- ³⁰ მდგომად ამისსა მოვიტყენნეთ და ღმერთსა ვადიდებდეთ, რომლისაჲ არს⁹ დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამენ¹⁰.

ცხოვრება და მოქალაქობაჲ ღირსისა¹¹ მამისა ჩუენისა შიომღისი და ევაბარსისი¹²

35

[14] VII. ხოლო ნეტარი ესე და ღმრთივ განბრძნობილი მამა ჩუენი წმიდაჲ შიო მოვიდა წინამძღურობითა სულისა წმიდისაჲთა და დაემკვდრა დასავალით კერძო დედა-ქალაქსა მცხეთას¹³. და პოვა ჰევი ღრმაჲ ფრიად¹⁴ ფიცხელი, უდაბნოჲ და¹⁵ ურწყული

* იოანე 14.12.

¹ ეშმაკეული¹ ეშმაკისაგან B. ² გუემული+კაცი B. ³ ~ მ სსა თა B. ⁴ და—B. ⁵ გემოჲს სახილვად B. ⁶ ერთითა—B. ⁷ აქუს|არს B. ⁸ სახელითა A. ⁹ არს+ყრ B. ¹⁰ დიდება... ამენ| პატივჲ და თაჟუანისცემად აწ B. ¹¹ ღირსისა+და C. ¹² ევაბარსი+გვან A. გუა-კურთხენ მამო B. ¹³ მცხეთასა AC. ¹⁴ ~ ფდ ღმრმა BC. ¹⁵ და| დიდად C.



და ნაკლულევენი ყოველთა საკმარათაგან, და ჰაერი ზაფხულისაჲ ფიცხელ¹ და ეგრეთვე ზამთრისაჲ უფიცხლეს. და პოვა² მუნ მცირე ქუაბი და³ დაჯდა მას შინა დაყუდებით სასოებითა ღმრთისა მინდობისაჲთა, ჯელ-ყო საქმესა ამას⁴ და სიკუდილად მისცა თავი⁵ თუხი მისთვის, რომელმან არაოდეს უგულბებულს ყვნის მოსაენი მისნი⁶.

ესე წმიდაჲ მამაჲ ჩუენი იყოფებოდა რაჲ ქუაბსა მას შინა, ილოცვიდა და იტყოდა: „ჰ იესუ⁷ სახიერო⁸, რომელი მოხუდ ქუეყანად ცხოვრებისათჳს კაცთაჲსა და იშვე წმიდისაგან ქალწუ-
 10 ლისა⁹, რაჲთა აცხოვნენ, რომელნი მჭურვალთა გულითა შეგიდგენ და გამსახურებდენ შენ. აწ მომეც მეცა მოთმინებაჲ, რაჲთა სათნოდ შენდა აღვასრულენ მცირედნი ესე⁹ დღენი ცხოვრებისა ჩემისანი¹⁰ და ღირს მყავ კეთილთა შენთა საუკუნეთა მეოხებითა¹¹ უბრწენლისა დედოფლისა ჩუენისა და¹² დედისა შენისა¹³ მარადის
 15 ქალწულისა მარიამისითა¹⁴ და მეოხებითა დიდებულთა წმიდათა¹⁵ მოციქულთა¹⁶ შენთაჲთა¹⁷ და წმიდისა მამისა ჩუენისა¹⁸ იოვანესითა“.

ამას იტყოდა¹⁹ ცრემლითა²⁰ და განგრივლებითა²¹ ლოცვისაჲთა²² იატაკსა დაალტობდა, და განჰზადა თავი თუხი იატაკად
 20 შუენიერად. და ითარცა დაადგრა²³ სამარადისოდ მოუწყინებლად ლოცვასა და იხილა ღმერთმან გულს-მოდგინედ მოთმინებაჲ მისი და ვითარ²⁴ არაჲა²⁵ იპოვებოდა²⁶ უდაბნოსა მას ნუგეშინის-საცემელი²⁷ გორცთაჲ, მანვე სახიერმან და²⁸ დაფარულთა მხედველმან ღმერთმან, რომელმან გამოზარდა ელია და უდაბნოსა²⁹
 25 შინა³⁰ ყორნისა მიერ³¹, ეგრეთვე წმიდაჲ ესე მამაჲ ჩუენი გამოზარდა, რამეთუ ტრედისა მიერ დღითი-დღე უბოძებდა საზრდელსა. ხოლო მარჯუენით კერძო ქუაბისა მის უბოძა წყალი მცირე კლდისაგან ჯმელისა, რომელი კმა-საყოფელ³² მისდა იყო. ხოლო ესევეთარი რაჲ ღმრთისა წყალობაჲ იხილა მის ზედა, მადლობასა
 30 შესწირვიდა ღმრთისა და იტყოდა: „ჰ უფალო დიდებისაო, კურთხეულ არს [v] სახელი შენი და³³ დიდ არს წყალობაჲ შენი კაცთა ზედა და ვინაჲ ვარ მე უღირსი ესე წყალობისაჲ, გარნა ყოველსა-ვე ზედა ვამაღლობ სახიერებასა შენსა“.

და³⁴ იხარებდა სულითა და ადიდებდა ღმერთსა. და მიერიით-
 35 გან განძლიერდა უხილავეთა მტერთა ზედა.

* შტრ. III მ გ ე 17,2—7.

¹ ფიცხელი C. ² პოა A. ³ და—C. ⁴ დაყუდებით... საქმესა ამას—B. ⁵ თუხი C. ⁶ იესუ—B. ⁷ სახიერო + თო B. ⁸ წიხა ქალწულისაგან B. ⁹ მცირედნი ესე—C. ¹⁰ ჩინისანი B. ¹¹ მეოხებითა + ყდ B. ¹² უბრწენლისა დედოფლისა ჩინისა და—B. ¹³ და დედისა შენისა—A; შენისა] შენისათა B. ¹⁴ მარადის ქალწულისა მარიამისითა—B. ¹⁵ და წმიდათა B; წმიდათა—C. ¹⁶ მოციქულთაჲთა B. ¹⁷ შენთაჲთა—B. ¹⁸ ჩუენისა—B. ¹⁹ იტყოდა + და A. ²⁰ ცრემლითა B. ²¹ და განგრივლებითა] გნგრივობდა B. და განგრივებულთა C. ²² ლოცვითა BC. ²³ დაადგრა A. ²⁴ ვითარ—C. ²⁵ არაჲ B. ²⁶ იპოვებოდა A, იპოვობდა B. ²⁷ ნუგეშინისაცემელი B. ²⁸ და—C. ²⁹ უდაბნოს A. ³⁰ ~ უდაბნოსა შინა ელია B. ³¹ კმა-საყოფელი C. ³² და—C. ³³ და—C.

VIII. და ვითარ მრავალნი ქამნი წარვლნა¹ აღვზნებულსა მას საგმილსა შინა მარტოდ მყოფობისასა, ინება ზეგარდამომან² განგებამან, რაათა არა იყოს დაფარულ ბრწყინვალე იგი ვარსკულავი. ამისთჳს³ გამოაცხადა იგი კაცთა შორის. ხოლო სახე გამოცხადე-
⁵ ბისა მისისაჲ ესრეთ იყო. რამეთუ მას ქამსა⁴ იყო ვინმე მთავარი, სახელით ევაგრე, ქრისტეს მოყუარე და საღმრთოთა წიგნთაგან სწავლული და ქრისტეანეთა შვილი. ხოლო განგებითა ღმრთისაჲთა დღესა ერთსა პრქუა შვილთა თჳსთა და მონათა:⁵ „განვიდეთ⁶ ნადირობად“. და განვლეს⁷ მტკუარი და განვიდეს დამართებით
¹⁰ ადგილსა მას, სადა მჯდომარე იყო⁸ ბერი. ხოლო ყოველნივე მიმოდაიბნიენეს და ევაგრე დგა მარტოჲ და მიმოიხედვიდა, რაათა იხილოს ნადირთაგანი რაჲმე. ხოლო მიშუებითა ღმრთისაჲთა იხილა ტრედი იგი, რომელი მიართუმიდა საზრდელსა შიოს. ხოლო ევაგრე განიცდიდა მკურსედ და იხილა, სადა-იგი შევიდა. ხოლო
¹⁵ ვითარცა ინადირეს, წარვიდეს სახედ თჳსად.

და ხვალისა დღე კჳალად განვიდეს⁹. და ვითარცა ყოველნი მოვიდოდეს და მთავარი ევაგრე¹⁰ დგა მახლობელად ქუაბისა მის¹¹, სადა მჯდომარე იყო ბერი. და¹² აჰა კჳალად იხილა ტრედი იგი და მოაქუნდა საზრდელი ბერისათჳს. და ვითარცა განიცადა ნე-
²⁰ ტარმან¹³ ევაგრე ტრედი იგი¹⁴, განკურდა და შეუდგა კჳალსა მისსა და იხილა წმიდა იგი¹⁵ შიო მჯდომარე კჳაბსა¹⁶ შინა, დაუკურდა და პრქუა: „რაა ხარ, ანუ ვინაჲ?“ ხოლო ბერმან პრქუა: „კაცი ვარ უცხოჲ და¹⁷ ქრისტეს მოსავი და ვარ კჳაბსა ამას შინა მცირესა¹⁸, რაათა დაყუდებით აღვასრულნე
²⁵ დღენი ცხოვრებისა ჩემისანი და ესრეთ უშფოთველად სათნო-ვეყო ღმერთსა“. ხოლო ნეტარმან ევაგრე პრქუა ბერსა: „ცხოველ არს უფალი. არა დაგიტეო შენ და არცა¹⁹ წარვიდე სახედ ჩემდა“. ხოლო ბერმან პრქუა: „შვილო, ვერ ძალ გიც ტრთვად სიფიცხლესა [15] ამას უდაბნოჲსასა, რამეთუ გხედავ მრავლითა ფუფუნე-
³⁰ ბითა აღზრდილსა“.

ხოლო ევაგრე პრქუა: „დადაცათუ დღესვე იყოს სიკუდილი ჩემი შენ თანა, არავე²⁰ დაგიტეო“.

ხოლო ვითარცა განიცადა ბერმან სიმტკიცე გონებისა მისისაჲ, პრქუა ესრეთ, ვითარმედ²¹: „მე რაჲცა გრქუა, ყავ²² ხოლო მან პრქუა: „ყოველივე, რაჲცა მიბრძანოს სიწმიდემან შენმან, ვყო“. ხოლო ბერმან მისცა მას კუერთხი თჳსი და პრქუა: „წარვედ და კუერთხი ესე ჩემი ჩაყავ მტკუარსა, ხოლო იგი გზა-გეცემს და განვედ წმელად და წარვედ სახედ შენდა და ყოველივე საცხოვრებელი შენი განავე და წარმოვედ. და ვითარცა მოიწიო მტკუარ-

¹ წარავლნა C. ² ზეგარდამო A. ³ ამის B. ⁴ ქამსა+შინა B. ⁵ მონათა+რა B. ⁶ განვიდენ B. ⁷ განვლო A. ⁸ იყო—A. ⁹ წარვიდეს B. ¹⁰ ვგო B. ¹¹ მისი C. ¹² და—B. ¹³ ნეტარმან—B. ¹⁴ იგი] და A. ¹⁵ იგი—BC. ¹⁶ კჳაბსა+მას B. ¹⁷ და—B. ¹⁸ მცირესა—B. ¹⁹ არცა BC. ²⁰ არა B. ²¹ ვ'დ—B. ²² ყავ] იგიცა ყავ BC.

სა ზედა. კჳალად ჩაყავ კუერთხი ჩემი და, უჟუეთუ გზა-გცეს, მო-
 ვედ¹ ჩემდა, და უჟუეთუ არა გზა-გცეს, წარვედ შინა, რამეთუ
 არა სთნავს ღმერთსა საქმე ეგე², რომელსა ჰლამი³.

ხოლო მან ფიცით⁴ მოიმტკიცა ბერი⁵, რაათა არა იელ-
 5 ტოდის ადგილისა მისგან. ხოლო მან აღუთქუა და იგი წარვიდა.
 და ვითარცა⁶ მიიწია კიდესა მდინარისასა, შთაყო კუერთხი იგი
 ბერისა და წყალმან გზა სცა და კმელად განიარა.

და ვითარცა განაგო ყოველივე და მოვიდა და⁷ შთაყო კუ-
 10 ერთხი იგი, კჳალადცა⁸ გზა-სცა.

და მოვიდა წინაზე ბერისა და ჰრქუა: „მამოა წმიდაო, ვითარ-
 15 ცა მიბრძანე, ყოველივე ვყავ“.

IX. ხოლო მან ჰრქუა: „შვილო ევაგრე, უწყოდე, რამეთუ
 ამიერიტგან განმრავლებად არიან ძმანი უღაბნოსა ამას შინა⁹.
 ამისთჳსცა ჯერ-არს, რაათა ეკლესიაჲ აღვაშენოთ, სადაცა გზრძა-
 20 ნოს ჩუენ უფალმან“. ხოლო აღვიდეს ქედსა მას ზედა, რომლისა
 ძირსა¹⁰ მჯდომარე იყო წმიდაჲ შიო. და ვითარცა ილოცეს, მოი-
 ლო ცეცხლი წმიდამან ბერმან და დაიყარა ნებსა ზედა თჳსსა¹¹ და¹²
 დაასხა ზედა¹³ საკუმეველი. ხოლო საკუმეველი¹⁴ იგი აღემართა
 ვითარცა სუეტი და მერმე დადრკა დასავალით¹⁵ კერძო ქედისა
 25 მის და ჩადგა ადგილსა ერთსა, ვითარცა სუეტი ჰცესა მას შინა.
 ხოლო იგინი¹⁶ გარდამოვიდეს. და¹⁷ ადგილსა მას, სადა
 ურუნა უფალმან, დასცა სათხარი მაჰამან ჩუენმან წმიდამან¹⁸ შიო
 და აღაშენეს¹⁹ ეკლესიაჲ სადიდებულად ღმრთისა.

ხოლო ევაგრეს შეჰმოსა სახე მონაზონებისაჲ. და განითქუა
 30 ჰანბაეი მისი და ყოვლით კერძო მოვიდოდეს [v] და მონაზონ
 იქმნებოდეს.

X. და ვითარცა განმრავლდეს ძმანი, საჰმარ იყუნეს მათთჳს²⁰
 საწედარნი მეტჯრთენი მოსაღებელად საზრდელისა და წყლისათჳს.
 ამისთჳსცა მოიდგნეს კარაულნი. ხოლო იყო ადგილი იგი ტყიანი
 35 და კლდოვანი. ამისთჳსცა მჳეცნი ფრიად იყუნეს ადგილთა მათ²¹
 შინა²².

ხოლო განვიდიან რაჲ²³ კარაულნი ძონად²⁴, გამოვიდიან
 მჳეცნი იგი²⁵ და²⁶ მაენებელ ექმნებოდიან კარაულთა მათ. ამის-
 თჳსცა ძმანი მწუხარე იყენიან. მაშინ წმიდაჲ მაჰამა ჩუენი შიო ევედ-
 40 რა უფალსა, რაათა საბილველ მისსა²⁷ ყვნეს მჳეცნი იგი. ხოლო
 ლოცვასავე მისსა თანა²⁸ ყოველნი იგი მჳეცნი მოვიდეს წინაზე
 ბერისა და ჰრქუა მათ: „რაჲსათჳს მაენებელ ექმნებით კარაულთა
 ძმათა ჩუენთასა²⁹? აჲ გეტყჳ თქუენ სახელითა უფლისა ჩუენისა

¹ მოედ C. ² ~ საქმე ეგე და B. ³ ფიცითა C. ⁴ +და AC. ⁵ ვა—B. ⁶ და—B. ⁷ კუ-
 ალადაცა და კად B, კჳალად C. ⁸ შინა—A. ⁹ რომლისა ძირსა სადა B. ¹⁰ ~ თჳსსა ზედა
 C. ¹¹ და—B. ¹² ხ—საკუმეველი—C. ¹³ დასავ. უეთით A. ¹⁴ იგი ABC. ¹⁵ და—BC.
¹⁶ წმიდამან—C. ¹⁷ აღაშენა AB. ¹⁸ მათა B. ¹⁹ ადგილსა მას B, ადგილსა მათ A. ²⁰ შინა—C.
²¹ განვიდიან რაჲ [გან-რაჲ-ვიდიან B, გარნავიდიან C. ²² [ძონად] საძუარს B, საძოვარსა C.
²³ იგი—B. ²⁴ და—C. ²⁵ მისა B. ²⁶ ~ თანა მისა B, მის თანა C. ²⁷ ჩემთასა BC.

იესუ ქრისტესითა, რომელმან იგი¹ დაგბადნა² თქუნ, წარვედით არეთაგან ამით შორს³, ხოლო ერთი ოდენ დადევინ სადიდებელად ღმრთისა ჩუენისა, რაათა აძობდეს⁴ კარაულთა ძმათა ჩუენთასა⁵. და მასვე ჟამსა ყოველნივე⁶ განიბნიენეს, გარნა ერთი ხოლო⁷ მგელი დგა მოწიწებით, ვითარცა მონაა წინაშე მისა, და პრქუა: „სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა გიბრანებ შენ, მტეცსა მავას, რაათა ვითარცა მწყემსი კეთილი აძობდეს კარაულთა ჩუენთა, რაათა ამით უკმოუზლო, რომელ⁸ შევიწუხებინა⁹ ძმანი ესე ჩემნი და საზრდელ შენდა¹⁰ იყოს, რომლითაცა ჩუენ ვი-
10 ბაოდებით. ხოლო განახსებმდი დილასა და ჟამსა მწუხრისასა მოასხებმდი, და იყავ მწყემს და მცველ საგედართა ჩუენთა“.

ხოლო მგელი იგი იქმნა¹¹ მორჩილ, ვითარცა მონაა, და ჰყოფდა ბრძანებისაგებ ბერისა.

ხოლო იყო ერთი ძმათაგანი, სახელით კონონ, და კარაული
15 მისი გარდაიჭრა კლდესა და მოკუდა. ხოლო მგელმან მან¹² უწინარეს ჟამისა მოასხნა საგედარნი და, ვითარცა მოითუალნეს, კონონ ვერლარა პოვა¹³ ვირი მისი. მივიდა და პრქუა ბერსა: „შეწმიდაო მამაო, რაა ჰყავ¹⁴, რამეთუ მგელი მწყემსად მოგუეც; იგერა კარაული ჩემი შეუჭამია“. და ამას რაა ეტყოდა ბერსა, მგელი იგი
20 მოვიდა კალთასა კონონისსა და მიზიდვიდა. ხოლო ბერმან პრქუა: „წარაჰყევ, რაათა გირუენოს, თუ [16] რაა სჭირს ვირსა შენსა“. და ვითარცა მივიდეს¹⁵ თავსა მის კლდისასა, სადა გარდაჭრილ იყო, ტოტითა უჩუენებდა ვითარცა კაცი და წკმულით იმართლებდა თავსა თუსსა. და ვითარცა შთავიდეს, იხილეს, რამეთუ
25 მომკუდარ¹⁶ იყო. ხოლო ვითარცა მოვიდა ბერისა, ეტყოდა: „უბრალო არს, მამაო¹⁷, მწყემსი ესე¹⁸ ჩუენთა საგედართაა, რამეთუ კლდესა გარდაჭრილ არს და მომკუდარა ვირი ჩემი“.

ჟ¹⁹ ძმანი ჩემნი საყუარელნი! ესრეთ აღიდებს ღმერთი მონიშნა მისთა, რომელ მტეცნიცა²⁰ ველურნი, ვითარცა მონანი, და-
30 ემორჩილებიან. აწ ჩუენცა სათნო ვეყუნეთ ღმერთსა მარხვითა, ლოცვითა²¹, სიწმიდითა²², გლახაკთა²³ მოწყალებითა, უცხოთა²⁴ მოყუარებითა, სიმდაბლითა, სიმშუდითა და ურთიერთს სიყუარულითა და ყოვლითავე²⁵ საქმითა კეთილითა, რომელიცა მოგუატყუებს კეთილთა²⁶ საუკუნეთა და საშუებელთა ზეცისათა.

35 XI. ხოლო ჯერ-არს, რაათა მოვიგნინოთ ერთი მოწადეთაგანი²⁷ წმიდისა იოვანესთა²⁸, სახელითა²⁹ ისე, განთქმული ყოვლითავე³⁰ სათნოებითა, ნერგი იგი სამი თხისაა, ყუავილი მუენიერი და ყოვლისა კეთილისა ძირი.

¹ იგი—C. ² დაგბადა A. ³ არეთა ამით შორს A, არეთაგან შორს C. ⁴ აძობდეს AC. ⁵ ჩემთასა BC. ⁶ ყნი BC. ⁷ ~ ხოლო ერთი BC. ⁸ რლთლ C. ⁹ შევიწუხებია B. ¹⁰ შენთა C. ¹¹ იქმნა BC. ¹² მან—B. ¹³ პოა BC. ¹⁴ ~ რაა ჰყავ. ¹⁵ მივიდაო მამაო B, რაა გყავ ¹⁶ წკმულით C. ¹⁷ მამაო C. ¹⁸ მივიდეს+იგინი B, მივიდა A. ¹⁹ მომკუდარა C. ²⁰ მამაო წკმულით C. ²¹ ~ მწყემსი ესე წკმულით B. ²² შ—C. ²³ გვეცი AB. ²⁴ ლოცვითა] და ლოცვითა C. ²⁵ სიწმიდითა] და სიწმიდითა BC. ²⁶ გლახაკთა B. ²⁷ უცხოთა B. ²⁸ ყრთვე B. ²⁹ კეთილითა C. ³⁰ მოწადეთაგან B. ³¹ წმინდა იოვანესთა] წმინდა C. ³² სახელითა A. ³³ ყრთა B.



ესე ნეტარი ისე შეიბყრა წმიდამან მამათმთავარმან, კათალიკოზმან, და აკურთხა იგი ებისკოპოზად საყდარსა ზედა წილკნისასა. და¹ დღაცათუ იგი არა თავს-იღებდა საქმესა მას² და შევრდომით ითხოვდა განტევებასა.

- ⁵ ხოლო მან უნებლით დაასხნა კელნი და წარგზავნა საყდარსა ღმრთისა დედისასა³ და⁴ დედისა მის, რომელმან დედაე თვისი ცთომისაგან⁵ აღადგინა; დედისა მის, რომელმან დედანი წყევისაგან იკვნა; დედისა მის, რომელი შუამდგომელ ღმრთისა და კაცთა იქმნა და აცხოვნა ყოველი⁶ ნათესავი კაცთაე, რომელნიცა¹⁰ სარწმუნოებით თაყუანის-სცემენ ქრისტესა, მისგან შობილსა ღმერთსა.

ჰ ყოვლად წმიდაო ღმრთის მშობელო მარიამ⁷, კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისაე და კურთხეულ არს სახელი წმიდაე დიდებისა მისისა⁸, რამეთუ ქუეყანისაგანნი ვიყვენიით და აწ შენ მიერ ზეცისა ანგელოზთაგან ვიმსახურებით და შენ მიერ უბრწუნელებდა და ცხოვრებაე საუკუნოა⁹ მოვიგეთ¹⁰. ამისთჳს შუენის, რაჲთა საყდარსა დიდებისა შენისასა წმიდანი და სულითა განათლებულნი კაცი იყუნენ ზედამდგომელად¹¹ ტაძრისა შენისა და ამისთჳსცა გამორჩეულ იქმნა ღირსი ესე წმიდაე ისე ზედამდგომელად¹² საყდრისა შენისა, წმიდაო დედოფალო!

[V] ხოლო წმიდამან აჲმან მამამან და ებისკოპოზმან¹² იწყო სწავლად და წურთად სამწყსოთა თჳსთა, და მიჰმართა ჩრდილოეთ კერძო, რამეთუ ჯერეთ¹³ მოუქციველ იყუნეს და მტკიცედ ეპყრა კერბთ-მსახურებაე.

- ²⁵ და იწყო სწავლად მათდა სწავლითა სიმშვიდისაჲთა და ყოვლითავე ღონისძიებითა და სასწაულთა¹⁴ მოქმედებითა მოაქცივედა¹⁵ სარწმუნოებად, რამეთუ სნეულთა ჰკურნებდა და¹⁶ ეშმაკთა ბრძანებით განასხმინდა; და მრავალნი საკურველებანი კმნნა და ესრეთ კეთილად სწავლითა მრავალნი სულნი¹⁷ მოაქცივნა¹⁸ და ტაძარნი³⁰ კერბთანი დაღეწნა და ეკლესიანი აღაშენნა და ყოველთა ნათელსცა და განამტკიცნა¹⁹ ქრისტეს სარწმუნოებასა ზედა. და ესევეითა-რითა საქმითა კეთილითა შემკული მოვიდა საებისკოპოსოდ²⁰ თჳსად წმიდაე ესე ებისკოპოსი²¹ ისე.

XII. ხოლო მას ეჲმსა ინება წმიდამან მამამან²² იოვანე, რაჲთა³⁵ თა მოიხილნეს მოწაფენი თჳსნი და ცნას, თუ რომელსა საზომსა მიწევენულ არიან, და რაჲთა²³ გამოაცხადნეს საქმენი მათნი კეთილნი კაცთა შორის, რამეთუ ახალ ნერგ იყუნეს კაცი და უკმდა²⁴ განმტკიცებაე. და ვითარცა მოიწია საყდარსა მას წმიდისა²⁵

¹ და—C. ² ამას B. ³ ~ დედისა ღმრთისა B. ⁴ დედისასა და—C. ⁵ ცთომისაგან] და ცთომისაგან BC. ⁶ ყოვე BC. ⁷ მარიამ—B. ⁸ მისისა] შენისაე C. ⁹ საუკუნოა] სათნოა B. ¹⁰ მოვიდეთ BC. ¹¹ ზედამდგომელად A. ¹² ებისკოპოსმან B. ¹³ ჯერეთ BC. ¹⁴ სასწაულთ B. ¹⁵ მოაქცივედა A. ¹⁶ და—C. ¹⁷ ~ სულნი მრავალნი B. ¹⁸ მოაქცივნა C. ¹⁹ განამტკიცნა C. ²⁰ საებისკოპოსოდ B. ²¹ ებისკოპოზი B. ²² +იყუნენ B. ²³ რაჲთა+არა B. ²⁴ უკმა B, უკმა C. ²⁵ წმიდისა—B.

C

4

ქრქვენი
შინა

ღმრთისა დედისასა, მოუწოდა წმიდასა მამასა ჩუენსა შინა. და ვითარცა მოიკითხნეს ურთიერთას სიყუარულითა სულიერთითა და დასხდეს, მაშინ მოითხოა² წმიდამან იოვანე თანიერ ჩუეულებისა სასუმელი. და მოართუა მას ელია დიაკონმან და აღუესო³ ჭიქაჲ და მისცა ბერსა. ხოლო ნეტარი იგი⁴ ბერი ეტყოდა ისეს, ვითარმედ: „პირველად ებისკოპოსისაჲ ჯერ-არს ლოცვაჲ“. ხოლო მან თაყუანის-სცა და ითხოვა⁵ შენდობაჲ. ხოლო წმიდამან იოვანე ზე⁶ აღიპყრა ჭიქაჲ, ილოცა, ჯუარი⁷ დასწერა და განუტევა ჰაერსა შინა ჭიქაჲ იგი და⁸ დადგა ვითარცა მყარსა ქუეყანასა ზედა⁹.
 10 ხოლო რომელმან ავლინა პეტრე ზღუასა ზედა ვითარცა კმელსა ქუეყანასა*, მანვე მოსცა მადლი ამისდა კმნად წმიდასა იოვანეს. და ვითარ მყოფარი¹⁰ ეამ ეპყრა ჭიქაჲ იგი ჰაერსა შინა, პრქუა იოვანე მოწაფეთა:¹¹ „ვინ თქუნენგანმან მიიღოს ჭიქაჲ ესე გელისაგან ჰაერისა?“ და არაფინ იკადრა მიყოფად გელისა.

15 მაშინ წმიდამან იოვანე დასწერა ჯუარი და მიიღო ჭიქაჲ იგი, და სამთავე მიიღეს ნაკურთხევი იგი და სხუათაცა მრავალთა. მაშინ პრქუა წმიდამან იოვანე მამასა შინა: „ჯერ-არს მადლისა¹² მიცემაჲ ღმრთისა, რომელმან ყო ჩუენ შორის საკურველი ესე“. ხოლო წმიდაჲ შიო [17] მორჩილ ექმნა ბერსა და მოიღო ნაკურთხევი და დაიკრიბა ნებსა ზედა მარჯუენესა შიშუელსა¹³ და დაასხა საკუმეველი¹⁴ მას ზედა და აღუტევა საკუმეველმან¹⁵ სული სურნელი¹⁶ და იწყო მოკუმეველად და უკუმია მუნ მყოფთა. და ხილეს რაჲ ესე, დაუკარდა ყოველთა და აღიდებდეს ღმერთსა, რომელმან მოსცა მადლი ესეგითარი მოშინთა მისთა. და თქუა¹⁷ წმიდამან იოვანე: „რაჲსა დაგიკარდების, ძმანო, რამეთუ იცის ცეცხლმანცა რიდობაჲ ღმრთის¹⁸ მცნობელთაჲ, რამეთუ ამან ცეცხლმან იცნა¹⁹ სამნი ყრმანი ბაბილონს, რაჲჲს-იგი საკუმელსა შინა შესთხიენეს²⁰ ქალდეველთა²¹. ხოლო საკუმელსა მას შინა მდგომარეთა²² ცუარი ზეგარდამო ეცურეოდა. ხოლო გარემოს²³ მდგომარენი შეიწუფებოდეს და ყრმანი უვნებელად დაიცეებოდეს**, რამეთუ²⁴ წინამე ღმრთისა არარაჲ შეუძლებელ არს და მისი არს საკარველთ მოქმედებაჲ ესე“.

და მერმე მიხედნა წმიდამან იოვანე ისეს და პრქუა: „მამო მფლობელი, გვენებს, რაჲთა კურთხევაჲ მოვიღოთ შენგანცა, რომელი გუაქუნდეს საცხენებელად შენდა“. ხოლო იგი მორჩილ იყო და საესე სულითა წმიდითა და ვერ იკადრებდა ურჩებასა. აღდგა და აღიპყრნა გელნი და თუალნი ზეცად მიმართ და მყოფარი²⁵ ეამ

* მათე 14,29. ** დანიელ, თ. 3.

1 და—C. 2 მოათხოა C. 3 აღავსო C. 4 იგი—C. 5 ითხოა A. 6 ზე ზედა B. 7 ჯუარი] და ჯუარი BC. 8 და—BC. 9 ~ ზედა ქუეყანასა B, ქუეყანასა ზედა მყარსა C. 10 მყოფარი ABC. 11 +თუსთა B. 12 მადლის AB. 13 შიშულსა ABC. 14 საკუმელი C. 15 საკუმელმან C. 16 სულნელობისა B. 17 პრქუა B. 18 ღმრთის B. 19 იცნა A. 20 შესთხინა B. 21 ქალდეველთა+ხოლო საკუმელსა შინა შესთხიენეს ქალდეველთა C. 22 ქალდეველთა ხოლო საკუმელსა მას შინა მდგომარეთა] და მათ B. 23 გარემო B, გარემოს C. 24 რქუა რამეთუ B. 25 მყოფარი ABC.



C

2

ქართული

ბიბლიოთეკა

ღმერთსა ევედრებოდა. და მერმე მოდრკა და ქუეყანასა ცრემლითა დაალტობდა და პრქუა ბერსა: „ლოცვა-ყავ ჩემოვს, წმიდაო მამაო¹, და მცირედ შემომიდევ“. და მიჰმართა² წმიდამან ისე მღინარედ ქსნად.

- 5 ვითარცა მიიწიენეს წყალსა მას ზედა წმიდანი იგი მამანი, ნათელნი სოფლისანი, იწყოა წმიდამან ისე ლოცვად. და ზე აღიხილნა თუალნი გონებითურთ და ღმერთისა შეწევნასა მოუწოდდა, რამეთუ იგი ჰყოფს, რაჲცა ენებოს. და ევედრებოდა წმიდასა ღმერთისმზობელსა და იტყოდა ცრემლით: „მოვედ [ინ] ჩემ ზედა, წმიდაო დედოფალო, ძეწვენაჲ შენგან შობილისაჲ, რაჲთა წყალი ესე³ დაგუმორჩილოს. და ვითარ⁴ მყოვარ⁵ ეამ ილოცა და მერმე განყო კუერთხი, რომელი⁶ აქუნდა ჰელთა, და თქუა: „სახელითა უფლისა⁷ ჩუენისა იესუ ქრისტესითა გეტყვ შენ⁸, წყალო, შემოუდევ კუერთხსა ამას ჩემსა“. და მადლითა სულისა წმიდისაჲთა მყის
- 15 შეუდგა ღმერთშემოსილთა მათ მამათა. ხოლო ქუეყანაჲ იგი უქმი იყო⁹, დაღმრდებოდა, ვითარცა კუერთხი იგი მიეთრია და წყალი¹¹ უქუანა მივიდოდა¹². და ესრეთ მიიყვანა საყდარსა წმიდისა დედოფლისასა წილკანს სადიდებელად მამისა და¹³ ძისა და წმიდისა სულისა¹⁴.

- 20 იხილეს ესე ყოველთა მკვდრთა¹⁵ მცხეთისათა და გარემო¹⁶ სოფლებისათა და ყოველნი ადიდებდეს ღმერთსა.

- ეჲა დიდებული საკვრველი, რამეთუ კაცთა მიწისაგანთა¹⁷ წყალნიცა დაემორჩილებიან! ერთი პაერსა წარმოადგინებს მსახურად¹⁸ და¹⁹ მეორე ცეცხლისა ბუნებასა დაშრეტს და წარსდევნის მჭურვალებასა მისსა, სხუაჲ წყალსა²⁰ და მიწისა ბუნებასა დაიმორჩილებს. ამას ყოველსა ჰხედვიდეს²¹ და ღმერთსა ადიდებდეს ყოველით კერძოვე.

- ხოლო წარ-რაჲ-ვიდოდა წმიდა იოვანე, თანა-აღაჰყვეს მოწაფენიცა მისნი და დაუწუნეს მის წინაშე მცირედნი დღენი და მის
- 25 თანა იხარებდეს სულთა²².

- XIII. ხოლო რაჲმს ენება წარმოსლვაჲ მიერ, ნეტარი შიონ ევედრებოდა წმიდასა იოვანეს, რაჲთა უბრძანოს მას დაუყლებით ცხოვრებაჲ. ხოლო მან პრქუა: „მიგემაღლენ ღმერთისა მიერ სათხოველი შენი და მოგეცინ მოთმინებაჲ, რაჲთა აქა იწროებით ცხოვრებითა საუკუნესა მას ჰპაო განსუენებაჲ²³ და ფართოებით შეუბაჲ. არამედ წარვედ და მოაქსენე პირველად მამათმოავარსა და, უკუეთუ ბრძანოს შენი ესრეთ ცხოვრებაჲ, უწყოდ²⁴, რამეთუ²⁵ არს ნებაჲ ღმერთისაჲ, ვითარცა იტყვს აველე მოციქული²⁶: «ერჩ-

¹ ~ მამაო წო C. ² მიჰმართ B. ³ ~ ესე წყალი B. ⁴ ეამ BC. ⁵ მყოვარ ABC. ⁶ რომელი A. ⁷ უფლისა+ღმრთისა G. ⁸ შენ—B. ⁹ ~ იყო უქმი BC. ¹⁰ წყალი+იგი B. ¹¹ მოვიდოდა B. ¹² და—B. ¹³ სულთა+აწ B. ¹⁴ მკვდრთა—B. ¹⁵ გარემოჲ BC. ¹⁶ მყისაგანთა C, ~ მიწისაგანთა კაცთა B. ¹⁷ მსახურად—მისდა B. ¹⁸ და—BC. ¹⁹ წყალთა BC. ²⁰ ხედვიდეს A. ²¹ სულთა+ წმიდითა B. ²² რაჲთა აქა იწროებით ცხოვრებითა საუკუნესა მას ჰპაო განსუენებაჲ—B. ²³ უწყოდ B. ²⁴ რამეთუ—A. ²⁵ მოციქული+ვედ BC.

ქართული
ენის ინსტიტუტი

ზ

ღ

დით წინამძღუართა თქუენთა, რამეთუ იგინი¹ იღვძებენ² სულთა თქუენთათს³ *.

და ასწავებდა ბერი, რაათა გონებაჲცა ჯორცთავე თანა შე-
ყენოს და ყოველი ზრუნეაჲ ქუეყნიერი განაგდოს, ვითარცა მკუ-
5 დარმან, დაფლულმან და დაფარულმან, რამეთუ ესე არს კანონი
დაყუდებით ცხოვრებულთაჲ. ხოლო წმიდამან შიო მიიხუნა⁴ ბერი-
საგან მცნებანი, ანბორს-უყო ფერჯთა, და ტიროდეს ყოველნი იგი
ძმანი, ვითარცა უკუნაანასკნელისა ჯმნისათს, და პრქუა მათ: „ლოც-
ვა-ყავთ ჩემთს“. და წარმოვიდა⁵, და ვითარცა შევიდა⁶ კათო-
10 ლიკე ეკლესიად, თაყუანის-სცა წმიდასა სუეტსა და ცრემლით
ვევდრებოდა ღმერთსა, რაათა ღირს ყოს დაყუდებით მსახურებასა
მისსა.

და შევიდა წინაშე მამათ-მთავრისა. ხოლო მან სიხარულით
შეიწყნარა. და ვითარცა მოიკითხნეს, წმიდამან შიო წარმოუთხრა
15 ყოველივე და წადიერებაჲცა გულისა მისისაჲ.

ხოლო მან სულთ-ითქუნა და ტიროდა და ეტყოდა: „წარე-
მართე, მამაო, კეთილსა მაგას გზასა და ყავნ უფალმან⁷ მღვმე იგი
კიბედ, აღმყვანებელად შენდა ზეცად მიმართ, და ბნელი იგი—
მიმყვანებელ ნათელსა მას დაულამებელსა! და ჟამისა ამის⁸ [18]
20 ქირი გეყავნ საუკუნოდ განსასუენებელ⁹ და არა შენ ოდენ, არა-
მედ ყოველთა, რომელთა შემდგომად შენსა იღუაწონ ადგილსა
მას შინა! და¹⁰ დაუთმე ბრძოლასა ეშმაკთასა¹¹, რამეთუ მრავალ-ლო-
ნე არს ბრძოლაჲ მათი“.

ხოლო წმიდაჲ შიო ევედრებოდა და ეტყოდა: „ლოცვა-ყავ
25 ჩემთს უფლისა მიმართ, რაათა ნეშტნი ესე დღენი ჩემნი მომ-
მადლნეს ნებისაებრ მისისა“. და დაიწერა ჯუარი და წარვიდა და
შევიდა უდაბნოსა თსსა. და მოუწოდა ყოველთა ძმათა და პრქუა:
„მე ესერა აღვირჩიე დაყუდებით ცხოვრებაჲ ბრძანებითა ბერისაჲ-
თა და წმიდისა მამათ-მთავრისაჲთა; ხოლო თქუენ განეკრძალენით
30 საფრჯეთა¹² ეშმაკისათა¹³ და მოიგეთ უმეტეს¹⁴ ყოვლისა სიმდაბლე
და მორჩილებაჲ და სიმშუდე, რომელი უჩინო-ჰყოფს რისხვასა, და
სიყუარული, რომლისა მიერ ღმერთი მოიგების, და მარხვაჲ, რომე-
ლი წარიოტებს ბილწებასა, და ლოცვისა შინა სიწმიდე გონებისაჲ,
რომელი განაქარგებს ყოველსა ძალსა მტერისასა, და დაუცხრო-
35 მელი¹⁵ ტირილი, რომელი მოატყუებს სიხარულსა საუკუნოსა, და
მოიპოვეთ სიგლახაჲ, რაათა საუკუნოდ¹⁶ სიმდიდრე ჰპოოთ; მო-
იძულენით საქმენი სოფლისანი, იწურთიდით წერილთა, რაათა
მარადის ფრთხილ იყოს გონებაჲ თქუენი; იქმნენით წმიდა ჯორცი-
თა, რაათა სულითა წმიდა იქმნეთ და მხიარულნი შეხვდეთ ჯორ-

* ვ ბ რ ა ე ლ. 13,17.

¹ იგი B]—C. ² იღვძებს B. ³ მიიხუნა+რაჲ C. ⁴ წარმოვიდეს BC. ⁵ შევიდეს B.
⁶ +ღ-ნ B. ⁷ ამის—A. ⁸ განსასუენებლად B. ⁹ და—C. ¹⁰ ეშმაკისასა B. ¹¹ საბრჯეთა BC. ¹² ეშ-
მაკისა C. ¹³ უმეტესი C. ¹⁴ დაუბრძომელად BC. ¹⁵ საუკუნე B, საუკუნო C.



C

q.

წილსა უფლისასა; მიეგრდენით¹ მკერდსა უფლისასა, რაათა სიწმიდით ეზიარებოდით მას, და ნუ ჰგონებთ, თუმცა უჭირველად ცხოვრებდა საუკუნოა² ჰპოეთ³, რამეთუ⁴ პავლე იტყვს, ვითარმედ: «მრავლითა ჭირითა გვლის⁵ შესლვად სასუფეველსა ცათასა*».

5 და კვალად იტყვს: «მოთმინებითა თქუენითა მოიპოვნეთ სულნი თქუენნი»**.

«უწყოდეთ, ძმანო ჩემნო, რამეთუ აქა ესე ყოველი წარმავალ არს, ხოლო საუკუნოა წარუვალ. მითხართ-ლა⁶, საყუარელნო, უკუეთუ გუშინ⁷ ყოველთა განსუენებათა შინა⁸ ყოფილ იყოს კაცი 10 ესე⁹ და ხვალე არღარაა ჰქონდის და არცაღა სხუასა¹⁰ წალმართ¹¹ მოელოდის რას თუნიერ ჭირისა და ტანჯვისა, არა დიდი დაჭირვება არს მისა?»¹²

XIV. და შემდგომად მრავლისა სწავლისა¹³ ჰრქუა მათ: «გამოარჩიეთ ერთი, რომელიცა ილუწიდეს ცხოვრებასა თქუენსა, რამეთუ მე მეგულების დაჯდომაა მღვმესა ამას შინა, რომელი აღვაშენე დასაფლველად თავისა ჩემისა».

მაშინ შეწუხ[ვ]ნეს¹⁴ ძმანი იგი და ტიროდეს მწარედ, ხოლო იგი ნუგეშინის-სცემდა.

მაშინ ყოველთა ერთობით გამოარჩიეს ყოლად ქებული 20 ევაგრე. ხოლო მან მოუწოდა და ჰრქუა: «შვილო ჩემო, უფალი ჩუენი იტყვს: «რომელსა უნდეს თქუენ შორის დიდ ყოფაჲ, იყოს ყოველთა მონა»;*** და აწ ჯერ-არს შენდა, რაათა დიდებისა მომატყუებელი სიმდაბლე მიიღო». ხოლო წმიდა ევაგრე მშვდ იყო და მდაბალ გულითა და არა თავს-იდებდა მთავრობასა ძმათასა და 25 გონებისა უძლურებასა წინა დაუდებდა და ეტყოდა: «ვერ ვაგებ მსახურებასა ძმათასა». ჰრქუა მას ბერმან: «უკუეთუ მე¹⁵ დამემორჩილო¹⁶, მრავალი სასყიდელი მიიღო ღმრთისაგან¹⁷ და დიდებამ საუკუნოა დაიმკდრო, და უკუეთუ ურჩ მექმნე¹⁸, ურჩთა თანა დაისაჯო».

30 ხოლო მან თავუანის-სცა და ჰრქუა: «რადცა მიბრძანო, ვყო, მაშაო პატიოსანო». და წარემართა მსახურებასა ძმათასა.

XV. ხოლო წმიდა შიო, მკვდრი უდაბნოასაჲ და ყუავილი შუენიერი, ნერგი უკუდავებისაჲ, გამომღებელი ნაყოფსა კეთილსა გულითა მჭურვალითა მოლოდებისათს სასუფეველისა და განსუენე- 35 ბისათს საუკუნოასა და ცხოვრებისათს სამარადისოასა შთაქდა მღვმესა მას შინა.

ჰ ნეტარო და ყოვლად სანატრელო, ყოვლად მაღლით მოქსენებულო, ვითარ ვაქებდე¹⁹ სიმკნეთა შენთა და სიბრძნეთა,

* საქმე 14,22. ** ლუკა 21,19. *** მარკ. 10,44.

¹ მიეგრდენით BC. ² ~ სქნ ცხრბ B. ³ ჰპოეთ A. ⁴ რ—C. ⁵ გვმს A. ⁶ მითხართ-ლა C. ⁷ გუშინა B. ⁸ ~ შინა განსუენებათა B. ⁹ ესე—C. ¹⁰ სხუასა—BC. ¹¹ წალმა BC. ¹² არა დიდი დაჭირვება არს მისსა—AB. ¹³ სწავლისა—A. ¹⁴ შეწუხდეს BC ¹⁵ მე—BC. ¹⁶ დამემორჩილო C. ¹⁷ ღისა მიერ BC. ¹⁸ მექმნა C. ¹⁹ ვაქებდე BC.

რომელი ენა იტყოდის, რამეთუ უფროას ყოველთა ბრძენთა
 უბრძენს იქმენ¹. რამეთუ ნათლისა მის დაუსრულებელისათჳს წუთ-
 ჟამისა ესე² სიბნელე მოითმინე და განქარვებადისა წილ საწუ-
 როასა და განსუენებისა საუკუნოა დიდება და განსუენებამა მი-
 5 იღე, რამეთუ დანიელ უნებლიათ შთაავდეს მღვმესა მას³ შინა
 ლომთასა და ღმრთისაგან სამარადისოა პატივი მიიღო. ხოლო შენ
 ნუფსით თჳსით შთაჰქედ⁴ მღვმესა ბნელსა ბრძოლად უხილავისა
 მის მტერისა, რომელიცა დაეც და შეჰმუსრე⁵ ქუეშე ფერჯთა⁶ შენ-
 10 რბედი, რაათა ქუეყანასა მას⁷ მშჳდთასა იხარებდე.

ესე წმიდაა შიო ესრეთ იყოფებოდა, გორციოა იტანჯებოდა,
 ხოლო სულითა განათლდებოდა. ამისთჳსცა ბნელსა მას შინა
 მღვმესა ვითარცა ნათელსა და განსუენებასა შინა იშუებდა.

XVI. ხოლო მოძღუროსა მისისა იოვანესთჳს ვიტყოდით. ხო-
 15 ლო ნეტარი მამა ჩუენი იოვანე დაბერდა ქუაბსა მას შინა და
 აღასრულა სრბა თჳსი [19] მრავლითა ღუაწლითა. მოუძღურდა⁸
 და იწყო მოკლებად.

და მოუწოდა მოწაფეთა რომელთამე და თათას⁹, რომელი
 იყოფებოდა ქუეშე მთასა მას, და ელია¹⁰ დიაკონსა და პრქუა:
 20 „შვილნო, ჟამი აღსასრულისა ჩემისაა მოწევნულ არს და მივალ
 უფლისა ჩემისა¹¹ და ფრიად მეშინის ჰაერის-მცველთაგან, რამე-
 თუ საზარელ არიან, დააყენებენ სულსა, რაათა არა აღვიდეს¹²
 სასუფეველად. და ამას თქუენცა მოელოდეთ, შვილნო ჩემნო სა-
 ყუარელნო, და აწვე განაკრძალენით თაენი თქუენნი და ჩემთჳს¹³
 25 ილოცევედით¹⁴. და ვინმეა გჳჯსნა¹⁵ სხუამან¹⁶ ჳელთაგან მათთა¹⁷,
 გარნა ღმერთმან, რომელმან მოაელინა ძე თჳსი, უფალი ჩუენი
 იესუ ქრისტე, და მან განმათავისუფლნა სიკუდილისაგან და ყოვ-
 ლისა საეშმაკოასა ვნებისა, გარნა ივინი¹⁸ ოდენ, რომელნი მჭურ-
 ვალითა გულითა შეუდგენ და სიწმიდით ჰმსახურებდენ მას. და
 30 ამისთჳს გვედრებთ¹⁹, რაათა სიწმიდით და სამართლით ვიქ-
 ცეოდით²⁰“.

ხოლო ამცნო, რაათა გორცნი მისნი დასხნენ მასვე ადგილ-
 სა²¹ მწირობისა მისისასა. და მოიხუნა სიწმიდენი და აღიხილნა
 თუალნი და მხიარულითა პირითა ხედვიდა ვიეთმე ნუგეშინის-ცე-
 35 მად მისსა მოსრულთა. და მიაყვანნა თუალნი ვითარცა მეგობართა
 და განუტევა სული და შეჰვედრა უფალსა.

ხოლო კიბე იგი იაკობისი აქაცა იხილვებოდა და ანგელოზნი
 ღმრთისანი გარდამოვიდოდეს. ხოლო უფალი დამტკიცებულ იყო

¹ იქმენ A. ² ესე[საცე C. ³ მას—C. ⁴ ~ ნუბსით თჳსით შთაჰქედ შენ BC. ⁵ და შე-
 მუსრე—A. ⁶ ფერჯთა + ქუეშე A. ⁷ მას—BC. ⁸ მოუძღურდა]—A. და მოუძღურდა C. ⁹ თა-
 თასქ იეს C. თათს A. ¹⁰ ელიას BC. ¹¹ ჩნისა C. ¹² აღვიდენ AC. ¹³ ჩუენთჳსცა C. ჩმთსცა
 B. ¹⁴ ილოცევედი C. ¹⁵ გჳჯსნა BC. ¹⁶ სხუამან—B. ¹⁷ მისთა BC. ¹⁸ იგი B. ¹⁹ გვედრებთ C.
²⁰ იქცეოდით BC. ²¹ ~ ადგილსა მასვე B.



C

4

ქართული
ენის ინსტიტუტი

თავსა ზედა მის კიბისასა, რომელმან ჰრქუა მას¹: „მე ვარ ღმერთი აბრაჰამისი, მამისა შენისაჲ“²; აწ მოვედ ჩემდა, რათა განგისუენო შრომათა შენათჳს“. ესრეთ აღიდებს, ძმანო³, ღმერთი მადიდებელთა მისთა!

⁵ ხოლო მოწაფენი მისნი ტიროდეს განშორებისათჳს მათგან წმიდისა მამისა⁴.

ხოლო სიტყუაჲ ბერისაჲ უღებ-ყვეს, რამეთუ საწუნელ უნდა ადგილი იგი, სადა ეუწყა დასხმაჲ ჯორცთა მისთაჲ, რამეთუ მოვიდეს მღვდელი და დიაკონნი და სიმრავლე ერისაჲ და წარმოი-
¹⁰ ხუნეს ნაწილნი ბერისანი⁵, დასხნეს მონასტერსა თათაჲსსა, მოწაფისა მისისასა, და შექმნეს ლუსკუმაჲ პატროსანი და მუნ შინა დაჰკრძალნეს წმიდანი იგი ჯორცნი ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესნი.

ხოლო მოწაფენი იგი⁶ მისნი ტიროდეს და იტყოდეს: „კეთი-
¹⁵ ლო მამო, რაჲსათჳს დაგჯტევენ⁶ ჩუენ? ვის თანა-ლა ვიხილოთ სახე ანგელოზებრი, ანუ ვინ იყოს მკურნალი უძღურებასა [V] კაცთასა, ანუ ვინ აღმადგინებელი გონებითა დაცემულთაჲ და წამალი ეშმაკთა მიერ მოწყულთაჲ, ანუ ვინ რწყვიდეს ცრემლთა მიერ წმიდათა სოფლებსა⁸ ჩუენსა?“ და ესრეთ მტირალნი წარ-
²⁰ ვიდეს.

ხოლო წმიდამან იოვანე არა თავს-იდვა უღებ-ყოფაჲ სიტყუსა მისისაჲ, არამედ სადა-იგი მოეპოა დაყუდებით მადლი და რაჲთა ვიხილოთ და გურწმენეს⁹, ვითარმედ შემდგომად მიცვალებისაჲ ცხოველ არს და აქუს კადნიერებაჲ წინაშე ღმრთისა, ამისთჳსცა
²⁵ ინება ნაწილთა მისთა მუნვე დასხმაჲ. და იქმნეს¹⁰ ადგილსა მის, სადა იხსნეს ჯორცნი მისნი, სასტიკნი ძრვანი¹¹, და კაცნი მის ადგილისანი იგუემნეს¹². და მოეჯსენა მცნებაჲ იგი ბერისაჲ და გულისგმა-ყვეს, ვითარმედ მისთჳს არიან ძრვანი იგი. ამისთჳსცა¹³ აუწყეს მამათ-მთავარსა. ხოლო იგი განკარდა და წარვიდა მღვდელ-
³⁰ თა თანა და დიაკონთა და დიდითა პატრივითა აღიყვანეს ადგილსაჲ თჳსსა და მითვე ლუსკუმითა დაასუენნეს ნაწილნი მისნი. და შემდგომად მისსა¹⁴ აღაშენეს ეკლესიაჲ. ხოლო¹⁵ შემდგომად აღმოყვანებისა დასცხრა ძრვაჲ იგი. და სხუანიცა მრავალნი სასწაულნი იქმნნეს ნებითა¹⁶ ქრისტესითა და მადლითა წმიდისა იოვანესითა. რამეთუ მრავალნი სნეულნი, ღრეკილნი და ეშმაკულნი განიკურნნეს აღმოყვანებასა¹⁷ და ყოველნი, რომელნი ხედვიდეს, ღმერთსა აღიდებდეს. და უკუეთუ ოდენ¹⁸ [სარწმუნოებით მივიდეს]¹⁹, აწცა იქმნებთან მის მიერ კურნებანი.

* დაბად. 28,12-13.

¹ მას—C. ² ძმანო—B. ³ მამისასა A. ⁴ ბერისანი+და BC. ⁵ იგი—B. ⁶ დაგჯტევენ+აწ BC. ⁷ ჩუენ—BC. ⁸ სულსა B, სფლებსა AC. ⁹ გრწმენეს B. ¹⁰ იქნენ B. ¹¹ —ძრვანი სასტიკნი B C. ¹² გუემნეს B. ¹³ ამისთჳსცა B. ¹⁴ მისა B. ¹⁵ ბ—B. ¹⁶ ნებითა] ძალითა BC. ¹⁷ აღმოყვანებასა+მისსა BC. ¹⁸ ოდენ B. ¹⁹ მივიდეს +ვინ B.

C

4.

XVII. ხოლო შემდგომად მრავლისა ჯამისა წმიდამან კლე-
მენტოზ¹ კათალიკოზმან აღმოსავალით კერძო² ეკლესიისა სხუაჲ
ეკლესიაჲ აღაშენა სახელსა ზედა წმიდისა ნათლის-მცემელისასა
სადიდებულად³ სამებისა წმიდისა ერთ-არსებისა.

ხოლო ამის ნეტარისა იოვანეს მოწაფეთაგანმან⁴ აღაშენა
ალავერდი, რომლისაგან გამოვლენ დიდნი საკვრველებანი, ვიდრე
დღენდღვად დღედმდე⁵. და სხუამან ქუაბი იულოთისაჲ⁶ და სხუათა
აღაშენნეს კახეთს⁷ მონასტერნი. ხოლო დავით აღაშენა უდაბნოჲ
იგი⁸ გარესჯისაჲ⁹ და დაუუნა მრავალნი ეპისკოპოსი ვეშაპსა თანა. უკუა-
ნაასკნელ უბრძანა და¹⁰ მუნით განაიღონა¹¹ ბუდე იგი ეშმაკთაჲ.
და სხუანი მრავალნი სასწაულნი აღასრულნა. ხოლო ერთმან ზე-
ნა სოფელს¹² აღაშენა მონასტერი, [20] რომელსა შინა დედალი
ვერაჲა¹³ შევალს და ვერცა რაჲ მფრინველი იბუდებს¹⁴. ხოლო
ყოველთაჲ ვერ ძალ-გაკ¹⁵ მოკსენებაჲ. და წმიდაჲ ისე წილკანს
15 ებისკოპოს იქმნა და აქამომდე ჩანს სამარხოჲ მის ნეტარისაჲ.

XVIII. ხოლო ნეტარმან ამან მამამან ჩუენმან¹⁶ შიო მღვდელსა
მას¹⁷ შინა პოვა ზეცისა იგი მარგალიტი და მრავალნი სულნი შე-
წირნა ქრისტესა, რამეთუ ფრთად შეკრბინა¹⁸ მონაზონნი და მად-
ლითა მისითა აქამომდეცა საესე არიან ყოვლითა კეთილითა, სუ-
20 ლიერითა და ჰორციელითა, იშუებენ და ინარებენ სულითა და
ადიდებენ მამასა და¹⁹ ძესა და სულსა წმიდასა აჲ და მარადის
და უკუნითი უკუნისამდე, ამენ²⁰.

[27v] ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა²¹ მამისა
ჩუენისა ღვთისა ბარისჯუალისაჲ²²

გუაგურობენ, მამაო!²³

I. ხოლო ესე წმიდაჲ მამაჲ ჩუენი დავით წარვიდა ადგილთა უდაბნო-
თა და ურწყულთა სჯად თავისა თქმისა, რათათა წუთ ერთითა ქირითა მოი-
პოოს საუკუნოჲ იგი და წარტვალა შეებაჲ და განსუენებაჲ. ამისთვისა აღი-
ჩჩია აქა სჯაჲ გარეგან²⁴ უდაბნოთა შინა. ამისთვის ეწოდების უდაბნოსა [28]
28 მის გარესჯაჲ.

ხოლო ჰყვანდა²⁵ მის თანა ერთი მოწაფე²⁶, სახელით ლუკიანე. და ვითარ-
ცა მიიწიენეს უდაბნოსა მას ურწყულსა, მოეწყურა მათ ფრთად და პოვეს²⁷
მცირე წყალი შეკრებული წყმისაგან ნაბრალსა შინა კლდისასა და სუეს მის-
გან და დასხდეს განსუენებაჲ ჩრდილსა რასმე კლდისასა.

¹ ბელნაწერების ნუსხა: A: A-833; B: H-1336.

² კლემენტოზ BC. ³ კერძო B. ⁴ დაიდებულად C. ⁵ მოწაფეთაგანმან+ერთმან C. ⁶ დღენ-
დღე BC. ⁷ იულოთისა (იუალითისა?) C. ⁸ კახეთსა B. ⁹ იგი-BC. ¹⁰ გარესჯაჲ C. ¹¹ და-B.
¹² განაიღონა მუნით B. ¹³ ს-ულ AB. ¹⁴ ვერ-ა B. ¹⁵ დაიბუდებს B, დაიბუდებს C.
¹⁶ ძალ-ვიც C. ¹⁷ ჩუენმან-B. ¹⁸ მას-BC. ¹⁹ შეკრბინა A. ²⁰ და-B. ²¹ და მარადის და...
ამენ-B; უკუნითი უკუნისამდე, ამენ-A. ²² წმიდისა| ლიტოსა B. ²³ გარესეულისა B. ²⁴ მა-
მაო-A. ²⁵ გარე A. ²⁶ ჰყვა B. ²⁷ მოეწყეცა B. ²⁸ პოვე B.



C

ქართული

და ვითარცა სხდეს¹ იგინი მუნ, თქუა წმიდამან მამამან² ლუკიანე³ კეთით: „ცნაო ლუკიანე, დედგეთ ადგილსა ამას და ვევედრნეთ⁴ ლმერთსა⁵, რაათა მყუდროებით⁶ ვედრებითა და ცრემლთა დათხვევითა და მოთმინებითა მცირედითა მოგვტევენეს ლმერთმან აურაცხელნი ცოდვანი და ბრალნი ჩუენნი⁷ და მოგვანიჭენეს საშუებელნი და განსუენებანი სასუფეველისა⁸ მის ცათაჲსანი, რამეთუ ქირი აქა მცირე არს და წარმავალ, ხოლო დიდებაჲ იგი მუნ მოუკლებელ არს და წარუვალ და დიდებაჲ⁹ საუკუნოჲ. ამისთჳსცა ჯერ-არს აქა მოთმინებაჲ“.

მიუგო ლუკიანე და ჰრქუა: „ღმერთ-შემოსილო მამაო, ქენმართად ეგრეთ არს და¹⁰ ბრძანებისაებრ შენისა და მიეგებვიან¹¹ კაცად-კაცადსა კეთილნი საქმეთა მათთაებრ¹² და შრომათა. გარნა ვხედავ ფრიადსა იწროებასა და სიფიცხლესა ამის უდაბნოჲსასა, რამეთუ უმოგვარ¹³ არს ყოვლისაგან საქმრისა, საზრდელისა და წყლისა; და ჩუენ კაცნი ვართ მყოფნი ჳორცთა უძლურებასა შინა და ვითარ თავს-ვისხნეთ ქირნი და განსაცდელნი ამის უდაბნოჲსანი?“

ხოლო წმიდამან მამამან დავით მიუგო და ჰრქუა: „მამო ლუკიანე, რომელმან-იგი უდაბნოს გამოზარდა ერი იგი ისრაჲლთაჲ და კლდისაგან მყარისა წყალი¹⁴ აღმოუცენა¹⁵ და მწყერ-მარტილი უწყმა შორის ბანაკისა მათისა, და ელთა ყორნისა მიერ გამოზარდა და წმიდასა ანტონის და სხუათაცა მათა წმიდათა¹⁶, რომელნი დამკვდრებულ იყვნეს მათა და უდაბნოთა შინა და მისცა მათ საზრდელი, იგივე ლმერთი და აწცა შემძლებელ არს მოცემად ჩუენდა საზრდელსა ნუგეშინის-საცემელად ჳორცთა ჩუენთა უძლურებისა. აწ მვნე იყავ, ცნაო ლუკიანე, და ნუ გეშინინ, რამეთუ მოწყალე არს ლმერთი და არა მოგუაგებს ცოდვითა [V] ჩუენთაებრ, არამედ სიტკბობით ზრდის ყოველთა მოშინთა მისთა“.

ამათ სიტყუათა მიერ განმტკიცნა ლუკიანე და ჰრქუა: „ვითარცა ჰბრძანო, წმიდაო მამაო, ეგრეთ¹⁷ ვყოთ ყოველივე“. და მიმოვლეს იმიერ და ამიერ და პოვეს¹⁸ პარეხი რაჲმე კლდისაჲ, რომელსა ქუეშე დაივანეს. და რაჲმს დანსცხის ანუ იყვის წჳმამ, პარეხსა მას ქუეშე განისუენიან. ხოლო საზრდელი მოირეწიან ძირთაგან რათმე მდელთა. რამეთუ იყო ესმი გაზაფხულისაჲ და უხუებით პოვიან¹⁹ ნუგეშინის-საცემელი ჳორცთაჲ. და ესრეთ მოირეწდეს საზრდელსა და აღიდებდეს ლმერთსა, მომცემელსა ყოველთა კეთილთასა.

და ვითარცა გარდადდეს დღენი რაოდენნიმე, დაბერდეს მდელონი იგი და განჭმეს სიტხისაგან და მოაკლდა ნუგეშინის-საცემელი იგი მათი. და შეწუხნა ლუკიანე და ჰრქუა წმიდასა დავითს: „წმიდაო²⁰ მამაო, აწ²¹ რაჲ-და იყოს ნუგეშინის-საცემელად²² უძლურებასა ჳორცთა ჩუენთასა, რამეთუ განჭმეს მდელონი ესე, რომლისაგაჲ იქმნებოდა სასოებაჲ ჳორცთა ჩუენთა განსუენებისაჲ“.

¹ დასხდეს A. ² ევედრებოდით A. ³ ლმერთსა] თ-ლსა A. ⁴ მყუდროებით A. ⁵ სასუფეველისა A. ⁶ დიდებასა A. ⁷ და-B. ⁸ მიეგებვიან A. ⁹ მათთაებრ A. ¹⁰ უკუარ AB. ¹¹ წყალი-B. ¹² აღმოუცენა B. ¹³ ~ წმიდათა მამათა A. ¹⁴ ვგრეცა A. ¹⁵ პოვეს AB. ¹⁶ პოვიან AB. ¹⁷ წ-თ-B. ¹⁸ აწ-A. ¹⁹-საცემელად B.

C

მიუგო წმიდამან დავით და ჰრქუა: „ძმაო ლუკიანე, ნუ დაგიც სასოებაჲ მდღლოთა მიმართ და მცენარეთა ქუეყანისათა. და ვითარ არა უწყვი, რამეთუ ყოველნი ნივთნი ქუეყნიერნი ცვალება[დ] და წარმავალ არიან? და არა გას-
მია წმიდათა წერილთაგან, ვითარმედ: «მომინებთია თქუენითა მოიპოვნეთ
სულნი თქუენნი?»*. ხოლო შენ მსწრაფელ სულმოკლე ქმნილ ხარ და არა უწყ- 5
ყია, უკუეთუ მოვწყდეთ¹ შიმშილითა გინა წყურილითა ქრისტეს მცნებათათჳს,
ცხოველ ვართ წინაშე ღმრთისა უკუნისამდე? და შენ ფრიალ შფოთ ხარ და
განილვევი განიბრწნადთა ჭამადთათჳს“.

ვითარ-იგი² ამას ეტყოდა, მეყსეულად მოვიდეს სამნი ირემნი, რომელთა
უკუანა სდევდეს ნუკრნი მათნი და წარმოუდგეს³ წინაშე მათსა ვითარცა 10
ცხოვარნი დამშვდებულნი. და ჰრქუა მამამან დავით: „ლუკიანე⁴, ძმაო, მი
იღე⁵ პინაკი და მოწუელენ ირემნი ისი“. ხოლო იგი აღდგა და მოწუელნა
და ვითარცა აღავსო პინაკი, მოილო წინაშე ბერისა. ხოლო [29] მან დასწყე-
რა ჯუარი და შეიქმნა ხაჭოდ⁶, და ჭამეს და განძლეს და აღიდებდეს ღმერთ-
სა. და ჰრქუა ლუკიანე წმიდასა დავითს: „მამაო წმიდაო, საკრველ არს 15
ღმერთი შორის წმიდათა მისთა? და აწ განმტკიცნა გული ჩემი და მხიარულ
არს სული⁷ ჩემი და ამიერითგან, უკუეთუ განიბრწნენ კორციი ჩემნი და გა-
ნილიენენ შიმშილითა და წყურილითა, ყოლად არა რასვე⁸ ვზრუნვიდე მო-
კუდავთა ამათ¹⁰ კორცთათჳს და ამაოჲსა საწუთოჲსათჳს“. და წმიდამან და-
ვით ჰრქუა: „კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან განამტკიცა გული შენი და 20
კურთხეულ არს სახელი წმიდაჲ დიდებისა მისისაჲ უკუნისამდე“.

და მიერითგან მივიდიან ირემნი ყოველთა დღეთა, თუნიერ ოთხშაბათ-
პარასკევისა და თანა-ჰყვიან მათ ნუკრნი მათნი და ესრეთ იშუებდეს კორცი-
თა¹¹ და იხარებდეს სულითა.

11. ხოლო ქუემო კერძო პარებისა მის, რომელსა შინა იყოფებოდეს 25
წმიდანი იგი, იყო სხუაჲ პარები, რომელსა შინა იყოფებოდა ვეშაპი დიდი
და საზარელი, რომელსა ესხნეს თუალნი სისხლის ფერნი და რქაჲ იყო შუბლ-
სა და ფაჩარი¹² ფრიალ ქედსა მისსა.

ხოლო დღესა ერთსა წარმოვლეს ირემთა მათ¹³ კარი¹⁴ მის პარებისაჲ¹⁵,
და მიეტევა მათ ვეშაპი იგი და შეიპყრა ნუკრი ერთი და შთანთქა იგი. და 30
ირემნი იგი მიივლტოდეს ბერისა შეშინებულნი¹⁶ და ძრწოდეს. და¹⁷ იხილნა
რაჲ იგინი¹⁸ ლუკიანე ძრწოლარენი, ჰრქუა წმიდასა დავითს: „მამაო წმი-
დაო, ირემნი ესე მოვიდეს მეოტნი და საშინელად ძრწიან და არა ჰყავს მათ
თანა ნუკრი ერთი. ხოლო იგი გამოვიდა და ტელთა აქუნდა კუერთხი.
და ვითარცა ჩავლო ადგილი იგი, რომელ ამოველო¹⁹ ირემთა მათ, იხილა 35
ვეშაპი იგი და ჰრქუა: „ბოროტო ვეშაპო²⁰, რაო ზაენებელ ექმენ ირემთა
ჩუენთა, რომელნი მომცნა ღმერთმან ნუგეშინის-საცემელად²¹ უძლურებასა²²
კორცთა ჩუენთასა? აწ გამოვედ ადგილით მიგით და წარვედ შორთა უდაბნო-

* ლუკა 21,19.

¹ ამოსწყდეთ B. ² და ვითარ-იგი A] და იგი B. ³ წარმოდგეს B. ⁴ ლუკიანეს B.
⁵ ~ მიიღე ძმაო B. ⁶ ხაჭო B. ⁷ ~ წმიდათა შორის მისთა B. ⁸ სული] გული A. ⁹ არას-
ვე A. ¹⁰ ამათ—A. ¹¹ კორცთა B. ¹² ფაჩარი] კარი B. ¹³ ~ ირემთა მათ წარმოვლეს B.
¹⁴ კარსა B. ¹⁵ პარებისასა B. ¹⁶ შეშინებულნი] და შეშინებულნი B. ¹⁷ და—B. ¹⁸ იგი A.
¹⁹ ამოველა A. ²⁰ ვეშაპო A. ²¹ ნუგეშინის-ცემელად B. ²² უძლურებისა B.



თა, და უკუეთუ არა ისმინო ჩემი, ძალითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა ჩემითა ამით კუერთხითა მუცელი შენი განვხებთჲო და საქმელ მატლთა გყო [v] შენ“.

ხოლო იგი ვმობდა: „ნუ მრისხავ, მონაო ღმრთისა მღლისაო, და უკუეთუ გნებაჲს გამოსლვაჲ ჩემი ამიერ, აღმოწყევ თავადმდე ამის მთისა და თავს-მდებ მექმენ, რაათა არა მიაქცივენ თულნი შენნი ჩემგან, ვიდრე არა შთავიდე წყალსა მას, რომელი დის სამხრით კერძო მთისა ამის, რამეთუ შეშინის მე მების-ტეხისაგან და მით ვერ გამოვალ მე“.

ხოლო წმიდამან და ვით აღუთქუა ყოფად, და გამოვიდა ვეშაპი იგი.¹ და წმიდაჲ და ვით წინა-უძლოდა და იტყოდა ფსალმუნსა: «რომელი დამკვდრებულ არს შეწვენითა² მღლისაათა საფარველსა ღმრთისასა, ზეცას განისუენოს»³. ხოლო სლვასა მას ვეშაპისასა⁴ ლონდი იგი მის ადგილისანი ირყეოდეს; და იხილა რაჲ ესე ლუკიანე, შეეშინა და დაეცა პირსა ზედა და იღვა ვითარცა მკუდარი.

15 და წმიდაჲ და ვით აღჰყვა თავადმდე მთისა მის და იწყო ვეშაპმან⁵ უმაღლესად-რე⁶ სლვაჲ. და ვითარცა⁷ განვიდა მინდორსა⁸ უდაბნოასასა, მართ⁹ მივიდოდა და თულნი მამისა დავითისნი¹⁰ მის კერძო იყვნეს.

ხოლო ანგელოზმან უფლისამან ვმა-ყო¹⁰ უკუენა კერძო მისსა და ჰრქუა: „და ვით, და ვით“ და მან მიიხილა გარე. და მიხედვასა მას მისსა ვეშაპსა მას²⁰ ეცა მეხი და დაიწუა იგი სრულიად. მაშინ ვითარცა იხილა ესე წმიდამან და ვით, შეწუხნა ფრიად და თქუა: „უფალო, მეუფეო დიდებისაო, რად მოჰქალ ვეშაპი ისი, რამეთუ სასოებით მინდობილ იყო იგი ჩემდა, ხოლო შენ სასტიკად წარსწყმიდე იგი?“

მაშინ ჰრქუა მას ანგელოზმან ღმრთისამან: „რაჲსა მწუხარე ხარ, სათ-
 25 ნო¹¹ უფლისა¹² ჩუენისა იესუ ქრისტესო? რამეთუ უკუეთუმცა შთასრულ იყო ვეშაპი ისი წყალთა შინა, მიერ წარვიდოდა ზღუათა შინა და მას შინა თევზთა ქამითა განდიდნებოდა¹³ ფრიად და მრავალთა ნავთა დააქცივდა ზღუათა შინა და მრავალთა სულთა წარსწყმედდა წყალთა შინა. და ნუ მწუხარე ხარ მისთჲს, რამეთუ ესრეთ სათნო-იჩინა უფალმან. არამედ შენ წარ-
 30 ვედ ქუაბად შენდა, რამეთუ მოწაფე შენი ლუკიანე დაცემული¹⁴ მდებარე არს პირსა ზედა შიშისაგან ვეშაპისა. ხოლო შენ¹⁵ უპყარ ჰელი და აღადგინე და განაძლიერე და განამტკიცე იგი და ორნივე [30] ზოგად აღიდებდით ღმერთსა, რომელმან განგათავისუფლნა შიშისაგან საძაგელისა მის ვეშაპისა“.

და სიტყუასა¹⁶ მას ზედა ანგელოზისასა გარდამოვიდა მიერ მითთ და
 35 პოვა¹⁷ ლუკიანე შეშინებული და¹⁸ შეძრწუნებული¹⁹ მდებარე მიწასა ზედა. და უპყარა ჰელი და აღადგინა და ჰრქუა: „ძმაო ლუკიანე, რაჲსა²⁰ შეშინდი ერთისაგან ქიისა, რომელი წამსა შინა ერთსა განლია ღმერთმან ცეცხლისა მიერ? აწ ნუ გეშინინ, რამეთუ ძლიერებაჲ ღმრთისაჲ ჩუენ თანა არს და მად-

* ფსალმ. 90.1.

¹ იგი—B. ² შეწვენითა] სუფევითა B. ³ ვეშაპისა მის B. ⁴ ვეშაპმან+მან B. ⁵ უმაღლესად რე B. ⁶ ვითარცა—B. ⁷ მინდორსა+მას B. ⁸ მართ[რომლისა მართ B. ⁹ დავითისანი B. ¹⁰ ვმა უყო A. ¹¹ სათნო B. ¹² უფლისა] ღმრთისა B. ¹³ განდიდნებოდა B. ¹⁴ დაცემული B. ¹⁵ შენ—B. ¹⁶ სიტყუასა B. ¹⁷ პოა A. ¹⁸ და—B. ¹⁹ შეძრწუნებული+და B. ²⁰ რაჲსა AB.

C

ქართული
ლიტერატურის

ლი ღმრთისაჲ ჰფარავს ყოველთა მოწიშთა მისთა¹. ხოლო იგი განმხიარულ-
და სიტყუათა ამთა² ზედა ბერისათა და მადლობაჲ შეწირა უფლისა.

III. და შემდგომად ამისა³ წარ-რა-ა-გედეს⁴ დღენი რაოდენნიმე, მოვიდეს
მუნ კაცნი ვინმე მონადირენი კერძოთაგან კახეთისათა⁵, რამეთუ უდაბნოთა
მათ ვიდრე აქამომდეცა ფრიად არს ნადირი, ირემი და გარეთხაჲ და სხუ-
თა ნადირთა⁶ თუთო-სახეთა ურიცხვებაჲ მრავალი⁷. და ვითარცა მოვიდეს
მონადირენი იგი, იმსტრავიდეს იმიერ⁸ და ამიერ. და იხილნეს ირემნი იგი
ბერისანი შემავალნი⁹ პარებსა მას კლდისასა და მსწრაფლ¹⁰ შეუდგეს უკუანა
მონადირენი იგი, რაჲთამცა შეაწყუდივნეს იგინი¹¹ პარებსა მას კლდისასა.
და ვითარცა მიიწივნეს ქუაბად ბერისა, იხილნეს ირემნი მდგომარენი და 10
წმიდაჲ ლუკიანე წუფელდა ირემთა მათ. და ვითარცა იხილეს კაცთა მათ, ხა-
რი განჰჭდა და მირბოდეს¹² და შეუ[ვ]რდეს ფერტთა წმიდისა ბერისათა¹³
და ეტყოდეს: „ვითარ არს ესე, წმიდაო მამაო, რომელ ირემნი ესე, ნადირნი
ველისანი¹⁴, ესრეთ დამშვდებულ არიან, რომელ უმშვდეს არიან ცხოვართა
ეხოთა შინა სახლისათა აღზრდილთა!¹⁵“ 15

ხოლო იგი ეტყოდა: „რად განკრვებულ ხართ დიდებულებათა ზედა
ღმრთისათა¹⁶, არა გესმია, ვითარ-იგი დანიელ ლომნი დაამშვდნა¹⁷ და სამნი
ყრმანი ცეცხლისაგან უვნებელად¹⁸ დაიცვა? და აწ ირემთაჲ რაჲ საკრველე-
ბაჲ არს!? ხოლო თქუნ¹⁹ წარვედით²⁰ და სხუაჲ ნადირი ინადირეთ, რამეთუ
ესენი უფალსა უძლურებისა ჩუენისათჳს²¹ უბოძებიან.“ 20

ხოლო იგინი იტყოდეს: „დიდ არს დიდებაჲ უფლისაჲ, გარნა ჩუენცა
ღირს[ვ] მყვენ ზიარებად სიწმიდისა თქუენისა, წმიდაო მამაო“. აღუჩნუ²² მათ
გული მათი²³, ტიროდეს და იტყოდეს: „არღარა მივიქცეთ²⁴ ჩუენ სახლად
ჩუენდა, არამედ დავადგრეთ აქა შენ თანა და არღარა დაგიტეოთ შენ ამი-
ერთიგან“. ხოლო იგი ეტყოდა: „შვილნო და ძმანო, ადგილი ესე საპირო 25
არს და ცნელოვან, არამედ წარვედით საყოფელად²⁵ თქუნდა“.

და ძლით სადამე²⁶ დაარწმუნა წარსლვაჲ მათი. და ვითარცა ინადირეს,
წარვიდეს და განთქუეს ჰანბავი მისი ყოველსა მას ქუეყანასა. და ყოვლით
კერძო მორბოდეს²⁷ წინაშე წმიდისა დავითისსა და ევედრებოდეს, რაჲთა
ღირს ყვნეს ყოფად იგინი წინაშე მისსა²⁸. ხოლო ზან მიუგო და ჰრქუა: „ძმა-
ნო, ადგილი ესე საპირო არს და არარაჲ ნუგეშინის-საცემელი²⁹ გორცთაჲ
იბოების ადგილთა ამთა“. და იგინი ევედრებოდეს და ეტყოდეს: „ნუ განგუ-
ტეობ, წმიდაო მამაო, და უკუეთუ იქმნეს სიკუდილი ჩუენი შენ წინაშე,
არავე გუჩნდეს სიკუდილად“. და ვითარ ვერ დაარწმუნა³⁰, ჰრქუა მათ: „ვი-
ნათგან დაგიც ღმრთისა მიმართ სასოებაჲ, წარვედით და მოიხუენით სა- 35

¹ ამათ—A. ² ამისსა AB. ³ წარკედეს B. ⁴ კახეთისა B. ⁵ ნადირთა—B. ⁶ მრავალ B.
⁷ იმერ A. ⁸ შემავალად B. ⁹ მსწრაფლ A. ¹⁰ იგინი] გ'ნ B. ¹¹ მირბოდეს B. ¹² ბერისათა]
დავითისთა B. ¹³ ველისანი] იწუშლებიან B. ¹⁴ აღზრდილთა B, ~ აღზრდილთა სახლისათა A.
¹⁵ ღმრთისათა] სელისათა B. ¹⁶ დამშვდებულნი B. ¹⁷ უვნებელად B. ¹⁸ თქუნ[ა]ქათ B. ¹⁹ წა-
ვედით B. ²⁰ ჩემისათჳს B. ²¹ აღუჩნუ A. აღუჩა B. ²² მათი—B. ²³ არღა ვიქცეთ B. ²⁴ სა-
ყოფელად] სახლად A, საყოფლად B. ²⁵ სადამე B. ²⁶ მორბოდეს B. ²⁷ ~ წინაშე მისსა იგი-
ნი B. ²⁸ ნუგეშინის-ცემა B. ²⁹ დაარწმუნეს A.



თხარნი და თხარნით ლაქუანი საწყლენი და ქუაბიკა¹ საყოფელად თქუენდა“.

ხოლო იგინი² ერჩდეს და ყვეს ბრძანებისაებრ მისისა. და ვითარცა განმრავლდეს ძმანი და ესმა ჰამზავი³ მისი წმიდასა და ღირსსა მამასა⁴ დოდოს, მოვიდა იგიცა წინაშე მამისა დავითისსა და მოიკითხნეს ურთიერთას. და ვითარცა წარტდეს მცირედნი დღენი, შემოკრიბა⁵ სიმრავლე⁶ სხუათაცა ძმათაჲ და ჰრქუა დავით მამასა დოდოს: „წარვედ, ძმაო, რქასა ამის⁷ კლდისასა, რომელ არს პირისპირ ჩუენსა, და წარიტანენ თანა სხუანიცა ძმანი, რამეთუ წადიერ არიან, რაჲთა გარე ისჯებოდინ გორცითა სულთა⁸ მათთა ცხორებისათჲს“. და ერჩდა ბრძანებასა მისსა წმიდაჲ დოდო და წარვიდა და აღაშენა უდაბნოჲ იგი⁹ სახელსა ზედა ყოლად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთის-მშობელისასა⁹ და¹⁰ სადიდებელად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა და დღითი-დღე შეეძინებოდა სიმრავლე ძმათაჲ და ყოველნი ზოგად ადიდებდეს ღმერთსა.

15 IV. ხოლო წმიდაჲ მამაჲ დავით დღითი-დღე განვიდის პარებთა¹¹ კლდეთასა [31] და პარტოჲ მყუდროებით აღასრულებდა წმიდათა ლოცვათა, და ოფლთა¹² და ცრემლთა ნაკადულითა რწყვიდა უდაბნოთა მათ. და დღესა ერთსა ესრეთ რაჲ ილოცვიდა იგი, მოვიდა ბარბაროზი ვინმე ნათესავით ადგილთაჲგან რუჲსთავისათა და ინადირობდა ნადირთა. და მიუტევა ქორი¹³ კაკაბსა მახლობელად ადგილსა მას, სადა ილოცვიდა წმიდაჲ დავით. და კაკაბიკა¹⁴ იგი მიივლტოდა ბერისა. და დაჯდა იგი ფერჭთა თანა მისთა, ხოლო ქორი მახლობელად მისა¹⁴. და ესე იქმნა განგებითა ღმრთისაჲთა, რაჲთა მონადირე იგი მონადიროს მოწყალეებითა თჲსითა. ხოლო ბარბაროზი იგი მიისწრაფდა, რაჲთა მოულოს კაკაბი ქორსა¹⁵ მას. და ვითარცა იხილა წმი-

25 დაჲ იგი მდგომარე ლოცვასა შინა და კაკაბი იგი ფერჭთა წმიდისა მის¹⁶ თანა მჯდომარე, დაუკრდა ბარბაროზსა მას და ჰრქუა: „ვინაჲ ხარ შენი?“ მიუგო მან სომხურითა ენითა: „მე კაცი ვარ ცოდვილი, მონაჲ უშულისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, და ვევედრები მოწყალეებათა მისთა, რაჲთა მომიტევენეს ყოველნი ცოდვანი ჩემნი და რაჲთა მყუდროებით და უშფოთველად¹⁷ განვლო წუთი ესე ცხორებაჲ ჩემი“. და კუალად¹⁷ ჰრქუა: „ვინაჲ არს აქა მზრდელი და¹⁸ ნუგეშინის-მცემელი შენი?“ და მიუგო მან და¹⁹ ჰრქუა: „რომელსა-იგი მე ვესაჲ და თაყუანის-ვსცემ, იგი არს მზრდელი და ნუგეშინის-მცემელი ყოველთა შექმნულთა და დაბადებულთა მისთაჲ და მის მიერ იხარდებიან ყოველნი კაცი და ყოველნი პირუტყუნი და ყოველნი მცენარენი,²⁰ მფრინველნი ცისანი და თევზნი ზღუსანი, და აჰა ესერა კაკაბიკა ესე ლტოლვილი შიშისაგან²⁰ ქორისა²¹ შენისა მოივლტის ჩემ ცოდვილისა მონისა ქრისტესისა, ხოლო შენ წარვედ და სხუაჲ ნადირი ინადირე, რამეთუ ესე დღეს ჩემდა შემოხუეწილ არს, რაჲთა განერეს სიკუდილისაგან“. მიუგო ბარბაროზ-

¹ ქუაბნი B. ² იგი B. ³ ჰამზავი A. ⁴ მამასა—B. ⁵ შემოკრიბებულნი B. ⁶ სიმრავლე] ვლე B. ⁷ ამისისის B. ⁸ იგი—B. ⁹ მშობელისა B. ¹⁰ და—A. ¹¹ პარებსა B. ¹² და ოფლთა] მათთა B. ¹³ კაკაბი B. ¹⁴ მახლობელად] მალდდ მისსა B. ¹⁵ ქორსა]ცხორსა B. ¹⁶ წმიდისა მის—A. ¹⁷ კუალად—B. ¹⁸ დმ]ანუ B. ¹⁹ და—B. ²⁰ შიშისაგან—A. ²¹ ქორისაგან A.

C

ქართული
სიბრძნის

მან მან¹ და ჰრქუა: „მე მოკუდინებამ შენი მნებაეს და შენ ვითარ² განარინო კაკაბი სიკუდილისაგან?“

ხოლო წმიდამან დავით ჰრქუა: „არა ველ-გეწიფების სიკუდილი ჩემი და არცა კაკბისა³ ამის⁴, რამეთუ უფალი⁵ ჩემი ჩემ თანა არს და იგი არს გელის-ამბყრობელი [v] ჩემი.“

და სიტყუასა მას ზედა ბერისასა ბარბაროზმან მან მჯდომარემან ჰუნესა⁶ ზედა იწუადა ჳრმალი, რაათა სცეს ზედა წმიდისა დავითისსა. და ვითარცა აღილო პელი, მეყსეულად შეჰჳმა იგი და იქნა⁷ ვითარცა შეზა. მაშინ გულისჳმა-ყო ბარბაროზმან მან უკეთღრება თჳსი⁸ და გარდაჰჳდა ჰუნესა⁹ და დავარდა ფერტთა თანა ბერისათა და ცრემლით ევედრებოდა, რაათა მიუტეოს ცთომილებამ¹⁰ იგი მისი.

მაშინ შეწყალა იგი წმიდასა დავითს და ევედრებოდა¹¹ უფალსა და თქუა: „უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, რომელი მოხუდ¹² ცხოვრებად ნათესავისა კაცთაჲსა, სახიერო და მოწყალეო, რომელმან განჰჳურნე გელი იგი განჰმელი, შენვე მეუფეო, რომელმან-ესე იკადრა აღებად გელი უღირს-სა¹³ ზედა მონასა შენსა, მოვედინ აწცა მადლი და წყალობამ შენი და განკურნე გელი ესე¹⁴ განჰმელი ბარბაროზისა¹⁵, რაათა გულისჳმა-ყოს და გიცნას შენ და აღიდებდეს სახელსა შენსა¹⁶.“

და მიყო გელი მისი წმიდაჲ და შეახო რაჲ, მეყსეულად განიკურნა შეწყვენითა ღმრთისაჲთა. და ვითარცა¹⁷ იხილა დიდებულება ღმრთისაჲ, კუა-²⁰ ლად იწყო ვედრება[ჲ] მისსა ცრემლითა მჳურვალითა და ეტყოდა წმიდასა დავითს: „მონაო ღმრთისა ცხოველისაო, არს სახლსა შინა ჩემსა ძე ჩემი კოჭლი ორითავე ფერტითა, რომელი ყოლად ვერ შემცლებელ არს¹⁸ ზე აღდგომად და აწ ვესავ სიწმიდესა¹⁹ თქუენსა, რაათა ევედრო უფალსა შენსა მისთჳს და უკუეთუ განიკურნოს იგი, უმეტეს იდიდოს სახიერება მისი და²⁵ ყრმაჲ იგი მოვიყვანო წინაშე სიწმიდისა თქუენისა, რაათა იკურთხოს იგი თქუენ მიერ, და მე და ყოველთა სახლეულთა ჩემთა თაყუანის-ვსცეთ სახელსა ქრისტეს ღმრთისასა და მოვილო წინაშე თქუენსა ფრიალი საჳპარი და ნაყოფთაგან სახლისა ჩემისათა იმუებდე შენ და ყოველი შენთანანი“. მიუგო წმიდამან დავით და ჰრქუა: „წარავებ და სახედ შენდა და, უკუეთუ ენებოს ღმრთ-³⁰ სა, ჰპოო ძე შენი განკურნებული“.

ხოლო იგი წარვიდა განხიარულებული სახედ თჳსად, რამეთუ ნადირიცა დრად ენადირა. ხოლო ვითარცა მიიწია იგი სახიდ²⁰ თჳსად, ეჰა დიდებულებათა შენთა, ქრისტე! რამეთუ ყრმაჲ იგი კოჭლი, ბლუნვით მავალი, სიხარულით წინა მიგებეოდა მიწასა მას თჳსსა. და ვითარცა იხილა იგი მამა-³⁵ მან მისმან მრთელი და ყოველითურთ უნაკლულოჲ, გარდაჰჳდა* [176] ჰუნესა და მიდღობამ შეწირა ღმრთისა. და ვითარცა შევიდა ტაძართა თჳსთა, ჰკითხა

* ამაზე წყდება ეს ხელნაწერი.

¹ მან—A. ² ვითარ] ეგრ B. ³ კაკაბისა B. ⁴ ამისთჳს B. ⁵ უფალი] ღმერთი A. ⁶ ჰუნესა B. ⁷ იქნა+ იგი A. ⁸ თჳსი] მისი B. ⁹ ჰუნესა] ღონესა B. ¹⁰ ცთომილობამ B. ¹¹ ევედრა B. ¹² მოხუდ B. ¹³ უღირსსა—A. ¹⁴ ესე] იგი A. ¹⁵ ბარბაროზისა—A. ¹⁶ რაათა გულისჳმა-ყოს... სახელსა შენსა—A; სახელსა შენსა] ღმრთეებასა შენსა B. ¹⁷ და ვითარცა—A. ¹⁸ არს—B. ¹⁹ სი წმიდესა] წმიდასა ლოცვასა B. ²⁰ სახედ A



Ⴀ

მეუღლესა და სახლეულთა: „რომელსა ეამსა განიკურნა ყრმაჲ ესე?“ მიუგეს მას და ჰრქუეს: „ღღეს მესამესა ეამსა აღდგა ეგე და ხლდომით² ვიდოდა ვითარცა ქურციკი“. ხოლო მოეცნენა მას, რამეთუ მას ეამსა ჰრქუა მას ბერმან, ვითარმედ: „ენებოს ღმერთსა, განიკურნოს ყრმაჲ იგი შენი“. და ყოველივე,
 5 რაჲცა ექმნა და ეთხრა მისდა წმიდასა დავითს, წარმოუთხრა მან. და ყოველნი ზოგად აღიდებდეს ღმერთსა, უჟალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა.

და ვითარცა განთენა, აჰკიდა საწედართა ფრიად საწმარი: პური და ღვინო, თევზი და ხილი მრავალფერი და წარვიდა მამისა დავითისსა. და თანა-ჰყვა ძეცა იგი განკურნებული და ორნი ძენი სხუანი. და ვითარცა მი-
 10 იწვიენეს იგი[ნი] აღვილსა მას მოცნენებულსა, და ვითარცა ბერი ვერ იხილა, შეუძნდა ფრიად და ჰრქუა მონასა, რაათა იძიოს³ იგი.

და ვითარცა შთავიდეს ქუემო კერძო, პოვეს იგი სხუასა თანა. მოვიდეს და აუწყეს მას. ხოლო იგი სიხარულით შთავიდა ბერისა, დავარდა ფერჯთა თანა მისთა წმიდათა, ცრემლით ეტყოდა: „ჰეშმარიტად გპოვე მკურ[ვ]-
 15 ნალი სულთა და ჯორცთა; და აჰა ესერა წინაშე თქუენსა დგას ყრმაჲ იგი უფერჯო[ა], ხოლო ღღეს ლოცვითა თქუენითა განკურნებული და უგნებელი, და სხუანიცა ესე ორნი ძენი ჩემნი მომიყვანებიაწ წინაშე სიწმიდისა თქუენისა, რაათა შეეხნენ სამოსელსა შენსა და იკურთხნენ შენ მიერ“.

ხოლო მან დასდვა წმიდაჲ გელი მისი და ჰრქუა: „ღმერთმან, რომელმან
 20 აკურთხა იაკობი, მანვე სახიერმან გაკურთხნეს და შეილ წმიდისა ემბაზისა გყვენეს თქუენ“. და ვითარცა მოიკითხნა იგინი, უბრძანა ბუბაქრ მონათა თჳსთა (რამეთუ ესე იყო სახელი ბარბაროზისაჲ მის), რაათა მიუძღუნონ ბერსა ყოველი, რაოდენი⁴ მოელო მისთჳს. ხოლო ბერმან შეკრიბნა ყოველნი ძმანი, და ჰამეს და სუეს და განძღეს. და ვითარცა აღდგეს სერობისაგან,
 25 და ჰრქუა მამამან დავით ბუბაქრს: „რაჲ გნებავს შენ აწ, რაათა გეყოთ შენ?“ ხოლო იგი ევედრებოდა, რაათა ნათელ-სცეს მათ. ხოლო იგი ეტყოდა: „აღი-ღე რაოდენიმე საფასეთა შენთაგანი და წარვედ მამისა ღოდოესა და მიართუ მას, რაათა ულუაწოს მუნ მყოფთა ძმათა და განუსუენოს, და იკურთხო მათ მიერცა“. და ჰყვა მას მღდელი პატრიოსანი და მიუმცნო მას, რაათა თანა-წარმოგაყოლოს და მან ნათელ-გცეს შენ და ყოველთა სახლეულთა შენთა.
 30 მაშინ თანა-წარაყოლა წმიდაჲ ლუკიანე და მიუმცნო მას, რაათა თანა წარაყოლოს მღდელი, რაათა ნათელ-სცეს ბუბაქრს და ყოველთა სახლეულთა მისთა.

ხოლო წმიდამან დოდო ყო ბრძანებისაებრ ბერისა. და ვითარცა ნათელ-ს-
 35 თელს-ილო ბუბაქრ, კუალაჲ მოვიდა წინაშე წმიდისა დავითისსა შეილი იგი ნათლისაჲ. და თანა მათანნა სათხარნი და მუშაკნი და შეუქმნა ეკლესიაჲ სალოცველად ძმათა, რომელი-იგი უკუანაჲსკენელ⁵ წმიდამან და ღმერთ-შემოსილმან ილარიონ განაგრკელა და აკურთხა, რომელსა შინა სამხრით კერძო ეკლესიასა მას შექმნა ლუსკუმაჲ მუენიერი, რომელსა შინა დაკრძალულ არი-
 40 ან ნაწილნი წმიდისა მამისა ჩუენისა დავითისნი. და ვიდრე აქამომდე სამარხოასა მისგან აღმოდის სული [177] სურნელებისაჲ და ყოველთა, რა-

¹ ჰრქუეს + მას B. ² ხლდომით B. ³ იძინო B. ⁴ რაოდენი B. ⁵ უკანასკნელ B.

მელთა სარწმუნოებით მიიღონ მტუერი სამარხოასა¹ მისგან წმიდისა, ჰქურ-
ნებს ყოველსა სენსა და უძღურებასა კაცთასა. ხოლო სანარხოა წმიდისა ლუ-
კიანესი არს დამართებთ წინა კერო სკურთხეველისა. და არს იგიცა შე-
ნწე და ნუგეზინის-მცემელი და ჳელის-ამბურობელი ყოველთა შედრებელთა
მათა².

და ესე აქამომდე. ხოლო წმიდისა მამისა და სამარადისოასა ჩუენისა
დავითისთვის ვიტყოდით. —

V. ხოლო ვითარცა წარვდეს ამას შინა ჟამნი რაოდენნიმე და განმრავლდა
სიმრავლე ცნათა, იუწო და მანან დავით ლუკიანეს და ჰრქუა: „მხო ლუ-
კიანე, მე წარვალ წმიდად ქალაქად იერუსალიმად, ხოლო შენ წინა-უძლოდი
10 ცმათა ამით ჩუენ მიერ შეკრებულთა“. მიუგო ლუკიანე და ჰრქუა მას: „უკუე-
თუ წარხვდე, მეცა წარმოვიდე წინაშე სიწმიდისა თქუენისა“.

ხოლო წმიდამან დავით ჰრქუა მას: „ნუ ცმაო, ნუ იქმ, არა სათნო არს
ღმრთისა, რამეთუ, უკუეთუ ეგე ვყოთ და ორნივე წარვიდეთ, მანი ესე ჩუენ
მიერ შეკრებულნი, თუთოეულნი განიბნენენ დაბათა და ქალაქთა შინა, და-
15 ეცენ და წარწყმდენ გულის-თქუმათა მიერ ცოდველისათა და წარწყმედა
სულთა მათთა ჩუენ მიერ იციოს ღმერთმან. ხოლო მე წარვიდე მარტოა და
ჩენთვს, შენთვს და შენთანათა ანათ ცნათავს ვევედრო ღმერთსა; და ნუ
ჰგონებ, ცმაო, თუ ჩემი ოდენ მარტოასა მნებაეს ცხოვნება, უკუეთუ მე
წარვიდე და წყალობით მოხვდა ყოს ღმერთმან ჩემ ჳედა და სახიერებისა³
და სიტკბოებისა მისისათვს და აღინოს ჩემ ჳედა წუეთი ზადლისა და სიტკბო-
20 ებისა, შენ და შენთანათა ამით მმათა ერთბამად გუხაროდენ, რამეთუ ერთბამად
ყოველთა ქრისტიანეთათვს და ყოველთა, რომელნი ამას უდაბნოსა შინა
მკვარ იყვნენ, ყოველთა შეწყალებისათვს ვევედრები ღმერთსა, რამათა ერ-
თობით ღირს მყენეს საზუგჯლთა საუკუნეთა ყოველთა წმიდათა მისთა
თანა“.

ესრეთ და ესე ვითარითა სიტყუთა დააყენა ლუკიანე მმათა თანა. ხოლო
იგი წარმართა სხუათა რაოდენთამე⁴ ცმათა თანა და წარვიდა იერუსალიმად.
და ვითარცა მიიწიენეს ადგილსა მას, [v] რომელ არს ქედი მადლოვნებისა,
რამეთუ მუნით აჩნდების წმიდა იერუსალიმი, მაშინ აღიბურნეს ჳელნი და
30 მადლობა შეწირეს ღმრთისა. ხოლო წმიდა მამა დავარდა და იტაკასა
დაალტობდა ცრემლთა და იტყოდა: „უფალო ღმერთო იესუ ქრისტე, რო-
მელი მოხუდ ქუეყანად ცხოვრებისათვს კაცთა ნათესავისა და ჩუენ ცოდვილ-
თათვს ჯუარ-ცუმად და სიკუდილი თავს-იდეგ სახიერებისა⁵ და მოწყალებისა
შენისათვს, მეუფეო, კურთხეულ არს, უფალო, სახელი წმიდა დიდებისა შე-
35 ნისა, რომელმან მეცა უღირსი მონა შენი ღირს მყავ ხილვად ადგილთა ამით
წმიდათა; ხოლო მე არღარა ვიკადრო წალმართ სლვად და დატკებნად ფერ-
კითა ჩემითა ადგილთა ამით, სადა დადგეს ფერკნი შენი წმიდანი, რამეთუ
კმა არს ჩემდა ხილვა ოდენ თუალითა“. და ტიროდა და დასთხევდა ცრემლ-
თა მისთა წმიდათა.

¹ სამარხოასა B. ² მვედრებელთა მათთა B. ³ წაივით B. ⁴ სახარებისა B. ⁵ რა-
ოდენთამე B. ⁶ იწლმად B. ⁷ სახიარებისა B.



ხოლო მოყუასანი იგი ეტყოდეს წარსლვად მათ თანა და შესლვად იერუსალმად. მიუგო და ჰრქუა: „არღარა ვიკადრებ მე წაღმარათ სლვად, არამედ თქუნენ წარვედით და ჩემ ცოდვილისათჳს ლოცვა-ყავთ“. და ვითარცა ფრიად აიძულეს და იგი არა ერჩნდა, ცრემლით ანბორს-უყვეს, დაუტევებს და წარვიდეს.

ხოლო ესე რაჲ ყო წმიდამან დავით, მიხედნა ღმერთმან წმიდასა გონებასა მისსა და მიანიჭა მას მადლი უმეტეს ყოველთა, რომელნი შეეღუნან იერუსალმს.

ხოლო წმიდაჲ დავით ადგილსა მას ფრიად ევედრა უფალსა, და აღიბუნა ადგილისა მისგან სამნი ქვანი და შთაისხნა მახალაქსა ევლოგიად და უქუნიქცა მიერ.

ხოლო ღამესა მას მიუვლინა ანგელოზი ღმერთმან ელია პატრიაქსა და ჰრქუა: „მოიწია ვიდრე სახლად ჩემდამდე საკუთარი მონაჲ ჩემი დავით და სარწმუნოებითა მისითა წარიღო სრულიად მადლი იერუსალმისაჲ. ხოლო

შენ სწიენ მალემსრბოლნი კაცნი, რამეთუ მივალს იგი გზასა ქალაქისა ნაბულისსა. და არს იგი მოსილი სამოსლითა ძუელითა დაბებკულითა და ჰკიდავს მას ძუელი მახალაქი, რომელსა შინა უსხენ სამნი ლოდნი, რომელნი-იგი მიიხუნა ადგილისა მისგან, სადაჲთ-იგი უქუნ[178]იქცა; და მიუმცენ შენ

კაცთა მათ მალემსრბოლთა, რაჲთა მოუხუნენ¹ მახალაქისაგან ლოდნი იგი და ერთი ოდენ მისცენ მას“. და ჰრქუა, ვითარმედ: „მოუნიჭებებს შენდა უფალსა მესამედი მადლი იერუსალმისაჲ და გიბრძანებს, ვითარმედ სარწმუნოებითა შენითა წარგელო მადლი იერუსალმისაჲ. ხოლო მე

ვინებე ორი ნაწილი უქუნქცევად და მესამედი მომინიჭებია შენდა. წარვედ და წარიტანე უდაბნოსა შენსა, წმიდა ყავ იგი მისლვითა შენითა. და

რომელი მოიწიოს უდაბნოსა მას და სარწმუნოებით შეეხოს სამარხოსა ძუალთა შენთასა, მიიღოს კურნებაჲ სულთა და ჯორცთაჲ და მიუტევენს მას ცოდვანი მისნი. ხოლო ლოდი ეგე ერთი იყოს მოსაქსენებელად ჯამისა ამის“.

და ვითარცა წარმოუთხრა ესე ყოველი პატრიაქსა ანგელოზმან უფლისამან, მიეფარა იგი თულათაგან მისთა. ხოლო პატრიაქი პირველად განცვბრდა

სიტყუათა მათ ზედა ანგელოზისათა, მერმე დავარდა პირსა ზედა და ცრემლით ვედრებაჲ შეწირა უფლისა და მოუწოდა კაცთა მალემსრბოლთა და მიუთხრა ესე ყოველი და მიუმცნო მათ, რაჲთა უკმოაქციონ, და იგინიცა შეემთხუნენ მას. ხოლო იგინი წარვიდეს. და ვითარცა ეწივნეს იგინი, მიუთხრეს მას, რომელი-იგი მოემცნო პატრიაქსა და აღმოუხუნეს² სახნი იგი ლოდ-

ნი, და ერთი იგი მისცეს³ მას.

და ვითარცა ესმა ესე ყოველი წმიდასა დავითს, პირველად შეძრწუნდა და მერმე თაყუანის-სცა უფალსა და ცრემლით იტყოდა: „დიდებაჲ შენდა, ქრისტე ღმერთო ჩუენო! და დიდებაჲ შენდა, სამებაო წმიდაო, ერთ-ღმრთეებაო, ერთ-არსებაო! დიდებაჲ შენდა ღმერთო, რომელმან ღირს მყვენ ჩუენ

პოვნად წყალობისა!“ და ესევეითართა სიტყუათა მადლობაჲ შეწირა უფლისა.

¹ მოუხუნენ] მოუნახუნენ B. ² აღმოუხუნენ B. ³ მისცენ B.

C

ხოლო კაცთა მათ მალემსობოლთა აიძულეს წმიდასა დავითს უკუქცევად იერუსალშმს, ვითარცა ემცნო პატრიაქსა. ხოლო იგი არა ერჩიდა მათ, და ანბორ-უყვეს და განუტევეს იგი.

ხოლო წმიდა დავით მიიწია რაჲ უდაბნოსა თჳსსა, ყოველნი ძმანი სიხარულით მიეგებოდეს და აღიდებდეს ღმერთსა, [v] რომელმან კუალად უჩუნენა მწყემსი და მაცხოვარი სულთა მათთაჲ. და ვითარცა მოილოცეს ძმათა მათ, დავითის თანა წარსრულთა იერუსალშმს, შემდგომად ამისსა მოვიდეს ივინიცა უდაბნოსა მას წმიდისა დავითისსა¹. და განთქუეს ჰამბავი მისი და ყოველი, რაჲცა იხილეს და ესმა წმიდისა დავითისთჳს. და ყოველით კერძო შემოკრება სიმრავლე ძმათაჲ და აღივსო უდაბნოჲ იგი, და რომელნიმე¹⁰ დაეყუდნის ნაპრაღსა კლდეთასა.

VI. მაშინ წმიდა მამა და მწყემსი კეთილი წმიდა დავით დღითი-ღღე განვიდის მოკითხვად ძმათა მათ განშორებულთა, მარტოდ მყოფთა დაყუდებულთა და ყოველთა ნუგეშინის-სცემდა, განამტკიცებდა და განაძლიერებდა და ახარებდა მათთჳს განმზადებულსა სასუფეველსა ცათასა.¹⁵

ხოლო მივიდა ოდესმე ერთისა ძმათაგანისა, რომელი იყოფებოდა ძირსა რასმე კლდისა² და ჰკითხა მას და ჰრქუა: „ვითარ ხარ, ძმაო?“ მიუგო მან: „კეთილად, ლოცვითა შენითა წმიდითა, გარნა წყალი ესე, რომელ სწუთის კლდესა³ ამას, არს ესე ფრიად მწარე, და ოდეს მივილო მისგან, განმიმწარებს საგრძნობელთა. და ეგრეთვე მხალნი ესე, რომელნი მის მიერ²⁰ ირწყვებიან, ესეცა მწარე არიან, ვითარცა ნავლედი, გარნა ვიქიძულებ შე თავსა ჩემსა და ვიტყვ: „ფრიად უმწარეს არიან სატანჯველნი ჯოჯოხეთისანი და უკუეთუ არა წუთ ერთ დაითმინო, უმჯობეს არს შენდა და მუნ უკუნისამდე არღარა იჭირვოდი სიმწარესა მას შინა ჯოჯოხეთისასა“.

ხოლო ესე რაჲ ჰრქუა წმიდასა დავითს, შეეწყალა იგი და ჰრქუა: „ნუ²⁵ მწუხარე ხარ, ძმაო, არამედ ვევედრნეთ უფალსა და რომელმან-იგი მერანს დაატკბნა წყალნი, მანვე სახიერმან დაატკბნეს ესენიცა“⁴. და აღდგეს და ევედრნეს უფალსა. და აღივსო სარწყული და დასწერა ჯუარი და მისცა ბერსა. და ვითარცა იხილა გემოჲ წყლისაჲ მის, უტკბილეს იყო იგი ყოველთა წყალთა, და ვიდრე აქამომდეცა ტკბილ არს წყალი იგი და მხალიცა, რამეთუ მიერითგან დგას ადგილსა მას ნიახური და რომელნი მივიდენ ადგილსა მას, [179] მიიღებენ ევლოგიად წყლისა მისგან და მხლისა.

ესევეითარნი არიან სასწაულნი, რომელთა იქმნოდა მამა ჩუენი დავით და გაჰკურნებდა ყოველსა უძღურებესა კაცთასა. ხოლო ბრძანებთათჳე მამისა დავითისითა აღეშენა უდაბნოჲ მრავალმთისაჲ სახელსა ზედა წმიდისა იოანე³⁵ ნათლის-მცემლისასა. V

VII. და ვითარცა წარტდეს ამას შინა ეამნი რაოდენნიმე, ცნა მამამან დავით განსლვაჲ მისი ჯორცთაგან. და მოუწოდა³ ყოველთა⁴ ძმათა და ჰრქუა: „ძმანო და შეილნო ს[უ]ლიერნო, მე ესერა განვალ ჯორცთაგან, ვითარცა ერთი კაცთაგანი, ხოლო თქუენ ნუ შეძრწუნდებით, არამედ განმტკიცენით⁴⁰ და განძლიერდით და დაუცხრომელად ევედრებოდით ღმერთსა სულთა თქუნთა ცხოვრებისათჳს“.

¹ დავითისასა B. ² კლდეს B. ³ მიუწოდა B.



ქართული
ბიბლიოთეკა

ტ

უბრძანა მღდელთა შეწირვამ მსხუერპლისაჲ და ეზიარა წმიდასა მსხუ-
ერპლსა ქრისტეს ღმრთისასა და აღიპყრნა ჯელნი და მღდლობაჲ შეწირა
ღმრთისა და ესრეთ შეჰვედრა სული თჳსი წმიდაჲ უფალსა. და ყოველნი იგი
ღმანი ტიროდეს დაკლებისათჳს მწყემსისა მის კეთილისა.

5 და იყო მათ შორის ერთი ძმათაგანი, რომელსა ერთი თჳალი არა ედ-
გა, და შე-რამ-გხო გუამსა მას წმიდასა, მეყსეულად განიკურნა, და ყოველნი
ადიდებდეს ღმერთსა. ესევეითართა სასწაულთა იქმოდა წმიდაჲ მამაჲ დავით
შემდგომად სიკუდილისაჲცა. და დაჰკრძალეს ესრეთ პატივით ლუსკუმასა მას
ზემოჴსენებულსა. და რომელნი სარწმუნოებით მივლენ სამარხოხსა მას, მიიღე-
10 ბენ კურნებასა სულთა და ჳორცთასა და ადიდებენ მამასა და ძესა და წმიდასა
სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

ტ

ჟ

[125] [თ]უესა ნოენბერსა¹ იბ².

წმიდისა მღდელმთავრისა აბიზოს [47] [მო]ქალაქობად და წამიბად
ნეკრესელ³ ეპისკოპოსისა⁴, 15 [წმიდისა ა]ბიზო[ს] ნეკრესელ
რომელი იწამა ცეცხლის-
მსახურთა მიერ ქართლს,
თჳშუშლი არსენი ღიღისა
ქართლისა⁵ კათალიკოსისაჲ⁶*

გუაქურთხენ, მამაო!⁷ 20

მამაო, გუაქურთხენ!

I. ხოლო ჯერ-არს, რაათა მცირედ
შუგა⁸ შემოვიღოთ ჴსენებაჲ წმიდისა
და უბიწოასა მღდელთ-მოძღურისა და
მოწამისაჲ, რომელსა-იგი სამართლიე
მონიჭებულ-იყო პატივი განმზადებუ-
ლისა მის სასოებისაჲ დიდებისა საყდა-
რი, უზეშთაესი შორის მართალთა დი-
დისა მისისა სიწმიდისათჳს, უმეტესად
ყოველთა მიერ წამებულ ჴეშმარიტები-
სათჳს, დამამტკიცებელი სისხლითა
თჳსითა, რომელმან-იგი შეწირა მსხუ-
ერპლად თავი თჳსი მისა, რომელმან-
იგი თჳსითა სისხლითა მიჴსენა⁹ ჩუენ.
დაიდგა გზრგზნი ძღვევისაჲ თუთ მოტა-
ციებითა, აღფრინებითა¹⁰ მღლად, რო-

I. [ჯერ არს ჴსენებაჲ წმიდისა
მღ[დელთ-მო]ძღურისაჲ და უბიწ[ოასა]
და ახუგანისა მოწამი[საჲ], რომელსა-
იგი სამართლად [მონი]ჭებ[ულ იყო]
საყდარი დიდებისაჲ დიდისა მისთჳს
სარწმუნოებისა მისისა და ყოველთა
მიერ წამებისა ჴეშმარიტებისათჳს, რო-
მელმან შეწირა თავი თჳსი მსხუერპ-
ლად მისთჳს, რომელი შეწირა მამისა,
და სისხლითა თჳსითა მომიყიდნა ჩუენ,
რომელმან ნაყოფნი გამო[ი]ხუნა თავით
თჳსით შეწვევითა მღდლისაჲათა სიწმი-
დისა იგი სამოციული და მოლუაწები-
სა ასეული თავისა თჳსისა თანა შე-
ერთებითა შუდეულისა განმასრულებელი

* ხელნაწერების ნუსხა: A: A—832; B: A—130; C: A—170; D: A—176; E: H—2077; F: H—1672; H: H—2121; L:M—21.

¹ნოენბერსა CL. ²იბიგ F. ³ნიკრესელ B, ნეკრეს ქალაქის D. ⁴ეპისკოპოსისა+ათორმეტთაგანი F. ⁵დიდისა ქართლისა—F, ქართლისა—H. ⁶კათალიკოსისა+მიერ F.

⁷გუაქურთხენ, მამაო—BD. ⁸შუგა F. ⁹მიჴსენა DF. ¹⁰აფრინებითა BDEEHL.

ს

კ

მელმან ნაყოფნი. გამოუხუნა¹ თვისთ თა-
 ვით² თვთ შეწვენითა მალლისადათ სი-
 წმიდისა იგი სამეოცი და მოწამებისა
 ასეული, და თვთ თავისა თვისისა თანა
 შეერთებითა შუდეულისა განმასრულე-
 ბელ იპოვა იგი მღდელთ-მოძღუარი
 მალლისაჲ, შუამდგომელი ღმრთისა და
 კაცთაჲ ნეტარი აბიზოს ნეკრესელ³
 ქალაქისა⁴ ეპისკოპოსი, რომელი ორთა
 განწყობილთა კრებულსა წმიდათასა
 [126] წარმოდგა⁵, მღდელობისა საყდ-
 რისა⁶ მოდგამთა⁷ მათ თანა უბიწოთა
 საყდარი დაიპყრა და კუალად მკნეთა
 მათ თანა მოწამეთა ლუაწლსა მისწ-
 რათა და ასპარეზი იგი მსწრაფლ წა-
 რიტაცა⁸, და გვრგვნითა პატივ-ცემულ-
 თა შორის იპოვა შურის-მეძიებელთა
 მართალთა რჩელისათა⁹.

ჩემი არს მოწამე ესე და არა სხვსა,
 ჩემისა ამისგან საყდრისა¹⁰, ნაყოფი
 შუენიერი, მხიარულებისა ჩემდა მო-
 მღებელი, სპეტაკი ვარდი, ჰაერისა
 სულნელ¹¹-ყოფელი, ჩემდა¹² მომფენე-
 ლი, რომელმან სანთელი თვისი აღანთო
 ზედა მალალსა მთასა, რაათა ყოველი
 სოფელი ჰხედვიდეს მას ნათელსა და-
 უშრეტელსა, ორპირად მანათობელსა,
 ღმრთისა მიმართ¹³ შემწირველსა თვთ
 მის სიტყვსა დაუსაბამოასა ჯორცსა,
 უკუანაასკნელ მასვე სანატრელსა სა-
 კურთხეველსა თავი თვისი შეწირა,
 მრჯულიად დასაწულად მისსა¹⁴ მიმართ,
 შესწირვიდეს ჯელითა უსჯულოასა მის
 მარზანისადათა¹⁵, რომელმანცა შეწირა.

II. აწ მნებავს, საყუარელნო, რაათა
 უწყოდით მიზეზი საქმისა ამისა¹⁶ რამე-
 თუ დაეპყრა ქართლი მეფესა სპარსთა-
 სა და ივინი ჯელმწიფე იყვნეს ჩუენსა
 ამას სოფელსა, და ბილწსა მას-კერპთ-

მ[ღდელთა] [მოძღუარი მალლ]ისაჲ, შუა-
 მდგ[ომელი ღმრთი]სა და კაცთაჲ ნე-
 ტარი აბიზოს ნეკრესელ ქალაქისა ეპის-
 კოპოსი. რამეთუ შორის ორთა წმიდა-
 თა განწყობილთა წარმოდგა მღდელო-
 ბისა საყდარი მოდგამთა თანა უბიწოდ
 მღდელობითა და მართლ-მკუთხელო-
 ბითა, და კუალად მოწამეთა თანა მკნედ
 მოლუაწებითა ორითა გვრგ[ვნითა] პა-
 ტივცემული [შორის] განწყობილსა მარ-
 თალთასა.

ჩემი არს მოწამე, ესე და მღდელთ-
 მოძღუარი უბიწოჲ, ნაყოფი შუენიერი,
 მხიარულებისა ჩუენდა მომღებელი და
 სულნელებისა ჩუენისა ჩუენდა მომფე-
 ნელი, სანთელი მალლად მნთებარე,
 მნათობი და განმანათლებელი ყოველთა
 მხილველთა მისთაჲ, შემწირველი უბი-
 წოდ ჯორცსა და სისხლსა ქრისტესსა,
 რომელმან თავიცა თვისი შეწირა მსხუ-
 ერპლად მისსა მიმართ ჯელითა უსჯუ-
 ლოასა მარზანისადათა.

II. ხოლო მიზეზი წამებისა მისისაჲ
 ესრეთ იყო. რამეთუ ეამსა მას, ოდეს
 სამეფუთჲ ესე ჩუენი ქართლთა სპარსთა
 მეფესა დაეპყრა და ბილწსა მას მსა-
 ხურებასა აღასრულებდეს, ვითარცა

¹ გამოიხუნა C. ² ~ თავით თვისთ F. ³ ნეკრესელი EL. ⁴ ქალაქსა BCDEEHL. ⁵ წარმოდგა F. ⁶ საყდარისა F. ⁷ მდგომთა D. ⁸ მითაცა F. ⁹ რჩელისათა EL. ¹⁰ საყდრი-
 სა—F. ¹¹ სურნელ CF. ¹² ჩემდა ჩუენდა BCDEFL. ¹³ ~ღმრთისა მიმართ ორპირად მანა-
 თობელსა F. ¹⁴ მისა BCDEFL. ¹⁵ მარზანისათა EFL.

16. აგიოგრაფიული ძეგლები



C

მსახურებასა¹—ცეცხლისა მის თაყუანის-ცემასა და მსახურებასა—აღასრულებდეს მარადის; ბაბილოფურსა მის ჩუეულებასა, სადამე ოქროსა და სხუანი სხუასა რასამე² და ოდესმე ცეცხლსა ჟამად-ჟამად, ვითარცა იწუეოდეს³ თვისისა მისგან ბოროტად მასწავლელისა ეშმაკისა. ამის გამო ადგილნი მრავალნი⁴ განჰმზადნეს⁵ მათისა მის სამსახურებელისა ცეცხლისათჳს ქუეყანისა⁶ და მრავალთა შეატუნებდეს დაუმტკიცებელსა სარწმუნოებასა გონებითა ნაკლულევანთა⁷.

ხოლო ნეტარი აბიზოს ნეკრესელ⁸ ქალაქისა ებისკოპოსი, ჳევისა კახეთისა, აღიძრა შურითა საღმრთოათა და ვერ თავს-იდვა უცხოასა მის სამსახურებელისა მახლობელად მისა ყოფად და დაასხა მცირედ წყალი ხენეში და დაშრიტა იგი. ესე რაჲ ცნეს უშჯულოთა მათ სპარსთა, ფრიად გუემეს, კინილა ვიდრემელა მოკლეს ნეტარი იგი, და საპყრობილესა შეაყენეს დიდითა იწროვებითა⁹ და მრავლითა ტანჯვითა. ამისა შემდგომად მიწერეს მსწრაფლ ზენა-სოფლად მარზაპანისა საქმე ესე. ხოლო მან ბრძანა მსწრაფლ მისი შეკრვა და მიყვანება მისი მის წინაშე და მივიდეს მივლინებულნი იგი მტარვალნი და წარიყვანეს, ვითარცა ბრძანებულ იყო; მრავალფერთა ჳირითა მიიყვანეს იგი.

ხოლო ნეტარი იგი ებისკოპოსი აბიზოს მეგ[127]ობარი იყო ბრწყინვალისა მის მნათობისა სუმეონ მესუეტისა ანტიოქელისა, არა თუ ხილვითა ეხილვა სადამე ერთმანერთი¹⁰, არამედ სულიერთითა მით¹¹ სიყუარულითა, რომელითა იხილვების შორეული ვითარცა მახლობელი, და კუალად წიგნითა და

ესწავა ბოროტად მასწავლელისა მათისა ეშმაკისაგან. ამის გამო მრავალნი ადგილნი განჰმზადნეს მათისა მის სამსახურებელისათჳს ქუეყანასა ამის ჩუენსა და მრავალთა, დაუმტკიცებელთა სარწმუნოებასა და ნაკლულევანთა გონებითა, შეატუნებდეს.

ხოლო ნეტარი აბიზოს ნეკრესელ⁸ ქალაქისა ებისკოპოსი, სამ[თავ]როასა კახეთისა, [აღიძრა] [48] საღმრთოათა შურითა გულს-მოდგინედ და მივიდა მახლობელად უცხოასა მის სამსახურებელისა მათისა, დაასხა წყალი და ხენეში იგი [ღმერთი], ცეცხლი მათი, დაშრიტა. ესე რაჲ ცნეს უსჯულოთა მათ სპარსთა, შეიპყრეს და ესოდენ გუემეს, ვიდრელა სიკუდიდ საგონებელ იყო ნეტარი იგი, და მერმე შეაყენეს საპყრობილესა იწროვებითა დიდითა. და შემდგომად მრავლისა ტანჯვისა მიწერეს ზენა-სოფლად მეფისა მათისა მარზაპანისა თანა. ხოლო მან მიუმცნო, რაჲთა შეკრული მსწრაფლ მიიყვანონ მის წინაშე. და მოვიდეს მოვლინებულნი იგი და წარიყვანეს წმიდაჲ აბიზოს მრავალფერთა ჳირითა მგზავრ.

ხოლო ნეტარი ესე ებისკოპოსი მეგობარი იყო ბრწყინვალისა მის მნათობისა სუმეონ მესუეტისა ანტიოქელისა და არა თუ თუალითა ეხილვა ურთიერთარს, არამედ სულიერთითა მით სიყუარულითა, რომელი გონებითა იხილვების შორიელი ვითარცა მახლობელი და კუალად წიგნითა და მოციქულითა.

¹ კერამსახურებასა D. ² რასამე DE, რასამე BCFH. ³ იწუებოდეს F. ⁴ — მრავალნი ადგილნი F. ⁵ განჰმზადნეს B. ⁶ ქუეყანასა CL, ქუეყანასასა D. ⁷ ნაკლულევანითა EL. ⁸ ნეკრეს D. ⁹ ებისკოპოსი + კსი L. ¹⁰ იწროვებითა CDFL. ¹¹ ერთმანეთი CDF. ¹² მით მის F.



ს

9

ქართული
ბიბლიოთეკა

მოციქულთა იყო მათ შორის შესწავ-
ვებაჲ. მას ოდენ ეამსა, ოდეს მიჰყვან-
და წმიდაჲ აბიბოს, დაემთხვა მას მო-
ციქული იგი წმიდისა სჯემონ მესუე-
ტისაჲ სოფელსა¹, რომელსა ჰრქვან
ილდო², და მოართო³ მას წიგნი
ველოგიად და კუერთხი წმიდისა სჯე-
ონ⁴ მესუეტისა ანტიოქელისა საკურ-
ველთ-მოქმედისაჲ. და ვითარცა მიიღო
წიგნი იგი ეპისკოპოსმან⁵, აღმოიკითხა,
და მიუპყრა მას ველოგიაჲ იგი და
კუერთხი, და განიხარა სიხარულითა
დიდითა და განმტკიცნა ფრიად. და
თანა წარმოიხუნა იგი[ნი] და განიხი-
რულებული მოვიდა, დაღათუ შესაძლე-
ბელ იყო მისა არა-მოსლვება. მომყვა-
ნებელთა მათ დაემთხვნესცა, და ჰრქუეს:
„უკუეთუ არა გნებავს წარსლვის, ჩუენ
მოგიღოთ და უკუნგაქციოთ“. ხოლო
მან არა თავს-იდგა, რამეთუ ისწრაჟდა
და ჰსუროდა მარტულობაჲ.

და ვითარ მოიწინეს მახლობელად
ჩუენსა ამას სამეუფოსა ქალაქსა მცხე-
თისასა, ჰხადოდა იგი დედასა თუსსა
რაქელს⁶, რომელ არს ერთი კათოლიკე
ეკლესიაჲ სამოციქულოჲ. და ვიდრელა
თუ იტყოდაცა, ვითარმედ: „დედაო,
აჰა ესერა შვილი შენი იოსებ წარ-
ვჰყავ⁷ ეგვბტედ კრული, ვითარცა
ტყუე; და ვითარმცა⁸ ვინ ჰრქუა: არა
ეგრე, არამედ სუფევედ განემზადები
ნაყოფთა მათგან შუენიერთა, საუნჯე-
თა მათგან⁹ თუსსა; მთნავს შენი ეგე
გზაჲ და ვიდოდე მას ზედა“. მაშინ
ევედრა მტარეველთა, რაჲთა მივიდეს
იგი ნეტარისა შიოჲსა მღკმედ, რამეთუ
იკოდა იგი წინაჲთვე და სურველ
იყო იგი¹⁰ ხილვად მისა. ხოლო მათ
განუტყვეს იგი და შთავიდა უდაბნოდ

იყო მათ შორის შესწავებაჲ. და მას
[ოდენ] ეამსა, ოდეს მიჰყვანდა წმიდაჲ
აბიბოს, დაემთხვა მას მოციქული ნე-
ტარისა [სჯემონ მესუეტისაჲ] სოფელ-
სა, რომელსა ჰრქვან ილდოს და მის-
ცა წიგნი, ეველოგიაჲ და კუერთხი
წმიდისა მამისა ჩუენისა [სჯემონ საკურ-
ველთ-მოქმედისაჲ. და ვითარცა მი-
იღო ებისკ[ოპოსმან] ეველოგიაჲ იგი
და კუერთხი, და წიგნი იგი წმიდისაჲ
აღმოიკითხა, განიხარა სიხარულითა
დიდითა და განმტკიცნა ფრიად. ამის-
სა [შემდგომად შე]ემთხვნეს ვითენიმე
და ჰრქუეს: „უკუეთუ არა გნებავს
წარსლვის, ჩუენ უკუნგაქციოთ საყო-
ფელადვე შენდა“. და არა ინება,
რამეთუ სუროდა მარტულობად ქრის-
ტესთჲს.

და ვითარ მოიწინეს სამეუფოსა ქა-
ლაქსა მცხეთასა, ვედრებით ხადოდა
იგი წმიდასა კათოლიკე სამოციქულ[ლოსა]
ეკლესიასა და იტყოდა, ვითარმედ:
„შვილი შენი იოსებ წარვალს ეგვბტედ
კრული, ვითარცა ტყუე; და ვითარმცა
ვინ ჰრქუა მას, ვითარმედ: არა ეგ-
რეთ, არამედ სუფევედ განემზადები
და ზეცისა სავანეთა მიერ არს გზავნაჲ
შენი და ვიდოდე მას ზედა მშედობით“.
მაშინ ევედრა ნეტარი იგი მტარეველ-
თა მათ, რაჲთა მივიდეს.....*

¹ სოფელს D. ² აღდო CL. ³ მოართო BC. ⁴ სჯემონ CEL. ⁵ ეპისკოპოსმან+მან
BCDFH. ⁶ რაქელს CEFHL. ⁷ წარვევე BD, წარჰვევ EFHL. ⁸ ვა I. ⁹ მათგან—I.
¹⁰ იგი—F.
* აქედან ამ ნუსხას აკლია ერთი ფურცლი ოდენი.

C

და იხილა ნეტარი იგი ბერი. და ყვეს ლოცვაჲ და მოიკითხეს ურთიერთას, და ვითარცა ზრახვიდეს, პრქუა წმიდამან ეპისკოპოს-მან ბერსა: „ლოცვა ყუე, მამაო, რამეთუ უსჯულონი ესე სპარსნი განაწდეს ჩუენი ზედა ამპარტყენებითა¹ თჳსითა, რამეთუ დაიპყრეს სოფელი ესე ჩუენი. შენ უწყვი, რამეთუ ბაბილოენი² მარადის კერპთ-მაწუფელ³ არს და ღონის-მეძებელ არიან, რაათამცა ყოველნი კაცნი თაყუანის-აცემინნეს კერპთა. [128] მაშინ სადამე სამთა ყრმითა, ძესა ღმრთისასა თანა-მდგომარეთა, მისიერიითავე ძალითა კერპი იგი დაადნევს და განაქარევს⁴ და მძლავრი⁵ იგი ყოველით ძალით⁶ მისითურთ კდემასა ქუეშე შეაყენეს, და აწკა⁷ მით უსჯულოთა მისთა სახედ ეგულეების, რაათამცა კუალად განაგეს⁸ ხადე და შეაყენეს⁹ კაცნი და თაყუანის-აცემინნეს¹⁰ ცეცხლსა¹¹. მიუგო ბერმან და პრქუა: „ვიცი, მამაო მდგომბელო, რამეთუ დაშრიტ¹² ცეცხლი იგი მითი სრულიად, რომელსა¹³ ესვიდეს უსჯულონი იგი, არამედ მოგმადლენ¹⁴ უფალმან, რაათა აღტყინე¹⁵ ბულიცა იგი უბინოა ცეცხლი, რომელ აღუგზნიეს¹⁶ შენთჳს ეშმაქსა განსაცდელად, დაშრიტო ადგლად. არა უჩეცარ არს სიწმიდე შენი, რამეთუ მრავლითა ჭირითა გვლირს შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა¹⁷, ხოლო ნუ შესძრწუნდები მათისა მისგან მძლავრებისა, ვინაჲთგან იტყუს მოციქული, ვითარმედ: «მაჭირებელია თქუ-ენტა ჭირი და თქუენ ჭირვეულთა ღზინი». უწყოდე, რამეთუ ჭირი მათი შენ დიდება¹⁸ გტქმნეს წარუეალ და ჭირი ეგე შენი მათ¹⁹ დაცემა და განწნევა²⁰».

და შემდგომად მრავლისა სიტყუსა განმტკიცნა²¹ ნეტარი აბიბოს ბერისაგან და ყვეს ლოცვაჲ, და წარემართა ლუაწლსა მის სიხარულით. და ვითარცა მიიყვანეს იგი მარზაპნისა მის ზენა სოფლად, სოფელსა რომელსა პრქვან რეტი²², და შეკრბა მუნ სომრავლე ეპისკოპოსთა და მღვდელთა და ერის მთავართა, და თეატრონი დიდი იქნა წინაშე მარზაპნისა²³.

მაშინ წარმოადგინეს წმიდაჲ აბიბოს ეპისკოპოსი და პრქუა მის მარზაპანმან²⁴ მან: „რასათჳს უვარ-ქუე უფლებაჲ მუყუეთ შედისა და მოქალი²⁵ ღმერთი ჩუენი?« მიუგო აბიბოს და პრქუა: „შე არაეინ ვიცი მუფედ, გარნა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, ხოლო ცეცხლი იგი, რომელ დაეშრიტე იგი, რაათამცა საცთური განეაქარე²⁶ ეშმაქისა, ხოლო გლოცაჲ, რაათა განეყენეთ უნ-დალსა მას მსახურებისა და ღმერთი მხოლოდ იცნათ,²⁷ რომლისა მიერ დაეებადა ყოველი, და მას მხოლოსა მსახურებდეთ²⁸, რამეთუ

¹ თესაღ. 1,6-7.

² რექ[?] BD. ³ ამპარტყენებითა DF. ⁴ ბაბილოენი BCDEFHL. ⁵ მაწუფელ EL. ⁶ განაქარევს BCDEHL, და განაქარევს—F. ⁷ მძლავრი BD. ⁸ ძლით L. ⁹ განაგდეს BDEL. ¹⁰ შეაყენეს EL. ¹¹ აცემინეს EFHL. ¹² დაშრიტეს EFHL. ¹³ რომელსა[?] ძალითა L. ¹⁴ მოგმადლენ EL. ¹⁵ აღგზნიეს BD, აღუგზნეს L. ¹⁶ ღზინი EHL. ¹⁷ შენ დიდება[?] შენდობა L. ¹⁸ მათი EHL. ¹⁹ განმტკიცნა B. ²⁰ რეტი EHL. ²¹ მარზაპნისა L. ²² მარზაპანმან L. ²³ მოქალი E. ²⁴ განეაქარე საცთური F. ²⁵ იცნათ BDEL. ²⁶ მსახურებდეთ CEHL.

ზ

წერილ არს: «უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანის-სცე და მას მხო-
ლოსა ჰმსახურებდე¹». ჰრქუა მას მარზაპანმან მან: „მე ვიკითხავ,
რამათჳს მოჰკალ ღმერთი ზუენი და შენ გნებავს, რამათაჳცა შენი-
სა ღმრთისა წარგუყვანნი?²“ ხოლო ნეტარმან მან აბიბოს ჰრქუა:
„უწყებულ იყავნ შენდა, ვითარმედ ღმერთი არა მომიკლავს, ხოლო³
ცეცხლი დავშრიტე. არა არს ღმერთი იგი, არამედ სხუათა ბუ-
ნებათაგანი არს, ერთისა ნიეთისაგან⁴ მცირედ ნაწილი, რომელთა-
გან აღჰმართა ღმერთმან სოფელი ესე. განსწორებით დაბადებულ
არიან ნოტიავ, ცივი, ჰმელი და ცეცხლი [129], რომელ ერთი-
ერთისა მპყრობელობაჳ აქუს სიმრგულესა⁵ მას შინა. ესრეთ გან-
სწორებითა ნაწილთაჳთა დგანან ესენი, და უკუეთუმცა ერთიერთსა⁶
აღემატა, გან-მცა-ქარდა მეორე იგი. ხოლო თქუენი იგი ცეცხლი
მისვე ცეცხლისა ბუნებისა ნაწილ [არს] ჰმელითა და ცივითა,
აღმდგომი⁷ შენისა ჰმანითა მყოვარ ჟამიერ. ერთი მცირე წყალი
დავახს, მძლე ექმნა და მოკლა იგი, რამეთუ უფროჳს მისა იპოვა⁸
წყალი იგი. აწ მიკურს თქუენი ესევეთარი⁹ სიცოფე⁷, ვითარ⁸ არა
სირცხულ გინნს მისი სახელის-დებად⁹ ღმრთად, რომელსა ესეოდე-
ნი¹⁰ სული აქუს (რამეთუ თქუენი¹¹ ესე ცეცხლი თქუენდავე მონა
არს და კერპთა შეურაცხის-მყოფელთა ვერვის ჰხედავს), უკუეთუ
ღმერთ¹² არს იგე? თქუენ იტყუთ, რამეთუ ოდესმე თქუენსავე სო-
ფელსა განჰზადეთ მსახურებაჳ მის კერპისაჳ, რომელ-იგი ჰქმენით
ოქროსაჳ. სატანჯველად განზადებულსა მას თქუენ მიერ მაშინ-
დელსა¹³ აწ ღმერთ ეწოდების!?“

მაშინ განრისხნა ფრიად მარზაპანი იგი მეფისაჳ და შემდგო-
მად მრავლისა გუემისა და საკურველთა¹⁴ სატანჯველთაჳსა¹⁵ ჰქე-
თა განტუნეს იგი, ნეტარი აბიბოს, და მოკლეს და განათრის¹⁶
გარეშე ქალაქსა. და მცველნი განეწესნეს მის ზედა, რამათა მვეც-
თა და მფრინველთა შეჰმანენ¹⁷ ჰორცნი მისნი, რამეთუ ეშინოდა,
ნუუკუე ჰრისტიანენი მოვიდნ¹⁸ და წა- [49] ჰრისტიანეთა დიდებითა დაჰკრ-
რიხუნენ იგი და დიდებით დაჰკრძალ-³⁰ დალნენ იგინი.
ნენ.

ხოლო სამგზის სანატრელსა მას, [ხოლო სამგზის სანა]ტრელისა წმი-
გორცთა მისთა, არარაჳ¹⁹ შეეხო ყო-
ლადვე მვეცთა და მფრინველთაგან²⁰. [შეეხო] მვეცთა და მფრინველთაგანი
და ვითარ მყოვარ²¹ ისხნეს, დაუტევეს²² და ვითარ მყოვარ სცვიდეს, დაუტევეს
მცველთა მათ და წარვიდეს. გამოვი-
იგი და წარვიდეს. მაშინ მოვიდეს რო-

* ლუკა 4,8.

¹ წარგუყვან BFH, წარგიყვანე L. ² ნიეთთაგან F, ნიეთისაგანი BD. ³ სიმრგულესა] სიმრავლესა L. ⁴ ერთი-ერთისა BD, ერთიმეორისამცა C, ერთიერთისამცა EFHL. ⁵ აღმ-
დგომი BCDEHL. ⁶ ესევეთარი] ესე CEFHL, ესევეთარ BD. ⁷ სიცოფე—BD. ⁸ ვითარ—B.
⁹ გჯინს EL. ¹⁰ სახელის-დებად CEFHL. ¹¹ ესოდენი CEL. ¹² თქუენე F. ¹³ ღმერთი
EL. ¹⁴ მაშინდელსა—F. ¹⁵ საკურველთა—L. ¹⁶ სატანჯველთათა BCEFHL, სატანჯველთა D.
¹⁷ განითრის D. ¹⁸ შეჰმანეს BCDEFHL. ¹⁹ მოვიდნენ D. ²⁰ არარაჳ] არა F. ²¹ მფრინველ-
თაგანი BCDEFH. ²² მყოვარ+ჟამ CEFHL.



C

9.

ქრისტეშული

ბიგლიქოქაქა

დეს მამანი იგი, რომელნი მყოფ იყვნეს გარემოს ქალაქებსა მას რევისასა², და მათთა მოწვეთაგანსა³ აღეშენა მონასტერი იგი, და აღიხუნეს ნაწილი⁴ იგი წმიდისა აბიბოსანი და დაჰვლნეს ადგილსა მას დიდებითა დიდითა. და ესრეთ შეიწირა წმიდა აბიბოს, ვითარცა მსხუერპლი წმიდა და მართლიადმცა⁵ ვინმე თქუა, ვითარმედ: „სენხა არს იგი ზაქარიასსა⁶, მამისა იოანესსა⁷, არა თუ სახელითა, არამედ სახითა, რომელსა-იგი წილი ხუედრებულ იყო მღვდელთ-მოძღურებისა და კულად სისხლიცა მისი წმიდად დაითხია“.

III. ამას რაჲ ვითხრობ თქუნ ნეტარისა ებისკოპოსისა აბიბოსისსა⁸, არა თუ ყოველთა საქმეთა და შრომათა და ღუაწლთა მისთა გაუწყებ თქუნ, ანუ ვითარ-იგი დაღეწნა კერპნი და უღმრთოთა მათ⁹ არწმუნა ქრისტე და ნათელ-სცა მათ სახელითა წმიდისა სამებისაჲთა, ანუ ვითარ დედაკაცსა¹⁰ მას უწინაწარმეტყუელა [130] შემდგომად ხოლო¹¹ მისისა¹² მოსლვად ბერძენთა¹³ და დაპყრობად ქუეყანისა ამის ჩუენისაჲ, რომელიცა იგი იქმნა მსწრაფლ. მისსავე¹⁴ დედაკაცისა ზემოვიდეს ბერძენნი¹⁵ და განასხნეს უსჯულონი იგი სპარსნი და დაიპყრეს ქუეყანაჲ ესე ჩუენი. მიერიტგან ერისთავნი იქმნნეს¹⁶ მპყრობელ ქართლისა, და სხუანი მრავალნი, ვითარცა წერილ არიან¹⁷ წიგნსა მას წამებისა მისისასა.

არამედ მინდა, რაჲთა გაუწყო¹⁸ თქუენ. ძმანო, ვითარმედ ესევეთარნი ქუეყანისა ანგელოზნი, ნათელნი სოფლისა.

მელნი-იგი მყოფ იყვნეს ქუაბსა მას, რომელი-იგი მათვე წმიდათაგან სავანესა¹⁹ აღეშენა მონასტერი, და [აღ]იხუნეს ნაწილი წმიდისა [აბი]ბოსანი, დიდითა პატივითა[ა და]პკრძალნეს ადგილსა [მას. და ეს]რეთ შეიწირა ღმრთისა [ნეტარი აბიბოს, ვითარცა ძღუენი სა]მსხუერპლოჲ, შე[სა]წირავი სულნელი, [ვითარცა მამად დიდისა ზაქარიასა, რომელსა-იგი წილი ხუედრებულ იყო [მღვდელთ-მოძღურებისა, და] მისებრ სისხლიცა წმიდა მისი დაითხია უფლისა ჩუენის]ათჳს.

III. [... არა თუ ყოველსა მისისა ღუაწლისაგან გაუწყებ თქუნ] ნეტარისა აბიბოს ებისკოპოსისა] წამებისათჳს. [არა თუ ყოველთა] საქმეთა და [შრომათა მისთა გაუწყებ თქუნ, ანუ ვითარ-იგი დაღეწნა კერპნი და უღმრთოთა მან არწმუნა ქრისტე და ნათელ-სცა] სახელითა წმიდისა სამებისაჲთა, ანუ ვ[ითარ] დედაკაც[სა] მას უწინაწარმეტყუელა [შემდგომად მისსა მოსლვად ბერძენთა] და დაპყრობად ქ[უეყან]ისა ამის ჩუენისაჲ, რომელიცა-იგი [იქმნა] მსწრაფლ. მისვე დედაკაც[ისა] ზემოვიდეს ბერძენნი და განასხნეს უსჯულონი იგი სპარსნი და დაიპყრეს ქუეყანაჲ ესე ჩუენი. მიერიტგან ერისთავნი იქმნნეს მპყრობელ ქართლისა. და სხუანი მრავალნი საქმენი და საკვრველებანი არიან ამის წმიდისანი, რომელნი არა დაწერილ არიან წიგნსა ამას წამებისა მისისასა.

არამედ იხილეთ და ცანთ გონიერად, საყუარელნო ქრისტესნო, თუ ვითარნი და რაბამნი კაცნი წმიდანი და ყო-

¹ გარემო CEFHL. ² რევისასა[კვეისასა F. ³ მოწვეთაგანსა D. ⁴ ნაწილი B. ⁵ სამართლადმცა E. ⁶ ზაქარიასა CEFHL. ⁷ იოანესა F. ⁸ აბიბოსსა BCEFHL. ⁹ მან C. ¹⁰ დედაკაცსა CEFHL. ¹¹ ხოლო—CEFHL. ¹² მისა CEFH. ¹³ ბრძენთა EL. ¹⁴ მისავე BCDFHL. მისვე F. ¹⁵ ბერძენი D. ¹⁶ იქმნეს FL. ¹⁷ არიან არს CFHL. ¹⁸ გაუწყობთ BD.



C

დიდი იგი ვცნათ¹ და გემოა ვიხილოთ წმიდათაგან წყაროთა და ადიდებ-
 ლით მამისა თქუენსა ზეცათასა.

ხოლო ნეტარმან შიო მღვმესა მას შინა² პოვა ზეცისა იგი მარგალიტი
 და მოიღო თავსა შინა თუსსა და დაამკვდრა³, და ისწრაფდა მისლვასა მის
 5 წინაშე, რომელი-იგი მოიქუა⁴ მან, მიიყვანა ადგილსა მას, სადაცა სუროდა
 და შეისუენა დიდითა განცხადებულებითა. და შეკრბა მუნ სიმრავლე მო-
 ნ[131]აზონთაჲ, მსგავსად ჩუეულებისა დაჰმარხნეს ჯორცნი მისნი⁵ მას ად-
 გილსა, და განაწესეს დღესასწაული მის ნეტარისაჲ მეხუთესა ზატიკსა, დღე-
 10 ჩაჯდა მღვმესა მას⁷, რაჲთა არა დააცალიეროს ადგილი თუსისა მის მოძლუ-
 რისაჲ და რაჲთა სათნოებათა მისთა მკვდრ იქმნეს, რომელიცა აღასრულა
 საქმიოთ.

[157] ურომად და მოღუაწებად ღირსად ცხორებვისად წმიდისა და
 ნეტარისა მამისა ჩუენისა ბრიგოლისი არქიმანდრიტისად,
 15 ხანციფლისა⁸ და შატბაეღლისა აღმაშენებლისად, და მის თანა
 ჯანებად მრავალთა მამათუ ნეტართად

—საკითხავი—

გუაქურთხენ, უფალო!

თავი C. მოცემულ არს სიბრძნე ღირსი კეთილისა მიზეზისა ქრისტოს
 20 მიერ, ღმრთისა ყოვლთაჲსა, ბუნებასა ჰეშმარიტთა ბრძენთასა, ვინაჲცა ითხოვ-
 დე⁹ ბრძენთაგან სრულთა კრძალულ[ებით] სიბრძნის-მეტყუელებასა და სუ-
 ლელთაგან [გ...]ლის მეცნიერთა, დუმილით ბრძენთა [სმენასა]. აწ სულელნი
 სიბრძნის-მეტყუელებენ, ხოლო თუს[ს]ა და ბრძენთა [...]ნეს დუმილი...
 25 მ[თ] ვერ გულისხმა ყვეს, ვითარმედ ბრძნად მეტყუელება ვეცხლი არს წმი-
 დაჲ, ხოლო დუმილი ოქროა რჩეული¹⁰, ვითარცა თქუა სოლომონ.

რამეთუ რაჲმს ბრძენთა დუმილი ჰმატს, მაშინ «სიბრძნს მათი გამოსა-
 ვალთა ზედა იქებინ»,** რამეთუ ენაჲ მათი მეტყუელებისაგან ცუდისა უტყუ
 არნ და ძურის-სიტყუსა უქმ, რამეთუ ძიებაჲ რაჲ სასყიდლისაჲ [v] საქმედ
 უპყრიედ მათ და ყოლადვე ბრძნობედ სიწმიდესა სიმართლით ღირსებასა თა-
 30 ნა და სიყუარულითა ღმრთისაჲთა გალობედ მეცნიერებით მარადის ლოცვი-
 სა შეწირვითა, ვითარცა იტყუს მოციქული: «მოუკლებლად ილოცვედითო»***.

არამედ აწ მე, ვინაჲთგან ვერ ცალ-მიც მოუკლებელად ლოცვაჲ და სუ-
 ლელთა ყოველთა უდარეს ვარ, ნაკლულევანებაჲ ჩემი არა მიფლობს დუმილად
 და ზოგს-რაჲმე უმჯობესად შემირაცხიეს, რაჲთა ვიტყოდი ღირსად ცხოვრ-
 35 ბასა ღმერთ-შემოსილთა კაცთასა, ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისა და
 მოყუასთა და მოწაფეთა მისთასა მადლითა და შეწევნითა ღმრთისაჲთა, რა-
 ოდენცა შეუძლო უწყებად მსმენელთა ჰეშმარიტად თხრობილც მოწაფეთაგან

* ? ** იგა.ვ. 1,20. *** I თესალ. 5,17.

წესხაშია: ¹ ვრცნათ L. ² შინა[შორის] CFH. ³ დაამკვდრა D. ⁴ მოიქუა[მოიჭდა] D.

⁵ მისნი—CEFHL. ⁶ ამის BD, ამისსა FH. ⁷ მას+შინა EL. ⁸ ხანციფლისა. ⁹ ითხოვდეს.

და მოწაფის მოწაფეთაგან მის წმიდისათა. და ნეტართა მათ ღმერთთა, ვინცთა
 ორკერძოვე ლხინება უძლურებათა ჩემთაჲ ესრეთ. სიტყუათა ამთა წერიტთა.

9. ვითარმედ არსება-დაუბადებელისა¹ კაცთ-მოყუარისა სავებისა წმი-
 დისა მადლითა, მიუწოდებლად ჩუენგან დაწერილთა—საუკუნოდ ზეცათა ში-
 ნა ანგელოზთა თანა—წიგნსა მას ცხოველთასა, და ჯუარითა წმიდითა მოკა-
 დულთა დიდთა მათ მეუდაბნოეთა, კლარჯეთისა დიდებულთა უდაბნოთა ში-
 ნა პირველად დამკვდრებულთა მათ წმიდათა მამათა, ღირსად ცხორებულთა,
 სიმკვს მოთმინებისა და სიწმიდით შრომაჲ, უფლისა სათნოა, და სასწაულ-
 თა მათთა სიმრავლენი ქუეყანასა მას ქართლისასა აღუწერელობითა და შვირ-
 დეს მისეთს, რომელ პირველ ვაჟსენე, რომელთაჲ ჯერ-იყო დაწერაჲ ვიდრე
 ნათესავითა-ნათესავადმდე² უკუნისამდე მითხრობად ყოველთა, რაათამცა
 ერი დაბადებადი აქებდა უფალსა ჯსენებისა [158] მათისა დღესასწაულსა³.

არამედ აწ სასწაულნი მათნი ჟამთა სიმრავლისაგან მიეცნეს სიღრმესა
 დავიწყებისასა ყოლად მოსაქსენებელთა მათ განსაკვრებულთა ნეტართა
 კაცთა საქმენი კეთილნი და ცხორებაჲ უბიწოა, რომელნიცა-იგი ბრწყინვი-
 დეს ვითარცა მთიებნი ზეცისა სამყაროსა, ხილულსა ამას და განქარებადსა
 მზესა ქუეშე. და აწ სულთა ბრწყინვალენი იხარებენ დაუსრულებელსა ნა-
 თელსა შინა და მარადის ჩუენთს მეოხებასა ჰყოფენ, განმზიარულბულნი
 ქრისტეს აღთქმულთა მოღებთა, რამეთუ შრომათა მათთა წილ მიუღებთს
 სიხარული და მზიარულბება უოხვნოა⁴, მოუკლებელი და გამოუთქმელი⁵ ცათა
 შინა.

(ამათ ნეტართა შორის გამობრწყინდა მადლითა სავსე, განსრულბული
 სიბრწინითა, დიდი მდღელი და კეთილად განმგებელი მოლუაწს და უდაბნოთა
 ქალაქყოფელი, ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი, სანატრელი გრიგოლ,
 სულიერად მამა და წინამძღუარი და მაშენებელი ხანძრისა და შატბერდი-
 სსა, ორთა ამათ დიდებულთა მონასტერთაჲ, რომელი ექმნა სახე კეთილის
 ყოველთა მის ჟამისა მეუდაბნოეთა მამათა ახლად შენებასა მათსა.)

(ესე იყო შვილი წარჩინებულთა დიდებულთა და მართლმორწმუნეთა
 მამა-დედათაჲ და სახლსა შინა სამეფოსა დიდისა ნერსე⁶ ერისთვისასა აღ-
 ზრდილ იყო ჯელითა კეთილად მსახურისა დედოფლისა, ნერსეს ცოლისაჲთა,
 რომელსაცა ეშვილა, რამეთუ იყოცა ძმის წული მისი, და საშოათგანვე დე-
 დისაჲთ შეწირულ იყო ღმრთისა დედისაგან თჳსისა, ვითარცა სამოელ წი-
 ნაწარმეტყუელი და⁷ [v] მარხვასა შინა იზარდებოდა მსგავსად წინამორბედი-
 სსა, რამეთუ სიჩოათგანვე ღჯნოა და ჯორცი არა შეჴდა პარსა მისსა⁸, ვი-
 ნაჲთგან ქრისტესა განეკუთნა სული თჳსი სამკვდრებლად. (და ხატიცა მო-
 ნაზონებისაჲ ემოსა, რამეთუ თავისუფალ იყო იგი სიმღერისაგან ყრმათაჲსა
 და ყოვლისაგან აღრევისა კაცთაჲსა და მარტოდ იყოფენ თჳსსა მას სად-
 გურსა, რომელსა განწესებულ იყო. აზისთჳსცა დაყუდებულ უწოდიან მას სა-
 ხელი.)

(ხოლო გულისგმეირობაჲ სწავლისაჲ განსაკვრებელი იყო ფრიად, რამე-
 თუ მსწრაფლ ხოლო დაისწავლა «დავითი» და ჯმითა სასწავლელი სწავლაჲ

ნუსხათა: ¹ დაუბადებელია. ² ნათესავადმდე. ³ დღესასწაულსა. ⁴ უუხვნოა.
 გამოუთქმელი. ⁵ ნერსე. ⁶ და | და. ⁷ მისა.

საეკლესიოა, სამოძღვროა. ქართულსა ენასა შინა ყოველი დასწავლა და მწიგნობრობაცა ისწავა მრავალთა ენათაჲ და საღმრთონი წიგნნი, ზეპირით მოიწუართნა. ხოლო სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ ისწავა კეთილად და, რომელი პოვის სიტყუაჲ კეთილი, შიწყნარის, ხოლო ჯერ-
 5 კული განაგდის. და განითქუა სისრულე იგი მისი სახელოვნად ყოველთა შორის. ხოლო გარეშესა მას სიბრძნესა სოფლისასა ჰბასრობნ სიტყუსაებრ მოციქულისა, ვითარმედ: «გან-რამე-აცოფა ღმერთმან სიბრძნე იგი ამის სოფლისაჲ»*. სიტყუაჲ მისი იყო შეზავებულ მარლითა მადლისაჲთა. რაჟამს იტყუნ, ბრძნად აღაღის პირი თუხი და წესი განუჩინის ენასა თუსსა და ჰასა-
 10 კისა ზრდასა თანა სათნოებაცა კეთილი იზარდებოდა, რამეთუ არა იყო, ვითარცა ქაბუკი, მზუაობარ და ქამადთა გულის-სათქუმელთა მოყუარე, არამედ თავით თუსით დანიელ წინაწარმეტყუელისა სიტყუასა იტყუნ, ვითარმედ: «აური გულის სათქუმელი არა ვჰამო»**. და ესრეთ მიიღის საზრდელი საგლახაკოჲ ჯო[159]რცთა თუსთა განსამტკიცებლად ნეტარმან გრიგოლ, მდაბალ-
 15 მან გულითა და გლახაკმან სულითა, მუდრომან ქცევითა და მოწყალემან გონებითა, რამეთუ ცირი სიწმიდისაჲ მარადის გულსა მისსა დანერგულ იყო, აღმომცენარე ჯეჯლსა ღმრთის-მსახურებისასა. და ნერგი ჰეშმარიტისა სარწმუნოებისაჲ აღორძნდა სულსა მისსა, და ნაყოფი ღმრთისა სიყუარულისაჲ გარდაემატა მის შორის. და ესევეთარითა მრავალფერითა კეთილად განგე-
 20 ბითა ცხოვრდებოდა ქაბუკი ესე¹ სამღდელოჲ სათნოდ უფლისა. ხოლო იყო ხილვითა დიდ, ჯორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოლად კეთილ სრულიად, გუამითა მრთელ და სულითა უბიწო.

1. მაშინ გელმწიფეთა მათ, აღზრდელთა მისთა, და სანატრელმან დედამან მისმან და ერისა სიმრავლემან ინებეს ხუცად კურთხევაჲ ამის ნეტარისაჲ და პრქუეს მთავართა მათ და მშობელმან მისმან: «შვილო, ყოლად
 25 კეთილო და სარწმუნოო ქრისტეს მონაო, აჲა მოიწია ეამი წინაწარმეტყუელისა დავითის თქუმულისაჲ, რომელსა იტყუნ: «ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა, არამედ უბრალოჲ ჰელითა და წმიდაჲ გულითა»***. და აწ შენ გაოვა ქრისტემან უბრალოჲ ჰელითა და წმიდაჲ
 30 გულითა. და რამთა შენ აღზუდე² მთასა უფლისასა და დადგე ადგილსა წმიდასა მისსა შემწირველად წმიდასა და უსისხლოსა მსხუერბლსა⁴ მისსა ღირსებისა ძენისათუს და სასოდ სულთა და ჯორცთა ჩუენთა.

ხოლო ამას ნეტარსა დაღაცათუ აქუნდა სიყუარული მღდელობისაჲ, შეზრუნდა სიტყუასა მათსა ზედა და შიში დაეცა სიხლისათუს ჰასაკისა მისისა და პრქუა მათ: «თქუენ იცით ძალი საღმრთოთა წიგნთაჲ, გულისქმა-
 35 გიყოფია წმიდათა მოციქულთა და ნეტართა მღდელო-მომღუართა განსახლვრებული [v] კანონი წმიდისა კათოლიკე⁴ ეკლესიისაჲ. თუ ვითარნი კრძალვანი უქმან მღდელობასა და ყოლად უბრალოებაჲ არა ხოლო საქმით, არამედ გონებითაცა და სიტყუათა. ხოლო დაღაცათუ სულგრძელებასა ღმრთი-
 40 სასა თავს-უდებოეს დათმენაჲ. უწესოთა კაცთა მღდელობაჲ უმჯობეს არს მათა, უკუეთუმცა ყოლადგე რიცხუსა კაცთასა არა შერთულ იყვნეს ვიდრე

* 1 კორინ. 1,20. ** დანიელ 10,3. *** ფსალმ. 23,3—4.

ნუსხ.შია: ¹ ესმ. ² აღზუდე. ³ მსხუერბლსა. ⁴ კათოლიკე.

საუკუნოდ პატივთა დაუსრულებელთა, ხოლო სარწმუნოთა მღვდელთა უწყოდეთ თქუენ, ვითარმედ უფროას არს ყოველთა დიდებათა სულიერთა და ჯორციელთა, რამეთუ ქრისტეს ნაცვალობაჲ არს ჭეშმარიტისა ღმრთისაჲ, რომელმანცა პრქუა მოწაფეთა თჳსთა, ვითარმედ: «ნეტარ ხართ თქუენ, რამეთუ მრავალთა წინაწარმეტყუელთა და მართალთა სწადლოდა ხილვად და სმენად, რომელსა ხედავთ თქუენ და გესმის, და ვერ მიემთხვნეს»*, რომელსა ღირს იქმნენით თქუენ² და თჳსისა მის მღვდლობისა ნაცვალად უფალმან მოციქულნი დაადგინნა მღვდლად, და შემდგომითი შემდგომად ყოველნი სარწმუნონი მღვდლნი და მათ მიერ ცხოვრებისა სასოებაჲ ქრისტეანეთაჲ მღვდლობასა შეჰვედრა, და სასწაულთა ყოველთა და წინაწარმეტყუელთა ჩუენე-19 ბასა და ღმრთის-მხილველთა კაცთა გამოცხადებასა მღვდლობითა დაჰბეჭდა. და აწ არა³ ვინაჲ არს კაცთა ცხოვრებაჲ თუნიერ მღვდლობისა, რომლისათჳს პავლე⁴ იტყჳს, ვითარმედ: «ქრისტეს მიერ სახარებისაგან მე გწვევ თქუენ»⁵. და უფალი ბრძანებს: «უკუეთუ ვინ-მე არა იწვევ მეორედ და არა მიილოს წმიდაჲ საიდუმლოჲ, ვერ შევიდეს სასუფეველსა ცათსა»⁶. (და აწ პატივისა-20 ვებედავ და აპატივისაგან მეშინის!)

მაშინ მიუგეს ბრძენთა მათ მთავართა და პრქუეს: «შვილო, გამორჩეუ-ლო ქრისტესო, შიში ღმრთისაჲ თავი არს სათნოებათაჲ. [160] ვითარცა მოსე⁷ იტყჳს: «რასა ითხოვს ღმერთი შენგან, ჟ ისრაელ, არამედ რაჲთა გე-21 შინოდის მისა»⁸, «რამეთუ შიშმან უფლისანან შესცინის დღეთა»⁹, ვი-22 თარცა იტყჳს სოლომონ, რამეთუ: სიბერისა პატიოსნებაჲ არა მრავალი ეამი არს და არცა რიცხვ დღეთაჲ აღრაცხილ, ხოლო მკიცვანებაჲ არს გონიერებაჲ კაცისაჲ, და ჰასაჲ სიბერის-ცხოვრებაჲ უბიწოჲ. და კუალად იობ იტყჳს: «არა თუ მრავლისა ეამისანი არიან ბრძენ, არცა ბრძენთა იციან სა-23 მართალი»,¹⁰ «არამედ სული ვიდრემე, და სული იგი ყოველისა მპყრობე-24 ლისაჲ, რომელმან ასწავის სიბრძნეს»¹¹ და «შენ მოგცა ქრისტემან კეთი-ლი მოხუცებულებჲა გონებისაჲ. და აწ ნუღარა ურჩ იქმნები, არამედ მორჩილ იქმენ ბრძანებასა ქრისტესსა და ჰმონე მას მღვდლობითა, რომელმან იგნო ჩუენთჳს, მღვდელმან მან საუკუნემან, და ჩუენ ყოველნი გუაცხოვნა».

ხოლო ნეტარი გრიგოლ დაემორჩილა მათ და ნებითა ღმრთისაჲთა¹² იკურთხა ხუცად ვედრებისაგებრ მეედრებელთა მისთასა, რომელ შეუენოდავე კრძალულებით, საღმრთოთაჲთა კანონითა ქცევასა მისსა და მარადის წმიდისა სამებისა მართლმადიდებლობასა. და ესრეთ მზიარულ იქმნა სიმრავლ¹³ იგი ფრისაჲ, რაგამს წმიდითა ჳელითა მისითა ღირს იქმნნეს მიღებად ჯორცსა და სისხლსა ქრისტესსა¹⁴.

მაშინ მთავარნი იგი განიზრახვიდეს ებისკოპოსობასა მისსა, რამეთუ ვითარცა ანგელოზი ღმრთისაჲ აქუნდა ყოველთა ჭეშმარიტებისა მასწავლე-25 ლად¹⁵, ვითარცა წერილ არს: «ბაგეთა მღვდლისათა დაიცვან სამართალი და შჯული პირისა მისისაგან გამოიძიონ, რამეთუ ანგელოზი უფლისა ყოველისა მპყრობელისაჲ არს იგი»¹⁶.

* მათე 13,16—17. ** 1 კორინ. 4,15 *** იოანე 3,3,5. **** შჯულ. 10,12. ***** იგაე. 10,27. ***** იობ 32,9. ***** იობ 32,8. ***** მალაქ. 2,7. ნუსხაშია: 1 ესტ. 2 თქუნ. 3 არაჲ. 4 პავლ¹. 5 მოსტ. 6 ქსა. 7 მასწავლელად.



ქართული
ეკლესია

8 ხოლო ნეტარმან გრიგოლ, ვითარცა იხილა თავი თვის გრძელად
დიდებასა შინა, ფრიად წუხდა გული მისი და განიზრახა ფარულად სიელტო-
ლაჲ თვისით ქუეყანით საღმრთოთაჲ წოდებითა, რომელიცა უძლოდა მას მა-
5 მათ [V]-მთავრისა აბრაჰამის სახელ, და ვითარცა ისრაჲლი უდაბნოდ. არამედ
აბრაჰამ ქუეყანისა მისგან ურწმუნოთა ნათესავთაჲსა განაშორა ღმერთმან,
ხოლო ესე¹ მორწმუნისა და კეთილად მსახურისა ქუეყანისაგან გამოიყვანა
ამის მიზეზისათჳს, რაჲთა უქმთა მათ უდაბნოთა შინა გამობრწყინდეს სანთე-
ლი ესე დაუფსებელი, ბრწყინვალე ზედა სასანთლესა მას მალალსა ზეთითა
მით განუპარველითა, რაჲთა ჳმასა მას და ოზრასა საყვრისისა აღტყინოს და
10 განბრწყინდეს სულითა ძლიერითა, და მიუძღუეს² საქორწინესა მას კრებულ-
სა თანა მოწაფეთა მისთა წმიდათაჲსა და რამეთუ მადლითა მით [ღმრთის]
მხილველითა, გონიერითა და უბიწოთა, გულსჳმა-³[ეცო] მეუკვალბელა იგი
სუფევად, ზეცისა მთავრობად და მათ თანა მოდასეობისა წადიერებითა დაუ-
ტყვა სუცვალბადი [პატივი] ქუეყანისა მოკუდავთა⁴ კაცთა სუფევისაჲ და
15 მოპრინდა ჟამიერთა და ნვეთიერთა ბუნებათა, რაჲთა უქამოჲ იგი ნათელი
უძლოდის უწინეთო[ს]ა მას [სა]მკვდრებელსა და უცვალბებელსა დიდებასა სა-
სუფეველსა ცათასა.

9 და ესე ვითარსა კეთილსა განზრახვისა და გზანასა მისსა პოვნა მო-
ყუასნი კეთილნი შეწევნითა ქრისტ[ს] მადლისაჲთა: საბა, რომელსა ეწოდ
20 საბან, დედის დისწული მისი, იშხნისა მეორედ მაშენებელი და ებისკაპოსი
მისი; და თევდორე ნექსა მაშენებელი და მამაჲ; და ქრისტეფორე კარიკეთისა⁵
მაშენებელი და მამაჲ. ესე ოთხნი შეანაწევრნა სარწმუნოებამან, და საღმრთო-
მან სიყუარულმან შეამტკიცნა ერთ [ზრახ]ვად შეკრებულნი, ვითარცა სული
ერთი ოთხთა გუამთა შინა დამტკიცებული. მაშინ ნეტარმან გრიგოლ თქუა
25 სიტყუად იგი დავითისი, [161] ვითარქედ: „რაჲ-მე კეთილ ანუ რაჲ-მე შეე-
ნიერ, არამედ დამკვდრებამ ძმათაჲ ერთად⁶?“; რამეთუ ვითარცა თქუა ქრის-
ტემან სახელისა მისისათჳს ჳკრებულთა შორის დამკვდრებაჲ თვისი, ეგრეთვე
იყავნ ჩუენ შორის თავადი უვალი, რაჲთა საათა-იყოს სულაერი ესე საგრო-
ბად ჩუენი უცხოებასა შინა და რაჲთა მეწიურულ იყოს მსახურებაჲ ჩუენი
30 სათნოდ მის წინაშე. ხოლო მათ თქუეს⁷: „იყავნ ქრისტე ღმერთა ჩუენ შო-
რის სულიერად ძმობასა და გზანასა ჩუენსა და უძღურსა გულს-მოღვიანება-
სა სიტყუათაებრ შენთა, ბრძენო გრიგოლ, რაჲთა ძალა საღმრთოჲ დაემკვდ-
როს ჩუენ შორის“.

მაშინ ერთითა მით ერთობითა აღიბეჭდნეს თავნი თჳსნი ძლიერებასა
35 ბეჭდითა მით ნიშისა საუთუოთაჲსა პატიოსნისა ჳუარისაჲთა და სიხარულათ
წარემართნეს გზასა მას, რომელი არა უწყოდეს, არამედ არა უმეკარ იყვნეს,
რამეთუ უფალი მხოლოჲ უძლოდა მათ, ხედვიდა რაჲ გულსა მათსა წმიდასა
და წყაროებრ დაუწყუედელსა ლოცვისა და ცრებულთა მათთა ნაქადულსა, და
მოიყვანნა იგინი ქართლით ოპიზას პირველად.

40 ხოლო იყვნეს ოპიზას ძმანი მცირედნი შეკრებულ ქრისტ[ს] სიყუარუ-
ლისათჳს, ვინათგან პოვნულ იყო წმიდაჲ იგი მცირე ეკლესია⁸ წმიდისა

* ფსალმ. 132,1.

ნუხასია: ¹ ეცო. ² მიუძღუეს. ³ ქს. ⁴ კეთისა. ⁵ თქუმს. ⁶ ქს. ⁷ ეკლესიაჲ.

ნათეს-მცნეღისა. და იყო წინამძღურისა მათისა სახელი აქვან ფიქრფიქ ქ
 რანეთუ მესამე¹ მანა იყო ობიზისა, რათგან სამოელ და ანდრია² გარდა-
 ცელქულ იყვნეს. ანან ნეტარმან ანა გორგი, ვითარცა იხილნა სანატრე-
 ლი მანა გრევილ და მოუხსნი ჩლნი, გულსგზა-ყო სიღრთოთა ცნობითა
 ღირებისა მათისა მადლი და შეიწყნარნა ივინი სიხარულით, არა³ ვითარცა 6
 მიწადენი, არამედ ვითარცა უზეშთაესნი ჩისა. უწყოდა სულითა, რამეთუ
 პატივი ზეგარდამო[ა] [v] ღრთისა მიერ მონიგებლად იყო მათდა. და ორისა
 წელეწლისა ემთა იუღენს ობიზს მანა გრიგოლ და მოუხსნი მისნი ღუაწ-
 ლითა დიცხლითა მოწაზონებისა შრომისათა, ვითარცა იყო წესი მის ემისა
 მონაზონთა. 10

ხოლო მანისა გრიგოლს სწადოდა მარტოდ დაუხდებია, რამეთუ ესმოდა
 ანგელოზბრევი ცხოვრება მარტოდ მყოფთა მით სიგრცესა მას შინა უდაბ-
 ნოასისა, რომელნი-იგი იხარდებოდეს მივართა სახედ წყუანვილითა და ხი-
 ლითა, ხოლო რომელნიმე მცარდითა პურითა და რომელთაიმე ესმოდა სა-
 ხელი და რომელნიმე ფარულად იყვნეს. ყოველთა მით ნეტართა მოძილან¹⁵
 წმიდა გრიგოლ და კეთილთა ქცევითა მათთა ისწავებნ, რომელთაგანმე-
 ლოცვისა და მარტვისა, რომელთაგანმე—სიღბლესა და სიყუარულსა, რომ-
 მელთაგანმე—სიძნელესა და განუზრისხველობისა, რომელთაგანმე—უმოვარება-
 სი და ელენისა ზედა წოდისა, გინა თუ ზეჯღრით ძილსა, რომელთაგანმე—
 უძღურებისა და კელთ-საგმარისა ღუმლით და მსგავსთა ამათთა სათნოებთა, 20
 და ესრეთ სწავლათაგან სულიერთა აღსავსებან მიაქციის საყოფლადვე თჳსა⁴,
 რამეთუ ესმინ წმიდათა მათგან, ვითარმედ: „პრცხუენისმცა⁵ სოფელსა ქცე-
 ვათაგან ჩუენთა კეთილთა“.

11. მას ეამსა იყო ვინმე ბერი ხანკთას მარტოდ მყოფი კაცი, მართალი
 და წმიდა, რომლისა სახელი ჯუედიოს. ამან ნეტარმან ჩუენებია⁶ იხილა არა 25
 თუ ილსა შინა, არამედ ცხადად. რამეთუ ხედვიდა ადგილსა მას წმიდასა,
 სადა აწ ხანკთას წმიდა ეკლესიაა შენ არს, ვითარმცა სახედ ეკლესიისა⁷
 ნათლისა ღრუბელი გამოხატული დგა მყოვარ ეამ და სულნელებია დიდძალი
 განოვიდოდა მიერ ღრუბლით. და ესმა ეამა [162] ნეტარსა მას ბერსა, ვი-
 თარმედ აღეშენოს წმიდა ეკლესია ადგილსა ამას ჯელითა გრიგოლ მღდე- 30
 ლისა, კაცისა ღმრთისაათა. და სულნელებია ლოცვითა მისთა და მოწაფეთა
 მისთა, ვითარცა კეთილი საკუმეველი აღიწეოდის წინაშე ღმრთისა. და ესე
 ჩუენებია ვითარცა იხილა, განიხარა დიდად ფრიად და მიელოდა უწყებულსა
 მას წმიდასა, რამეთუ ჩუენულებია აქუნდა ღმრთისამიერისა ხილვისა. ეგ-
 [რეთ]ვე აუწყა ქრისტემან სანატრელსა მამასა გრიგოლს ბერისა მის] ღირ- 35
 სებია და ადგილისა მის [მი]გებლად მისა.)

მას ეამსა წინამძღურებითა სულისა წმიდისაათა მოიწია ხანკთად სა-
 თნოა ღმრთისა მამა ჩუენი გრიგოლ წმიდისა მის ბერისა. და ვითარცა იხი-
 ლეს ერთმანერთი, განიხარეს ფრიად და ყვეს ლოცვა. მაშინ ნეტარმან მან
 ბერმან პრქუა: „მაკურთხე⁸, წმიდაო მამაო გრიგოლ, რამეთუ მღდელი ხარ 40
 შენ“ და ყო ლოცვა მამამან გრიგოლ და ვითარცა მრავალ [ეამთა] მეგო-

ნუსხაშია: ¹ მესამე. ² ანდრია. ³ არა. ⁴ თჳსა. ⁵ პრცხუენისმცა. ⁶ ჩუენებია. ⁷ ეკ-
 ლესიისა. ⁸ მაკურთხე.



ბარნი საყუარელნი მოიკითხნეს ურთიერთას და სიხარულით დასწრეს და მიუთხარეს ჩუენებაჲ იგი პირველი. (ხოლო ნეტარმან გრიგოლ ჰრქუა: „განადლომ ჰრისტესა¹, რომელი მომიძლუა საყოფლად შენდა შეილსა შენსა და ღირს მყო მე თავუანის-ცემად კუალსა წმიდათა ფერჳთა შენთასა, გამორჩეულო ღმრთისაო!)² ანეირითგან იყავნ წმიდაჲ ჯუარი შენი საფარველ ჩემდა და შეწეენაჲ ღირთა ლოცვათა შენთაჲ ზღუდს ჩემდა“) ხოლო მან ჰრქუა: „არამედ უფროას-ლა ნაყოფი წმიდათა ლოცვათა შენთაჲ და წმიდაჲ ჯუარი შენი მარადის იყავნ ჩემ ზედა, უცლურისა ამის მოხუცებულისა და მცირედთა დღეთა³ შემდგომად იხილო მტუერ-ქმნული⁴ შენ, წმიდაო ღმრთისაო. დაღა-
 10 ცათუ დღითა უმრწემეს ხარ, საქმიით კულა უხუცეს ხარ [v] ჩემსა, რამეთუ შენ იყო მწყემსი კეთილი მრავალთა პირმეტყუელთა⁵ საცხოვართა ქრისტესთაჲ⁶ და სულისა ჩემისა საუკუნოდ გვრგვნი და სასოჲ, ამისთჳცა არათუ გორცთა და სისხლთა მოგაწიეს უქმსა ამას უდაბნოსა ქუეყანით შენით, მა-
 15 ლისა წმიდისაჲ და მადლი ღმრთისა მამისაჲ გაქუს წინამძღუერად შენდა, რომლისა წინაშე სრ [წარგდო] მილ არს ყოველი შეთხზულება [მტერისა] მანქანებათაჲ, ვითარცა ქსელი დედაზარდლისაჲ წინაშე ქარსა⁷. და რამეთუ უწყის ბოროტმან ხარი სიწმიდეთა შენთაჲ, [რომლითა]ცა შეიკრა ვითარცა რაჲ მფრინველი შეურაცხი, და სრულიად დათრგუნოს ქრისტემან ფერჳთა
 20 ქუ[ე]შე შენთა, წმიდაო მამაო“.

ხოლო ნეტარმან გრიგოლ [ჰრქუა მას]: „ქრისტემან აღუთქუა მოწაფეთა თჳსთა, ვითარმედ: [„მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა“⁸], და არა ხოლო თუ თქუენ თანა ოდენ, არამედ ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“⁹ ყოველთა თანა მორწმუნეთა. იგივე თავადი უფალი მკადრ არს შენ თანა,
 25 ღირსო მამაო, რომელმანცა ლოცვითა შენითა მომანიჭოს ძღვენა ეშმაკთაჲ და მანქანებათა მათთა ურიცხუთაჲ, და შენ მოგცეს შრომათა შენთა წილ სასუფეველი ცათაჲ სიტყუსაებრ მოციქულისა, ვითარმედ: „სასყიდელი იგი მოქმედსა მას შეერაცხების არა თუ მადლით, არამედ თანანადებით“.¹⁰

ამისა შემდგომად ჰრქუა კეთილმან მან ზერმან წმიდასა მამასა გრი-
 30 გოლს: „წინაწარმეტყუელი იტყუს, რამეთუ «ტკბილ არიან სასასა ჩემსა სიტყუანი შენნი უფროას თავლისა პირსა ჩემსა»,¹¹ არამედ გორცთა საღლაწი უქმს წერილისაებრ, რომელმან მოსცა საზრდელი ყოველსა [163] გორციელსა, რამეთუ უკუნისამდე¹² არს წყალობაჲ მისი“.

მაშინ განჰმზადა ტაბლაჲ მსგავსად ჩუეულებისა სიხარულით, რომელი
 35 დახუდა დიდსა მას უპოვარებასა¹³ მისსა, და აკურთხეს მადლობით და იწყეს ჰამად, მარადის მეტყუელთა სულისა საზრდელსა მას სიტყუასა: „უფალო იესუ ქრისტე¹⁴, ღმერთო ჩუენო, შეგვწყალებნ ჩუენ“¹⁵. და კინითა მით საშუებ-
 40 ლითა ფრიად იშუებდეს¹⁶, ვითარცა დიდძალითა სანოვაგითა, რამეთუ ღმერთი იყო შორის წმიდათა მით, სიხარული დაუსრულებელი და კეთილი მო-
 უკლებელი, რომლისათჳცა იტყოდეს: „არა¹⁷ ნაკლულეგან ვართ, არამედ აღ-

* მათე 28,20 ** ჰრონ 4,4. *** ფსალმ. 118, 103.

ნუსხაშია: ¹ ქა. ² დღშთა. ³ -ქმნოლი. ⁴ პირმეტყუელთა. ⁵ ქსთა. ⁶ სიბრძნე. ⁷ ქარსაჲ... ⁸ დღშთა. ⁹ უკ-შ. ¹⁰ უპოვარებასა. ¹¹ ქ-შ. ¹² იმუშბდეს. ¹³ არაჲ.

სავსე¹ მადლითა საუნჯეთა მათგან მოუკლებელთა, უხილავთა და უკანაჲნი² ველთა“. და ვითარცა მიიღეს საზრდელი, კუალად იწყეს სულისა ცხოვრებაჲ³ მისი ზრახვასა. და იყო განგრძობილად სიტყუაჲ მათ შორის, რამეთუ დღე იგი დამწყურბად და ღამე განთენა უძილობით ლოცვასა შინა მათსა და ვალობასა ღმრთისასა.

და განთიად მოახილვა ყოველი სანახები ხანტელისაჲ, და ღრუად შეუყუარდა წმიდასა გრიგოლს. მაშინ პრქუა ნეტარსა ბერსა: „წარვიდე ოპიზს და მსწრაფლ ხოლო მივიდე⁴ ძმათა ჩემთა თანა, რომელ დაუტყვევ მუნ, რაჲთა მოვიდენ ჩემ თანა და იგინიცა იკურთხნენ წმიდათაგან ლოცვითა შენთა“. და ვითარცა მოიწია ოპიზს, ახარა ძმათა თუსთა ხილვითა წმიდისა მისი⁵ ბერისაჲ და ადგილისაჲ მის, კეთილისა საყოფლისა ღმრთივ მოცემულისაჲ. და მსწრაფლ ხოლო მივიდეს ამა გიორგისა, ოპიზის წინამძღურისა, და მოიღეს ლოცვაჲ წმიდაჲ მისი და ძმათა ყოველთაჲ და სიხარულით მოიწინეს ხანტელად. ყვეს ლოცვაჲ და მოიკითხეს წმიდაჲ იგი ბერი, ვითარცა ზეცისა ანგელოზი, ხოლო მან განიხარა ხილვითა ნეტართაჲ მათ და პრქუა მათ: „თქუნენ⁶ ხართ სიწმიდისა ნაყოფი, [V] მცენარენი სულნელნი, ვარდნი შუენიერნი⁷, ფინიკნი კეთილნი და ზეთისხილნი ნაყოფსავესენი, ზეთითა მით სიწმიდისაჲთა პოხილნი, რომელთა ხილვითა დღეს განიპოხა სიბერე⁸ ჩემი და ამაღლდა სიხარული ჩემი, ვითარცა რქაჲ მარტორქისაჲ. ამიერთგან იხარებდინ უდაბნოჲ ესე თქუნენ, ქრისტეს⁹ ნების ნყოფელთა, ამას შორის დანერგვითა“. ხოლო¹⁰ მათ პრქუეს: „წმიდისა ანტონის მიმსგავსებულო წმიდაო მამაო, სიტყუათა შენთა პატივი ჩუენთვის ზემთა ბუნებათა არს, არამედ დაამტკიცენ ქრისტემან ყოველისა შემძლებელმან ქებისა ბრძანებაჲ ეგე მადლიერი, და კმა არს ჩუენდა, და ინებენ უფალმან მოცემად ჩუენდა მადლი ესე¹¹, რაჲთა ღირსად ვამსახუროთ სიწმიდესა შენსა ვიდრე აღსასრულამდე¹², მ წმიდაო ღმრთისაო“. მათ პრქუა ბერმან: „დაღაცათუ მხიარულ არს გული თქუენი მსახურებად მოხუცებულებასა ჩემსა, ხოლო ესე უწყოდეთ, ნებითა ღმრთისაჲთა ვიდრე სიკუდილამდე¹³ თუთ ვამსახუროთ თავსა ჩემსა, რამეთუ დავით იტყუეს: „აღუ-თქუთ და აღუსრულეთ უფალსა ღმერთსა თქუენსაოა“. აწ მე აღმითქუამს უფლისადა ვიდრე აღსასრულამდე ჩემდა მარტოდ მყოფებაჲ, სულითა კულა¹⁴ თქუენ თანა ვარ და აწ ჯერ-არს ჩემდა აღნათქუენისა საქმით აღსრულებაჲ“.

ამისა შემდგომად პრქუა ნეტარსა გრიგოლს: „მიმსგავსებულო ელიაჲსო და იოვანესო, ნეტარო კაცთა შორის, არს მახლობელად ჩუენსა ქუბით მცირე, წარმიყვანე მუნ შენ და ძმათა შენთა, რაჲთა ნეშტი დღეთა ჩემთაჲ მას შინა აღვასრულო, რამეთუ მცირედ-ღა ყოფად არს ჩემი ზორცთა შინა ყო-¹⁵ფაჲ. ხოლო ესე აღმითქუთ, რომელ ჩემდა სიკუდილმდე¹⁶ არა განპმრავლდეთ ადგილსა ამას შინა“. და ჯუარე დასწერა თუსსა მას სამკვდრებელსა, და სიტყუაჲ [164] მისი განძლიერდა. და მათ არღარა იკადრეს ცილობად, არამედ მივიდეს მის თანა ქუბად და ყვეს ლოცვაჲ. ხოლო ბერმან თქუა: „ესე არს განასუენებელი ჩემი უკუნისამდე¹⁷, ამას დავემკვდრო, რამეთუ მთნავს ესე“. ¹⁸

¹ ფსალმ. 75, 11.

ნუსხაშია: ¹ აღსავსე. ² მოვიდმ. ³ შუენიერნი. ⁴ ქვეს. ⁵ ესე. ⁶ აღსასრულამდე. ⁷ სიკუდილამდე. ⁸ სიკუდილმდე. ⁹ უკე



მაშინ ამბორს-უყვეს ურთიერთას და მისცეს მშუდობაა წმიდასა¹ მტყუანსა² მტყუანსა³ მათ და შთამოვიდეს ადგილსა მას ღმრთისა მიერ ჩინებულსა სამონასტრედ. ხოლო წმიდამან გრიგოლ გონებითა შემუსრვილითა ლოცვაჲ ესე⁴ ცრემლით ჯელგანპყრობით წართქუა.

5 ხ. „უამსა ამას უცხოებისა და უპოვარებისა ჩუენისასა, ქრისტე⁵, არა შემეშინოს ჩუენ ბოროტისაგან, რამეთუ შენ, უფალი, ჩუენ თანა ხარ განზადებული ჩუენთს ადგილსა ამას კეთილსა განსასუენებელსა⁶ ნებისა შენისასა, რომელსა შინა მარადის ვედრებასა შევსწირავთ მოსალოდებელისა მისთს დღისა დიდებით მეორედ მოსლვისა შენისასა, ღმერთო! რაჟამს-იგი საშინე-
10 ლებათა ზარი და საყურისა ოხრია შეადრწუნებდეს დაბადებულთა ყოველთა, რამეთუ უქადაგებდეს ცოდვილთა სატანჯველთა მათ დაუსრულებელთა, ხოლო მართალთა ახარებდეს ცხოვრებასა დაუსრულებელსა. მაშინ ეტყებდენ ყოველნი ტომნი ქუეყანისანი ამისთს, რამეთუ მიეცემოდინ ყოველნი ბრალე-
15 არს უბიწოთაცა შედრწუნება⁷ ზარი შენი, რომლისაგან მე ვძრწვი, რამეთუ განუშადებელ ვარ არათუ⁸ უმეცრებისა აჩრდილთა შეყენებული, არამედ უდებებისა მედგრობათაგან ძლეული ვგმობ სულთქუმით: რაჟამს მოიწიოს დაქსნაჲ გუამთაჲ და მხილება ცოდვათაჲ და კჳალად განახლება და შე-
20 ერთებაჲ სულისა და გორცთაჲ, რომელთაჲ მე ცხოვრებად საუ^[v]კუნოდ და რომელთაჲ მე სატანჯველად საუკუნოდ, მაშინ ვინაჲ იყოს ჩემდა ქსნაჲ ბრალთა ბატივისაგან? რამეთუ არა⁹ მომივიგეს მე საქმე, რომლითამცა უბრალო ვი-
პოვე⁷ წინაშე საყდართა შენთა, ქრისტე!⁸ არამედ ვედრებითა დედოფლისა ჩუენისა ღმრთის-მშობელისა ზარადის ქალწულისაჲთა და ყოველთა წმიდათა შენთაჲთა, უფალო მოწყალეო და სახიერო მიუფეო, წყალობა-ყავ და მაცხოვ-
25 ნენ ჩუენ რჩეულთა შენთა თანა, რაჲთა მათ თანავე მიგცემდეთ შენ საუკუნოდ დიდებასა, ამენ⁹.“

ამისსა შემდგომად იწყო მან ხანტელისა შენებაჲ. და უბრძანა ძმათა მათ დავითის გალობისა მეკლთა ამით წართქუმაჲ: «წყალობათა შენთა, უფალო, უკუნისამდე¹⁰ უგალობდე, თესლითი-თესლამდე¹¹ მიუთხრობდე ქეშმარიტებათა
30 შენთა პირითა ჩემითა, რამეთუ სთქუ: სოფელი წყალობით აღაშენოს¹². «და ევლნი შენნი აღივსნენ სიპოხითა, განჰპოხო შენ შეუენიერება¹² უდაბნოასაჲ და სიხარული ბორცუთა შეიმოსონ და ღელეთა განამრავლონ იფქლი ღმრთის მსახურებისაჲ, ღალადებდენ და გალობდენ¹³» პირნი ჩუენნი ესრეთ: «მოგუხედენ მონათა შენთა, უფალო, და ქმნულსა ჯელთა შენთასა! წარუძედელ ძეთა
35 მათთა! იყავნ ნათელი შენ, [უფლისა] ღმრთისა ჩუენისაჲ, ჩუენ ზედა! საქმენი ჯელთა ჩუენთანი წარჰპართენ ჩუენ ზედა, უფალო, და ქმნული ჯელთა ჩუენთაჲ წარგზმართე»,¹⁴ «რამეთუ უდაბნოთა ამით და მათთა აღვიხილენით თუალნი ჩუენნი, ვინაჲ მოხუედ შეწევნად ჩუენდა»,¹⁵ «ქეშმარიტად შეწევნა არს ჩუენდა სახელითა უფლისაჲთა, რომელმან ქმნა ცანი და ქუეყანაჲ და
40 ყოველნი დაბადებულნი»¹⁶.

* ფსალმ. 88,1 — 2. ** ფსალმ. 64,11—14. *** ფსალმ. 89,16 — 17.

**** ფსალმ. 120,1. ***** ფსალმ. 123,8.

წუსხაშია: ¹ ესტ. ² ქ-შ. ³ გზასსუენებელსა. ⁴ შედრწუნება. ⁵ არათუ. ⁶ არაჲ. ⁷ ვიპოვე.

⁸ ქ-შ. ⁹ ან. ¹⁰ უკ-შ. ¹¹ თესლამდე. ¹² შეუენიერება.

(და ერთობით ჯუარი დასწერეს ადგილსა მას და იწყეს საქმედი სენაკებისათჳს ქუეყანისა დაეკებად, რამეთუ კლდჳ იგი ხანტელისა უფიცულენ არს უფროსს ყოველთა მათ კლარჯეთისა [165] უდაბნოთა. და შრომითა დიდითა ქმნეს ადგილი იგი, რამეთუ არა აქუნდა მათ ცული და წერაქჳ, არცა სხუა ეგვეთარი² საწმარი, არამედ ობიზელთა მამათა მოსცილთა ყოველი, რომელი იბოვა ჳელთა მათთა, და თანაშემწე³ ექმნნეს ყოველთა საწმართა და ჳორცთა სალუაწითა, რამეთუ მას ჟამსა სხუა მონასტერი არა შენ იყო მათ ქუეყანათა თუნერ ობიზისა, და არცა მსოფლიონი ერისკაცნი ახლვიდეს ახლად შენებისათჳს მათ ქუეყანათასა, რამეთუ კლარჯეთს და ტაოთა შინა, და შავშეთს და ყოველთა მათ მახლობელთა ქუეყანათა მცირედნი იბოვებოდეს¹⁰ და შენებულ ტყეთა¹ შინა ადგილ-ადგილ.)

(ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ პირველად აღაშენა ძელისა ეკლესიაჲ და შემდგომად საყუდელი თჳსი და თითო სენაკები ძმათა მათთჳს მცირც და ერთი სენაკი საოსტიგნედ დიდნი და დლითი-დღე⁴ აღორძნებოდეს ძმანი, რამეთუ შეეძინებოდეს უფალსა მუშაკნი მეთერთმეტისა ჟამისანი მოქმე-¹⁵ დად ჳეშმარტსა მას ვენაჳსა და თანაზიარ ექმნებოდეს პირველთა მათ მართალთა და მონაწილენ წმიდათა მოწამეთა, მწნდებოდეს რაჲ ღუაწლსა მას მონაზონებისასა მსგავსად წმიდათა მოწამეთა და უფროსს მათსა, რამეთუ მარტულნი ერთსა ხოლო შინა ჟამსა იწამნეს, ხოლო ესე⁵ ყოველსა ჟამსა იწამებოდეს სახელისათჳს ქრისტესისა, ვითარცა დავით იტყჳს: «შენთჳს მო-²⁰ ვსწყდებით ჩუენ მარადღე⁶». და პავლე⁷ იტყჳს: «მარადღე⁸ ქრისტესთჳს მოვკუდებით». უკუეთუმცა არა იყო დაუცხრომელი ბრძოლაჲ წმიდათაჲ, არამცა მოიწესნენ ბრძოლაჲ იგი სიკუდილად მარადღე⁷.)

«რამეთუ ჳორცთა გული უთქუამს სულისათჳს და სულსა ჳორცთათჳს, და ესე მგდომნი არიან [v] ურთიერთასა»*** სიტყჳსაებრ მოციქულისა, რამე-²⁵ თუ «რაჲ სულისა აღმოფშვნვა მადლი ექმნების და რაჲ სულისა აღმოფშვნვა ბრალი ექმნების ჩუენ შორის».**** ამისთჳსცა ანგელოზ მგდომ სახელ-სდებს პავლე⁹ გონებასა კაცთასა; და ვითარცა თავისა თჳსისათჳს ჳადაგებს, ეგრეთვე ყოველთათჳს იტყჳს, რამეთუ ოდესმე წმიდათა ანგელოზთა გონებაჲ პოვის ჩუენ შორის, და ოდესმე ეშმაკთაჲ. ამისთჳსცა ქრისტემან უბრძანა პეტ-³⁰ რე¹⁰ მოციქულსა: «არა თუ შუღზის ოდენ შეუნდო ძმათა დღესა შინა, არამედ სამეოცდაათჯერ შუღზისო»*****. და ამით ესვეთართა ვნებათა, დაფარულთა და ცხადთა, მგდომისა ღონეთა ძლიერად ეწყვებოდეს ღირსნი ესე¹¹ მამანი, მოთმინენი მრავალსახეთა ჳირთა და მწუხარებათა ქრისტესთჳს¹².

1. მას ჟამსა ნეტარი იგი ბერი ჳუედიოს მოხუცებულ იყო ფრიად და მიხალბებულ ჳორცთაგან განსლვად. მაშინ მივიდა მამაჲ ჩუენი წმიდაჲ გრი-³⁵ გოლ და ძმანიცა, რომელნი იყვნეს მის თანა, ხილვად ბერისა. და ვითარცა მოიკითხეს, ჳრქუეს: «გუაჳურთხენ, წმიდაო მამაო, რამეთუ აწ მიხუალ უფლისა⁴. ხოლო მან ჳრქუა: «ღმერთი მშუდობისა, სიყუარულისა და კაცთმო-

* ფსალმ. 43,22. ** ჳრომ. 8,36. *** გალატ. 5,17. **** II კორინ. 12,7. ***** მათე 18,22.

წუსებათა: ¹ საქმდ. ² გესვითარი. ³ თანაშემწე. ⁴ ტყმთა. ⁵ -დღე. ⁶ ესტ. ⁷ მარადღე. ⁸ პავლე. ⁹ მამ რაჲ დღე. ¹⁰ პეტრე. ¹¹ ესტ. ¹² ქსთჳს.



ქრისტესული

ყუარებისაჲ იყავნ თქუენ თანა ყოლადგე¹, არამედ ჩემთჳს ლტოლნი² მწმინ³ დანო მამანო, რამეთუ მივალ დღეს ბანაკსა უცხოსა და ღმრთისა საყდართა საზინელთა⁴. ხოლო მათ ჰრქუეს: „არა ხარ უცხო ბანაკსა მას წმიდათა ანგელოზთასა, რომელთა თანა სულითა მარადის იხარებ წინაშე ქრისტესა⁵, არამედ ნუ დამივიწყებ ჩუენ, ადგილისა შენისა წმიდისა მკვდრთა და ნერგთა მადლისა შენისათა⁶. და მან ჰრქუა მათ: „ველთა ღმრთისათა შეგვედრებ სულსა ჩემსა და ველთა თქუენთა—ჯორცთა ჩემთა, ხოლო ნებითა ღმრთისათა ერთად იყოს სიხარული ჩუენი საუკუნოდ“.

და დაიძინა ნეტარჲან ბერჲან და ტკბილ ეყო მას ჰრული მისი. და აღ-
 10 გილი [166] იგი აღივისო სულნელებითა და ანგელოზთა წმიდათა გალობითა, რომელთა წარიყვანეს იგი სიხარულით წინაშე ქრისტესა⁷. ხოლო მამან გრიგოლ და ძმათა წარმოიყვანეს ძლევით შემოსილი გუამი მისი და გალობითა წმიდითა დაჰმარხეს იგი საფლავსა შინა, და მადლი მისცეს ქრისტესა⁸ ნების-მყოფელთა მისთა ძლევისა მომცემელსა და გვრგვინოსან მყოფელსა.

15 მაშინ ნებითა ღმრთისაჲთა განმრავლდებოდეს ძმანი ქრისტეს⁹ მსახურნი. ხოლო მამა გრიგოლ არავის უდებთაგანსა შეიწყნარებდა, არამედ ბირველად გამოცადის ყოველსა ზედა კეთილისა საქმესა, და უკუეთუ იპოვის გულითა უმანკოჲ, უხაკუველი და უდრტუნველად სიმდაბლით მორჩილი წადიერად ყოველსა ზედა კეთილისა საქმესა, იგი შეიწყნარის სიხარულით. ამისთჳს-

20 ცა ყოველნი მოწაფენი მისნი კეთილ იყვნეს ფრიად და ღირსად შემწყნარებელ სათნოებათა მისთა წმიდათა. და ემსგავსებოდეს მოძღუარსა კეთილსა, ვითარცა მოძღუარი მათი ემსგავსებოდა ქრისტესა¹⁰, რომელიცა იტყჳს: «ჲმ არს მოწაფისა მის, იყოს თუ ვითარცა მოძღუარი თჳსი»¹¹. და ესრეთ კეთილად ცხდნდებოდეს იგინი სულიერად, ხოლო ჯორციელად დიდსა იწროებასა იყვნეს.

16 და მათ ეამთა მჴლობელი იყო ამით ქუეყანათა ღმრთის-მსახური ტელმწიფ¹² დიდი ბაგრატუნიანი აშოტ კურაპალატი, კეთილად მორწმუნ¹³, რომლისა გამო დაემტკიცა ქართველთა ზედა მთავრობაჲ მისი და შვილთა მისთაჲ ვიდრე უკუნისამდე¹⁴ ეამთა. და ტელმწიფისა მის წინაშე და შვილთა

30 მისთა დიდებულთა მათ ტელმწიფეთა წინაშე შეუსწავლელ იყო წმიდაჲ გრიგოლ. ხოლო იყო ვინმე აზნაური დიდებული წინაშე აშოტ [V] კურაპალატისა¹⁵, და ერქუა მას სახელი გაბრიელ დაფანჩული. და აწ ნათესავთა მისთა ჰრქვან დაფანჩულნი. ესე აზნაური შემკულ იყო ყოვლითა სისრულითა და სიმდიდრითა, სიბრწინითა, მასაკითა და ახოვნებითა, და ყოველსა ზედა საქ-
 35 მესა განმარჯუებითა და კეთილად მორწმუნეობითა ქებულ იყო.

ამას აქუნდეს ზოგნი სოფელნი მახლობელად ვანსა ნეტარისა გრიგოლისსა, რომელმანცა მოწაფეთა თჳსთა უპაფარებდა იხილა რაჲ, მიიწია ნებითა ღმრთისაჲთა სახლსა გაბრიელ დაფანჩულისასა. ხოლო იგი შინა არა დახუდა, არამედ ღმრთის-მოყუარ¹⁶ მეუღლ¹⁷ მისი მარიამ სარწმუნოებით¹⁸ მოე-
 40 გება მამასა ჩუენსა გრიგოლს და ჯეროვნად პატივ-სცა და მრავლითა კეთი-

* მათე 10,25.

ნუსხაში: ¹ ყლდგმ. ² ქა. ³ ქსა. ⁴ ქსა. ⁵ ქს. ⁶ ქა. ⁷ ტელმწიფ. ⁸ უკმ. ⁹ კურაპალატისა. ¹⁰ სარწმუნოებით.



შენისაჲ, რაჲთა სიტყუაჲ იგი მოციქულისაჲ ჩუენ შორის აღსრულდეს. ვინ
თარმედ—«თქუენი ნამეტნავი მათისა ნაკლულევანებისა და მათი-მამეტნავი
თქუენისა ნაკლულევანებისა»*.

5 აწ ჩუენ თანა არს ჳორციელი კეთილი და თქუენ თანა არს სულიერი
კეთილი, და ესე შეგზავნეთ ურთიერთას. თქუენ მონაწილე¹ გუყუენით წმი-
დათა ლოცვათა თქუენთა ცხოვრებასა ამას და შემდგომად სიკუდილისა, და
ძუალნი ჩუენნი ღირს ყუენით დასხმად წმიდათა თანა ძუალთა თქუენთა, და
ლოცვაჲ ჩუენთჳს უკუნისამდე² განაწესეთ მონასტრისა თქუენსა, და ჩუენ
აღგითქუამთ ცხოვრებასა ჩუენსა და ცხოვრებასა შეიღთა ჩუენთასა³.

10 «შვილითი-შვილადმდე⁴ თანა-გუაჲ თქუენი ლუწაჲ და მონასტრისა თქუე-
ნისაჲ ეამთა უკუნისამდე⁵. არამედ, წმიდაო მამაო, სავანე კეთილი ადგილი
დედათათჳს სამკჯდრებელად გამონახეთ, რაჲთა ესე მცნებაჲ იყოს ჩუენ შო-
რის: ნათესავისა ჩემისა უკუეთუ მოწესე მამაკაცი იყოს, სამკჯდრებელად მისა
ხანტაჲ იყოს, და უკუეთუ ერისა ჩემისა მოწესე დედაკაცი იყოს, მუნ და-
15 ემკჯდროს, რომელიცა შენ გამოაჩინო ქუეყანასა ამას ადგილი, შენ მიერ
კურთხეული. და ვითარცა მიცვალბულთა მამათათჳს ხანტაჲ გამიწესებია,
ეგრეთვე იყოს სამარხავი მიცვალბულთა დედათაჲ აწ შენებულსა მას⁶.

ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ ძიებაჲ ყო გულს-მოდგინედ და პოვა
ადგილი კეთილი გუნათლეს მახლობელად. [168] ჳუარი დასწერა და მუნ-
20 აღაშენეს მონასტერი დედათაჲ, რომელსა აწ ჰრქჳან გუნათლის ვანი. და ეა-
მის მწირველი მღდელი ვანისა მისთჳს ხანტით განაწესა ნეტარმან გრიგოლ
ვედრებითა გაბრიელისითა. ამისთჳსცა მსგავსად აღთქუმისა ხანტას შინა
ელოცუების ყოველთა დაფანჩულთა ვიდრე დღენდელად დღემდე⁷.

1. ხოლო გაბრიელ, დიდებულმან აზნაურმან, ფრიადრთა კეთილითა
25 წარმოგზავნა მამაჲ გრიგოლ და მოსცნა კირით-ხურთონი და ნივთი ყოველი
ქვითკირისა ეკლესიისა საშენებელად. და ესრეთ მოვიდა მამაჲ გრიგოლ
თჳსსა ვანსა. და განიხარეს მოწაფეთა მისთა, მადლი მისცეს ქრისტესა⁸ და
ულოცვიდეს მოლუაწეთა მათ.

ხოლო ნეტარმან გრიგოლ ადგილი იგი საეკლესიოჲ⁹ დაავაჲ. და ვითარ
30 დაიწყებდა ეკლესიასა, ესე ლოცვაჲ ცრემლით წართქუა: «ქრისტე ღმერთო,
ჳორცხესმისა შენისა განგებულებაჲ ღმრთებრ აჩუენ¹⁰ შენთა დაბადებულთა,
და შიშით ჰმსახურეს მეუღებასა შენსა წინაწარმეტყუელთა წინაჲსწარ უწყე-
ბითა, მოციქულთა ქადაგებითა, მოწამეთა ქეშმარიტითა აღსა[ა]რებითა და
ღირსთა წმიდათა სოფლისა კრებათა და მეუღაზნოეთა მამათა მარადის დი-
35 დებითა სახელისა შენისა წმიდისაჲთა. და ესე¹¹ ოთხ კერძო კრებული სა-
ღმრთოჲ წმიდათა ყოველთა გარე¹² მოდგომილი ზღუდის სახედ უძრავისა სი-
მტიციე ექმნეს წმიდათა შენთა ეკლესიათა.

40 «რამეთუ შენ თვთ სიბრძნემან იშენე თავისა თჳსისა სახლი სიწმიდისაჲ
შესავედრებელად ერთა მორწმუნეთა. და რამეთუ წმიდასა ეკლესიასა სახელ-
სადე გუამად შენდა. და წმიდასა შენსა სახელსა ზედა და სახელსა წმიდათა

* II. კორინ. 8, 14.

წესხაზი: ¹ მონაწილე. ² უკ. ³ ჩნთაჲსა. ⁴ შვილადმდე. ⁵ უკ. ⁶ დღმდელად-
დღემდე. ⁷ ქა. ⁸ საეკლესიო. ⁹ აჩუენ. ¹⁰ ესე. ¹¹ გარე.

შენთასა შეუძრველად აღაშენენ და დაამტკიცენ [v] წმიდანი ეკლესიისა¹ ამისთჳს უწოდე ეკლესიად წმიდათა ყოველთა, რაჲთა შემდგომად სიკვდილსა მათისა ნაცვალად მათა ეკლესიანი აქუნდენ სიმტკიცედ და სიქადულად შენთა სამწყსოთა, ქვეშარიტთა ქრისტიანეთა, ვიდრემდის კჳლად მოხვდე² დიდებით წმიდათა თანა.

„შენ, უფალო, აწკა აკურთხე“ ადგილი ესე, წმიდისა შენისა ეკლესიისა სამკვდრებელი, მადლითა შენითა და წმიდათა შენთა ოხიზთა, რაჲთა ღირს ვიქმნე გლახაკი შენი სრულიად აღშენებად ამისა სახელსა ზედა და უძლველსა სარწმუნოებასა დიდისა მოწამისა შენისა, გიორგი ჯუარითა მოქადულისა, ახოვნისა და სახელოვნად განთქუმულისა ბრწყინვალედ შორის წმიდათა შენთა¹⁰ მარტულთა და მოწამეთა³, რომელთაცა ჳორცინი მახვლითა დაიჭრებოდეს, ხოლო სარწმუნოებაჲ არა განიკუფებოდა⁴. ხოლო მათ ყოველთა უმეტეს იპოვა სიმკნითა წმიდაჲ გიორგი და მრავლით ჟამითგან უშჯულოთაგან ზარგანჯდილთა ქრისტიანეთა ასყავა სიმკნ⁵ ძლიერი, მხიარულებით რაჲ მოითმინნა მრავალფერნი სატანჯველნი და ძლევით შემოსილი იდიდა ცათა შინა¹⁵ და ქუეყანასა ზედა. ამისთჳსცა ანგელოზთა თანა წმიდათა განიხარეს მოწამეთა ნეტართა სრულებაჲ ღუაწლთა მისთაჲ, რამეთუ მას მისცა ქრისტემან ძლევაჲ ყოველთა მტერთაჲ და აწ ნაწილთა და სახელსა მისსა, და მეოხებაჲ მისი მფარავს ყოველთა მადიდებელთა მისთა მარადის და უკუნისამდე¹⁵.

და ჯუარი დასწერა ადგილსა წმიდისა ეკლესიისასა და იწყეს⁶ შენებად.²⁰ და ესრეთ კეთილად განსრულდა ჴელი⁷ იგი ეკლესიაჲ ხანტელისაჲ შეწვენითა ქრისტესითა⁸ და [169] მეოხებითა წმიდისა გიორგისითა და ლოცვითა ნეტარისა მამისა გრიგოლისითა, ხოლო ჳორციელად მოღუაწებითა დიდებულისა გაბრიელ მთავრისაჲთა და ყოველთა მართლმორწმუნეთაჲთა. მას ჟამსა ყოველთა მათ წმიდათა უდაბნოთა შინა იწყეს წმიდათა მამათა მონასტრებისა²⁵ შენებად და წმიდათა ეკლესიათა, და ესრეთ განმრავლდეს მსახურნი წმიდისა სამებისანი და მარადის-მადიდებელნი.

TC. ხოლო სანატრელი და სასწაულთა მიერ შემკული დედაჲ ფებრონია მოიწია სამცხით და დაემკვდრა მერეს შინა. და ღირსად ცხორებისა და სულიერად განგებისა მისისა არა იყო საზღვარ. და საღმრთოჲთა სიყუარულითა წმიდითა ერთზრახვა და მეგობარ იყვნეს ფრიად ნეტარნი ესე⁹ ღმრთისა კაცი, დედაჲ ფებრონია და მამაჲ გრიგოლ. და ხუცესი მერისაჲ ხანტოთ არნ.

ამისა შემდგომად ღმრთის-მსახურსა მეფესა აშოტ კურაპალატსა აუწყა გაბრიელ ერის-მთავარმან სანატრელისა მამისა გრიგოლის ღირსებაჲ და უც-²⁵ხოვებაჲ და უქმსა უდაბნოსა მონასტრისა შენებაჲ და მოწაფეთა მისთა სათნოებაჲ და მოწაფეთაგანვე ცნობაჲ დიდებულებისაჲ წმიდისა¹⁰ მის მშობელთაჲ. ესე ყოველი ვითარცა გულისგმა-ყო კეთილად მსახურმან კურაპალატმან აშოტ, მსწრაფლ ხოლო დაწერა ებისტოლ¹¹ ჳელითა თჳსითა და კაცი ერთი კეთილი წინაშემდგომელთაგანი და ერთი გაბრიელის მსახურთაგანი სწრაფით წარმოავლინნა მამისა გრიგოლის წინაშე. და ვითარცა წარიკითხა წიგ-

ნუსახაშა: ¹ მოხუდელ. ² აკურთხებ. ³ მწ-მწოთა. ⁴ გ-ნიკუჲმთებოდა. ⁵ უკ¹. ⁶ იწყეს. ⁷ ძელი. ⁸ ქრისთა. ⁹ ეს. ¹⁰ წ-დისაჲ.



ნი კურაპალა[v]ტისაჲ, პატივით მოწერილი წოდებისაჲ, ნეტარმწიგნავე და
 კაცთა მათგანცა ცნა ყოველი, მუნთქუესვე წარვიდა ბელმწიფესკამისწიქსეკ
 და მი-რამ-იწია პალატად, მოგებნეს ძენი კურაპალატისანი. და ვითარ ნი-
 ვიდა კარსა ტაძრისა მათისასა, მაშინ კურაპალატი ზე აღდგა და წინა მო-
 გება ნეტარსა მამისა გრიგოლს, და დიდითა სიმდაბლითა მოიკითხეს ერთ-
 მანერთი და დასხდეს. ხოლო კურაპალატმან ჰრქუა: „ღმრთისამიერი კურთხე-
 ვაჲ პირითა შენითა იყავნ ჩუენ ყოველთა ზედა, წმიდაო“. და მან თქუა:
 „გაკურთხეინ ყოველნი ჰირმან ქრისტესმან“ და ყოველთა წმიდათაგან, რამეთ-
 უჲ კეწმარტად სამართალ არს სიტყუაჲ ესე²: «სადა არს პატივი მთავრო-
 ბისაჲ, მუნ არს მსგავსებაჲ ღმრთიებისაჲ», რამეთუ თქუენ, ბელმწიფენი,
 უფალ-გყვნა ღმერთმან ქუეყანისა განგებასა, ვითარცა გულისწმი-ვაყოფთ
 კეთილის ყოფასა ღმრთისასა ჩუენდა მომართ მეფობითა შენითა.

და ვითარცა-იგი ამრაჰამისთჳს უფალი იტყჳს, ვითარმედ: «ამრაჰამსა
 სწადოდა ხილვაჲ ნათლისა ჩემისაჲ, იხილა და განიხარა³», მსგავსად ამრაჰა-
 მისა მეცა, გლახაკსა, მწადოდა ხილვაჲ და თაყუანის-ცემად თქუენი და აწ
 სიხარულითა საესე ვარ და ძლუნად შეგსწირავ ლოცვასა. ქრისტემან უმეტე-
 სად დიდებით დაიკვეინ მეფობაჲ შენი დიდებასა შინა და სიხარულსა და საუ-
 კუნთა დიდებაჲ ზეცისა მთავრობათა თანა დაგიმკვდრენ კეთილთა თანა
 შეილთა“.

²¹ [170] მაშინ კურაპალატმან ჰრქუა მამისა გრიგოლს: „მეფეთა ისრაჲლი-
 სათა ეამად ეამად წინაწარმეტყუელი აღუდგინის ღმერთმან სიქადულად მა-
 თა და ზღუდედ შჯულისა, და შესაწიგნელად მორწმუნეთა და სამბილებელად
 ურწმუნოთა, ეგრეთვე ეამთა ჩუენთა შენ გამოგაჩინა ღმერთმან ქრისტეანეთა
 სიქადულად. და რამთა მას იღუწიდე⁴ ჩუენთჳს წმიდითა ლოცვითა შენითა
²⁵ წინაშე ქრისტესა⁵ და წმიდათა მისთა“. ხოლო მან ჰრქუა: „დავით წინაწარ-
 მეტყუელისა და უფლისა მიერ ცხებულისა შეილად წოდებულთა ბელმწიფეთა,
 მეფობაჲ და სათნოებანიცა მისნი დაგიმკვდრენ ქრისტემან ღმერთმან, რომ-
 ლისათჳსცა ამას მოგატყუენ: არა⁶ მოაკლდეს მთავრობაჲ შეილთა შენთა და
 ნათესავთა მათთაჲ ქუეყანათა ამით უკუნისამდე⁷ ეამთა, არამედ იყვენნ იგინი
³⁰ მტკიცედ უფროჲს კლდეთა მყართა და მათთა საუკუნეთა და დიდებულ
 იყვენნ უკუნისამდე“.

ამისა შემდგომად კაცმან მან მოციქულმან წარმოთქუა ქებაჲ ხანკთე-
 ისაჲ, ვითარმედ: „კეთილ არს უდაბნოჲ იგი მზისა მცხინვარებითა და პაერისა
 შეზავეებითა ყოველით კერო. და აქუს მას წყაროჲ მდიდრად გამოიღინარს,
³⁵ შეუნიერი⁸, გრილი და ჰამოჲ, და მალნართა სიმრავლეს ურიცხჳ და მცირე-
 დი რამე სხუაჲცა ნუგეშინის-საცემელი ჯალისაგებრ მის უდაბნოჲსა, ხოლო
 სათესავი ყანაჲ და სათიბელი ქუეყანაჲ რამეთურთით არა არს, არცა იქმნების
 ღირღოლოვანთა მათ ფიცხელთა მწურვალთა⁹ მათ დადოთაჲსა“. ესე⁹ ვი-
⁴⁰ თარცა ესმა დიდებულსა კურაპალატსა, შეწირნა ადგილნი კეთილნი [v] და
 შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანკთისა. მაშინ სამთა მათ დიდებულთა ძეთა

² იოანე 8,56.

ნუსხაშია: ¹ ქ-ამ-ნ. ² ე.შ. ³ იღუწიდმ. ⁴ ქ-სა. ⁵ არამ. ⁶ უკ-შ. ⁷ შეუნიერი. ⁸ მწურ-
 ვალთა. ⁹ ესე.



კურაპალატისათა—ადარნესე¹, და ზაგრატ, და გუარამ შეწირეს თანაჲსაჲსა² რაჲცა საგმარი მონასტერსა მისსა უკმდა, ყოველი უხუცებით³.

და ვითარცა აღგილნი იგი მოითუალნა და კურთხევად მიანიჭა კურაპალატსა და რეთა მისთა ნეტარმან გრიგოლ, მაშინ მრავლისა კეთილისა ნაყოფითა საესმ მოვიდა ხანკთად, მონასტრად თჳსა, და ახარა ცმათა ყოველი იგი განმარჯუებამ⁴ მადლითა ქრისტესითა⁵ და ოხითა წმიდისა გიორგისითა. ხოლო მათ უხაროდა და ულოცვიდეს სარწმუნოებით შემომწირველთა და მადლობდეს ქრისტესა კეთილის-ყოფელსა.

19. და ვითარცა ჯორციელად შეემატებოდა, ეგრეთვე სულიერად შეეძინებოდა რიცხუსა მას წმიდათა კაცთასა, რამეთუ მას ეამსა მოვიდეს მამა ეტჯფანე და მღვდელი მატაი ქართლით და დიდი ზენონ სამცხით, რამეთუ ეტჯფანე და მატაი პირველვე შეგობარ იყვნეს ამის წმიდისა და სახელსა მისსა მოვიდეს ხანკთად.

ხოლო ზენონ შვილი იყო საჩინოასა ვისიჲ კაცისაჲ სამცხეს და ღმრთის-მსახურებით აღზრდილ იყო და სიწმიდით იქცეოდა, რამეთუ საღმრთოა შინი მკვდრ იყო მის შორის, და სწადოდა მონაზონებაჲ აღთქმისაებრ აღთქუმისა მმარხველთაჲსა. და ვითარცა აღესრულნეს მშობელნი მისნი, მონაგები მათი დაუტევეს ზენონს და დასა მისსა, რომელიცა იყო სახლსა შინა მის თანა. და ზენონ გულს-ეტყოდა, რაჲთამცა მამული და დედული [171] მონაგები დასა თჳსსა დაუტევა ნებისაებრ მისისა და თჳთმცა იქმნა მონაზონ⁶ უცხოებასა შინა. და ვითარ ამას განიზრახვიდა ზენონ, დაჲ იგი მისი ეშმაკისა განმარჯუებითა შეატუნა ვინმე უკეთურმან კაცმან და ლამე ყოველ წარვიდეს მავშეთს. ხოლო ზენონ, ვითარცა ცნა, შეიქურა საჭურველითა მარტოდ და ამგვდრდა ცხენსა და დევნა-უყო. და ვითარ დიდი ქუეყანაჲ ვლო, თქუა გულსა თჳსსა, ვითარმედ: „ვარ მე ქა-უკ სახელოვან და რომელ-სა ვსდევ, ფრიად შეურაცხ არს, დაღაცათუ ვეწიო და მოგკლა, საბრტე არს სულისა ჩემისაჲ, და უკუეთუ ცუდად უქუნვიქე⁷ სახედ ჩემდა, სირცხულ არს ჩემდა, არამედ აღთქუმაჲ მონაზონებისაჲ აწ აღუსრულო უფალსა“. და ახოვან იქმნა ნეტარი ესე, რამეთუ მონაგებთა დატევებაჲ სისხლთა დათხევასა ემსგავსებეს. და დაიწერა ჯუარო ჯორცთა თჳსთა და წარემართა საღმრ-თოსა მას გზასა და მიიწია წინაზე დედისა ფებრონიასა მერეს, რამეთუ იყო იგი სახლისა მისისაჲ. და ნებიჯა ღმრთისაჲთა მუნ იყო მამა გრიგოლ, და დედამან ეგებრონია შეაწყნარა წმიდასა მას უმანკოჲ იგი კრავი მწყემსსა მას კეთილსა, რომელმანცა მოიყვანა ხანკთად. აღგილსა მას მწუანვილსა ღმრთისა მადლისასა დამკვდრდა და წყალთა ზედა განსასუენებელთა⁸ სულისა წმი-დისათა გამოზარდა იგი.

ესე ნეტარი ზენონ მიიწია მოხუცებულებასა და ვიდრე აღსასრულამდე⁹ არა განეშორა ხანკთასა ქემშარიტად სულიერი შვილი, [v] მსგავსი მამისაჲ, კეთილი მოწაფე, ნაცვალი მოძღურისაჲ, ნეტარი, სათნოებათა საუნჯე, მონაზონებისა წესი წმიდაჲ, კლარჯეთისა უდაბნოთა ზღუდმ, სულთა უკეთურთა¹⁰

ნუსხაშია: ¹ ადარნესე. ² უხუცებით. ³ განმარჯუებამ. ⁴ ქრითა. ⁵ უკუენვიცლ. ⁶ განსასუენებელთა. ⁷ აღსასრულამდე.



ქრისტესული

მაოტებელი, რამეთუ ცხოვრებასა მისსა და ცხოვრებასა მოძღვრისე¹ მკისესე² კერ იკადრებდა ეშმაკი დაცემად კაცთა წმიდათა ამით შინა ადგილთა.

ესე ახოვანი შემდგომად მიცვალებისა მეოხი არს ჩუენი საუკუნოდ უფლისა მიმართ მოყუასთა მისთა თანა, რომელნი იყენეს მსგავსნი მისნი, მოწაფენი მამისა გრიგოლისნი, ღირსნი და სასწაულთა მოქმედნი, მოთმინებისა სუეტნი³ შეურყეველნი, ვითარცა განმტკიცებულნი დაუცემელად სუეტნი ცათანი.

17¹². რამეთუ ვიდრე მოსლვადმდე⁴ გრიგოლ მწყემსისა⁵ მის კეთილისა მგეტაგან უხილაფთა ლტოლვილნი მცირედნი იგი ცხოვარნი ქრისტესნი⁶ განზნულ იყენეს თითოჲ ანუ თუ ორ-ორი სივრცესა მას უდაბნოთასა, ხოლო მოსლვასა წმიდისა გრიგოლისსა ცხოვარნი იგი განმზნდეს და მგეცნი იგი ეშმაკნი განიოტნეს და ყოველი წესი საღმრთოჲ განემართა.

ხოლო მამა გრიგოლ გულს-ეტყოდა, ვითარმედ: „ვითარცა მონასტრისა ჩემისა⁷ მამანი სათნოებითა უზეშთაეს არიან ჟამისა ამის მონაზონთა, ეგრეთცა წეს-არს წესი საღმრთოჲ საეკლესიოჲ ეკლესიასა⁸ შინა ჩემსა დაწესებად ბრძენთაგან განუკითხველი“. ამისთჳს განიზრახა წარსლვაჲ ქრისტეს⁹ საჭურჭლედ, მეორედ იერუსალმედ, რომელ არს კოსტანტინეპოლისი, და ყოველთა საჩინოთჳს საბერძნეთისა წმიდათა ადგილთა მოხილვად და ლოცვად. [17²] მას ჟამსა იერუსალმს წარმავალი ვინმე პოვა მეგობარი თჳსი და მას დაჰვედრა საბაწმიდისა წესისა დაწერაჲ და წარმოცემად. და ამათა თჳსთა კაცნი მოლუაწენი უჩინნა და მშჳდობაჲ დაუტყევა მათ და აღუთქუა კულად ადრე მოსლვაჲ.

და თანა წარიყვანნა საბა, დედის დისწული თჳსი, და ერთი ვინმე სხუა მოწაფე, და წარემართა საბერძნეთად და მოიწია კოსტანტინეპოლის, და თაყუანის-სცა ძელსა ცხოვრებისასა და წმიდათა ყოველთა ნაწილსა. და სიხარულით მოვლნა ყოველნი წმიდანი ადგილნი სალოცველნი, რამეთუ მრავალთა ენათა წურთილ იყო იგი და მრავალ-მოსწავლე⁹ ყოფილ პელითა კეთილად მსახურებისაჲთა. და რომელიმე სახილავი მოძღუარი კეთილის ექმნის და რომელიმე განსაკრძალველ ბოროტისათჳს. და ესრეთ აღმოვიცო გული მისი სიმდიდრისაგან დაუბეჭდეველისა ახლისა შჯულისა, და სულითა მადლისაჲთა განმზიარულებულნი წარმოემართნეს საყოფელად¹⁰ თჳსა.

18¹¹. და ვითარცა მოიწინეს ტაოს, ესმა მუნ მყოფთაგან¹² კაცთა, ვითარმედ აშოტ კურაპალატი მოიკლა და მის წილ ჴელმწიფეებენ ცენი მისნი. მაშინ ტკივილისა ცრემლითა აღივსნეს ღმრთის-მსახურისა მის ჴელმწიფისა და ცემისათჳს და ტირილითა სავესენი ულოცვიდეს მიცვალებულსა მას მეფესა. ხოლო ნეტარი გრიგოლ ჰმადლობდა ღმერთსა და გლოით იტყოდა: „მე მეფეო ჩემო, ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტეანეთაო, სადაჲთ-მე მოველოდი, აღმოსავალით-მე ანუ დასავალით, ჩრდილოჲთ-მე ანუ სამხრით? რამეთუ ყოველთა [v] ზედა ნათესავთა მულო-ბელი იყავ, რომელიცა წყობით ჴელმწიფეთა დაიმორჩილებდ, საკრველი ეგე დიდებული, ღმრთის-მსახური ჴელმწიფე! აწ ვითარ-მე მიეცი ჴელსა შე-

ნუსხაჲთა: ¹ სუეტნი ² 17. ³ მოსლვადმდე. ⁴ მწყემსისა. ⁵ ქსნი. ⁶ ჩემსა. ⁷ ეკლესიასა

⁸ ქს. ⁹ მოსწავლე. ¹⁰ საყოფლად. ¹¹ 17. ¹² მყოფთაგან.

ურაცხთა უშჯულოთა და უნდოთა კაცთასა, რომელნი-იგი იუდაჲს¹ მკვლელნი² შენ უფლისა თვისა მკლველ იქმნეს მოსაკუდინებლად ჩუენს³ მლოცველთა მენთა, უკუნისამდე⁴ ამისსა შემდგომად ულოცვიდეს ზვილთა მისთა დიდებულთა ჯელმწიფეთა, რაათა უფალმან დაიცვნეს დიდებით და დღგრძელებით⁵ კეთილსა შინა ღმრთის-მსახურებასა.

[17]. და ვითარცა მოიწინეს მახლობლად იშხანსა, გამოეცხადა ღმრთისა მიერ ნეტარსა გრიგოლს და ღირსსა საბას იშხანისა პირველი დიდებულე-ბაჲ, დაბასა მისსა წმიდანი ეკლესიანი, და ეუწყა, ვითარმედ კუალად განა-ხლებად არს პირველებრ ჯელითა საბანისითა. და ეცნობა გზაჲცა მისავალად, რამეთუ მის ჟამისა კაცთაგან მიუვალ იყო აღგილი იგი. და მი-რაჲ-ვიდეს¹⁰ იშხანს, ფრიად უხაროდა პოვნაჲ დიდებულისა მის აღგლისაჲ. რამეთუ იყო მას შინა ნუგეზინის-საცემელი სულიერი და გორციელი. და საბას მუნთქუესვე გულს-ედვა დადგომაჲ, ხოლო ნეტარმან გრიგოლ პრქუა: „ძმაო, პირველად ვიხილნეთ ძმანი ჩუენნი ხანცთას შინა მყოფნი და ნებითა ღმრთისაჲთა და ლოცვითა მათითა კუალად მოიწიო აღგილსა ამას წმიდასა“. და მიერ წარ-¹⁵ მოსლვასა მათსა მიიწინეს წინაშე ძეთა კურაპალატისათა და დაულოცეს ნუ-გეზინის-ცემით სიკუდილისათჲს მამისა მათისა.

[18]. და ესრეთ მოვიდეს ხანცთად, მონასტრად თჲსა, და მოიყვანნეს ნაწილნი წმიდათანი და ხატნი წმიდანი და სხუაჲ ევლოგიაჲ ფრიად.

და პოვნეს ძმანი ცოცხლებით და მშულობით, [178] ყოველნი მხიარულნი²⁰ შეუშფოთებლად საღმრთოაჲთა სიყუარულითა საესენი და განიხარეს, რამეთუ კუალად მაცხოვრისა მადლმან შეკრიბნა³ ნების-მყოფელნი თჲსნი.

და შემდგომად მცირედთა დღეთა საბა განუტევა იშხანს და ორნი მო-წაფენი მისცნა მას და თჲთ განაგებდა სულიერსა ცხორებასა ხანციქლისა ნე-ბისაებრ უფლისა.²⁵

[19]. მაშინ იერუსალმით¹ მოიწია კაცი, რომელმან მოართუა საბაწმი-დისა განგებაჲ და წერილი.

ხოლო ნეტარმან გრიგოლ მას ჟამსა განაწესა წესი თჲსისა ეკლესიისაჲ და მონასტრისაჲ, სიბრძნით განსაზღვრებული და მეცნიერებით განბრწყინ-ვებული და ყოველთაგან წმიდათა აღგილთა გამოჩევიტ შეკრებული, ვითარ-³⁰ ცა საფასლ დაულევნელთა კეთილთაჲ.

ხოლო აწ წესთა მათგანი სულიერთაჲ მცირედი რაჲმე გზპირიეს, ვი-თარმცა ზღუსაგან წუეთი ერთი წყალი ვინმე აღმოიღო.

რამეთუ ესრეთ იყო ცხორებაჲ ნეტართაჲ მათ: სიბრთლესა შინა მათსა მარადის თავთა თჲსთა ბრალობაჲ აქუნდა და სიყუარულისა ძირი მტკიცე,³⁵ მოთმინებაჲ სიმდაბლით და სიმშუდით, მარხვაჲ ლოცვითა შეზღუდვილი, სარწმუნოებასა თანა მართალსა⁴ დამტკიცებული, სიწმიდს გულისაჲ და ჯემ-მარტებაჲ ენისაჲ და უბიწოებით კრძალვაჲ სრულიად ყოველსავე ზედა. ხო-ლო წმიდასა ეკლესიისა ლოცვასა მათსა არა აქუნდა უბნობაჲ ურთიერთას, არამედ შიშით დგანედ, ვითარცა ზეცას წინაშე ღმრთისა. და რაჲმს «და-⁴⁰

ნუსხაშია: ¹ უკმ. ² დღგრძელებით. ³ შეკრებნა ⁴ იძღმით. ⁵ მართლსა.



ვითსა» იტყვედ, ვიდრე «აღელუასა» განსრულებამდე¹ შემგრეს² ვერ³ იქალ-
 რინ მუკლისა აღება⁴ დაწყნარებულსა მას ლოცვასა მათსა⁵ რაფეს⁶ არა
 აქუნდა ჩუეულება⁷ სწრაფით თქუმისაა ყოველსავე ზედა საგალობელსა მათსა,
 არამედ მდაბლად [v] და გვანად იყო ლოცვა მათი. და კედელსა თუნერ⁸
 ბერთაჲსა არავინ მიეყრდნებოდა⁹, ხოლო ძილსა და უკრალველად ჯდომასა
 ყოვლადვე არა იკადრებდეს ეკლესიასა შინა. და ესევეთარი მრავალი სათ-
 ნოებია კეთილი სხუაჲცა დამკვდრებულ იყო შორის მათსა, რომლისათჳს არა
 არს აწ თითოეულად ყოვლისათჳს სიტყუაჲ, რამეთუ შემოკლებულ არს ეამი
 ესე და გონება ისწრაფის, რათა არა იყოს ნამეტნავ სასმენელსა მსმენელ-
 10 თასა. ამისთჳს განგება ყოველი ვერ დაიწერა წიგნსა ამას, არამედ თითო
 სიტყუაჲ ყოვლისაგან, რომელ აქამდე წესი აქუნდა ხანცთასა და აწ რომელ
 აქუს, ესრეთ:

ყოველთა ღამის-თევათა შემწუხრებითგან განთენებამდე¹⁰ ლოცვაჲ, და
 ღამის-თევათა წინა დღით დღისა ეამთა ყოველთა ლოცვაჲ, და ეამისწირ-
 15 ვაჲ ეამსა ცბრა⁷-ემისასა, და კუერექსთა შემატებაჲ. ხოლო ეამისწირვასა
 ყოველსა «წმიდაო ღმერთოსა» წინა კუერექსი «ზეცით გარდამოჲ», და კჳრია-
 კეთა ეამისწირვასა «წმიდაო ღმერთოჲ» ექუსი. და საკურთხეველსა მსახუ-
 რებასა ფესუდითა სამოსლითა და ტყავითა არა იკადრებოდა მსახურებაჲ.

ხოლო გარდაცვალებულთათჳს ყოველთა გარდაიქდიან. გარდაცვალე-
 20 ბითგან რასაცა დღესა მიხუდის, სამი დღჳ და აჯდი, ორმოცი და წელიწა-
 დი. და მათ დღეთა ეამისწირვაჲ არა შეათუალიან ორასთა მათ დღეთა,
 განწესებულთა ხანცთას დამარხულთათჳს და განყოფაჲ პაქსიმადისაჲ პირ-
 ველითგანვე განწესებული არს. გიორგიწმიდობისა თუშ რაჲ [174] დადგეს,
 მარხვაჲ წუელითა⁸ ვიდრე გიორგიწმიდობამდე⁹, ეგრეთვე ქრისტეს¹⁰ შობისა
 25 მარხვანი და წმიდათა მოციქულთანი საეკლესიოდ დიდითა მოღუაწებითა და
 კეთილად კრძალულებითა აღასრულნიან.

ხოლო ნოემბერისა თთჳსა¹¹ დადევითგან ყოველთა შაბათთა ცისკრად
 ვიდრე პირმარხვამდე¹² კანონი ოთხი, და დიდთა მარხვათა ვიდრე ბზობა-
 მდე¹³ ყოველსა ცისკარსა კანონი ოთხი, ეგრეთვე წიგნის კითხვაჲ ოთხი. და
 30 ვნებისა კჳრიაკისა ფრიად განგებაჲ იყო. ხოლო აღვსებითგან ვიდრე ახალ-
 კჳრიაკემდე¹⁴ ჳირისა კანონი არა თქვან, და სერობასა «ხადილსა ჩემსა» წარ-
 თქვან, და აღგომისა წარდგომანი, და ცისკრად დაწესებულნი და თითო კა-
 ნონი—ახალკჳრიაკემდე¹⁵. ხოლო სულთა ვსენებასა, შემდგომად აღვსებისა,
 ცისკრად «ნეტარ არიანნი» და ვალობანი წართუნიან, ვითარცა ყოველი
 35 წერილ არს განგებასა ეკლესიისასა ამის ყოვლისა ნეშტი. ეგრეთ ჳყოფდიან
 ყოველსა მამანი ეამთა შინა ჩემთა.

II. არამედ პირველთა მათ დღეთა¹⁶ ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგო-
 ლისთა ფიცხელ იყო ფრიად კანონი მოწაფეთა მისთაჲ, რამეთუ სენაკთა
 მათთა შინა იყო მცირე სარეცელი და ზეურაცხი საგებელი და თითოჲ სარ-
 40 წყული წყლისათჳს. ხოლო სხუაჲ ნუგეშინის-საცემელი¹⁷ ვორცთაჲ არაჲ აქუნ-

ნუსხანი: ¹ განსრულებამდე ² აღებაჲ. ³ ჩუეულება. ⁴ თუნერ. ⁵ მიეყრდნებოდა.

⁶ განთენებამდე. ⁷ ცბრაჲ. ⁸ წუელითა. ⁹ გიორგიწმიდობამდე. ¹⁰ ქს. ¹¹ თჳსა. ¹² პირმარხ-
 ვამდე. ¹³ ბზობამდე. ¹⁴ ახალკჳრიაკემდე. ¹⁵ ახალკჳრიაკემდე. ¹⁶ დღითა. ¹⁷ ნუგეშინის-სა-
 ცემელი.

და საქამადისა და სასუამადისა ყოლადვე, არამედ რომელი ტრაპეზის¹ წყნდ² ერთბაშად ქაშინ, მით იყო ცხოვრება მათი. და მრავალნი მათგანნი მიიღეს ღვინოსა ყოლადვე. და რომელნიცა მიიღებდეს³, მცირედ ივრუგებდეს. და სენაკებსა მათსა საკუამი არა აქუნდა, რამეთუ ცეცხლი არა აღევრებოდა, და არცა ღამ⁴ [v] სანთელი აღანთიან, არამედ ღამე იყო ფსალმუნება და დღისი წიგნის კითხვა და ლოცვა მარადის, ვითარცა იტყჳს დავით: „ღღისი ამცნო უფალმან წყალობა მისი და ღამ⁵ ვალობა მისი“.

ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ თავადნი დიდნი მარხვანი გარდავლნის მცირედითა კალნაბითა უმბგვრითა⁶. ხოლო მრჩობლად საზრდელად მისა იყო ყოველთა დღეთა მისთა პური, ნაკულღევანებით დღესა შინა ერთ ქამს და წყალი წონითვე მცირედი. ღვინო კულა სიყრმითგანვე არა ესუა და უმრავლესნი სათნოებანი მისნი და მოწადეთა მისთანი ღმერთმან მხოლომან უწყნის.

10. ხოლო პირველითგან მოყუასთა⁷ მათ კეთილთა ნეტარისა გრიგოლისთა, თევდორეს და ქრისტეფორეს⁸, აქუნდა გულსა მათსა საღმრთო შური მონასტრისა შენებისა [...]⁹ და არა¹⁰ გამოუცხადეს მამისა გრიგოლს განზრახვა მათი, არამედ ფარულად წარვიდეს აფხაზეთს და თანა ძმანიცა ვინმე წარბყვეს.

და ვითარ მოიწინეს სამცხეს, ბრძანებითა ღმრთისაათა ც¹¹ დიდისა მირგან აზნაურისა და იმიოწადეს, სახელით არსენი, რომელსა ეწოდა ღირსად [175] დიდი არსენი, ქართლისა კათალიკოზი და მცხეთისა საყდრისა გვრჯუნი დაუწნობელი. ხოლო ყრმა იგი მცირე იყო ჟამითა, ვითარ ექუსისა წლისა, და სახლსა შინა მამისა თვისისა იზარდებოდა. არამედ კაცთა მათ ღმრთისათა განზრახვითა მირგანისითა მოწესეთა სამოსლითა შემოსეს ყრმა იგი და მარჯუენა¹² მისცეს დიცისა მირგანს და პრქუეს: „მოძღუარი ჩუენი გრიგოლ არს მამა ხანტუელი, და უფალსა თუ უნდეს, ესეცა მოწადე იყოს მისი ჩუენ თანა, სადაცა ჩუენ ვიყენეთ“. და წარვიდეს აფხაზეთად. ხოლო მეფემან აფხაზეთამან დემეტრე¹³ დიდითა პატრივითა პატრიცია და ადგილსა კეთილსა დაამკვდრნა.

11. და რაჟამს ცნა ნეტარმან გრიგოლ წარსლვა თევდორესი და ქრისტეფორესი¹⁴, შეწუხნა ფრად და თანა წარიყვანნა ოთხნი ძმანი და წარივიდა ძიებად კრავთა მათ რჩეულთა მწყემსი¹⁵ იგი კეთილი. და ვითარ მოიწია ქართლისა სანახებსა, ნებითა ღმრთისაათა იცებასა მას ძმათასა პოვა ეფრემ ყრმა, ქაბუკი ღირსი, და ღირსებასა შინა იხილვა მამაკაცებასა სრულსა მიწეგნული სიწმიდით, და სიწმიდესა შინა აწყურისა ეპისკოპოსი სასწაულთა მოქმედი. ხოლო ეპისკოპოსობასა შინა მიიწია მოხუცებულებასა კეთილსა და აღესრულა საკრველებით¹⁶, და ნაწილნი მისნი წმიდანი მიეცნეს ნათლად სამცხესა. ესე¹⁷ ეყრემ, ღირსი ღმრთისა, და იმიოწაფა ნეტარმან გრიგოლ და უბრძანა ესრეთ: „რაჟამს მოვიქე¹⁸ აფხაზეთით, თანა წაოგიყვანო შენ ხანტუად“, და თუთ წარემართა აფხაზეთს.

და მი-რა-ი-წია წინაშე გელმწიფისა მის, ზე¹⁹ აღდგა და წინა მოეგება²⁰ და სიმდაბლით მოიკითხა, რამეთუ ზარი აჰქდა [v] მაღლთაგან სიწმიდეთა მისთასა და დიდებულებისაგან პირისა მისისა. რამეთუ ვითარცა პირი მოსე

* ფსალმ. 41, 8. ** აქ თავისუფალი ადგილია გაშვებული, ტექსტს არ უნდა აკლდეს.

ნუსხაში: ¹ მიიღებდეს. ² უმბგვრითა. ³ მოყუსთა. ⁴ ქ-შფორესი. ⁵ არა. ⁶ მარჯუნა

⁷ დემეტრე. ⁸ ქ-შფორესი. ⁹ მწყემსი. ¹⁰ აღსრულა საკრველმით, ¹¹ ესე. ¹² მოვიქე. ¹³ ზე.

წინაწარმეტყველისა იყო დიდებულ ამის ნეტარისა ცა ხატე მადლითა ღმრთისაჲთა.

და შემდგომად მოკითხვისა დასხდეს მეფე და ნეტარი გრიგოლ. ხოლო წმიდამან განგრძობილად ულოცა და მრავლითა კურთხევითა შეამკო. და მეფემან მან თქუა: „კურთხეულ არს ღმერთი, რომელი მოგძლუა აქა, წმიდაო მამაო, არამედ ვინაჲ არს მიზეზი მოშრომისა შენისაჲ, მაუწყე მე“. და ნეტარმან გრიგოლ ჰრქუა: „მეფეო ღმრთის-მსახურო და დიდებულო, მოწვეულ არიან წმიდანი მამანი, ძმანი ჩემნი, წინაჲ შენსა და აწ არიან სამეფოსა ამას და მათუჲ არს მოსლვაჲ ჩემი აქა, არამედ ბრძანენ გელმწიფება-
 10 მან შენმან და მოვიდენ იგინი ჩუენდა“. ხოლო მეფესა დაუძმიდა ციებაჲ მათი და ჰრქუა: „არა მოსრულ არიან აქა ეგვეითარნი მონაზონნი, რომელთასა ცა ბრძანებს სიწმიდე შენი“. მაშინ ნეტარი მამაჲ გრიგოლ სიტყუასა ზე და მეფისასა განრისხნა და ჰრქუა: „მეფეო, ნუ შრომასა შემამბუფე, მომცენ ძმანი ჩემნი. რომელნიცა მოიწინეს შენდა“. და ვითარ ღონს სიტყუსაჲ არღა-
 15 რა აქუნდა მეფესა მართლმზილებისაგან მის წმიდისა, უბრძანა მოყვანებაჲ ძმათაჲ მათ.

და ვითარ იხილეს [176] მამაჲ გრიგოლ, შეუვრდეს ცრემლით. ხოლო წმიდამან მან აღადგინნა და შეიტკბნა სიყუარულით და ჰმადლობდა ქრისტესა პოენისა მათისათჲს. და რამეთუ იყვნეს ბუნებით მომლოდებელ წმიდისა მის ძმანი იგი, მათცა უხაროდა ურთიერთასი იგი შეკრებაჲ თჲსი.

და მეფემან მან ჰრქუა ნეტარსა გრიგოლს: „წმიდაო მამაო, აჲა იქნა წადიერებაჲ ნებისა შენისაჲ, არამედ უფალმან ყაენ ნებაჲცა გულისა ჩემისაჲ, რამეთუ მაქუს სულსა ჩემსა მონასტრისა ახლად შენებაჲ. აწ ბრძანე და მოვიხილნეთ მრავალნი ადგილნი აფხაზეთისანი და სადაცა სიწმიდემან შენმან
 25 ინებოს, მონასტრად აღვაშენოთ ადგილი იგი“.

და მოვლნეს ქუეყანანი საგონებელნი სამონასტრედ, და არა სთნდეს წმიდასა მას. და ჰრქუა მეფესა მას: „არა არს მიწაჲ, არცა წყალი ქუეყანასა¹ ამას, სადამცა მონასტერი აღეშენა, რამეთუ ტალანტი მონაზონისაჲ მარხვაჲ არს, და ამას მიწასა ზედა ვერ ეგებინ მარხვაჲ სულისაგან ხორშა-
 30 კისა მკუდინებელისა“.

და შეწუხნა ფრიად მეფე იგი ამის მიზეზისათჲს და ჰრქუა მათ: „არა სამართალ არს კეთილთა თქუენთაგან უნაწილობაჲ ამის ქუეყანისაჲ“.

¶ **177.** მაშინ მამამან გრიგოლ სარწმუნოებისაებრ მეფისა აღაშენა მონასტერი და უწოდა სახელი მისი უბს, და ილარიონ² ვინმე, იერუსალმით³ მოსრული, სარწმუნოჲ მოხუცებული, დაადგინა მამასახლისად, [v] რამეთუ ხანძით⁴ წარყოლილ იყო იგი თვედორეს⁵ და ქრისტეფორეს თანა და აქუნდეს მას კეთილნი წიგნნი. და მამამანცა გრიგოლ თჲსნი წიგნნი, რომელ აქუნდეს, და-ვე-უტყენა მონასტერსა მას. ხოლო გელმწიფე იგი სიხარულითა აღიესო მონასტრისა მის შენებისათჲს და შეწირა საშენებელად მისსა ფრიად
 40 შესაწირავი, და მიანიჭა მამასა გრიგოლს და მოყუასთა მისთა ღრამაჲ ათი ათასი და ყოვლითა კეთილითა აღავსნა.

¶ **178.** ხოლო ეამსა წარმოსლვისა მათისასა გამოჰკითხა მეფემან დიმიტრი მამასა გრიგოლს გულს-მოდგინედ სახს ქლარჯეთისა უდაბნოთაჲ, რაჲთა აუწ-

* თე ყველგან გავსენით „თვედორე“-დ, რაჲგან გადამწერი ასე ხსნის. ნუსხაშია: ¹ ქ-ყნა. ² ილარიონ | თნ. ³ ი-შმით. ⁴ ასე!

ყოს მას ადგილთა მათ წმიდათა ნიშანი ყოველი. და მამამან გრგვინად მით მას: „ღმრთის-მსახურო შეფეო, დალაკათუ ფრიად განვამრავლო სიტყუაჲ, ვერვე მისწუთების გონებაჲ ჩემი ყოველსა მას უდაბნოთა¹ მათ სიკეთესა უწყებად შენდა, [ვინაჲ]თგან წესი მონაზონებისაჲ მათ შორის აღორძინებულ არს და უფროასად ყუაოდის და აღემატოს მომავალთა ეამთა, არამედ ვთქუა მრავლისაგან მცირედი, ესრეთ:

„რამეთუ ბუნებით ერთგუამ არს ქუეყანაჲ უდაბნოთაჲ მათ და კეთილად შეზავებულ მზისაგან და ჰაერისა, რამეთუ არცა ფრიადი სიციხს შესწუავს მათ და არცა გარდარეული სიცივე შეაურევებს მყოფთა მისთა. არამედ განწესებით დგას თჳსსა საზღვარსა უნოტიოჲ, უხორშაკოჲ, უმიწოჲ, მშუარს,¹⁰ რამეთუ კაცთა ნახჳნი [177] ფერჯთანი არა ოდეს თიგიან ექმნებიან სღვასა მათსა. ხოლო წყალი კეთილი და შეშაჲ ნებისაგერ უნაკლულად აქუს აღმოცენებული ქჳშათა მათ შინა, ურიცხჳ მალნარი და სიმრავლე წყალთა ჰამოთაჲ, ბუნებით მხიარულებაჲ მიცემულ არს ღმრთისაგან. და არს იგი უგზო და მიუვალ რაეთურთით სოფლისა წესითა მცხოვრებელთაგან, რამეთუ დაღო-¹⁵ თა მათთა შინა მალალთა არს მკვდრობაჲ მათი. და მოოტყმულ არს ერთ კერძო მთაჲ იგი და ერთ კერძო შავშეთისა დიდთა წყალთა შეკრებისა გარემოსლვაჲ გარე-მოადგს ზღუდის სახედ უძრავისა.

„და ესრეთ ყოვლით კერძო შეზღუდვილ არიან მათთა მიერ, და ტევნებისა, და წყალთა მათგან საშინელად ძნელოვანთა ადგილთა მავალთაჲსა². და²⁰ მონასტერთა მათ შინა არა არს სათიბელი ქუეყანაჲ, არცა ყანაჲ საცნავი, არამედ დიდთა შრომითა როჳიკისა მისლვაჲ აქუს კარაულისა ზურგითა. და მცირედ ვენანვი ქირით და ურვით დაუნერგვან და ეგრეთვე მტილბი, ხოლო მხალთა ველისათაჲ არს სიმრავლე ურიცხჳ. და ამას ყოველსა თანა უშიშ არს გული მათი უქრისტოთა მათ ურწმუნოთაგან შერყევისაგან და ყოვლისა²⁵ ძრვისა ეამსა ტელმწიფეთა მტერობისასა. და ესრეთ მრავლითა მშკდობითა მყუდროებით არიან [v] ყოლადგე და ქრისტესა აღიდებენ.

„რამეთუ ღმერთმან დასაბამსავე დაბადებისასა უუქანაჲსათჳს ეამთა დაჰბადნა იგინი მონაზონთა სამკვდრებელად და ყოველთა ქრისტეანეთა შესავედრებელად ორკერძოვე. და რამეთუ განგებასა ღმრთისასა ესე ჩუეულე-³⁰ ბაჲ აქუს. რაჲთა წმიდათა მათ უდაბნოთა მონასტერნი³ ჳელითა გლახაკთაჲთა ალაშენნეს, რომელნიცა სრულიად თავისუფალ იქმნეს სოფლისა საცოურთაგან. დალაკათუ წმიდათა უდაბნოთა ტელმწიფეთი ილუწიან, ხოლო წოდებდა სახელი გლახაკთაჲ ჯერ-იჩინა ქრისტემან შენებასა წმიდათა მონასტერთასა. არამედ მისკა ღმერთმან ტელმწიფებდა მორწმუნეთა მეფეთა აღშენებად³⁵ საყდართა საეზისკომოსოთა და ქალაქთა სოფლებითურთ და ყოველსა ერსა ზედა მთავარ-ყვანა, რაჲთა სიმართლით განიკითხვიდენ მათ შემკობილნი სამოსლითა ბრწყინვალითა, ხოლო რაჲთა არა დაუტეონ გონებაჲ მათი ხილულთა მათ ნივთთა შინა, არამედ კეთილთა მათ საუკუნეთა გულსკმა-ჰყოფდენ, რამეთუ სიბრძნემან საღმრთომან სამოსელთა მრავალსახეთა მიერ გუ-⁴⁰ ლისკმა-უყო ყოველთა კაცთა ბატივი თითოეულისა წესისა მათისაჲ ღმრთის-მსახურებით.

„ხოლო სარწმუნონი და ქეშმარტინი მონაზონნი ქუეყანასა ზედა არავისსა ტელმწიფებასა ქუეშე არიან, ვინაჲთგან მოჰრიდეს საშუებელთა საწუთოჲ-

ნუსხაშია: ¹ უდაბნუთა. ² მავლთაჲსა. ³ მონასტერ | რნი.

რომელთათვისცა თქუა ნეტარმან გრივალ სიტყუაჲ იგი დავითისი, ვითარმედ: «განცხადებდა ღმრთისა სიტყუათაჲ განმანათლებელ არს და გონიერ შრომს ჩჩულთა»*, რომელთა მიერ დაემტკიცოს ქებაჲ ქრისტესის¹. ჭეშმარიტად უბიწონი და წრფელნი ესე შემომეყენეს ჩუენ დათმენად ლუაწლსა მონაზონებისასა მოსრულნი ბრძანებისაებრ უფლისა, ვითარმედ: «ნუ აყენებთ ყრმებსა მათსა მოსლვად ჩემდა, რამეთუ ეგვეთართაჲ არს სასუფეველი ცათაჲ»**. არამედ ესე უწყოდეთ, ძმანო, დრტუნვაჲ ყოჯად არს ჩუენთვის სამართალი ძმათა შორის ჩუენთა, ხოლო უფალმან იბრუნოს თუთ ამათთვის, რომელმანცა თქუა: «ეკრძალენით, ნუ ვინმე დააბრკოლოთ ერთი [v] მცირეთაგანი, რამეთუ ანგელოზნი მათნი მარადის ხედვენ პირსა მამისა ჩემისა ზეცათაჲსა»*** 10 და აწ თქუენ, ძმანო, თევდორე და ქრისტეფორე, ძლევა-შემოსილნო, უქმენით ამათ მზარდულ კეთილ ნებისაებრ ღმრთისა².

ხოლო მათ აღუთქუეს და თავს-იდგეს მოლუაწებაჲ მათი. მაშინ პრტუა მათ ნეტარმან გრივალ: «ძმანო, უფროჲს არს ესე ყოველთა სათნოებათა თქუენთა, რადთა თულნი თქუენნი იყვენდ მარადის ამათ ზედა და გეტსენდ 15 დიდებულებაჲ მშობელთა ამათთაჲ და სარწმუნოებაჲ მათი ქრისტეს² მიმართ და ჩუენ გლახაკთა მომართ, ვითარ იგი მათ ქრისტეს³ სიყუარულისათჲს ზვილობისა სიყუარული დაივიწყეს და ზელითა ჩუენითა უფალსა მსხუერპლად მიუპყრნეს და ჩუენ, უცხოთა, ვითარცა ძმათა თჳსთა, სასოვებით მოგუანდგნეს.

«აწ, ვითარცა წარმოიყვანენით მშობელთაგან უბიწონი დასამარხველად 20 წმიდად, ეგრეთვემცა ჰპოვებს ქრისტე, რაჟამს ითხოვედეს ზელთაგან ჩუენთა სამკვდრებელად თჳსად».

და რაჟამს მოიწინეს ხანცათს, ფრიად განიხარეს ძმათა, ქრისტეს² მიერ კრებულთა მათ საღმრთოთა, სულიერისა მამისა და ძმათა მათ მოსლვაჲ. ხოლო დრტუნვაჲ იყო მათ შორის ყრმათა მათთვის მოყვანებისა. და მოვიდეს 25 წინაშე მამისა გრივალისა და პრტუეს: «წმიდაო მამაო, მოციქული იტყჳს «სრულმან სიყუარულმან შიში განდევნოსო»****. [180] უკუეთუ ბრძანოს სიწმიდემან შენმან, უშიშად ვიტყოდით, რომლისათჲცა მოსრულ ვართ».

ხოლო მან პრტუა: «ძმანო, ჭეშმარიტად ძირმტკიცე არს ჩუენ შორის სიყუარული და შიში არა არს მას შინა; ბრძანეთ, რაჲცა გნებავს⁵. ხოლო 30 მათ პრტუეს: «საქმენი შენნი განუკითხველ არიან ყოველნი თუნიერ ამისა, რომელ ყრმანი ესე მოიყვანენ, და წესსა შენგან დამტკიცებულსა შენ ზევე გამოეკუების რომავალთა ჟამთა საქდემელად ჩუენდა. დაღაცათუ უშიშ არს გული ჩუენი ჟამისა ამისთვის, არამედ გარემე წესისა არს საქმე ესე. და აწ ესე არს სიტყუაჲ ჩუენი, წმიდაო ღმრთისაო»⁶.

ვითარცა ესმა კეთილი იგი გულის-სიტყუაჲ, ცხადად განიხარა ნეტარმან მამამან გრივალ და პრტუა მათ: «ჰ ძმანო სანატრელნო, ნუ იყოფინ ჩემდა წესისა მის აირველთა წმიდათა მამათაგან შეკრებულისა ცვალებად 35 გორციელისა რაჲსაჲე მიზეზისათჲს, არამედ ჭეშმარიტსა ვიტყჳ წინაშე ღმრთისა, რამეთუ არა ოდეს გასმია ნაცილი სიტყუაჲ პირისაგან ჩემისა. ესრეთ 40 არს ყრმათა ამათ მოწიენაჲ აქა, რამეთუ ქრისტემან ღმერთმან წმიდისა ანგელოზისა პირითა მაუწყა ამათი საქმე ყოველი, რამეთუ ვითარცა ეფრემ

* ფსალმ. 118,130. ** მათე 19,14; მარკ. 10,14; ლუკა 18,6. *** შტრ. მათე 18,10,6. **** იოანე 4,18.

ნუსხაშია: ¹ ქმნი. ² ქს. ³ ქეს.



ასური და არსენი პრომაელი, კაცთაგან განშორებულნი და აღზრდილ უბიწოდ ხანტოს შინა ვიდრე ეამადმდე [v] პატივისა მათისაო. აწ უკუე შემძლებელ ვართა ცილობად უფლისა ბრძანებასა? «რამეთუ უნებელი ზედა მაც» სიტყუსაებრ მოციქულისა: «უკუეთუ არა ვახარებდე, ვაჲ არს ჩემდა», ხოლო თქუენ ნეტარ ხართ, რამეთუ უფალმან გამოვიჩინა ამათ მონათა თჳსთა. არამედ თჳნიერ ესევეთარისა მიზეზისა უკუეთუ ვინმე ცვალოს წესი პირველი და ყრმა მოიყვანოს ყოვად მონასტერსა ამას, პატიეულ იყოს იგი ფრიად დიდებულსა მეორედ მოსლვასა უფლისა და ღმრთისა ჩუენისასა».

10 ხოლო ემანი იგი დაჯერებულ იქმნეს და აღეშენეს ამას ზედა და მადლობდეს ქრისტესა, მოქმედსა საკრველებათასა. მაშინ თვედორე და ქრისტეფორე, რამეთუ სენაკნი მათნი ერთგან იყვნეს და სხუათა ძმათაგან განშორებულ, წარიყვანნეს ღმერთ-შემოსილნი იგი ყრმანი სულიერთა მათ მათა, სენაკად თჳსად, მცნებისაებრ ნეტარისა მამისა გრიგოლისისა¹. და აღ-

15 ზარდნეს კეთილად ნაცვალად სძისა ღმრთისა მადლითა.

16 მას ეამსა ბაგრატ კურაპალატმან ნებითა ღმრთისაჲთა და ნებითა ძმათა თჳსთაჲთა და ბრძანებითა ბერძენთა მეფისაჲთა მოიღო კურაპალატობაჲ ნაცვალად ამოტ კურაპალატისა, მამისა თჳსისა, რამეთუ მიეცა მას ფლობაჲ გელმწიფებისაჲ ზეგარდამო. და ემანი მისნი, [181] ყოველნი კეთილნი და დიდებულნი გელმწიფენი,—ადარნერსე უხუცესი და გუარამ მრწემი,—მშუვალესა² მას ძმასა მორჩილ ექმნეს საღმრთოჲსა ძმობისა სიყუარულითა, რამეთუ ერთზრახეა, ერთსულ და ერთნება იყვნეს იგინი.

ხოლო ბაგრატ უმათერეს მათსა იყო სიბრძნითა, სახითა და სიქველითა და ყოვლითა ღმრთის-მსახურებისა სიხარულითა, რამეთუ მსგავსი იყო წინა-წარმეტყუელისა დავითისი და ნეტარისა ბაგრატ მოციქულისა და მღვდელ-მოწამისა, მოწვისა წმიდისა პეტრე მოციქულისაჲ, ყოვლითავე კეთილად მსახურებითა. და მადლითა ქრისტესითა³ განდიდნა მეფობაჲ სამთა მათ ძმათა გელმწიფეთაჲ. რამეთუ შეწევნითა ღმრთისაჲთა კრძლითა მათითა დაიპყრნეს ფრიადნი ქუეყანანი და განიოტნეს აგარის ნათესავნი.

30 ხოლო ნეტარი მამაჲ გრიგოლ მიიწია წინაშე დიდებულისა ბაგრატ კურაპალატისა და ჯერისაებრ შესხმაჲ კურაპალატობისაჲ მიულოცა. ხოლო ქებაჲ იგი შესხმისაჲ, ეამისა მის ბრძენთა მიერ შეუცავი, ფრიად სთნდა კეთილად მსახურსა კურაპალატსა და ჰრქუა მას: „ჰ წმიდაო მამაო, ღმერთმან შეგამკო სიბრძნითა, ჰსაკითა და სულითა წმიდითა ჰსნისა ზღუდელ ჩუენდა, შუამდგომელად შორის სიკუდილისა და ცხოვრებისა. რომლითაცა ვრცელ იქმენ ყოველსა ამას ქუეყანასა თანა-ზრუნვითა და საღმრთოჲთა მოღუაწებითა შენითა. ხოლო მე თანა-მაც [v] სიყუარული და პატივი მამობისა შენისაჲ. აწ ბრძანენ სიწმიდემან შენმან მეფობისა ჩუენისაგან მსახურებაჲ ღირსებისა შენისაჲ, რამეთუ ღმრთისა მიერ მონაწილე ხარ ჩუენ თანა, შვილთა ამოტ კურაპალატისათა“.

ხოლო წმიდამან მან ჰრქუა: „კეთილად მსახურო მეფეო, უმეტეს და უფროჲს კეთილად მსახურისა მამისა შენისა ფრთეთაგან საუფლოჲსა ჯუარისათა შეცვულო, მარჯუენაჲ დამბადებელისაჲ და წმიდათა ოხაჲ მარადის გუარავს. და მცველი იგი დაუტინებელი ყოლადე მცველ არს შენდა, და

ნუსხაშია: ¹ გრიგოლისა. ² მშუვალესა. ³ ქსითა.

ნათელი დაუღამებელი უძღვს მეფობასა ზენსა, და არა საგმარე
 ბრწყინვალეობაჲ სანთლისაჲ, ვარნა მრუშეთათჳს ხოლო. არამედ მე გულს-მო-
 დგინედ ლოცვაჲ ზენი მიპყრის, რაჲთა არა მოგაჯლდეს კეთილი საქმე მე-
 ფობისა მიზეზთაგან. არამედ აჲ ამას ვითხოვ ზენგან: არს ანოტ კურაპალა-
 ტისა შეწირული აგარაკი ხანცთას და იქმნების კეთილად მონასტრად. უკუე-
 თუ მიბრძანოს მეფობამან ზენმან, აღვაშენო სადიდებელად ღმრთისა და
 საცხოვრებელად სულისა ზენისა, და ვიდრე ეგოს ცაჲ და ქუეყანაჲ, ეგოს მას
 შინა ლოცვაჲ ზენთჳს*.

47. მაშინ სიხარულით უბრძანა ბაგრატ კურაპალატმან ზენებაჲ მისი
 და მისცა ყოველივე საგმარი საშენებელად. და რაჲმას მივიდა ნეტარი მა-
 მია გრიგოლ [182] შატბერდს, მაშინ ცრემლთა მისთა მდინარითა ირწყვო-
 და ადგილი იგი, იტყოდა რაჲ ლოცვისა ამას:

„მეუღებითა სუფიესა ზენისაჲთა, ღმერთო, უწრომელად დაჰბადენ და-
 ბადებულნი ყოველნი და ჯელმწიფებით განმგებელ ხარ ყოველთა ქმნულთა
 ზენთა, რამეთუ ცათა შემოქმედი, და ანგელოზთა დამბადებელი, და ქუეყანი-
 სა დამამტკიცებელი, და ზღუათა დამამყარებელი და წულილადთაცა საქმეთა
 მოქმედვე ხარ, ვითარცა თჳსა დავით: «არა თუმცა უფალმან აღაშენა სახლი,
 ცუდად შურებინა მამენებელი მისნი». აჲ, უფალო, იყვნედ ყურნი ზენნი
 მორჩილ ჯმასა ლოცვისა ჩემისასა და აკუროთხე ადგილი ესე მადლითა ზენითა
 და აღაშენე მონასტერი განსასუენებელად სიწმიდისა სამკვდრებელთა ზენთა
 და მოეც ამას სახელი კეთილად სახელოვანი შორის თესლებსა მრავალსა
 სადიდებელად ზენდა, ყოველთა მეუფეო, უხილავად შეწვევითა ძლიერისა
 მკლავისა ზენისაჲთა, და განანათლე ნათლითა სულისა ზენისა წმიდისაჲთა და
 მეოხებითა წმიდისა ღმრთის-მშობელისაჲთა და წმიდათა ყოველთაჲთა დაიცვე
 უკუნისამდე ეამთა, ამენ“.

და ჯუარი დასწერა ადგილსა მას ჩინებულსა და იწყეს საქმედ ეკლესი-
 ისა და სენაკებსაცა. და ესრეთ დღითი-ღღე აღორძინდებოდა იგი კეთილად.
 და იქმნა ღღე გლოვის მტერთა მათ უხილავთა და ხილულთა. [v] ხოლო
 ნავთსადგურ ცხოვრების ქრისტესსა სამწყსოთა მეფეთა და მთავართა და ყოე-
 ლისა ერისა ქრისტეანთა მართლმორწმუნეთაჲსა მსგავსად ხანცთისა, ღმრთი-
 სა მიერ ზეგარდამო ჩინებულისა, ეგრეთვე შატბერდი აღეშენა საღმრთოთა
 შეწვევითა და ლოცვითა ნეტარისა მის კაცისაჲთა, რომელმანცა შეაერთნა
 ორნივე იგი უდაბნონი ერთად ზენაწევრებულნი და შემტკიცებულნი ემო-
 ბრისა ზედა სიყუარულსა ვიდრე ეამთა აღსასრულამდე.

ამისა შემდგომად უწოდა კურაპალატმან წმიდისა მას. და ვითარცა მი-
 იწია მის წინაშე, ყოველი აუწყა კეთილად განმარჯუებაჲ მონასტრისაჲ მის
 ქრისტესსა მიერ. მაშინ უბრძანა ადგილნი მარჯუენი აგარაკად შატბერდსა,
 და ყოველი, რაჲცა უკმდა, მისცა მისთჳს სრულიად საშენებელად.

48. მას ეამსა ნეტარსა გრიგოლს გულმან უთქუა კსენებაჲ საბან იშხნე-
 ლისაჲ და აუწყა ყოველი პირველ ყოფილი ღმრთის-მსახურსა კურაპალატსა.
 ხოლო მას ვითარცა ესმა, ფრიად განიხარა და მსწრაფლ დაწერა წიგნი და
 წარავლინნა კაცნი კეთილნი და პატივით უწოდა მას. ხოლო მივლინებულნი
 იგი მოვიდეს და აუწყეს კურაპალატსა, ვითარმედ. არა ჰნებაეს კაცსა მას

* ესაღ მ. 126,1.
 ნუსხაშია: † ქს.

18. ავთოგრაფიული ძეგლები



ქართული

ღმრთისასა მოსლვაჲ აქა. მაშინ ბრძანა კურაპალატმან გზათაჲსა მისსაჲსა [183] მე, რამეთუ მახლობელად იყო ეამსა მას. და ჰრქუა ნეტარსა მამასა გრიგოლს: [183] „განუგებელად ვქმენ, რამეთუ წიგნი არა მიწერად გეც. აწ ვითარ წეს არს, მიუწერო“ და თუთ კუალად დაწერა წიგნი სხუაჲ და წიგნიცა მამისა გრიგოლისი წარსცა. ხოლო ნეტარი საბან დაემორჩილა მეორედ ბრძანებასა კურაპალატისასა და უფროას ხოლო წიგნსა მამისასა.

და მივიდა მათდა სასურველი იგი კაცი ღმრთისაჲ მოსურნეთა მათ თანა. ხოლო კურაპალატი წინა მიეგება და პატივით მოივითხა, და მან კურთხევით ულოცა. და ვითარ დასბდეს, ჰრქუა კურაპალატმან წმიდასა მას: „ჯერ-
10 არს გელმწიფეთა მორჩილებაჲ, რაჲსათჲს არა მოხუედ პირველსა წოდებასა, წმიდაო მამაო?“

ხოლო მან ჰრქუა: „დიდებულო მეფეო, შენ ქუეყანისა გელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე ზეცისა და ქუეყანისა და ქუესკნელთაჲ. შენ ნათესავთა ამით მეფე ხარ, ხოლო ქრისტე ყოველთა დაბადებულთაჲ; შენ წარმავალთა ამით
15 ეამთა მეჴს ხარ, ხოლო ქრისტე საუკუნოჲ მეუჴს და სრული ჰგიეს უცვალებელი, უეამოჲ, დაუსაბამოჲ, დაუსრულებელი მეუჴს ანგელოზთა და კაცთაჲ. და უფროას შენსა ჯერ-არს სმენაჲ სიტყუათა მისთაჲ, რომელმანცა ბრძანა, ვითარმედ: „ვერვის გელმწიფების მონებაჲ ორთა უფალთაჲ“*, არამედ აწ სიტყუათა ძმისა და მოძღურისა ჩემისა გრიგოლისითა მოვედ წინაშე
20 შენსა“.

ხოლო კურაპალატმან ჰრქუა: „სამართალ არს** [v] სიტყუაჲ შენი, წმიდაო, არამედ უმჯობეს არს განათლებაჲ სულთა მრავალთაჲ სასანთლესა ზედა განბრწყინებითა შენ, ბრწყინვალისა სანთლისაჲთა. ვითარცა ჰრქუა ქრისტემან მოწაფეთა თჲსთა, ვითარმედ, ვითარცა მცხინვარებაჲ მშისაჲ
25 განანათლებს ცასა ქუეშე მყოფთა, ეგრეთ ბრწყინვდენ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაჲთა იხილენ საქმენი თქუენი კეთილნი და აღიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა“***.

ამისა შემდგომად კურაპალატი მივიდა იშხანს და ნეტარნი იგი კაცნი მამაჲ გრიგოლ და მამაჲ საბა თანა. და ფრიად შეუყუარდა კურაპალატსა
30 ადგილი იგი. არამედ რაჲსა-ლა განვაგრძობ სიტყუათა? ნებითა ღმრთისაჲთა იქმნა საბა ებისკოპოს იშხანსა ზედა, ნეტარისა ნერსე კათალიკოზისა აღშენებულსა კათოლიკე ეკლესიასა და საყდარსა მისსა, რომელი წელიწადთა მრავალთა დაქურივებულ იყო. აწ კუალად იქმნა სულიერი ქორწილი და მეორედ აღეშენა ამის ნეტარისა მიერ; ხოლო ჯორციელად მოლუაწებითა
35 ღმრთის-მსახურთა მათ მეფეთაჲთა.

და რაჲმს მამაჲ გრიგოლ სტუმრად მიიწიის იშხანს, ებისკოპოსმან საყდარსა იგი დასჯს, და თუთ თანა დაჯდის, რამეთუ არა თავს-იდვის ურჩებაჲ ნეტარისა გრიგოლისი, ვინაჲთგან მოძღუარ და უხეშთაეს იგი იყო. [184] და ესრეთ წარემართა იშხანი კეთილად ვიდრე აქამომდე და უკუნისამდე.

40 4b. არამედ აწ კუალად პირველსავე სიტყუასა მივიდეთ. რამეთუ ნეტარი მამაჲ ჩუენი გრიგოლ პატივ-ცემულ იყო ზეგარდამო ღმრთისა მიერ და ეამთა მისთა არავინ ურჩ იყო სიტყუათა მისთა, უფროას ხოლო გელმწიფენი მის ეამისანი. ხოლო იყო ეამი, რომელსა ერთგან იყვნეს ძმანი იგი დიდე-

* მათე 6,24; ლუკა 16,13. ** ამ გვერდის ბოლოს მინაწერია: „თუალთა დამკლდება“. *** მათე 5,16.

ბულნი, და ნეტარმან მან გულს-მოდგინედ მოაქსენა, რათამცა იხილნეს მისნი იგი შენებულნი მონასტერნი და ყოველნი კლარჯეთისა უდაბნონი.

ხოლო მათ ისმინეს მოქსენება წმიდისა მის, რომელიცა წინა წარმოუძღლა მთავართა მათ. და პირველად მიიყვანა შატბერდს, და ფრიად შეუყურდა ადგილი იგი და შეწირეს მრავალი შესაწირავი ტელმწიფეთა და აზნაურთა და ყოველმან ერმან. მაშინ მოლუაწედ შატბერდისა გამოჩნდეს დიდებულნი აზნაურნი, და რაემს წარმოვიდეს შატბერდით ტელმწიფენი იგი, და ნეტარი გრიგოლ წინა-უძღოდა მათ.

მაშინ მოვიდა ზაქარია ანჩელი ეპისკოპოსი, ღირსი და სასწაულთა მოქმედი, და ბატონით მოიკითხეს ტელმწიფეთა მათ და თანა წარმოიყვანეს, და მოიწინეს ჯმერკს და ბერთას წმიდისა ღმრთის-მშობელისა ეკლესიათა და დაბას წმიდისა მოწამისა გიორგის ეკლესიასა. ხოლო დოლის ყანა მონასტრად უკუანაას იქმნა. და მოილოცნეს* [v] წმიდანი ადგილნი და ფრიადი განუყვეს განსაყოფელი, რამეთუ სამთა მათ ტელმწიფეთა აქუნდეს დიდნი შესაწირავნი. და მიიღეს მადლი ლოცვითა ამით ნეტართა მამათაჲთა.

და მოიწინეს ოპიზას. და განმზიარულდეს მადლითა ნათლის-მცემელისაჲთა და ლოცვითა ნეტართა მათ კაცთაჲთა, და აჩუენეს მოლუაწება ძლიერი შესაწირავთა მიცემითა. და წარემართეს ხანტად. ხოლო ნეტარმან გრიგოლ წინამძღუარნი იგი მონასტერთანი თანა წარმოიყვანა მის თანა და მოვიდეს ხანტად საყოფელსა დიდისა მოწამისა გიორგისა. და უმეტეს განკურდა გონება ტელმწიფეთაჲ მათ, რაემს იხილნეს მოწაჲენი ნეტარისა გრიგოლისნი უფიცხლესა მონაზონებისა კანონსა, რამეთუ იყვენეს იგინი ვითარცა ზეცისა ანჯელოზნი. და პირველად მტერთა ძღვევისა საჭურველი მიიღეს ოხითა წმიდისა გიორგისითა და შემდგომად ლოცვითა მათ სანატრელთაჲთა, ჯორცითა სულთა თანა განათლდეს, რამეთუ იხილეს ადგილიცა იგი ნაყოფთაგან უღლუაწი, უფროასი მიანტიქს კეთილთა მათგან შესაწირავი. და ეამსა მასვე მოიწია წინამძღუარი მიძნაძროასაჲ დიდი მამა სანატრელი დავით, მაშენებელი მონასტერთაჲ, და მოწაჲენი მისნი, ნეტარნი: ილარიონ, მამა და მაშენებელი წყაროასთავისაჲ, რომელიცა კათალიკოზ იქმნა მცხეთას, და მამა ზაქარია, მაშენებელი ბარეთელთისაჲ, წინა მიგებებად ტელმწიფეთა მათ. [185].

და ვითარცა იხილეს მღვობელთა მათ შერებაჲ იგი წმიდათა მამათაჲ, იყვენეს რაჲ მსგავს წმიდათა უპორცოთა, განიხარეს, რამეთუ ესმოდეს მათგან მოძღურებანი საღმრთოასა მცნებისანი, რომლისათჳსცა თქუეს დიდთა მათ ტელმწიფეთა: „წმიდანო მამანო, ვინაჲთგან¹ გიხილენით თქუენ, დაგუავიწყდა მებრ, თუ ქუეყანასა ზედა ვართ ჩუენ, არამედ ვაგონებთ, ვითარმედ ზეცას წმიდათა ბანაკსა დამკვდრებულ ვართ. რამეთუ თქუენ სულითა მარადის წინაშე ღმრთისა მდგომარე ხართ, და სადაცა არიან საყოფელნი თქუენნი, მუნცა არიან გულნი თქუენნი, არამედ იყავნ მეოხებაჲ თქუენი ჩუენ ზედა აქა და საუკუნესა“.

ხოლო წმიდათა მათ ფრიადითა ლოცვითა შეჭურნეს და აკურთხნეს ტელმწიფენი იგი და პრქუეს: „ღმრთის-მსახურნო მეფენო, ჭეშმარიტად გულნი

* ამ გვერდის მარჯვენა კიდებუ გადაწყვირის ხელით სწერიან: „ო“ შე“ ს“ლი ჩ“ი“. ნუსხაშია: ¹ ვინაჲგან.



თქუენნი ზელთა შინა ღმრთისათა არიან, რომელმანცა ჩუენ ქრისტესსა¹ ზელ-
 სა ნუგე ინის-სცა პირითა თქუენითა და კეთილთა თქუენთა² ცხელად³ ქმნი-
 ბითა. და თქუენ მოგცა უფალმან დანერგვამ უკუდავთა ჯელმწიფეთა წმიდა-
 თა ეკლესიათა მოკუდავითა მეფობითა. და შეწეენამცა მათი უხილავად
 საჭურველ ყო თქუენდა უფროს ხილულთა საჭურველთა და უმრავლეს ბევრ-
 თა მგედართა. და ესე უწყოდეთ, რამეთუ სულიერად განწყობილნი ლაშქარნი
 თქუენნი ესე წმიდანი, უდაბნოთა მამანი, არიან ჯორციელად⁴ განწყობულთა
 ლაშქართა თქუენთა სიმტკიცენი და საჭურველნი ყოველთა მოაწმუნეთა მე-
 ფეთანი [v] მწყობრთა შინა წყობისათა. თქუენ, უმეტესად ამისთვის, რამეთუ
 10 მეფობისა სიმადლესა თანა გაქუს თქუენ ქრისტეს⁵ მიმსგავსებული სიმადლეს
 და მოღუაწებამა წმიდათა ეკლესიათამ, და ნუგეშინის-ცემამ გლახაკთამ და
 ყოვლისა ერისა სიმართლით განკითხვამ სიტყუასაებრ უფლისა, ვითარმედ:
 «ნუ თულახუმით შჯით, არამედ საშჯელი სამართალი საჯეთო»⁶, რამათა ქუე-
 ყანისა ამის მეფობისა თანა მოიღოთ ზეცისა⁷ მეუფესა თანა მკუდრობამ
 15 უოხჳნობამ. და მოგეცინ ქრისტემან დიდებამ სრული ზეცისა და ქუეყანისამ,
 რამათა სიტკბობებით მოკსენებამ ჩუენნი არაოდეს უღებ-ჰყოთ ვანის-მყოფთა
 ამითთვის.

„გულისგმა-ყავთ, ვითარცა-იგი აბრაჰამ მამათ-მთავარმან და დავით წი-
 ნაწარმ⁸ ცხელმან სწორად მეამოფეთა მისცა ნატყუენავთა მათგან ნაწილი,
 20 ეგრეთვე კეთილთაგან თქუენთა გლახაკნი და ეკლესიანი ნაწილესულ არიედ
 მარადის, ვითარცა ლევიტელთათვის უფალი ბრძანებს: «ნაწილი მათი მე
 ვარო»⁹. ეგრეთცა გლახაკთა ნაწილი თქუენ მიერ განწყობულ არს, რამათა
 ნაცვალად უფალი მოიგოთ სასოდ ორისავე ცხობებისა, რამეთუ გლახაკთა
 არამა აქუს, თუნიერ ღმრთისა სახიერისა მოწყალეებამ»¹⁰.

25 48. ამისა შემდგომად მამისა გრიგოლისთვის ზრახვა-ყვეს ებისკოპოსისა
 მის თანა წმიდათა მამათა, რამათა დაადგინონ გრიგოლ არქიმანდრიტად ყო-
 ველთა კლარჯეთისა [186] უდაბნოთა ზედა და მოაქსენეს ჯელმწიფეთა მათ.
 ხოლო მათ ფრიად განიბარეს და ერთობით დიდითა დაპატიებებითა მოღუა-
 წებისა მის საქმედ დაადგინეს. და მრავალთა წელიწადთა ვიდრე გარდაცვა-
 30 ლებადმდე განავებდა წმიდათა მათ მამათა წესსა კეთილად.

ხოლო ჯელმწიფეთა მათ მოილოცენს მიმნაძროთა, წყაროსს თავი, და
 ბარტელთამ და აღგილნი მათნი, და მუნცა მისცეს შესაწირავი და მიიღეს
 მადლი წმიდათა მათ ეკლესიათაგან და ნეტართა მამათა ღირსთა და წმიდა-
 თა მოღუაწეთაგან. და ყოველთა მათ უდაბნოთა ზღვარნიცა გან-ვე-უთხსნეს.

35 და წარსლვასა მათსა თანა წარიყვანეს ნეტარი გრიგოლ. და ადარნერ-
 სე ჯელმწიფემან ძმ თუნი გურგენ ნათლითა მისცა მას, და რამეთუ ბაგრა-
 ტ კურაპალატისა ძე, დავით კურაპალატი, ნეტარისა მამისა გრიგოლისვე
 აქუმულ იყო, ორნი ესე ჯელმწიფენი: დავით კურაპალატი და გურგენ კუ-
 რაპალატი; რომლისათვისცა გარდაცვალებისა ეამსა ანდერძი უყო გურგენ
 40 კურაპალატსა, ვითარმედ: «ნათლის-მამისა ჩემისა ეულთა მახლობელად დამ-
 დევით ფერჯთა თანა მისთა და სხუთა მათ მამათა ძულანი ჩემ ზედა დაუ-
 სუენენით», რომელ ყვესცა ეგრეთ. [v] არამედ შემდგომად გურგენ კურაპა-

* იოანე 7,24. ** II სჯულ 10,9.

ნუსხაშია: ¹ კოციელად. ² ქს.

ქრისტესული
წიგნების

ლათისა, ცემან მისმან, აშოტ ერისთავთა-ერისთავმან, ხანტას ახალი სია დაიწყო წადიერად და ურიცხვ შესაწირავი გარდაჰმატა მას.

ხოლო იყო ეჟმა მას ხანტას წინამძღურად მამა არსენი, ნათესავით აზნაური. ამისთა განზრახვითა იქმნა დაწყება ახლისა მის და შეუნიერისა ეკლესიისა ფიციხელსა მას კლდესა ზედა, რომელიცა ფრიადითა შრომითა და ქეთკირითა მყარითა მრავალთა ეანთა დაავაქეს და ესრეთ შეშობაცხეს შენადება ადგილისა მის, ვითარმცა სრულიად აღეშენა. არამედ აკურთხენ ქრისტეჲან ამონა, სიბრძნით სრულიად მაშენებელი. და შემწენი ყოველნი, რომელთაგან კეთილად განემარჯუებოდა შენებაჲ ეკლესიისა მის. ხოლო ქება და კირი ფრად შოროთ მოაქუნდა ძნელთა მათ გზათა კაცთა ზურგითა, და ყოველი სასწოროთა იწონებოდა, რამეთუ იყიდდეს მაშენებელნი იგი.

მას ეჟმა გარდაიცვალა ღმრთის-მსახური იგი ჯელმწიფე, წმიდათა ეკლესიათა მაშენებელი და მონაგებთა შემწირველი და ვლახაკთა მოღუაწე, და დაემარხა ხანტას არსენის გბითა და ძისა მისისა მცხედისაჲთა. არამედ მამა არსენი და ჯებრილისა ძმაჲ, სანატრელი იოვანე, ახლისა ეკლესიისა განმასრულებელი, ორნივე ესე ხანტას [187] გამობასა შინა აღესრულნეს. ქრისტეჲან განსუენება მიეცინ მათ!

ხოლო გურგენ, ძმის-წული აშოტისი, დიდი იგი ჯელმწიფე ფრიადთა ნათესავთაჲ, ღმრთისა მიერ დაჯდა ერისთავთა-ერისთავად. და მან განასრულა ეკლესიაჲ იგი ახალი ხანტისაჲ და მის თანა ყოველთა დიდებულთა ჯელმწიფეთა და აზნაურთა და ყოველმან ერმან მორწმუნეთამან და უფალმან კეთილი მოუკლებელა მიეცინ ყოველთავე!

მც. არამედ აწ კუალად ნეშტი იგი პირველი განვაახლოთ. რამეთუ რაგამს-იგი განდიდნა სახელი ნეტარისა მამისა გრიგოლისი და მიიწია ქართლად და ესმა სანატრელსა დედასა მისსა დიდებულებაჲ ძისა თჳსისაჲ, რამეთუ იყო იგი ცოცხალ და მიწვეწულ მოხუცებულბასა, მას ეჟმა განმზიარულდა სულითა და განძლიერდა ჳორციითა და მადლი შეწირა ქრისტესაჲ, რომელმან კეთილი სახარებაჲ ასმინა ძისა მისისაჲ, ყუალად კეთილისაჲ, ჳორციელად საქადულისაჲ და სულისა მისისა გვრგუნოსან მყოველისაჲ, რამეთუ იგი ხოლო მარტოჲ ესუა შევილად და თჳნიერ მისისა შობისა მამაკაცი არღარა იცოდა, არამედ სიწმიდით დადგრომილ იყო ლოცვასა შინა და მარბვასა და მარადის შიშსა ღმრთისასა.

ხოლო გული მისი იგლოვდა ძისა თჳსისა განშორებისათჳს, არამედ სინარულისა გმამან განამტკიცა, და მიცვალბულთა მისთათჳს, რომელ გულის-კლებაჲ [v] აქუნდა, დაავიწყდა ამით ნუგეჰინის-ცემითა. და მსწრაფლ ხოლო წარმოვიდა საჳედრითა. და თანა-იყენეს მსახურნი მისნი, მამანი და დედანი.

და მოიწია დედისა ნებრონიასსა მერეს. ხოლო მან სინარულით შეიწყნარა და მსწრაფლ ხოლო აუწყა წიგნითა ნეტარსა გრიგოლს. ხოლო წმიდაჲ იგი, ძმ უბიწოჲ, მალიად მივიდა დედისა წინაშე მორწმუნისა და თაყუანის-სცა მას და ქრისტესმთიერი კურთხევაჲ და მზღობაჲ მისცა. ხოლო იგი სინარულითა მოიგება ძესა თჳსსა, ამბორს-უყოფდა და ეტყოდა: „შვილო ჩემო ტკბილო, გიხილე, რომლისათჳსცა მსუროდა, რამეთუ ხილვითა შენითა

ნუსხაჲ: 1 ქა. 2 მიცვალბულ | ლთა. 3 ქესმარი.



განმეზორნეს ყოველნი იგი პირველნი ტკივილნი“. და მრავალჯერა მსხვერპლთა განგრობილად იყო უბნობა მათი.

ხოლო ნეტარმან მაჰამან გრიგოლ პრქუა: „შენდობა იყავნ ჩემდა შენ მიერ, დედაო ჩემო, არამედ არა ნებითა ჩემითა განგეზორე, გარნა ნებასა ღმრთისასა ესრეთ სათნო უჩნდა, ვითარცა აწ იქმნა. ხოლო შენ ცხოვრებასა ამას წუთსა არაა ვაკლდა ჯორციელად და სულიერად, ვიდრე აქამომდე, არამედ აწ თანა-მაც მოღუაწებდა შენი სულიერად და ჯორციელად მცნებისაებრ უფლისა, რომელსა ბრძანებს პატივისათუს მშობელთაჲსა; და სიბრძნესა წერილ არს: „ზეილო, მიაგე მშობელთა შენთა, რა-იგი მოგაგეს, რამეთუ თჳნიერ მათსა შენმცა არა იყავ“* და [188] კუალად იტყუს: „საგმობელ არს, რომელმან შეურაცხ-ყოს მაჰა თუსი, და წყევულ არს უფლისაგან, რომელმან განაწყოს გული დედასა“**, რამეთუ „კურთხევამან მაჰისამან და დედისამან დაამტკიცნის სახლნი უკუნისამდე, ხოლო წყევამან მათმან აღჰბუხურნის სრულიად“***. და პავლე ესრეთვე მრავალგზის ამცნებს მშობელთა პატივის-ცემასა ყოველთა, და აწ ესე სიტყუანი და მსგავსნი ამათნი გუესმიან ღმრთივ სულიერთაგან წიგნთა სასწავლელად მორწმუნეთა. ხოლო მე მადლითა ღმრთისათა კურთხევაჲ შენი დავიმკდრო, ვითარცა შეილმან მშობლისა მოყუარემან მორჩილებით მსგავსად ძალისა, ნებისაებრ გულისა შენისა“.

და ფრიად ნუგეზინის-სცა მას ნეტარმან მან ღმრთისა კაცმან და აღაშენა ფრიად სანატრელი იგი მოხუცებული. და მან პირველად აკურთხა ღმერთი და მერმე ძე იგი თუსი, და თანა-მოსრულნი იგი სახლეულნი თუსნი შეჰვედრა და პრქუა: „ჩემდა მსგავსად ესენი გვედიან, შეილო, რომელთა გულს-მოღვინედ მსახურებაჲ ჩემი თავს-იდევს“. ხოლო წმიდამან მან პრქუა: „მოციქული იტყუს: „უკუეთუ ვინმე თუსთა და უფროჲს სახლეულთა არა ილუწიდეს, ეგვეთარასა მას სარწმუნოებაჲ უვარ-უყოფიეს და არს იგი ურწმუნოთა უძურეს“****. ხოლო მე თანა-მაც, დედაო, ბრძანებისა შენისა სმენაჲ და ზრუნვაჲ ყოველთა ამთ შენთა საურავთაჲ“. და ვითარცა ჯერ-იყო, და-იურვნა ყოველნი კეთილად.

მაშინ ნეტარმან [v] დედამან ფებრონია პრქუა მოხუცებულსა მას სარწმუნოსა: „ღმრთის-მოყუარეო დედაო, შეილისა შენისა და ძმისა ჩემისა გრიგოლის თანა მე ვარ აწ შეილი შენი. და არა დაგაკლდეს ჩუინგან მსახურებაჲ ყოლადვე, რამეთუ გბედავ შენ ვითარცა ანნა წინაწარმეტყუელსა, რომელი არა განეზორებოდა ტაძრისაგან უფლისა დღე და ღამე ლოცვითა და მარხვითა. ეგრეცა შენ მცნებათა ღმრთისათა დამტკიცებული ჰგიე მარადის და ნაყოფისაგან საცნაურ არს სიკეთე ხისაჲ“. ხოლო იგი სიხარულით ჰმადლობდა ქრისტესა და წმიდათა მათ.

მაშინ ნეტარმან გრიგოლ ჯერისაებრ განაგო ცხოვრებაჲ დედისა თუსისაჲ და მისთანათაჲ მათ. და მსახურსა ვისმე დედაკაცსა დედისა თუსისაჲსა ქმარი უსუა, და ბასილი, მაჰა ხანცთელი, მისგან იშვა, რომელიცა ფრიად-თა წელიწადთა წინამძღურობდა ხანცთას კეთილად ვიდრე სიკუდიდმდე და მისლვად მისსა წინაშე უფლისა. არამედ შემდგომად ჟამთა მრავალთა სანატრელი მშობელი მაჰისა გრიგოლისი გარდაიცვალა მერეს შინა და მივიდა უფლისა, რომლისაცა სურდა.

* ხირაქ 7,30. ** ხირაქ 3,18. *** ხირაქ 3,10. **** I ტიშ. 5,8.

ხ. ხოლო ნეტარმან გრიგოლი დაიღუპა სული მისი და დიდება მისი წირა ღმრთისა, რომელმანცა მიჰმადლა მას კეთილად მსახურებამს თვისისა და სრულიად კურთხევა მისგან მიიღო.

არამედ თევდორე და ქრისტეფორე, სინატრელთა მათ დიდთა მამათა, რაჟამს იხილნეს განჭაბუკებულნი და სრულნი სიბრწინითა და ჰასაკითა [189] ღირსნი იგი ღმრთისანი არსენი და ეფრემ, გულ პყრობილ იქმნნეს ფიცებისაგან მამისა გრიგოლისა, რომლისადა აღეთქუა, ვიდრე ყრმითა მათ აღორძინებადმდე არა განეშორნენ მათგან.

მაშინ ფარულად ხანკით ღამე გამოვიდეს, და ძმანიცა ვინმე თანა წარიყვანნეს, და კუხლად წარვიდეს კერძოთა ქართლისათა, რამეთუ უღალი 10 უწოდდა მათ უხილავად ბრძანებით და აღაშენებდა წმიდათა მათ მონასტერთა მათ მიერ ნეტუსა და კარიკე-წმიდისასა. ხოლო ნეტარსა გრიგოლს ეუწყა უფლისა მიერ, რაჟამთ არღარა დააბრკოლნეს გულს-მოდგი[ნე]ბისა მისგან მათისა, არამედ თანა-მდგომ ექმნეს კეთილსა მას საქმესა. და ციება-ყო მამამან გრიგოლ და პოვნა ივინი სამცხეს და აბრაალა ფარულად წარსლვა 15 მათი.

ხოლო ივინი შეუვრდეს და ჰრქუეს: „შენდობა იყავნ ჩუენდა, წმიდაო მამაო, რამეთუ ამის მიზეზისათჳს იქმნა გამოსლვა ჩუენი ხანკით, რაჟამცა ნაყოფი რაჟმე ნაწილ ჩუენდა ჩნდა ახლად შენებითა მონასტერთაჲთა“. ხოლო წმიდამან მან ჰრქუა: „კეთილ არს განზრახვა ეგე თქუენი ნებითა 20 ღმრთისაჲთა, არამედ მე თანამონაწილე მყავთ გულს-მოდგინებასა მავას, რამეთუ არა ვარ მახრწველ კეთილისა“. და წარვიდეს ზოგად სამცხისა და ქართლისა არეთა მათ უდაბნოთა, და პოვნეს ორნი ადგილნი სამონასტრედ და აღაშენეს [v] სენაკები ორგანვე. და უწოდეს თევდორის¹ ვანსა ნეტ², ხოლო ქრისტეფორისა³ კარიკე-წმიდაჲ, და მოწაფენი დაუტყვენს. 25

და სამნივე ესე ნეტარნი: გრიგოლ და თევდორე და ქრისტეფორე, წარმოვიდეს ხანკთად ძმათა განყოფად ჯერისაებრ. და ვითარცა მოიწინეს კრებულსა მას თანა, ღმრთისა სათნოსა, და მოიკითხნეს ივინი: სიტყუად იყუო ნეტარმან გრიგოლ ძმათა მათ მიმართ: „ერნო ქრისტესნო⁴, ისმინეთ ჩემი! პირველად ჩუენ ზოგად მოვიწიენით უდაბნოსა ამას წმიდასა მე, გლა- 30 ხავი გრიგოლ, და საბან, იხნისა ეპისკოპოსი, და თევდორე და ქრისტეფორ⁵, ოთხნი ესე, და მრავალთა წელიწადთა ვითარცა მოწაფენი შორილ იყვნეს ჩემდა, ვიდრე ჯამადმდე ღმრთის წოდებისა დიდნი ესე მამანი სათნონი ქრისტესნი⁶“.

„და ოდეს ინება ქრისტემან, საბა ეპისკოპოს ყო იხნანსა ზედა. და წა- 35 რიყვნანა მან ძმანი აქათ. ხოლო აწ ქრისტე აღაშენეს ორთა მათ მონასტერთა ფრთად კეთილთა ქართლს შინა თევდორის⁷ და ქრისტეფორის⁸ მიერ. და ვითარცა-იგი ჯორციელად მშობელთა მონაგები ზვილთა განუყვიან, ეგრეთვე ხანკთაჲ სულიერად მშობელი არს ჩუენ ყოველთაჲ. დაღაცათუ ხატი მონაზონებისა გუაქუნდა პირველ მოსლვისა, ხოლო კურთხევა ყოველი აქა 40 მოგვლებიეს ჩუენ. და აწ ამით, ზვილთა თჳსთა, ზელთა ჩემითა ძმათა უბოძებს, რაჟამთ ახლად შენებასა მათსა უზრუნველ იყვენ [190] კეთილად გამოცდილთა მონაზონთა თანა-დგომითა, და რაჟამთ მტკიცედ ეგოს სულიერი სიყუარული ჩუენ მიერ აღაშენებულთა მონასტერთაჲ“.

ნუსხაშია: ¹ თ². ² ქ³ეფორესა. ³ ქ⁴ესნო. ⁴ ქ⁵ეფორ⁶. ⁵ ქ⁶ახი. ⁶ თ⁷. ⁷ ქ⁸ეფორესა.



და ვითარცა სიტყუანი ესე დაასრულნა, უბრძანა შემოქმედისა¹ ყოველთაჲ. და თევდორს² და ქრისტეფორს³ განზრახვითა გმირობისა⁴ შორის ძმანი ათცამეტნი ხანტისათჳს საუხუცესოდ, და სხუანი ყოველნი სწორად განყენა სამად გუნდად, რამეთუ შატბერდისა ხუედრნი წარგზავნენს პირველვე შატბერდს. და უბრძანა აღთქმისაებრ წილით განყოფაჲ. ხოლო თევდორე და ქრისტეფორე განზხიარულდეს, არამედ მცირედ მქსინეარებაჲ იყო მათ შორის, რამეთუ ევრემ და არსენი გრიგოლის ნაწილსა იყვნეს, ხოლო ევრემ მიანიჭა თევდორეს, და არსენი თუთ იჩინა, და სწორი მისი სხუაჲ ძმაჲ მისცა ქრისტეფორეს, და დაჯერებულ იქმნენ ივინი სისარულით.

ხოლო საკვრეულ ესე იყო ნეტრეულთა მათ სამწყსოთაჲ, რამეთუ არა აცილებდეს მწყემსთა მათ კეთილთა, ვითარცა სიტყუას-უგებდეს ადგილისათჳს, სადამცა ვისმე ჰმარჯუდა, რამეთუ ვითარცა საცხოვარნი შეპარცხნეს თავნი თჳსნი მარადის ქრისტს⁵ თანა მყოფთა მათ ქრისტს⁵ გამორჩეულთა. ესრეთ იყო შორილგება ძღვეით შემოსილთა მათ კაცთაჲ. და ნეტარნი იგი მამანი ჩუენნი წარუძღუეს ძმათა მათ და კუალად მიიწინეს ნედუს და კარივე-წმიდას, ხოლო მამაჲ გრიგოლ [V] თანა-დამდგომ ექმნა მათ ყოველითა გულითა ახლად შენებასა მათსა, და აკურთხნეს ადგილნი წმიდათა ეკლესიათანი და დასხნეს საფუძველნი.

და ვითარცა წარმოვიდოდა ნეტარი გრიგოლ, მამან ძმათა მათ ყოველ-
თა ტიროლით ჰრქუეს: „ჰ წმიდარ ღმრთისაო, სიტყუაჲ იგი უფლისაჲ აწვე-
აღესრულების ჩუენ ზედა, ვითარმედ «ინატრიდეთ ხილვასა მოძღურისა თქუე-
ნისასა და ვერ იხილოთ!»*, ჰ სიწმიდეთა შენთა მძლავრებაჲ, არამედ იყავნ
ნებაჲ შენი და ნუ ნებაჲ ჩუენი. შენ, წმიდაო, დალაკათე საწუთროსა ამას
განგჯშორენ, საუკუნოდ ნუ გნებაგს განშორებაჲ ჩუენი და ვაგსოვთმცა მარა-
დის წმიდათა შინა ლოცვათა შენთა, გამორჩეულო ღმრთისაო“.

და აკურთხნა ყოველნი იგი ნეტარმან მან ცრემლით და ნუგეშინის-სცა
გულთა მათთა და შეჰვედრნა ქრისტესა და საანატრელთა მათ მამათა, და
ჯუარი დასწერა წმიდათა მათ მონასტერთა. და წარმოსლვასა მისსა გზა-ჰყვეს
მამაჲ თევდორე და მამაჲ ქრისტეფორე და ცრემლით ამბოხრს-უყვეს ურთი-
ერთას. და ივინი თჳსთა მონასტერთა დაადგრეს, ხოლო ნეტარი მამაჲ ჩუენი
მოვიდა ხანტოად.

ესე მცირედი ვეცხენე სამთა მათ წმიდათა—თევდორსი⁶, და ქრისტე-
ფორესი, და საბან იშხნელისა—ცხოვრებაჲ ამით. რამეთუ ფრიად განგრძო-
ბაჲ იქმნებოდა საქმეთა მათთა სრულიად აღწერიითა ჰეშმარიტად.

ხ.რ. რეამს ხანტოად ექმნა სახელოვან მადლითა და სახარულევან სუ-
ლიერთა შევილთაგან, მას ეამსა მიძნადიროვით ხანტოად მოვიდა დიდი მე-
უღდანოე მიქელ მამაჲ, [191] რომელიცა დაემკვდრა პარეხთა, რამეთუ იყო
იგი მეგობარ ნეტარისა მამისა გრიგოლისა. და ეძიებდა მარტოდ-მყოფებასა
და პოვა თავისა თჳსისა სამკვდრებელი ბერთისა პარეხთა და განზრახვითა
ამის წმიდისაჲთა დაემკვდრა მათ შინა და კეთილად წარემართა სათნობა-
თა მიმართ უფლისათა.

ხოლო მტერი ეშმაკი, იგლოვდა ფრიად, რამეთუ ხედვიდა წმიდათა
კაცთა განმრავლებითა ეამისა თჳსისა შემოკლებასა, და მიქელისთჳს დიდსა

* იოანე 7,34.

ნუსხაშია: ¹ თეს. ² ქეფორეს. ³ ქს. ⁴ ქეს. ⁵ თესი.

საუცრებთა ცხადად და ფარულად ჰყოფდა, რათამცა განიოტა უტყუარად ხოლო იგი ძლიერად მოითმენდა გუგუბათა დაუძინებელისა მის მგდობასა და არცხუნდა თითო-სახეთა მათ მანქანებათა მისთა შეწვენითა ქრისტესითა¹ და წმიდათა ყოველთა ოხითა.

ზღ. ხოლო იყო ეამსა რომელსამე მამა მიქელ განშორებულად სენაკსა⁶ თუსსა, მდგომარე მადლსა კლდესა ზედა მცირედ რაჟმე უღბად, და კადნიერ იქმნა მის აელა ბელიარ და სიმაღლისა მისგან ვარდამოადგო ქუე. ხოლო დაიკვა ყოლად უგნებულად ყოველთა მეუფემან ქრისტემან ღმერთმან, არამედ მამა მიქელ ზებრუნდა, მიმდემი სამარადისოსა მას ბრძოლასა, და მოწაფე თუხი მიავლინა სულეზად მოძღურისა თუხისა მამისა გრიგოლისსა და¹⁰ აუწყა ყოველი იგი განსაცდელი სულთა ბოროტთა. და წმიდა იგი მსწრაფლ მივიდა შეწვენად ძმისა თუხისა ძალითა უვლისაათა და განამუნო იგი სულითა და ახლად გელითა თუხითა შექმნა [v] ძლევისა მომცემლნი ქრისტეს² ბეჭედნი, ორნი ჯუარნი ძელისანი, საფარველად მისა და განსაოტებულად მტერთა, და იმიერ და იმიერ განშორებულად სენაკსა მისსა აღმპართნა და¹⁵ საზღვრად უჩინნა წმიდასა მას, ვითარმედ: „ორთა ამათ ჯუართა ქრისტესთა³ შუა უშიშად იყა შეწვენითა წმიდისა საზეზისაათა და ძალითა პატიოსნისა ჯუარისაათა. ხოლო უკუეთუ წარბვლო, კუალად განიცადო უჯრესად პირველისა“.

და ლოცვა ვეც, და წარმოვიდა სანატრელი გრიგოლ. ხოლო ნეტარმან²⁰ მიქელ აივა სრულიად განსუენება, რამეთუ სიმდაბლითა დასცა მტერი ამბარტაენი. ვინათგან არა სამართლეთა თუსთა ესვიდა, არამედ ღმრთისა მხოლოდსა მინდობითა მოიყვანა მოძღუარი თუხი და სულიერი ძმა გრიგოლ შეწვედ, ვითარცა წერილ არს: «ძმა ძმისა შეწვე, ვითარცა ზღუდე დაუცემელი», სიტყვსაებრ იაკობ მოციქულისა, ვითარედ: «ერთი-ერთისათუა ილო-²⁵ ცვედით, რათა განიკურნეთ, რამეთუ დრად შემდლებელ არს ლოცვა მართლისა შეწვენად».* და ესრეთ მტერთა ზედა მძლე ექმნა სრულიად მადლითა ღმრთისაათა.

ხოლო იყო ნეტარი მიქელ ქუეყანისა შავმეთისა, სოფლისა ნორგიალისა, და მიწაძიროს მონაზონ იქმნა, ხოლო პარებთა შინა მრავალთა წელი-³⁰ წადთა ცხოვნდა და აღ-რაგ-ესრულა, მუნვე დაემარხა. და აწ საულავი მისი და დიდებულისა მამისა ბასილისი, რომელიცა შემდგომად მისსა პარებთა მკვდო იყო, ერთგან არიან და კაცთა კურნებასა შიამაღლებენ, რომელნი სარწმუნოებით მიეღენან მათა.

[192] ზღ. ხოლო ნეტარი მამა ჩუენი გრიგოლ ორთა მათ მისთა შე-³⁵ ნებულთა მონასტერთა შინა, ხანცთას და შატბერდს, იქცეოდა მარადის და მოძღურებისა მისისა სწავლითა აღაგსებდა გულსა მოწაფეთა თუსთასა, რამეთუ არა ხოლო თუ წიგნთა საღმრთოთა ოდენ სიბრძნის-მეტყუელებდა ყოვლით კერძო, არამედ წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა საქადაგებელსა ვალობასა სრულიად წელიწდისა განგებითა მოძღუარი იყო განუყოფელად, და ყოველ-⁴⁰ თა დღესასწაულთა განგებაჲ კეთილად იცოდა, რამეთუ, რომელიცა დაესწავა, დაუგაწყებულად აქსოვდა. და აქუნდა ჳმისა ნებიერობაჲ და ტკბილობისა შეუნიერებაჲ, ხოლო განსაკრეველ იყო სსოვნებაჲ მისი.

* იგავ. 18,19. ** იაკობ 5,16.

ნუხაშია: ¹ ქსითა. ² ქეს. ³ ქეთა.



რამეთუ აწ არს ხანცთას კელითა მისითა დაწერილი სულიწმინდისა და
 დისა საწელიწდოა იადგარი, რომლისა სიტყუანი ფრიად ჰქვამს: **ქეფელს** **ქეფელს**
 ხოლო ახლისა შჯულისა დაბეჭდულნი წიგნი ზეპირით იცნოდნა და მრავალნი
 წიგნი ძუელისა შჯულისანი. არამედ დაუბეჭდველნი წმიდათა მოძღუართა
 თქუმულნი აურაცხელნი წარმოითქუმოდეს უწივნოდ ენითა მისითა უმეტეს
 ზეშთა ბუნებისა ჩუენისა, რამეთუ ძალი ღმრთისაა სადაცა დაადგრეს,
 ყოველსავე აღასრულებს უფროას ბუნებისა და ცნობისა კაცობრივისა. და
 ადამისდაცა პირველ მცნებისა შეურაცხებამდე ყოველი დამოაზრებულ იყო.
 ხოლო ამათ¹ მცნებათა უბიწოდ დამარხვითა ყოველივე კეთილად განე-
 მარჯუებოდა. [V] და ამის მიერ არა ხოლო თუ მონასტერნი მისნი განმტკიც-
 ენებოდეს, არამედ სიბრძნისა მისისა მდინარეთაგან ირწყვოდეს ყოველნი
 უდაბნონი კლარჯეთისანი.

და მრავალგზის მოვიდიან წმიდანი იგი მამანი, წინამძღუარნი მონასტერ-
 თანი, მრავალთათჳს მიზეზთა და სიბრძნითა მისითა პოვიან განსუენება
 ყოველსა ზედა საქმესა.

ხვ. ხოლო ყოველთა დღეთა ამის ნეტარისათა წმიდათა მათ მამათა
 მონასტრებისათა აღება ამას წინაშე გარდაიჯადიან ხანცთას და პირმარხვად
 მიიღიან კანონი დღეთა მარხვათათჳს და წარვიდიან. და იყო ოდესმე ერთად
 შეკრება ამათ ნეტართა წმიდისა ამის წინაშე და თჳნიერ ოპიზისა წინა-
 მძღურისა ყოველთა მათ ასწავებდა კეთილთა მათ სიტყუათა სულისა ცხოვრ-
 ბისათა მამა გრიგოლ. ხოლო ოპიზელი მამა შეწუხნა და პრქუა მას: „წმი-
 დაო მამაო, რაასათჳს თანა-წარმჯდი სულიერთა სიტყუათა შენთა?“ ხოლო
 მან პრქუა: „მამაო პატიოსანო, არა თუ [შეურ]აცხებისათჳს თანა-წარმჯდედ
 შენ, არამედ ამის მიზეზისათჳს, რამეთუ ამათ ყოველთა უდაბნოთა უწინარეს
 აღშენებულ არს ოპიზა, და არა განვაგებ ოპიზასა ზედა, არცა წინამძღურ-
 [სა] მისსა ზედა“. ხოლო მან სიმდაბლით დაარწმუნა წმიდასა მას თავისა
 თჳსისა სწავლად სწორად სხუათა მათ მამათა, [რამეთუ] ესრეთ აქუნდა ყო-
 ველთა, ვითარცა [წმიდათა მოციქულთაგანი] შევამდგომელად [ღმრთისა]
 და კაცთა.

[193] **ხვ.** არამედ მრავალგზის მის ქამისა გელმწიფეთა განიზრახეს
 დამტკიცებით ამის ნეტარისა ებისკოპოსობა და ფრიადითა შრომითა აწყი-
 ნეს, რაათამცა დაემოაზრია. ხოლო მან არა ინება დიდება ესევითარი და
 გულსწმა-უყო მათ განმარტებულად, ვითარმედ: „მსოფლიოთა მათ წმიდათა
 საყდართა არა უმრწემეს არიან წმიდანი უდაბნოთა ეკლესიანი, საყდარნი

ღმრთისა დიდებისანი. დაღაცათუ მღდლობა ებისკოპოსთაგან მიეცემის ყო-
 ველთა მღდელთა, არამედ პირველთა წმიდათა მამათა მეუდაბნოეთაგან ეს-
 რეთ ვისწავეთ, ვითარმედ: რომელი მადლი მიეცემინ კაცსა ქამსა ნათლის-
 ღებისასა, იგივე მადლი ვიბილეთ, ოდეს ხატი მონაზონებისა მიაქუნს ახლად
 მონაზონსა და ეგრეთვე წმიდისა საქმისა მიღებასა. და სხუადცა წამება

ფრიად არს, არამედ ვითარცა-იგი ისრაელსა შორის ქალაქნი განეწესნეს შე-
 სავედრებელად კაცის-მკლველთა, ეგრეთვე წმიდანი უდაბნონი ყოველთა შე-
 სავედრებელ არიან, რამეთუ უმანკოთა მფარველნია ვნებისაგან მსოფლიოასა
 და ვნებულთა ნავთსადგურნი არიან სასოვებით სინანულისა მიცემითა და
 შჯულის-ღებითა. და კმა არს ჩემდა ორკერძოვე დიდებად, უკუეთუ შე-ვითა-

უძლო მოღუაწება წმიდათა ამათ უდაბნოთაა ჯგრისაებრ, რომელსა შინს უკვე პოვეს კაცთა თავისუფლება, ვითარცა თქუა პავლე: «აზნაურებაა შინს, რომლითა ქრისტემან ჩუენ განგუაზნაურნა»*, და «სადა სული უფლისაა, მუნ აზნაურებაა»**. რამეთუ [v] მოეცა მათ ჯელმწიფება «შვილ ღმრთისა ყოფად»*** სიტყსაებრ იოვანე მახარებელისა⁴. და ესევეითართა სიტყუთა აღეშენეს ჯელმწიფენი იგი და აღიდებდეს ქრისტესა.

ზვ. ამისსა შემდგომად იხილა ნეტარმან მამამან გრიგოლ აღორძინებული ერთი საღმრთოა შატბერდს და წმიდაა ეკლესიაა პირველი განსრულებად და კურთხევად. მაშინ სიხარულითა აღიესო, რამეთუ მოჰმადლა უფალმან გულისაებრ მისისა საქმე იგი კეთილი მადლითა და მეოხებითა წმიდისა ღმრთის-მშობელისაათა, რომლისაცა სახელსა ზედა აღეშენა წმიდა იგი მონასტერი მარადის დიდებად დედისა ღმრთისა, შეუწევნელთა შემწისა და ყოლადვე მფარველისა მოსავთა და მაქებელთა მისთაჲსა, აწ და უკუნისამდე, რომელიცა უფროას ყოველთა ჯელმწიფებისა თვისისა დაბადებულთა გამოუთქუმელად აღიდა ძემან მისმან და ყოველთა ღმერთმან.

რამეთუ აწვე დაამკვდრა სუფევასა წარუგალსა სულითა და ჯორცითა შეერთებული წინაშე დიდებისა ღმრთებისა თვისისა, ვითარცა არს პირშოა ყოველთა წმიდათაჲ, ნათელი იგი ქრისტეანობისაჲ. და მეოხებითა მისითა და ყოველთა წმიდათაჲთა მაცხოვნებს ჩუენ უფალი ყოველთა მორწმუნეთა მისთა. უფროას ხოლო რჩეულთა მისთა აღიდებს, ნებისა წმიდისა მისისა აღმასრულებელთა, რამეთუ იტყუს: «მადიდებელნი ჩემნი ვადიდენ»**** და «მივა- [194]ნიჭო ასი წილი აქავე და ცხორებაა საუკუნოა დაუმკვდრო»***** ხოლო ესე ბრძანება უტყუფელი აღუსრულა ქრისტემან ნეტარსა გრიგოლს. წარუგალისა დიდებისა პატივად მიჰმადლა შენება დიდებულთა უდაბნოთა და ჯორცთა შინა ყოდასა მისსა შიში და ზარი სიწმიდეთა მისთა მიჰფინა მეფეთა და ყოველსა ერსა ზედა, ვითარცა მელაგრება წინააღუდგომელისა ჯელმწიფისაჲ. ხოლო შემდგომად სოფლით ჯმნისა უმეტეს ცნობათა ჩუენთა აღიდა ცათა შინა ანგელოზთა თანა, და აწ ქუეყანასა ზედა პირითა მოწაფეთა და მაქებელთა მისთაჲთა იდიდების მარადის.

ზზ. ხოლო სანატრელი დედა ფებრონია ზრუნვასა შინა იყო, რამეთუ მწყყესად მათდა ჩინებული სარწმუნოა მღვდელი, მამისა გრიგოლის მივლენილი, გარდაიცვალა. არამედ ეუწყა ღმრთისაგან, ვითარმედ უმჯობეს მისსა აწ იყოს სხუად მღვდელი მწყყად თქუენდაო. და წიგნი მიწერა ნეტარისა გრიგოლისსა და ითხოვდა მღვდელსა ღირსსა. მაშინ წმიდამან მან პრქუა წმიდასა მატოას: „შვილო საყუარელო, მგედარი ვიდრე წყობასა არა შესრულ არს, ძლევაჲ მისი სიმრავლესა შინა ლაშქართასა არა საცნაურ არს, არცა მეფეთაგან ნიჭი მიცდის, ხოლო ვინაჲთგან ახოვნად გამოჩნდის, ძალი ბრძოლისა მისისაჲ ყოველთა ზედა საცნაურ იქმნის [v] და ნიჭი დიდძალი მიანიჭის მას სამართლად მეფემან.

„და შენცა იქმენ მორჩილ სიტყუათა ჩემთა, ვითარცა ყოლადვე თავს იდეე ყოლადვე წმიდისა ღმრთის-მშობელისა ეკლესიასა მერეს მღვდლობაჲ ვითარცა ძლევით შემოსილმან მგედარმან უფლისამან. და ვესაე ქრისტესა,

* გალატ. 5,1. ** II კორინ. 3,17. *** შდრ. I იოანე 3,2. **** მათე 19,29.

***** ლუკა 18,30.



კეთილი ღუაწლი მოიღუაწო“. ხოლო იგი ცრემლით შეუვრდა, და ამოვიდა მისი ლმობიერად: „შემინდვე მამაო, რამეთუ უწყის სიწმიდემან შენმან, არაოდეს უორ ქმნილ ვარ ბრძანებასა შენსა, ხოლო აწ ვერ ძალ-მიც ამისსა ყოფად, რომელიცა მიბრძანე“. და წმიდამან მას პრქუა: „შემცლებელ ხარ ძალითა უფლისაჲსაჲთა. აწ კეთილთა სათნოებთა შენთა თანა მოითხოვე სრული მორჩილება; ჯუარითა ქრისტესითა¹ ჯუარი დამიწერია, რათა მიზეზი ყოველივე დაჰქსნა“.

და ვითარცა იხილა მონღურისა თვისისა უცილობელი ბრძანება, თწიერ ნებისა თვისისა დამოწრია სიტყუათა მისთა და იქმნა მღდელ მონასტერისა დედათასა² ნებითა ღმრთისათა სანატრელი და სასწაულთა მოქმედი მატოი, დიდი და დიდებული საქმითა თვისითა, რამეთუ წელიწადთა ორმოცთა მერს მღდლობასა შინა მისსა უქმი სიტყუა და უსარგებლოა პასუხი არავის ესმა მისგან, რომელი კაცთა ცოდვა-უყოფის, ვითარცა უფალი იტყვს: „ყოვლისათს სიტყუსა უქმისა, რომელსა კაცნი იტყუან, სიტყუა მისცენ“ მისთს დღესა მას [195] საშჯელისასა³. და არა ხოლო ესოდენ, არამედ რომელნი¹⁵ ხედვედ მას, ვერ იკადრებენ უღბად განცხრომაჲ კრძალულებათაგან მისთა და სიწმიდით და უბიწოდ ქცევისა, რამეთუ ექმნა ყოველთა სახე კეთილის.

და ამან დიმიარბა ჭეშმარიტი ქალწულება არა ხოლო გორცთა ოდენ, არამედ სულითა და სიტყუთა, სასწინელითა და თუალითა. რამეთუ ნეტარმან მან თქვს, ვითარმედ: „მონაზონებაჲ პრქან კრალვასა“, რომლისათსცა ღმრთის-²⁰ მოყუარემან მან დედაკაცმან თემესტია, მერისა დეკანოზმან, თქუა, ვითარ-მედ: „ორმოც წელ დეკანოზობასა ჩემსა და მატოის მღდლობასა საცეცხურნი მან ტელისა ჩემისაგან არა ოდეს მიმიხუნაო“.

ხოლო გარდარეულისა პრომისაგან მოუძღურდა, რამეთუ მოუკლებელი ლოცვაჲ, წყურილი და შიშნელი მარადის, და უძილობაჲ, ზედგომაჲ და²⁵ მუგლთა მოდრეკაჲ ღრიადი აქუნდა ნეტარსა მას, დასცემდა ვნებასა გორცთასა და სულისა მტერნი მოაუძღურნა. ხოლო ვამის-წირვაჲ არაოდეს და-აცადის თწიერ მიზეზისა და უძღურებისა, და სამოსელი მისი ყოლადვე შეურაცხი იყო და საზრდელი ვგრეთვე.

ხმ. ხოლო იყო მატოი ოდესმე თვისსა მას საყოფელსა მახლობელად მე-³⁰ რესა. და ცნა მოსლვაჲ მმარაეთაჲ და დღისივე დაჰმზადა მათთს პური. და ვითარცა მოიწინეს ღამე მმარაენი იგი, [v] პრქუა მათ: „გრწმენინ ჩემი, შევილნო, წმიდაჲ ღმრთის-მშობელი გიბრძანებს არა ვნებად ჩემდა, არამედ მოვედით და ჭამეთ პური, რომელი განვიმზადე თქუნე“. ხოლო ერთი იგი, რომელსა მოყვანენს, კადნიერ იქმნა წარლებად, რაჲცა იგი აქუნდა წმიდასა³⁵ მას. და მან პრქუა: „წინამედგომელი ვარ წმიდისა ღმრთის-მშობლისაჲ, რომელმანცა პატივეულ ვყოს შენ წარმდები ეგე“. და მუნთქუსვე დაეცა იგი მტერისაგან ბოროტისა. მაშინ მოყუასნი მისნი ცრემლით შეუვრდეს წმიდასა მას, რათა განკურნოს იგი. ხოლო მან ჯუარი დასწერა და პრქუა: „განგ-კურნებს წმიდაჲ ღმრთის-მშობელი“. და მსწრაულ განმრთელდა იგი.

⁴⁰ და წმიდამან მან პრქუა: „საწყალობელო, რაჲსათს წინამძღუარ ექმენ კაცთა ამათ ბოროტის ყოფად ჩემდა?“ და ისტუმრნა და განუტევენა მშუდობით. და ესევეთარნი სასწაულნი მრავალნი ქმნა წმიდამან მან და მიიწია

* მათე 12,36.

ნუსხაშია: ¹ ქსითა. ² წუგებულა: „მონასტრისა დედათასა“. ³ მისცენ|მისცენ მისცენ (პირველი სიტყუა გადაუშლიათ).

სიბერედ. რამეთუ სწეულბადაცა შეეშინა ძლიერთა მათ შრომათაგან, ეცლო თავისა თვისისა მსახურებად. მაშინ თქუა ხეტარმან მატოა: მეტროპოლიტისა იქმნა, რაჟამცა დედანი მსახურებდეს მე, დაღაცათუ ნებისა ღმრთისანი არიან დანი ესე, ხოლო უწყესო არს მონაზონისა ჯელითა დედათაჟთა მსახურებაჟ, არამედ მე ღონე მაქუს, რომლითა განეთავისუფლდე. 5 და იყვნეს ვინმე ბერთას მამისა გრიგოლია [186] დედისა მსახურთაგანნი, ნათესავნი მატოისნი, კეთილნი მონაზონნი და წევრბარნი მისნი. მათ აცნობა და მოვიდეს სიხარულით წარყვანებად მისსა ცხედროთა, რამეთუ ფრიად უძლურ იყო დედისა მოღუაწებისაგან.

ხოლო დანი იგი ყოველნი გოდებისა ცრემლითა აღივსნეს, რამეთუ 10 ობოლ იქმნებოდეს სულიერისა მამისა და მოძღურისაგან. და აკურთხნა ყოველნი ცრემლითა სიყვანად. ჯუჯარი დასწერა და მშვიდობა დაუტეგა და პრქუა: „ქრისტემან დაგცვენინ მადლითა მშობელისა¹ თვისისა ქალწულისაჟთა და ყოველთა წმინდათაჟთა, არამედ ჩემთჳს ლოცვა ყავთ მარადის.“ და წამ-წყვნა ძმთა მათ, და აღიქუეს იგი ცხედროთა. და ვითარ შვირედ ელეს, 15 უბრძანა დადგომად და თქუა: „უფალო, სიტყუამან შენმან გუჳანი უღლურთანი გუჳმ ცხოველ ყვნა, მეცა მომეც ძალი, უძლურსა მონასა შენსა.“ და მაწოდელ სრულიად განღიერდა და თვისითა ეგრეთა მიიწია ბერთას. და დაყვნა ეჳმნი წელიწდისა ერთისა დღეთანი ყოლად მრთელად და შერმე გარდაიცვალა საჭირველისა ამისგან სიფლისა, და მივიდა სოფელსა მას ცხოველთასა, ვითარცა წუნე, ეხოვანი მოღუაწე ქრისტისი² და სრულიად ძლევით შეშინილი წინაჲ ღმრთისა სიხარულით და მეობ არს ჩვენთჳს უკუნისამდე.

ზ. მ. ხოლო ეჳსა გარდაცვალენსა მისისასა ჩუენება იხილეს შერგს შინა სანატრელთა მათ დედათა—თემესტრა დეკანოზმან [v] და ანატოლე, რომელსა უწოდეს ანტონიოს, დაყუდებულმან, ორთაჲე მუა ღამეს ოდენ. და 25 ეკლესიად მივიდა მარტოდ მყოფი იგი უწინარეს ეჳმის რეკისა, და ეგრევე დეკანოზიცა მიიწია სტოვასა ეკლესიისასა, და მოიკითხნეს ურთიერთას. ხოლო დეკანოზმან პრქუა: „რაჟათჳს არს მოსლვაჲ შენი? მაუწყე, რაჲ იხილე?“ ხოლო მან პრქუა: „მსგავსად ხილვისა შენისა ვიხილე, რამეთუ აწ აღესრულა მაკურთხეველი ჩუენი მატოი“. და წარმოუთხრა ყოველი, ვითარმედ: „მო-ვინ- 30 მე-ვიდა კაცი ბრწყინვალედ შემკობილი და მრქუა მე: დიდი მატოი მიცვალე მის წინაჲ ღმრთისა, არამედ შემომიდეგ მე, რაჟათა ღირს იქმნე ხილვად დიდებით მიცვალე მასა მისსა ამიერ სოფლით ზეცისა სასუფეველსა.

„ხოლო მე წეუდეგ და მიმიყვანა ბორცუსა მახლობელად ზერთისა და მრქუა მე: მიხედე ბერთას ზედა და იხილე დიდებული ხილვაჲ. და მე ვხე- 35 დევედ სუეტსა ნათლისსა, რომელი შთამოიწყოდა ზეცით ზედა მონასტერსა მას და სიძრავლე წმიდათა ანგელოზთაჲ სუეტსა მას თანა გარდამოხვალნი. და ერთი ვინმე დიაკონის სახედ ოლარითა მათ თანა, რომელნი უგალობდეს ღმერთსა ბრწყინვალითა ჳმითა. და კუალად ვიხილე კრებული იგი წმიდათა ანგელოზთაჲ, ეგრეთევე სახედ აღმავალი ზეცად და საშუალ მათსა წმიდაჲ 40 მატოი ჯელ-ჰყოობით აღჰყვანდა ნათლითა შემკობილთა მათ [187] უკორცოთა დიდებითა განოუთქუმელითა გალობით მადალთა შინა. ესე არს ხილვა ჩემი წმიდისა მისთჳს.“

ხოლო მან პრქუა: „ქემნარითად სარწმუნო არს ჩუენება ევე შენი, არა-



მედ აწ ისმინე ჩემი, რამეთუ ვითარ-იგი პირველ სიჭაბუკესა ჰქმნა მისი მატონი ჰასაკოვან და შუენიერ, უმეტესად აწ ვიხილე შემკობილი დიდებითა, შემოსილი ჟამის-წირვად სამოსლითა მოუგონებელად ბრწყინვალითა, და გელთა აქუნდეს ოქროსა საცეცხურნი. და მე დამიკრდა ხილვად იგი და მე ვარქუ: ვითარ განძლიერებულ ხარ უძღურებისაგან, მოძღუარო!

„ხოლო მან მრქუა: [საკურთხეველსა, რომელსა ვაჰსახურებდ საყრმით ჩემთაგან, აწ ამით საკურთხეველით დაუსრულებელად მისსა მსახურებად მივიცვალე, რამეთუ ღირს ვიქმენ ზეცისა საკურთხეველსა წინაშე წარდგომად და მარადის მსახურებად“. ესე ვითარცა იხილეს, მო-ხოლო ვინმე ვიდეს ბერთით და უთხრეს მატონის გარდაცვალება მასვე ჟამსა შინა და ჰმადლობდეს ქრისტესა საკურველთ-მოქმედსა.

ჟ. ხოლო სხუანი მოწაფენი ნეტარისა გრიგოლისნი მრავალნი უდიდესსა საზომსა მონაზონებისასა მიწვენულ იყვნეს, რამეთუ ოდესმე იხილვებოდა წმიდათა ანგელოზთა ბრწყინვალეობა გუამთა მათთა შემოსილი უფროს მატონისსა. და სასწაულნი დიდნი მათ მიერ იქმნებოდეს გორცთა შინა ყოფასა მათსა და შემდგომად სიკუდილისა მათისა.

არამედ ვთქუა სარწმუნოებსა მისთჳს შვილისა ქრისტე-^[v] შემოსილისა, რომელსა სახელი ეწოდა დიმიტრიოს. რამეთუ იგი ნეტარსა დედასა ფებრონიას განეხარდა და მამისა გრიგოლისდა დაემოწა*, რომელიცა შერაცხილ იყო პირველთა თანა მოწაფეთა მისთა.

ჟ. და მრავალგზის იხილვა მის ზედა სუეტი ნათლისაჲ კაცისა მიერ ღმრთისა ღამე ყოველ ლოცვასა მას ღირსებისასა, რამეთუ სული წმიდაჲ განისუენებნ მის ზედა მარადის. ესე წარემართა იერუსალმად¹. და ვითარცა მიიწია ჰე[მსა]ს, მცირედ დასნეულდა და ცნა სულითა ღმრთისამიერი წოდება და დაწერა ეპისტოლე გელითა თჳსითა ესრეთ: „რჩეულნი ქრისტესნი². სამკვდრებელნი სიწმიდისანი, მამაო გრიგოლ და დედაო ფებრონია, სულიერად მშობელნი ჩემნი, [198] რომელთა ნაცვალად სძისა აღმზარდეთ სულიერითა მოძღურებისა საზრდელითა და საღმრთოასა სწავლისა საგზლითა წარმგზავნეთ კეთილსა ამას გზასა.

„აწ სიტყუაჲ ჩემი დაღუწების თქუენდა მომართ უფლისა დიდებით მოსლვადმდე, რამეთუ მე ჰქმნას მივიწიე და მუნ დამიძინებია მეორედ მოსლვადმდე ქრისტესა³. რაჟამს მოწაფეთა თქუენთა მოითუალედიეთ, მუნ მიკითხეთ შვილი თქუენი და მარადის ჳსენებულ მყავთ წმიდათა ლოცვათა თქუენთა, წმიდანო ღმრთისანი⁴. და მასვე ჟამსა აღესრულა და მუნვე ჰქმნას დაღვლა.

ჟ. არამედ პირველ ჳსენებულნი და ყოლად მოსაჳსენებელნი იგი ღირსნი არსენი და ეფრემ, მოწაფენი და აღზრდილნი გრიგოლისნი, მოვიჳსენეთ, რომელნიცა სათნო-იყვნა ნებაჲან ღმრთისაჲან მწყემსთ-მთავრად სამწყსოთა მათ თჳსთა პირმეტყუელთა. რამეთუ დიდი ეფრემ, უწინარეს მრავალით წლით არსენისსა, იქმნა ეპისკოპოს აწყურისა საყდარსა სამცხეს. ხოლო შემდგომად დიდი არსენი კათალიკე ეკლესიასა, ქრისტეს⁵ კუართისა სამკვდრებელსა მცხეთას, ქართლისა კათალიკოზ იქმნა. და იყო სიყუარული მათ შორის ერთად ჳრდილობისათჳს.

* გაშვებულია ცარიელი ადგილი 15 სტრიქონის ოდნობისა; კლებით, თითქოს არ აკლია.

ნუსხაშია: 1 ი¹მდ. 2 ქ²ენო. 3 ქა. 4 კათალიკე. 5 ქ⁵ს.

არამედ ქართლისა ეპისკოპოსნი შირვან არსენის მამისათჳს ფრიად გულწყებულ იყვნეს ამის მიზეზისათჳს, რამეთუ თჳნიერ განზრახვისა მათისა მწლავრ სამცხისა ერთია ძე თჳსი დაადგინა კათალიკოზად [V] თანა-დგომითა და კურთხევითა მცირედთა ეპისკოპოსთაჲთა.

არამედ მცირედ მხილებისათჳს უფლისა მიშუებითა იყო აღძრვაჲ ეპისკოპოსთაჲ მათ, ვიდრემდის ნეტარი ეფრემ მი-ვე-ერჩა მათ, რამეთუ სამართალ იყო სიტყუჳ-გებაჲ იგი. და რომელ ჟამსა მას ხელმწიფე იყო მამფალი გუარამ დიდი, შირვანისთჳს გულ-ძჳრად იყო, და მსწრაფლ ხოლო ბრძანა შეკრებაჲ ეპისკოპოსთაჲ და უდაბნოჲსა მამთაჲ.

და ყოველნი შემოკრბეს ჯავახეთს. არამედ მამა გრიგოლ არა მუნ¹⁰ იყო, არცა ყოველნი კლარჯეთისა უდაბნოთა წინამძღუარნი მამანი. რამეთუ იყო ნეტარი გრიგოლ არქიმანდრიტი და წადიერად მოელოდეს ყოველნი. და შირტად ანჯმნობდეს წესისა წინამძღუარნი იგი არსენი კათალიკოზისათჳს და ვერა¹ დაამტკიცეს სიტყუაჲ მათი. მაშინ ერუშნელმან ეპისკოპოსმან მის ჟამისამან პრქუა ყოველთა: „ოდეს მოვიდეს ვარსკულაჲ უდაბნოთაჲ,¹⁵ მაშინ განემართოს საქმე და განზრახვაჲ ყოველთაჲ“. და მათ პრქუეს: „ვისთჳს არს სიტყუაჲ ეგე დამტკიცებითი?“ ხოლო მან თქუა: „გრიგოლ არქიმანდრიტისათჳს², ხანტისა და შატბერდისა³ მაშენებელისა“.

მაშინ ერთმან ვინმე ეპისკოპოსმან სილადით თქუა შორის შეკრებულთა მათ: „იგი ოდენ არსა ვარსკულაჲ მნათობნი?“ ხოლო სხუათა მათ ყოველთა²⁰ თქუეს: „ქეშმარიტსა [199] იტყუჳ, რამეთუ იგი არს მოძღურებისა ნათლითა განმანათლებელ და შემკულ სულითა წმიდითა“.

და მეყსეულად იხილეს წმიდაჲ იგი მომავალი კარაულითა შორის კრებულსა მას მამათასა საკრველად ხილვითა. რამეთუ სამოსელი იგი შეურაცხი, რომელ ემოსა მოხუცებულსა მას, ესრეთ ჩნდა, ვითარცა სამოსელი²⁵ ნათლისა ბრწყინვალისა განუცდელისაჲ. ხოლო თავსა მისსა კუკული იხილვებოდა, ვითარცა გვრგვნი სამეუფოჲ პატრიოსანთა თუალთა და მარგალიტთა-გან ფასდაუდებელთა აღმკული. და ვითარცა იხილეს ღმრთისამიერი დიდებულებაჲ მისი, ყოველნი სიხარულით მიეგებნეს და შეუდგეს სიტყუათა მისთა სიხარულით.

მას ჟამსა მოვიდა ეფრემ ეპისკოპოსი და პირველად მოიკითხა მოძღუარი თჳსი მამა გრიგოლ და მერმე ემანი თჳსნი ეპისკოპოსნი. ხოლო ნეტარმან გრიგოლ ფარულად მოუწოდა ნეტარსა ეფრემს და პრქუა მას: „შვილო, პატრესა მაგას წმიდისა მღვდელთ-მთაფრობისასა გაფუცებ, ნუ უშლი სულიერად ემასა შენსა არსენის“. ხოლო მან პრქუა: „წმიდაო მამაო, ვერ ეგების³⁵ ძმითა ჩემთა ეპისკოპოსთა ცილობაჲ სამართლისათჳს, და მეცა შემინდვე, რამეთუ არა ვარ ამიერითგან არსენის ცხოვარი და არცა იგი ჩემი მწყემსი“. მაშინ წმიდამან მან მკსინვარედ პრქუა: „უკუეთუ ამას იქმ, ეფრემ, მე უფარ მყავ, ვითა არა შენი მოძღუარი ვარ“. ხოლო ნეტარი ეფრემ სიტყუასა მას ზედა სულიერისა მამისა და მოძღურისასა ატირდა და პრქუა: „ფიცებელ არს⁴⁰ ბრძანებაჲ ესე, განმკუთებელ უფროჲს მახვლისა. აწ ნებაჲ შენი იყვენ და ნუ ნებაჲ ჩემი, წმიდაო ღმრთისაო“. ხოლო მან პრქუა: „ეფრემ სანატრელო, [V] ვისმინენ ქრისტემან, რაჲცა ითხოო მისგან შენ, უმანკოო გულითა და

ნუსხაშია: ¹ ვერა. ² არქიმანდრიკისათჳს. ³ შატბერტისა.



წრდელთა განებითა, მიმსგავსებულთა მოძღუარსა შენსა ქრისტესსა მან ჟამსა-
ებრ დავეითასა: «რამეთუ წრდელ არს უჯალი ღმერთი ჩუენსა [ქრისტესსა] მანსა
სიტყუე მის თანა»*.

და შენ უწყი სულითა შენითა ღმრთის-მხილველითა, ვითარ ღმერთსა
6 ებრძანა კათალიკოზობაჲ არსენისი სისრულისა მისიათჳს, არამედ მირიან,
მამამან მისმან, აუვიან ყო უფამოდ შესწრაფებოთა, ვითარცა ადამ ქაზა ხილი
იგი, რომელ არღა მჭიფს იყო. აჲ შენ კეთილად ჰყავ სმენაჲ ჩენი, რამეთუ
გულის-წყრომამან კაცისამან სიმაართელე ღმრთისაჲ არა ქმნის. ხოლო ბრალი
ესე არსენისი ჩემ ზედა იყავნ¹.

10 ამისსა შემდგომად რაჟამს ესმა გუარამ ჰელმწიფესა მოსლვაჲ ნეტართაჲ
მათ, მოუგება წინა სიხარულით და მოიკითხნა სინაბდლით. და ვითარცა და-
სხდეს, ბრძანა ხოლო გუარამ შემოჯრებაჲ ყოველთა მოწყესთაჲ, და მოვიდეს.
მაშინ პრქუა: «წმიდანო მამანო, ეპისკოპოსნო და მეუღაბნოენო, იცით ყო-
ველთა კანონი შჯულისაჲ, რამეთუ არა ბრძანებს ეპისკოპოსისა და კათალი-
15 კობასა მძღაგრებით დაჯდომასა². და ამას სიტყუასა შინა აუვისა სიტყუანი
განაზრავლნა და ელოდა პასუხსა მათგან. ხოლო თუალნი ყოველთანი ხედვი-
დეს მამასა გრიგოლს და ეპისკოპოსსა ევრემს და მათ დაიდუმეს ჟამ ერთ.

მაშინ ეპისკოპოსთა პრქუეს ევრემს: «ბრძანე პასუხი, რაჲ ჯერ-არს³.
ხოლო მან თქუა: «სადა მამაჲ გრიგოლ იყოს, მე მუნ არა ვიკადრებ სიტყუად⁴.
20 მაშინ ჰელმწიფემან მან პრქუა ნეტარსა გრიგოლს: «მამო, ყოველნი შენ გე-
ლიან სიტყუად ჰეშმარიტებისა, რამეთუ უხუცეს ხარ [ჰეშ] ყოველთა დღითა
და სათნოებებითა ნებისა ღმრთისაჲთა და შენგან ჰვას დასაბამი სიტყუასა⁵.
ხოლო მან თქუა: «ჯერ-იყო სირველად მდღელთ-მოძღუართაგან ბრძანებაჲ.

ხოლო აჲ სიტყუთა შენითა ვიტყჳ ესრეთ: ჰეშმარიტთა ქრისტესსა⁶ სამწყსოთა
25 ისმინეთ გლახაკისა ამის მოხუცებულისაჲ, რამეთუ არსენი კათალიკოზი ნებნი-
თა ღმრთისაჲთა კათალიკოზი არს, და ძურის-მეტყუელთა მისთა, რომელთა
არა შეინანონ, კდემულ იყენენ და სრულიად პრცხუნენს ამას საწუთროსა და
მას საუტუნესა⁷.

ხოლო ჰელმწიფე იგი დაღაცათუ იყო ბრძენ და ღმრთის-მსახურ, არა-
30 მედ მართლ-მხილებისაგან მართლისა მის კაცისა შეშფოთნა ფრიად. რამეთუ
ნებაჲ სიბრძნესა სძლევდა და შური პატივისა არა პრიდებდა. გესლი რაჲ
გულისაჲ ბავეთაგან იცნობა განუგებელად სიტყუასა განტევებითა ესრეთ, ვი-
თარმედ: «მრავლით ჟამითგან არა-მეხილვა მამაჲ გრიგოლ, არამედ მასპიოდა,
ვითარმედ ბრძენთაგან შეუცავი სიბრძნე მისი შეცვალებულ არს სიბერითაო
ვითარმედ ბრძენთაგან შეუცავი სიბრძნე მისი შეცვალებულ არს სიბერითაო
35 და პირველ სმენილი ვიხილე თუალითა⁸. და შჯულისაჲცა მრავალთა სიტყუა-
თა იტყოდა, რომელი არა შეჰგავს ერისკაცთა, რამეთუ იყო იგი ფრიად სი-
ტყუა-ბელოვან.

ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ პრქუა მას: «ჰ ჰელმწიფეო, რად
განჰრისხნენი ჰეშმარიტებისათჳს. ესე უწყოდი, რამეთუ პირველთა წმიდათა
40 მათ მამათა შეჯრებასა ეპისკოპოსთა და წინამძღუართა წესისათა მონაზონთა
თანა იყენეს პირველნი ნორწმუნენი მეჯენი. არა თუ მათ თანა შჯულის-მო-
ძღუარებასა იკადრებდეს, არამედ შჯულის-გამომიებასა მათსა იკითხიან და
ითხოვიან სიტყუასა ჟამოცხადებაჲ, რამეთუ მათ მიერ ისწავებდეს მცნებათა

* ფსალმ. 91.16.

ნუსხაშია: ¹ ქს.

ღმრთისათა და მოწამედ იყვნეს [v] თქუმულთა მათთა. და წმიდანთა [იხილეთ ს. 11] ქულთა და ღირსთა მათ მღვდელთ-მოძღუართა განსაზღვრებულთა კანონისა [იხილეთ ს. 11] შინა არავე ბრძანებულ არს ერისკაცისაჲ, ვითარმცა ეპისკოპოსთა და წესისა წინამძღუართა მამათა განსაგებელისა მოძღურებისა იკადრებდა, გინა ახალ-სახიობასა მოიღებდა, დაღაცათუ სამართლად საგონებელ იყოს, არამედ შჯუ-⁵ლისა და მღვდელთ-მოძღუართა შეურაცხებაჲ არს. ხოლო მე აწ სიტყუსაებრ შენისა, გუარამ, ვარ ბუნება-შეცვალებულ, გარნა ოდეს სამართალმან დაგასამართლოს, მაშინ იხილო თავი შენი ცნობა-მიღებულ და სიტყუანი ჩემნი არღარა განჰგმენ“.

ხოლო გელმწიფე იგი შეძრწუნდა გონებითა და ჰრქუა ეპისკოპოსთა¹ 10 მათ: „თქუენგან ჯერ-არს განსაგებელი თქუენი განგებად, აწ თქუთ!“ და მათ ჰრქუეს: „ღმრთის-მსახურო გუარამ, ქრისტესმიერმან² სასწაულმან უტყუ ქმნა ენაჲ ჩუენი, რამეთუ ვიხილეთ დღეს გრიგოლის ზედა მიუწდომელი დიდებაჲ“. და აუწყეს ხილვაჲ იგი ყოველი, რომელი იხილეს შემოსლვასა მისსა.

მაშინ ზარ-ჰქდა გელმწიფესა მას, რამეთუ იყო იგი მდაბალ და ღმრთის-¹⁵ მოწიშ. იძლია სიმდაბლისაგან და შეუვრდა ნეტარსა გრიგოლს და ჰრქუა: „წმიდაო ღმრთისაო, შემინდვე, რამეთუ დაგაბრკოლე“. ხოლო მან ჰრქუა: „ქრისტემან ყოველნი ბრალნი შეგინდვენ“.

მაშინ გუარამ დიდმან გელმწიფემან კეთილად ისტუმრნა ყოველნი და პურის ქამასა შინა, რაჟამს განმზიარულდა გუარამ ღვინთა, მაშინ ეპისკო-²⁰პოსთა მათ ერთობით თქუეს: „ჯერ-მე იყო მხილებდა ესე არსენისთჳს, არა-მედ აწ ამიერთგან არსენი იყვენ კათალიკოს ქართლისა ყოველისა და სულთერად მამა ყოველთა და [201] ყოველთა შორის იქ პირველი და-მცა-ტსნილ არს სრულიად, რაათა ქრისტეანობისა პატივი ჩუენი მშჯდობით და მყუდ-²⁵რობებით აღვასრულოთ და კეთილი სიტყუს-გებაჲ ეპოთ წინაშე საყდართა ქრისტესთა³. და გუარამ გელმწიფემან და ყოველმან ერმან თქუეს: „ამენ, იყავენ!“

ხოლო გელმწიფემან მან იკითხა ეპისკოპოსთა მათგან: „წმიდანო ღმრთი-სანო, უკუეთუ ქუეყანისა ჩუენისა ერისკაცი ვინმე, წიგნთა საღმრთოთა მეც-³⁰ნიერი და ენათაცა წურთილი, მიიწიოს იერუსალმედ⁴, ანუ სხუათა წმიდათა ადგილთა და იხილოს რაჲმე კეთილი წესი, რომელ ქრისტეანობასა შეენო-დის და ჩუენ შორის არა იყოს, გინა თუ წიგნთაგან წმიდათა გულისტჳმა-ყოს და თავით თჳსით ერსა უსწავლელსა აუწყებდეს, კეთილ არსა ანუ არა?“ ამას რაჲ იტყოდა, ასმენდა ვითემე მრავლის-მეტყუელთა.

ხოლო მათ თქუეს: „წერილ არს: «ტრთი განწესებული ეყოფინ ნავსა,³⁵ უკუეთუ დაუძმომო, დანიტჳს, და უკუეთუ სუბუქად იყოს, ქართა და დღეღათა წართაცონ».“* ვგრეთცა ტრთი შჯულისაჲ და წესი ქრისტეანობისაჲ, რომელი აწ ქუეყანასა ჩუენსა უპყრიეს, ფრიად კეთილ არს, და ღმერთი და-ჯერებულ არს. და ამისთჳს ჩუენ ვართ თავს-მდებნი, უკუეთუ ვინმე მტკიცედ იპყრას და შეუცვალებელად საქმით ჰყოფდეს და არა სიტყუთ ვაჰრობდეს,⁴⁰ «ასი წილი აქავე მიიღოს და ცხოვრებაჲ საუკუნოჲ დაიმკდროს»**, სიტყუსა-ებრ უფლისა. და შევიწყნარეთ პირველი მამისა გრიგოლის სიტყუაჲ, რომელ წარმოთქუა.

* ?

** მათე 19,29; მდრ. ლ.უკა 18,30.

ნუსხაშია: ¹ ეპისკოპოს. ² ქესნიერმან. ³ ქსთა. ⁴ ი-შმდ.

და სიკუდიდ განწირულთა სნეულთა სიტყვთ მსწრაფლ განაქურნებდა, [v] ხოლო ურჩთა სიტყვათვე მოაკუდინებდა, და სხუათაცა სასწაულთა მიქრობდა მრავალთა. და კეთილსა შინა სიბერესა მადლითა საეცე გარდაიცივალა და მიიწია სიხარულით წინაშე ქრისტესა¹ და ჩუენ მორწმუნეთათჳს მეოხ არს უკუნისამდე.

ჲ². ეწევითარნი იყვნეს ღმერთ-შემოსილნი მოწაფენი მამისა გრიგოლისნი. ხოლო დიდი ეტჯჳნე სიმდაბლითა თჳსითა მიიწია საზომსა თჳსისა მოძღუროსასა და ცრემლთა დათხევითა სულთა უკეთურთა განასხმიდა და სნეულთა მსწრაფლ განაქურნებდა და მრავალთა სხუათა სასწაულთა იქმოდა, ურჩთა რაჲ გუემითა განსწავლიდა და მორწმუნეთა ლოცვითა სიკუდილისაგან იტსნიდა. რამეთუ ოდესმე ზადხულისა ეამსა მათა მათ ხორასუნთა გარდა-მოვიდოდა იგი და მის თანა ძმანი. და იხილეს ადგილი მარჯუე და პურისა ჭამად დასხდეს. და მასვე გზასა დედაკაცი ერთი ვინმე მოვიდოდა და თანა ჰყვანდა ელ შუდისა წლისაჲ. და იყო ყრმაჲ იგი ხილვითა კეთილ და გონებითა ფრთხილ. და ვითარ მოიწინეს საჩინოსა ნეტარისა მამისა ეპიდანესსა,³ ყრმასა მას საღმობანი სიკუდილისანი ეწინეს და სენისა მისგან წრტიალისა ისწრაფდა სული განსლვად გუამისა მისგან. ხოლო დედამან მისმან გოდებითა მწარითა აღიტაცა ელ თჳსი და მირბიოდა წმიდისა მის და გამობდა ესრეთ საწყალობელად:

„ჲ წმიდაო ღმერთისაო, შემეწიე შეუწყენელსა ამას, რამეთუ მომიკუდე-ბის შეილი ესე ჩემი, და შემდგომად ღმერთისა შენდა მოვივლტი“. [ჲჲ] და ძმ იგი თჳსი დაავდო წინაშე ფერჯთა ეტჯჳნესთა. ხოლო იგი ცრემლითა საეცე აღდგა, რამეთუ იყო ბუნებით მოწყალე, და დეადრდა წინაშე ქრისტესა³ და თქუა: „უფალო ღმერთო ჩუენო, იესუ ქრისტე, იხილენ ცრემლნი ჩემნი და ცრემლნი საწყალობელისა ამის დედაკაცისანი და წყალობა ყავ ყრმასა ამას ზედა და უბრანე სულსა ამისსა მკვდრობაჲ თჳსსა შინა გუამსა მრავალთა წელიწადთა ნუგეშინის-საცემელად ამის გლაზაკისა და სადიდებელად შენდა მხოლოასა ძისა თანა მამით და სულით წმიდითურთ საუკუნეთა მიმართ, ამენ“⁴.

და ჯუარი დასწერა, უბყრა ჳელი და ჰრქუა: „განგკურნებს უფალი იესუ ქრისტე, აღდგე, ყრმაო, და ცოცხალ იქმენ!“ და მსწრაფლ განეშორა საღმობაჲ და უძღურებაჲ გუამსა მისსა და ყოველი ურგვაჲ სულსა მისსა. და აღდგა მხიარული და მისცა იგი დედასა თჳსსა და უბრანა მიცემაჲ ჭამადისაჲ. და დედაკაცმან მან სიხარულით მადლი შეწირა ღმრთისა და წმიდისა მის. და მშუდობით წარვიდეს ზოგად იგი და ძმ მისი გზასა თჳსსა. და ყრმაჲ იგი ვიდრე სიბერედმდე კეთილად ცხოვნდებოდა და ადიდებდა ღმერთსა.

ჲ⁵. და კუალად სხუათა ვითემე მორწმუნეთა კაცთა ესუა შვილი ყრმაჲ წული მტერისაგან ვნებული შობითგანვე. რამეთუ იყო იგი ყრუჲ და უტყვ და გონება-ნაკლული. ხოლო პასაკისა ხილვითა ჩნდა მრთელად და იზარდებოდა ვითარცა სხუაჲ ყრმაჲ. და ვითარ იქმნა იგი ათის წლის. მას ეამსა მამაჲ ეპიდანე ითქუმოდა სასწაულთა მოქმედად. და მიიწია სოფელსა მას, სადაცა [v] იყო ყრმაჲ იგი ვნებული. ხოლო დედამან მის ყრმისამან წარიყვანა იგი გზასა მას, რომელსაცა წარჰვლიდა მამაჲ ეპიდანე. და ვითარცა იხილა, ვედრებოდა მას მწარითა ცრემლითა და სარწმუნოებითა მტკიცითა ძისა



თვისათვის. ხოლო ნეტარი იგი ცრემლოდა სულთქმით და ღმირიერად
 5 გმა-ყო: „ქრისტე ღმერთო, რომელი კაცთ-მოყუარებისათვის განჰკაცენ და ივნე
 ვნებულთა განკურნებისათვის, აწ, უფალო მოწყალეო, რაჲსათვის უცოდველი
 ესე დაბადებული შენი ცოდვითა ჩუენთა სახილგებლად იგუემების ეშმაკი-

საგან?
 „შენ, წყალობა-აურაცხელი ღმერთო, ულხინე და განათავისუფლე ესე
 ყოველთაგან ჭირთა და სიხარული მიეც მშობელთა ამისთა“. და ჯუარი და-
 სწერა ყრმასა მას და მისცა დედასა მისსა განკურნებული, რამეთუ მსწრაფლ
 ხოლო სიბრძნით აღიტყუა უტყუ იგი და კეთილად ესმოდა უსმსა მას, რა-
 10 ეამს განიოტა მისგან ეშმაკი იგი ზოროტი ლოცვამან ნეტარისა მის კაცისა-
 მან. და რომელთა იხილეს საკურველი ესე, აღიდებდეს ღმერთსა.

ხოლო მან, დედაკაცმან მან, მოიყვანა ქმარი თვისი და შესაწირავად ორი
 ზროხაჲ მიუძღუნა ეტჳფანეს, არამედ მან მიანიჭნა ზროხანი იგი ყრმასა მას
 განკურნებულსა და აკურთხნა იგინი. და სიხარულით წარვიდეს და მადლი
 15 მისცეს ღმერთსა.

შ-ხ¹. ესევე ნეტარი ეტჳფანე ოდესმე მივიდა წინაშე დიდისა აბულასა-
 თისა ეამსა მკისისა როკიკისა თხოვად ხანტეთისათვის. ხოლო მან ჰრქუა: „ძმა-
 თა შენთა დღესა შინა ერთსა რაჲ მკონ, მიმიცემია“. და აბულასად ესევე
 ამცნო ცოლსა თვისსა, რამეთუ იყო გუნათლეს, და თუთ წარვიდა სხუად ქუე-
 20 ყანად. ხოლო ეტჳფანე შეიკრიბნა ძმანი თვისნი კეთილად მომკალნი და მი-
 იწინეს გუნათლეს სიტყუსაებრ პირველ თქუმულისა [204]. და იწყეს მკად
 კეთილსა ყანასა, ვიდრე განზოგებადმდე დღისა მის, ფრიადითა გულსმოდგი-
 ნებითა. ხოლო კაცთა ვიეთმე უკეთურთა აუწყეს დედუფალსა თვისსა, ვითარ-
 მედ სრულიად მოჰმკიან ვიდრე მწუხრადმდე იტჳკლსა მას ფრიად კეთილსა.
 25 ხოლო შეიურვა და მიავლინა კაცი, რაჲთა არღარა მკიდენ. და ებიფანე ძმა-
 თა მათ ეშორა და მივლინებულსა მას არა უსმინეს.

ხოლო მან რისხვით სხუანი კაცნი მიავლინნა და მძლავრებით განასხნეს
 ყანისა მისგან. მაშინ მამაჲ ებიფანე ძმთა მათ დაუბრკოლდა არა სმენისა
 მისთვის, რომელცა იგი პირველ მოევლინა კაცი, რამეთუ ჰეშმარითად იყო
 30 იგი ქრისტეს² მონაჲ და არა უნდა შფოთისა ხილვჲჲ, ამისთვის თქუა ესრეთ:
 „უფალო, შეუნდვე მკეველსა შენსა ჩუენი ესე შეურაცხებაჲ და უმჯობესი
 იზრუნე მისთვის განსაცდელთა მიშუებითა მცირედ, რაჲთა ისწაოს არა გმო-
 ბაჲ გლახაკთაჲ“. და მუნთქუესვე დასცა იგი სულმან უკეთურმან, რამეთუ
 კადნიერებისა მისთვის განეშორა სული მადლისაჲ. და მსწრაფლ ხოლო აცნო-
 35 ბეს ებიფანეს. ხოლო იგი მივიდა და ძმანი მისნი მის თანა და ყოვლითა გუ-
 ლითა ულოცეს. ფრიად საწყალობელად იყო იგი და მსწრაფლ განიკურნა,
 რამეთუ კუალად დაემკვდრა მის თანა სული მადლისაჲ მკეველად უქუნისამდე
 და არღარა ეენო. და მიერითგან კეთილად შეიცვალა იგი და შეუვრდა
 ეტჳფანეს და ძმთა მათ. და დიდითა კეთილითა განუტევენა იგინი სიხა-
 40 რულით.

რამეთუ ქრისტემან შეამკენა სასწაულითა და სიმდაბლითა ვითარცა
 მამაჲ გრიგოლ, ეგრეთვე მოწაფენი მისნი სიტყუსაებრ მოციქულისა, ვითარ-
 მედ: „სიმდაბლე ეგე თქუენი ცხად იყავნ“*. ამისთვისცა ცხადად იხილვა გარ-
 დარეული სიმდაბლე ებიფანესი ესრეთ.

* ფილიპ. 4,5.

ნუსხაშია: 'შ-1. 2 კ-ს.

ქრქუნი
ქრქუნი
ქრქუნი

მ-ი. იყო ოდესმე, ჟამსა რომელსამე [v] ძმანი ვინმე კეთილნი გონიერნი
ნი მოსრულ იყვნეს ნეკრთ და მარტოდ უზნობასა შინა ნეტარმან მამამან
გრიგოლ ჰრქუა მათ: „სიმდაბლე სრული საქმით და არა სიტყვით არსა მო-
ნასტერსა თქუენსა შორის ძმათა?“ ხოლო მათ ჰრქუეს: „არს ლოცვითა შენი-
თა, ვითარცა თვთ უწყი“. და სიტყუასა მათსა თანა ჟამსა ხოლო ჰრქევს
ჟამის-წირვისათს. და ვითარ ჟამსა დაიწყო ნეტარმან გრიგოლ, ჰკითხა დე-
კანოზმან საეროდ ჟამის-მწირველისაჲ, ხოლო მან ეპიფანესი ბრძანა ჟამის-
წირვად, რამეთუ იგი დაედგინა მამასახლისად ხანტას. და ეტყუანე შეიმოსა
ჟამის წირვად და სხუანიცა მღღელნი მის თანა, რამეთუ იყო დღს იგი
კვრიაკე. და ვითარცა აღვიდეს საკურთხეველად და ეტყუანე «წმიდაო ღმერ-
თოჲსა» წინა ასამაღლებელსა იწყო თქუამდ, აღვიდა ხოლო საკურთხეველად
მამა გრიგოლ და კურთხითა სცა თავსა და ჰრქუა: „დადუმენ“. ხოლო იგი
შეუშეთებულად დადუმნა. და უბრძანა საღიპკონედ წარსლვად და განძარ-
ცუვად.

მამინ ყოველი ერი განკვრევისა ზარმან აღავსო. ხოლო იგი წარვიდა
და განძარცუა და მივიდა და დადგა წინაშე მოძღუროსა თვისსა მყოვარ
ჟამ. და კუალად უბრძანა შემოსად და ჟამის-წირვად. და იგი სიხარულით შე-
იმოსა და შეუვრდა ნეტარსა გრიგოლს. ხოლო მან ჯუარი დასწერა. და აღ-
ვიდა იგი საკურთხეველად, მცლე ამპარტავანებისა სენთა, და იწყო შეწირ-
ვად მსხუერბლთა მათ უსისხლოთა. არამედ მიზეზი საქმისაჲ ამის ვერვინ
იკადრა კითხვად წმიდისა მის, ვიდრემდის თვთ უბრძანა ძმათა მათ ნეკრ-
ელთა.

„იხილეთღა, ძმანო საყუარელნო, სიმდაბლე საქმით სრული ეპიფანესი?
გრწმინნი ჩემი, კეშმარიტსა ვიტყვ წინაშე ღმრთისა: არარაჲ ბრალი [203]
უქმნიეს მას, რამეთუ ღმრთის-მოშიშებისა და სიწმიდისა და სიმდაბლისა
მისისათს მარადის მადლი სულისა წმიდისაჲ დადგრომილ არს მის თანა.
ხოლო არს სიმდაბლე დამდაბლებულისაჲცა ბრალთაგან, არამედ რაჲ სწო-
რებაჲ არს ნათლისა და ბნელისაჲ, რამეთუ კეშმარიტისა ნათლისა სამოსელი
ჰმოსია სიმდაბლითა სარწმუნოთა შემკობილთა მრავალთა შორის (მათა
ამათ. და ესე თქუენისა ხილვისათს ცყავ, რამეთუ სთქუთ ძმათა თქუენთა
სრული საღმრთოჲ სიმდაბლე“.

ხოლო იგინი შეუვრდეს და ჰრქუეს, რამეთუ: „დალაცათუ კეთილ არიან
სათნოვებითა ძმანი მონასტრისა ჩუენისანი, არამედ ესე სიმდაბლე ვერ ძალ-
უც“. და ვითარცა ჟამი შეწირა ღირსმან ეპიფანე, ეზიარნეს ყოველნი წმი-
დასა მას საიდუმლოსა კორცსა და სისხლსა ქრისტესსა¹ და ერთობით მად-
ლი მისცეს წმიდასა სამებასა, დამბადებელსა ყოველთასა.

მ-ი. ხოლო შატბერდისა მამათა შორის ფრიად იყვნეს შემდგომითი-შე-
მდგომად მონაზონებისა სიმწნითა რჩეულ და რომელნიმე წინაწარმეტყუელე-
ბისა მადლითა ბრწყინვალე სხუათა მათებრ უღაბნოთა ჟამითი-ჟამად წმიდა-
თა კაცთა გამობრწყინებითა, რომელთა შორის ჟამთა ჩუენთა ბრწყინვიდა
ჰრქესა მას მიწნაძროჲსასა დიდი იაკობ, ვითარცა მთიები შორის ვარსკუ-
ლავთა, ზეშთა სიტყუსა ჩუენისა შემკობილი მრავალდერითა მადლითა მო-
ყუასთა თანა საღმრთოთა. არამედ წიგნისა ამის განგრძობისათს მათ ყო-



ველთა თანა წარვჰყედ და მივედ სასწაულთა ნეტარისა მამისა ზეცისა გმრებელისა გოლისთა, რომელნიცა ვისწავენ სარწმუნოთაგან კაცთა.

ხოლო ყოველი ვერ შეუძლე აღწერად უმეტრებისა გზითა, რამეთუ ვგონებდ ცხოვრებისა ამის დაწერად ბრძენთაგან და სრულთა მამათა, რომელნიცა იყვნეს ჟამთა ჩუენთა: დიდი სოფრონ, სანატრელი მამაჲ, შატბერდისა ეკლესიისა განახლებით აღმშენებელი და უკუნისამდე გვრგვინი მისი, [v] და ღმერთ-შემოსილი მამა ილარიონ პარეხელი, და ქრისტეს¹ მღდელთ მოძღუარნი ღირსნი² გიორგი მაწყურელი ეპისკოპოსი და სტეფანე მტბვეარი ეპისკოპოსი პირველი და სხუანი მსგავსნი მათნი. და ვითარცა მით ნეტართა დაიძინეს, მაშინდა რეცა განმეღუბა უცებსა ამას და ფრიად ცოდვილსა გელყოფად და აღწერად ცხოვრება და სასწაულნი ესე, რონელ აწ გესმენენ.

წ. რამეთუ ოდესმე იყო ნეტარი გრიგოლ თუსსა მას საყუდელსა სენაკსა, და სენაკსა მას შინა ცეცხლი არაოდეს აღგზებულ იყო, არცა კანდელი აღნთებულ იყო, და არცა სხუათა ძმათასა. და ჟამსა ცისკრისასა დეკანოზმან პრქუა მნათესა: „მივედ მამისა და ისმინე, ჰსძინავს ძი ანუ ჰღვავს“. და ვითარცა მივიდა, იხილა ბრწყინვალეებაჲ დიდძალი შინაჲთ გამო სენაკსა მას. მსწრაფლ მორბიოდა და ჯმა-ყო, ვითარმედ: „ცეცხლი აღდებულ არს სენაკსა შინა მამისასა“.

პრქუა მას დეკანოზმან: „ღუმენ, შვილო, და ნუ გეშინინ! არა არს იგი ცეცხლი შენწუველი, გარნა სული ღმრთისაჲ განმანათლებელი“. რამეთუ მრავალგზის ეხილვა დეკანოზსა მას ხილვაჲ იგი დიდებული. და მი-ხოლო-ვიდა სენაკად და შთახენდა კედლისა ნაპრაღსა და იხილა წმიდაჲ იგი ტელ-განპყრობით, და გუამით მისით გამოვიდოდეს ნათლისა ისარნი ჯუარის სახედ. და დიდებითა შეშუულ იყო იგი და ესრეთ ბრწყინვიდა, ვითარცა მშშ. ხოლო დეკანოზი იგი სიხარულით ამადლობდა ქრისტესა და მყოფარ ჟამ დააცადა ჟამის-რეკაჲ, ვიდრეინდის შეიცვალა სახილაჲი იგი.

წ. და კუალად ოდესმე ჟამსა ყინელისასა ძმანი [206] ტყესა მას ხანტუისასა შთამოპყრიდეს ეგლსა. და მათ თანა იყო ნეტარი გრიგოლ, ზდგომარე ადგილსა საჩინოსა. და ძმაჲ ვინმე მოხუცებული ძნელსა ადგილსა ეგლისა სავალსა განვიდოდა, და ძმათა მათ სხუათა უმეტრად ძელი ფრიად დიდი განუტევეს. და ვითარცა იხილა ძმამან მან ეელი იგი მცაფრიად მიმავალი, შეშინდა ფრიად და სივლტოლაჲ მისგან წარწყმდა, ჯმა ყო დიდითა ჯმითა: „მამაო, შემეყე!“ ხოლო მან ჯუარი დასწერა ეგლსა მას და პრქუა: „სახელითა ქრისტესითა³ დადგე, ძელო!“ და სიტყუამან მისმან, ვითარცა კლდემან უძრავმან, დააყენა ადგილსა მას მყაფარსა მყინვარსა ზედა მოქანებული საშინელად, და უბრძანა ძმასა მას გულდებულად განსლვაჲ. და ვითარცა იხილეს სასწაული ესე, დაუკრდა ძმათა მათ და ადიდებდეს ღმერთსა.

წ. ამისსა შემდგომად ესე ნეტარი იყო ოდესმე მახლობელად შატბერდისა, და სარწმუნოებით მო-ეინმე-ვიდა მისსა დედაკაცი, რომელსა აქუნდა გელთა ძშ თუსი მცირე ვითარ ორისა წლისაჲ, რომლისა გელნი და ფერგნი მტერისაგან მიხუშულ იყვნეს და პირი გარე-მიტყეულ იყო. ესე მოვიდა მრავლითა ცრემლითა და ძშ თუსი დაავდო წინაშე ფერგთა მის წმიდისათა და პრქუა ესრეთ: „წმიდაო ღმრთისაო, კაცთაგან განწირულისა ამისთეს წყალობა ყავ; რამეთუ შემდგომად ღმრთისა შენდა მოვივლტი“. და იხილა

რამ წმიდამან მან ტრიადი გოდება მისი, შეეწყალა, და იწყეს კრებულჲ მისი მისთა დინებად, რომელნიცა სატუმილ მგდომსა ექმნეს, რამეთუ უხილავად [v] შესწუვიდა მძლავრსა¹ მას უკეთურსა ეშმაკსა ლოცვანი გრიგოლისნი და განიოტებდეს მას.

მაშინ თქუა: „სახელი ქრისტისი² განგდის, ეშმაკო, განეშორე უკუნი-სამედ ჩხლისა ამისგან უმანკოასა“. და ჯუარი დასწერა. და მუნთქუესვე ივლტოდა სული იგი ბოროტი და განიკურნა ყრმა იგი სრულიად. და მშობელი მისი სიხარულით შადლობდა ღმერთსა და წმიდისა მას, და მხიარულნი წარვიდეს სახიდ თუსსა და ყრმა იგი კეთილად ცხოვნდა სრულიად.

წმ. და კუალად სხუა ვინე იყო დედაკაცი სისხლის დინებითა გუმე-ლი მრავალთა ეამთა. მას ესმა სასწაული³ ესე და მივიდა გულს-მოდგინედ წმიდისა მის და ვერ შეძლებელ იყო თუსსა მას სენსა საანჯმო ყოფად, არამედ მდუმრიად სულთქუმით დაალტობდა ფერტთა მისთა ცრემლითა და ითხოვდა კურნებასა. ხოლო ძმანი იგი მცირედ განეშორნეს წამის ყოფითა ამის წმიდისაათა, რამეთუ ენა სულითა ვნება იგი დაჟარული და მისცა მარჯუენე თუსი, რაათა შეიმთხვოს. და მან ყო ვგრეთ. და მასვე ეამსა განიკურნა უძლურებითა მისგან და წარვიდა სიხარულით სახედ თუსსა და აღიდებდა ღმერთსა.

წმ. რამეთუ კეთილი სათნოება ნეტარისა მამისა გრიგოლისი საკრვე-ლებითა საესე არს. რამეთუ მახლობელად შატბერდისა იყო ვინმე კაცი მდაბიოჲ და ესუა მას ცოლი და ესხნეს შეილნი, და აქუნდა ფრიად მონაგები. და სიხარულსა შინა იყო ცსორება მათი, რამეთუ კეთილად მორწმუნე იყვნეს იგინი. ხოლო დედაკაცსა მას უმჯობესისა მისისათჳს უძლურება შეემთხვა, რაათა მართლისა მის კაცისა ჴელითა ქრისტემან განკურნოს და მგდომი სირცხულეული განაქიქოს, რომელმანცა მანქანებითა მისითა ჴელთა მისთა ათნივე თითნი ნებთა მისთა ჴედა დაჰკრნა და ძლიერად აგუმედა ტუხითა ბოროტითა. [207] მას ეამსა საღმრთომან ცნობამან გულისგმა-უყო ნეტარისა მამისა გრიგოლის ღირსება და მსწოაჲლ ხოლო დედაკაცმან მან თანა-წარიყვანა ერთი ძმ თუსი და მიიწია წინაშე ნეტარისა მის. ხოლო ნებითა ღმრთისაათა იყო წმიდა აგარაკსა ერთსა შატბერდისასა. და იწყო ვედრებად მისსა მრავლითა ცრემლითა და გოდებითა უძლურებისა მისთჳს, რომელი შეემთხვა მას. და ვითარცა იხილა სარწმუნოება და ცრემლი მისნი, შეეწყალა იგი ფრიად. მაშინ უბრძანა ერთსა მდღელთაგანსა წარსლვაჲ ეკლესიად და მოღებად ევლოგიაჲ, ზეთი კანდლისა მისგან, რომელიცა უკუდავად ენთებინ წინაშე ხატსა წმიდისა ღმრთის-მშობელისასა. და თუთ დადგა ჴელ-განაყრობით ლოცვად წინაშე ღმრთისა, სულთქუმითა დაუდუმებელითა და ცრემლითა წყაროებრ მდინარითა, ვიდრე მოსლვამდე მდღელისა მის.

და რაემს მოილო ზეთი იგი კანდლისაჲ მის, მოუწოდა დედაკაცსა მას და ჴელთა მისთა ჯუარი დასწერა და ზეთი იგი ჯუარის-სახედ სცხო სახელითა წმიდისა სამებისათა და მეოხებითა წმიდისა ღმრთის მშობელისაათა და თქუა: „იქმნენინ განკურნებულ ჴელნი შენი“. და მუნთქუესვე განეშორნეს ყოველნი იგი თითნი მისნი და ყოლადვე არღარა იბოვა ვნება მის თანა, რამეთუ მანებელი იგი ეშმაკი ზარგანჭდილი ივლტოდა ლოცვათაგან ნეტა-



რისა გრიგოლისთა. და ესრეთ სიხარულით წარვიდა სახიდ თჳსნი და აღი-
დებდა ქრისტესა ღმერთსა.

და კჳლად დედაკაცმან მან წარიყვანა ქმარი და შეიღნი თჳსნი და
ფრიადი შესაწირავი მიუძღუნა წმიდასა მას. და ყოველთა მიიღეს კურთხე-
ვა და წარვიდეს მხიარულნი სასწაულისა მქადაგებელნი შორის მრავალთა.

წმ. [v] ხოლო ჟამთა ამის წმიდისათა ჯელმწიფემან აშოტ კურაპალატ-
მან დაიპყრნა მრავალნი ქუეყანანი და აღაშენა ციხე არტანუჯისაჲ საცხო-
რებელად დედუფლისა, მეუღლისა თჳსისა. და მას შინა კეთილად ცხოვრებ-
ბოდა მრავალთა წელიწადთა. ხოლო აცთუნა მტერმან ჯელმწიფე იგი და
მოიყვანა მან დედაკაცი სიცივისაჲ ციხესა მას შინა, რომლისა თანა იმრუშებ-
და, რამეთუ ეშმაკი ტრფიალებისაჲ ფრიად აზრზენდა, რომელსა პირველ არა
აქუნდა ეგვეთარი ჩუეულებჲჲ, არამედ ძლეულ იქმნა ბოროტითა მით ცოდ-
ვითა. და ვითარცა ესმა ნეტარსა¹ გრიგოლს საქმე იგი სულისა განმბრწყნე-
ლი, შეწუხნა ფრიად. და აუწყა წმიდასა გრიგოლს დიდსა მას მოხუცებულ-
სა, რომელი მკვდრ იყო ეკლესიათა, რამეთუ იყო იგი სასწაულთა მოქმედ
და დიდად პატივცემულ ღმრთისა და კაცთაგან. და განზრახვითა მისითა
ამხილა პირისპირ ჯელმწიფესა მას. ხოლო მან აღუთქუა ცოდვისა მის გან-
ტევებჲჲ და დედაკაცისა მის წარგზავნაჲ, ვითარცა მოეყვანა იგი. და ვერ
დაამტკიცა თჳსი ბრძანებჲჲ, რამეთუ დაემონა გულის-თქუმასა.

ხოლო ნეტარმან გრიგოლ პოვა ჟამი მარჯუე. ოდესცა კურაპალატი
შორს იყო არტანუჯსა, დღესა ერთსა შატბერდით წარვიდა და მიიწია მი-
მწუხრი ძირსა მის ციხისისა. და კაცი მიუვლინა დედაკაცსა² მას ჰამადისა
თხოვად და მუნ დადგომისა მიზეზი შეუთულა. ხოლო მან სიხარულითა დი-
დითა განიხარა და მრავალფერი სანოვანე წარცა წმიდისა მისთჳს [208] და
მოწაფეთა მისთა. და ვითარცა განთენა, კჳლად მიუვლინა კაცი, რაათა მი-
ვიდეს ხილვად მისა. მაშინ უჳუროსად განმხიარულებული მსწრაფლ მოვიდა
წმიდისა მის ორთა თანა მკვევალთა თჳსთა, რაათამცა ღირს იქმნა ჯუარსა
ნეტარისა მის კაცისისა.

ხოლო მან არა დასწერა ჯუარი. არამედ უბრძანა განშორებულად და-
ჯდომაჲ. და მოწაფენი კიდერე განდგეს წამის-ყოფითა მოძღურისა თჳსისაჲ-
თა და ეგრეთვე მსახურნი იგი დედანი, რამეთუ წმიდისა მის შიში ყოველთა
ზედა მიფენილ იყო. მაშინ ჰრქუა მას ნეტარმან გრიგოლ: „ჰ საწყალობელო!
რაასათჳს შორის ცოლ-ქმართა მთაქრილ ხარ წარსაწყმედელად შენდა საუ-
კუნოდ ბოროტითა მით ცოდვითა, რომლითა დამონებულ ხარ ეშმაკისადა
და ცუდითა რაათმე მიზეზითა საჳრგე ქმნულ ხარ დიდისა ჯელმწიფისადა?“

ხოლო მან ცრემლით ჰრქუა: „წმიდაო ღმრთისაო, მე თავსა ჩემსა ზედა
ვერ თავისუფალ ვარ, ვინაეთგან გარდარჩული სიყუარული აქუს ჩემდა მო-
მართ კურაპალატსა და აწ არაჲ უწყი, თუ რაჲ ვყო, რამეთუ ბრძანებამან
სიტყუათა შენთამან შემაძრწუნა ფრიად“. ხოლო წმიდამან მან ჰრქუა: „შვი-
ლო, იქმენ სრულიად მორჩილ სიტყუათა ჩემ გლახაკისათა და მე თავს-მდე
გექმნე ქრისტეს³ მიმართ, რაათა მან თავადმან ყოველნი ბრალნი შენნი შე-
გინდენეს“. და მან ჰრქუა: „წმიდაო მამაო, ჯელთა შენთა ვარ, უმჯობესი სუ-
ლისა ჩემისაჲ იბრუნე“. მაშინლა ჯუარი დასწერა და აქურთხა ლოცვითა და

შეჭურა მადლითა და მისცა თუსთა ჯამლთა საბელი, რათა სარტყდნენ მისი ირტყას. და მან ყო ეგრეთ.

[v] და წმიდამან მან ჰრქუა: „წვილო ჩემო, დღეს იქმნა ცხოვრება სულისა შენისა, რამეთუ სანატრელისა დედისა ფებრონიას წინაშე მიგიყვანებ შენ“. და მან განიხარა ფრიად. ხოლო ნეტარმან გრიგოლ უბრძანა მგე-⁵ ვალთა მათ მისთა წარსლვაჲ ციხედვე, და დედაკაცსა მას ჰრქუა: „წვილო ჩემო, წარემართე და ვიდოდე წინაშე ჩუენსა“. და ესრეთ მოიყვანა იგი მერეს, რამეთუ პირველვე განზრახვაჲ ნეტარისა დედისაჲ თანა იყო, და შეჰვედრა იგი მას და ჰრქუა: „ილუაწე ესე ჯერისაგებ, ილუაწე, და რაჲმს ძიება-ყოს კურაპალატმან, რამეთუ ჰხედავ გულსა ამისსა შემუსრვილსა“. ხო-¹⁰ ლო მან თქუა: „ქრისტეინან კეთილად იზრუნოს მწვევლისა თუსისათჳს, რომელიცა პოვა შენ მიერ, ღირსო მამაო“.

და მრავალ ჟამ მარტოდ უბნობდეს ნეტარნი ესე. და ესრეთ იყო ჩუე-¹⁵ ულებაჲცა მის ჟამისა წინანდლუართა მამათაჲ, რამეთუ თნიერ დედისა ფებრონიას განზრახვისა საქმე არაჲ ჯელ-ყვიან. ხოლო დათაგანი ვინმე მახლობე-²⁰ ლად მათსა წარჰვლიდა და ესმა ერთი სიტყუაჲ, ხოლო სხუასა ვერღარა იკადრა სმენად. რამეთუ წმიდამან გრიგოლ ჰრქუა ნეტარსა ფებრონიას, ვითარმედ: „რაჲ გრქუა შენ ანგელოზმან?“ რამეთუ ღმერთი იყო ყოლადვე მათ შორის.

ხოლო რაჲმს მიიწია კურაპალატი ციხედ, იკითხა ხოლო დედაკაცი ²⁰ იგი. და ვითარ არა პოვა, ფრიად შეიურვა. გულისჯმა-ყო რაჲ ყოველი იგი ყოფილი საქმე, და რამეთუ არა ღონითა რაჲთმე კაცობრივთა მახეთაჲთა იყო ტრფილ მისა მიმართ ჯელმწიფე იგი, არამედ ეშმაკისა მანქანებითა ესოდენ ძლეულ იყო, რომელ თავმოთნეობაჲ დაავიწყდა და მსწრაფლ [209] ხოლო მოვიდა მერეს. ხოლო ნეტარმან ფებრონია დამალა დედაკაცი იგი. ²⁵ და ვითარ ილიცა კურაპალატმან ეკლესიასა წმიდისა ღმრთის-შობილისასა და მიიღო ლოცვაჲ დედისა ფებრონიასისი, მაშინ იწყო სიტყუად: „უწყი-მეა, დედაო, რაჲსათჳს მოვედ აწ?“ ხოლო მან ჰრქუა: „უფალმან იცის, რაჲსათჳს ჰბრძანე აქა“. და მან ჰრქუა: „ამის მიზეზისათჳს იქმნა მოსლვაჲ ჩემი, რამე-³⁰ თუ სახლისა ჩუენისა მეჭურჭლე ქალი იყო და ყოველი მონაგები ჩუენი ჯელ-³⁰ თა მისთა იყო, და მამასა გრიგოლს აქა წარმოუყვანებდა, და ფრიადი და-³⁵ გუაკლდა საფასეთა ჩუენთაგანი. აწ უბრძანე, რომელ ერთხელ ციხედ მოვიდეს და ყოველი მოგვთუალოს და კუალად თქუენდავე მოვიდეს, ვითარცა უნდეს“.

ხოლო ფებრონია ჰრქუა მას მკუთერ: «მიზეზებად მიზეზთა ცოდვისათა ³⁵ კაცთა თანა, რომელნი იქმან უშჯულოებასა»*. ესე რაჲ ესმა კურაპალატსა, სირცხულეულ იქმნა მართლმზილებისა მისგან კდემული და მყოფარ ჟამ და-⁴⁰ დუნა, ვითარცა ძლეული, რამეთუ ჯორციელად ძლიერსა ჯელმწიფესა სუ-⁴⁵ ლითა ძლიერთა კაცთა სძლეს, შეჭურვილთა მათ საღმრთოთაჲთა შერიითა. ხო-⁵⁰ ლო შეურევებულმან კურაპალატმან გულისა შეჭირვებისაგან თქუა: „ნეტარ ⁵⁰ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არსო“. და მსწრაფლ ხოლო აღვა და წარ-⁵⁵ ვიდოდა.

მაშინ ნეტარი ფებრონია დაწყნარებულითა სულითა აყენებდა, რათა-⁶⁰ მცა ისტუმრა იგი და არა დაემორჩილა, რამეთუ მამზილებელად აქუნდა თჳსი

* ფსალმ. 140,4.



გონება და ვნება¹ რაჲ კორცთ-მოყუარებისაჲ განეშორა და უფროჲ უფროჲ ლისკმა-ყო. ხოლო სულითა იხარებდა, სიბრძნემან რაჲ წარიყუტებოდა კლებაჲ იგი მავნებელი და აქებდა წმიდათა მათ მძლავრებასა უფროას ხოლო ძლევისა მომკემელსა ღმერთსა, და სინარულით წარვიდა, რამეთუ გულითა⁵ წმიდითა აქუნდა ნეტართა მათ პატივი, ვითარცა სულისა მისისა საუკუნოდ გვრგვინისან მყოფელთაჲ.

ჩ² არამედ ადარნერსე გელმწიფესა უფროასი ენებაჲ შეამთხუა მტერმან, რომელიცა იყო ც³ აშოტ კურაპალატისაჲ, რამეთუ შესმენითა შეძვისა ქალისაჲთა, რომლისა თანა იმრუშებდა იგი, უსამართლოდ განიშორა სიცრუეთა¹⁰ სიცივისაჲთა სარწმუნოდ ცოლი თუხი და წარგზავნა ქუეყანად თჳსად აფხაზეთად, ვინაცა მოეყვანა იგი. ხოლო ქრისტემან მონასა თჳსსა ვრიგოლს გამოუცხადა ყოველი იგი უსამართლოებაჲ, რომელიცა შეამთხუეს უბრალოსა მას დედუფალსა ანისთესა წრავალგზის მხილებდა ნიწია ნეტარმან ვრიგოლ ადარნერსეს ზედა, არამედ გელმწიფე იგი ცუდითა თავმოთნობითა იცლია¹⁵ და მხილებდა მართლისა მის კაცისაჲ არა თავს-იდვა, არამედ შესძინა ძერი ძვრსა ზედა თჳსსა და სხუად ცოლი შეერთო. მაშინ მამამან ვრიგოლ უწინადაწარმეტყუილა²¹ ბრალთა მათთჳს, რაჲ-იგი შემთხუევად იყო მისდა მიშუებითა ღმერთისაჲთა.

და პრქუა ესრეთ: „არა სმენისათჳს სიტყუათა ჩემ გლახაკისათა მიეცე²⁰ ბოროტთა სენთა, და რომელ აწ ძენი გესხნენ, იგუემნენ ეშაკათაგან, და ვერ განიკურნო შენ და ვერცა შეიღნი იგი შენნი, ვიდრე არა შეინდოთ დედუფლისა მისგან, უსამართლოდ გაპატიებულისა მტევლისა მის ღმერთისა; დაღაცათუ გორცთაგან განვიდეს იგი, არამედ საფლავთაგან [210] მისთა შევეინდონ შეილთა შენთა. ხოლო შემასმენელი იგი მეძვეი აღრე განაქიქოს ქონს-²⁵ ტემან უფროას ყოველთა ცთომილთაჲსა ლირწად წარმდებებისა მისისათჳს და უკეთურებისა“.

ხოლო ადარნერსე სიტყუათაგან ნეტარისა ვრიგოლისთა ფრიად შეშინდა და შეუვრდა წმიდასა მას. ხოლო მან აღადგინა და პრქუა: „ქრისტემან შენდობაჲ ბრალთაჲ მოგვიცინ შენ, არამედ ესე უწყოდე, თქუმული ჩემი აღე-³⁰ სრულოს ქანსა თჳსსა, რაჲთა გულისკმა-ყონ ყოველთა ნაყოფი ურჩებისაჲ“. და შემდგომად მცირედთა დღეთასა შეემთხუა „ადარნერსეს“ სენი ტენისაჲ წრდილი, რომელსა პრქვან ნიკრისი. და ტკივილთა მათგან იგუემებოდა მწარედ, რამეთუ მუნ ქამდამდე ყოლად უენებელ იყო იგი. და მსწრაფლ ხოლო წარავლინა კაცი კეთილი, რომელსა ერქუა კუპარა, წინაჲ დედუფლისა მის³⁵ შენდობისა თხოვად. და ვითარ მიიწია მოციქული იგი ადარნერსესი ფერსათს, სადაცა არს აწ საფლავი მისი, და იხილა დედუფალი იგი თჳსი დიდსა შინა მონაზონებასა, რომელიცა იყო ასული ბაგრატ მაროელისა გელმწიფისაჲ, რამეთუ სამოსლად მისა იყო შეტურაიცი ჩოჯაჲ და ემოსა მას წმიდაჲ სქემაჲ და ტურთი დიდი შეშისა ეკიდა და სახიდ თჳსად მიაქუნდა სანატ-⁴⁰ რელსა მას, რომელსა პირველ სახელი ეწოდა ბევრეულის და მერმე ანასტასია, რამეთუ მან სრულიად სირცხულეულ ყო ეშმაკი, და აწ კურნებასა პაოებენ მორწმუნენი მადლითა მისითა, მი-რაჲ-აქუს მიწაჲ ევლოგიად საფლავთაგან მისთა.

ნუსხაშია: ¹ ნება. ² ჩხ. ³ ასეა! ⁴ ადარნერსეს. ⁵ აღარესა ⁶ და+და.

ესე რაჲ იხილა კაცმან მან მოციქულმან, იცნა და შეუვრდა სეს მადრიკ სეს მაგიერ [v] და ჰრქუა: „ქრისტეს¹ ნების-მყოფელო, გვედრების, უფალი ჩემი, სამართლად ღმრთისაგან განპატივებული შენ ცოით, და ნუ სწყვეც მას, არამედ შეუნდვენ დიდნი ბრალნი მისნი“.

ხოლო მან ჰრქუა: „გვეუცები ქრისტესა, არაოდეს აღმოსრულ არს წყევლა პირსა ჩემსა და არცა მას ვსწყვე. ქრისტემან შეუნდვენ ყოველნი ცოდვანი და განკურნენ სულით და ჳორციით“.

და მსწრაფლ ხოლო განიკურნა ადარნერსე, რამეთუ კაცმან მან მოციქულმან დაისწავა ემი იგი, ოდესცა ულოცა უფალსა მისსა. და მო-რაჲ-ვი-და, პოვა იგი ყოლად უვნებელი და სიხარულით ჰმადლობდა ქრისტესა. არამედ შემდგომად წელიწადთა არა მრავალთა ადარნერსე ჳელმწიფესა რაჲ ესხნეს ძენი, გურგენ კურაპალატი და სუმბატ, მტერისაგან ფრიად იტანჯებოდეს და მსწრაფლ ხოლო წარავლინნა ივინი აგრსათს სამოსლითა საგლახაკათა და შესაწირავითა საველმწიფოთა ლოცვად საფლავსა მას სანატრელისა დედუფლისასა, რამეთუ გარდაცვალებულ იყო იგი. და ოაქამს ილოცეს, სრულიად განიკურნნეს სიტყუსაებრ ნეტარისა გრიგოლისა და სიხარულით წარვიდეს სახიდ თჳსა² და აღიდებდეს ქრისტესა, ღმერთსა ყოველთასა.

ხოლო დედაკაცი იგი შემასმენელი ბოროტად ეშმაკეულ იქმნა და განცოდნა, და სხუანიცა განსაცდელნი მიიწინეს მის ჴედა საქმეთაებრ მისთა უკეთურთა, და ესრეთ იყო საზინელ და ზარის ასაზღველ ხილვა მისი და სმენნა სიტყუათა მისთაჲ. და ვითარ მოეგო გონებასა, მაშინ მივიდა წინაშე დედისა გებრონიასსა საწყალობელი იგი და შეუვრდა მას ცრემლით და აღუვარებდა ყოველთა ბრალთა და ევედრებოდა ვოდებით, რაათა [211] უსუაიზნოს მამისა გრიგოლისგან. ხოლო მან მიწერა წიგნი ვედრებით, და ნეტარმან მან არა ისმინა, არამედ მიჰრქუა: „უძკრესნი განსაცდელნი აღიდრნენ მაგას ჴედა ამისთჳს, რამეთუ საცთურ ექმნა ვეგ ღმრთის-მსახურსა ჳელმწიფესა და სარწმუნოთა ცოლი მისი განაშორა, რამეთუ განთქუა სახელი მისი ვითარცა მეტვისაჲ, და კულად სისხლი უბრალოასა ჳამბუკისაჲ დასთხია. აჲ მსგავსად უჯეროვებისა საქმეთა ღიეგოს მაგას ვიდრე სიკუ[დი]ლაღმდეგ“³.

ხოლო ნეტარმან ფებრონია თქუა: „ჳეშმარტ არს საბუთა მამისა გრიგოლისი, რამეთუ არა ჰმდაგრა მან წმიდასა მას, ვითარცა თქუა მოციქულმან: „სულები წინაწარმეტყუელთაჲ წინაწარმეტყუელთა დაემორჩილნო“⁴, არამედ ვითარ შეგგვანდა, ნუგეშინის-სცა სასოწარკვეთილსა მას, რამეთუ სავსე იყო იგი სიბრძნითა ორისავე ცხორებისაჲთა. და სასწაულნი დიდნი იხილვებოდეს მის მიერ და რომელთაგანმე მოწაფეთა მისთა. და აჲ სარწმუნოებნით ნევედრებელთა კურნებასა აღმოუცენებენ საფლავნი მათნი. ხოლო დედაკაცი იგი ვიდრე სიკუდილაღმდეგ დაადგრა მერეს მინა, რამეთუ დაღაცათუ ბოროტთა გუემათა შინა იყო, ხოლო გონებაჲ მისი ცოცხლად ეკო. და ოაქამს მოკუდა იგი, ბრძანა დედამან ფებრონია მახლობელად დათა მათ ქრისტეს⁵ ნების-მყოფელთა დამარხვად მისი, რაათა დიდად ბრალეული იგი უბრალოთა მათ განამართლონ წინაშე ქრისტესა.

ხოლო უფალმან აჩუენა სასწაული, რამეთუ დამარხვასა სსუათა მიცვალეულთასა სამგზის იპოვა წინაგან კარსა აკელდამისასა მდებარე, და არ-

* I კორინ 14,32

ნესხაშია: ¹ ქრს. ² თესსა. ³ სიკულაღმდეგ. ⁴ ქს.

ბულნო დედასა ღმრთისასა, მხიარულნო მის წინაშე საუკუნოდ დისტანციასა მის მოსლვასა, ძისა მისისასა მომლოდებელნო!

„თქვენ, უძლურებისაგან უცვალეებელსა ძალსა მიწვეულნო და შენდგო-
მად სიკუდილისა ყოლადვე შემცლებელნო მიცემად ორსა სახესა [v] მისაგე-
ბელსა, ქცევათაებრ კაცთაასა, ვითარცა-ესე აწ ვხილეთ თქუენშიერი სამარ-
თალი საშჯელი, რომლისათჳსცა მე გლაბაკი გრიგოლ და დედა ფებრონია
მადლიერ ვართ თანა-შეწვენასა თქუენსა. და აწ გვედრებით საწყალობელი-
სა მაგისტოჳს დედაკაცისა, ითხოეთ ქრისტესგან¹ ბრალთა მისთა შენდობა და
ღირს ყვენით ძუალნი მისნი ძუალთა თანა თქუენთა და სული მისი სულისა
თქუენისა თანა; და უფროას ხოლო ილუაწეთ უფლისა მეორედ მოსლვასა, ¹⁰
რამეთუ გაქჳს ზადლი შეწვენად მორწმუნეთა, და მოელით დაუსრულებელსა
დიდებასა და გამოუთქუმელსა სიხარულსა, რომელსაცა მიწვენად ხართ. არა-
მედ მეოხება თქუენი მარადის შემწე მეყავნ ჩუენ, რაათა ჩუენცა ღირს ვი-
ქმნეთ სანატრელსა მას ცხოვრებასა მერმესა საუკუნესა, ამინ“².

და რაჟამს აღმოუკითხეს წიგნი იგი ნეტარისა გრიგოლისი მიცვალე-
ბულთა მათ დათა და სიტყუთა ბრძანება დედისა ფებრონიასი აუწყეს-ვე,
მაშინლა მიიღეს მკუდარი იგი თჳსსა მას პირველსა ადგილსა, სადაცა სამ-
გზის დადებულ იყო. და არღარა იცვალა მიერ დღითგან, რამეთუ ნეტარი
მამია გრიგოლ მიზეზ ექმნა პირველ ცოდვათა მხილებასა და მერმე ლხინება-
სა და შენდობასა. და სინანულიცა ფრიადი შემწე ექმნა ცოდვილსა მას წი-
ნაშე ღმრთისა, რომელსა არა ჰნებაეს სიკუდილი ცოდვილისა, არამედ მო-
ქცევა და სინანული. ხოლო გულისგზის-მყოფელთა დაუკურდა და აღიდებ-
დეს ღმერთსა.

BC. ხოლო ესევეითართა სასწაულთა იქმოდა ქრისტე ჴელითა ნეტარი-
სა გრიგოლისითა, რამეთუ უძლურნი, თითო-სახეთაგან სენთა შეპყრობილნი ²⁵
და ვნებულნი სულთაგან არაწმიდათა, ლოცვითა მისითა და ცრემლითა [213]
განიკურნებოდეს თხოვისაებრ სარწმუნოებით მედრებელთაასა.

და არა ხოლო თუ კაცნი ოდენ ჰხედვიდეს მას ნავთსაყუდელად, არა-
მედ ნადირნიცა ველისანი. რამეთუ ოდესმე ზახლობელად „შატბერდისა“ მათა
მათ ზედა ესე ნეტარი საქმისა რომლისათჳსმე იყო, და მის თანა იმანიცა ³⁰
იყვნეს, და ირემი³ ერთი გამოვიდა საჩინოსა მათსა, რამეთუ მონადირეთა
მოეცვა იგი და ვერვინაა განერებოდა ჴელთაგან მათთა.

მაშინ მიჰმართა მონოზონთა მათ, და შორის განვლნა ყოველნი, და
მივიდა ვითარცა გონიერი ნეტარისა გრიგოლისსა და თჳსი თავი ზედა ჴელ-
თა მის წმიდისათა დადვა და რეცა ტიროდა მოწვეულისა მისთჳს ბოროტი-
სა. ხოლო მან ნუგეშინის-სცა და ჰრქუა: „სახელითა ქრისტესითა“ ვერ გავ-
ნონ მტერთა ამათ შენთა, ნუ გეშინინ“. და იხილეს რაჲ კაცთა მათ, განუ-
კურდა ფრიად და აღიდებდეს ღმერთსა. და მოვიდეს წმიდისა მის და ჯუა-
რი დაიწერეს. ხოლო მან აკურთხნა იგინი და ნაცვალად ირმისა მისცა სხუა
საღუაწი გორცთაჲ და წარვიდეს, ხოლო ირემი იგი განუტევა მშჯდობით. ⁴⁰

ა. და ეგრეთვე ხანტოს რაჲ იყო თჳსსა სენაკსა შინა, მონადირეთა
მრავალთა მახლობელად მონასტერსა მას მოიცივნეს ოთხნი გარეთხანი. ხოლო
იგინი სრბით შევიდეს სენაკსა მას, სადა იყო მამია გრიგოლ მჯდომარე,
და გარე მოადგეს წმიდასა მას. ხოლო მან გულისგზა-ყო მიზეზი მისლვისა

ნუსხაშია: ¹ ქსენ. ² ამინ (ასე). ³ შატბერთისა. ⁴ ირერემი. ⁵ ქსითა.



მათისა და ნუგეზინი-სკა მათ და უბრძანა, რაათა მონადირეობა მერნენ და წარგზავნენ. და ნადიროთა მათ ქამადი სკა და განუტევეს მშვიდობით.

[v] 28. ხოლო ბასილი მამა, იყო რაჲ ქაბუჯ, კარაულსა მამისა გრიგოლისსა ხედვიდა. და ბოროტი მჯდომი ქედსა მისსა გამოაჯდა, რომელსა «კურთხეულ» უწოდიან, ხოლო ძუელად ჰრქვან «სატალი». და ბასილი მწარითა მით სენითა ქუემდებარე იგუემებოდა ვითარ ოთხ დღე ოდენ. მაშინ იკითხა ნეტარმან გრიგოლ, ვითარმედ: «სადა არს ყრმა ბასილი?» და აუწყეს ძმათა სენი მისი, და მან ბრძანა წოდებია, ხოლო მათ ჰრქუეს: «ვერ ძალ-უც ნოსლვა». მაშინ არქუა მათ: «ჩემ მიერ არქუთ, ვითარმედ: ვიწესს შენ მამა გრიგოლ».

და ვითარცა ესმა სიტყუა წოდებისა ბასილის, განძლიერდა ბრძანებითა თვისსა მოძღუროსაათა და მივიდა წინაშე მისსა. ხოლო მან ჰკითხა: «რა გვენების?» და მან გელითა თვისითა უჩუენა მჯდომი იგი, რამეთუ დაეპყრა ადგილი დიდი. მაშინ ნეტარმან გრიგოლ ძლიერად სკა გელითა თვისითა ადგილსა მას, სადაცა იყო მჯდომი იგი, და არქუა ბასილის: «ცუდად მოგმიდგრებიეს თავი, რამეთუ არა არს ვნება შენ შორის ყოლადვი». და მან გელი მოისუა ადგილსა მას და კუალიცა უჩინო იქმნა მჯდომისა ბოროტისა. და რომელთა იხილეს სასწაული ესე, ადიდებდეს ღმერთსა.

29. მას ეამსა იყვნეს ვინმე იერუსალმსა¹ მოწაფენი ნეტარისა გრიგოლისნი, კაცი შეუენიერი, კეთილნი მონაზონნი, სრულნი სიბრძნითა და სასწაულთა მოქმედნი, მცირებელნი სასუფეველისანი და მეოტნი დიდებისაგან ამის სოფლისაჲსა, მღვდელნი ღირსნი, შვილნი დიდებულთა აზნაურთანი, ტომნი დიდისა ფერემ მაწყურელ ეპისკოპოსისანი, რომელთაგან მოწერილ იყო ესე ეპისტოლე მამისა გრიგოლის წინაშე, იერუსალმით² ხანტად მოწვეული პირველვე. [214] ხოლო მე აწ შთავეწერე წიგნსა ამას შინა მოწერილი ესე მათი შეუცვალებელად ყოველი, ესრეთ:

«წმიდაჲ ლოცვაჲ წმიდისა და პატრიოსნისა დიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლიანი უფალმან მოგზობენ და ღირს გუყვენინ ჩუენ ცოდვილნი ესე, გლახაკნი და უღირსნი მონანი შენნი, უკმარი არსენი და მაკარი უძღური, სულიერად ძმის-წული და შვილი შენი და ყოველთა შვილთა შენთაჲ. მამაო დიდო და პატრიოსანო უფლისა მიერ, და უფალო ჩუენო და ღირსო ღმრთისაო და წმიდისა მავის უდაბნოჲსა თავადო უფალო, და ქრისტეს³ მოკუარისა ერისა მოძღუარო და განმანათლებლო ყოველთაო, შეგვანდვეთ წმიდითა მავით სიმდაბლითა ჩუენი ესე კადრებული გლახაკთა და უღირსთა მონათა მოწერილი უცები და უგუნური. ღმრთის-მოყუარებხასა შენსა მინდობითა ვიკადრეთ ესე კადნიერებით მოწერაჲ, ჩინეულო სერობასა მას უკუდავსა. ჩუენ, ცოდვილნი ესე უმეტეს ყოველთა კაცთასა, ლომობიერად მოგაქსენებთ და მიგიძღუანებთ ზადლსა და ლოცვასა წმიდისა ადგომისასა და ყოველთავე, რომელნი არიან წმიდასა ქალაქსა შინა იერუსალმსა⁴ და გარემოჲსა სანახებსა მისსა წმიდათა ადგილთა თაყუანის-საცემელთა ქრისტეს⁵ უფლისა ჩუენისათა.

«შენ, წმიდაო მამაო პატრიოსანო, და ყოველთა შვილთა შენთა სარწმუნოებით სურვიელებისაგებრ თქუენ ყოველთაჲსა შეგვანდვეთ და შეიწირეთ წა-



დიერება მკითხვისა ჩუენისა თქუენდა მიმართ! გგრეთვე, წმიდისა მამისა, მო-
 ვინმე-ვიდა მანდათ კაცი, მონა ღმრთისა, მღდელი ბერცნი ამის ქუე-
 ყანისა, და ეხილვე შენ, მამაო, და მან მოგვთხრა ღმრთისა მიერ მშუდობით
 დაცვა, და სიმრთელე [v] პატრიოსნისა მაგის სიწმიდით ცხოვრებისა შენისა
 წმიდასა მაგას უდაბნოსა შინა. და ჩუენ, უღირსთა ამათ, დიდად ხოლო გან-
 ვისუენეთ და განვიხარეთ და უღირსითა პირითა ვიკადრეთ მადლისა შეწირ-
 ვა ცოდვილთა ამათ კაცთ-მოყუარისა მიმართ ღმრთისა სმენისა ამის და
 სიხარულისა მშუდობისა შენისადათა.

„და კუალად მანდავე წარმოვიდა კაცი იგი ღმრთისაა მოსე, და ესე
 წიგნა მისდა წარმოგვცემია. და აქა წმიდანი ესე ადგილნი ყოველნი მოვლნა
 და მოილოცნა და შენ, მამაო, ყოველთა თანა მორწმუნეთა ყოლადვე გილო-
 ცვიდა და გავსენებდა და დიდად ხოლო გაქებდა. და ჩუენ უფროას ზომისა
 განვიხარეთ და თავთა ჩუენთა და სულთა ჩუენთა ცოდვილთათჳს ვიკად-
 რეთ ესე მოწერაჲ. გვედრებით ქუედავრდომით სახიერებასა შენსა ყოლად
 კეთილსა და ტკბილსა უფლებასა ღმრთის-მოყუარებისა შენისასა, რაჲთა არა
 უგულბელს გუყვენ მონანი შენნი წმიდასა ლოცვასა შენსა, ღმერთ-შემოსი-
 ლო მამაო, დიდად მოაღწეარო წმიდათაო.“

„ვითარცა შეგუევიდრა სული ჩუენი სიწმიდით ღირსებასა შენსა, აწცა
 გვედრებით, ქრისტს¹ სიყუარულისათჳს ქსენებულ გუყვენით ღირსთა შინა
 ლოცვათა და წინაშე წმიდასა მაგას სამწყსოსა თქუენსა, ღირსო ღმრთისაო,
 პატრიოსანო მამაო და უფალო ჩუენო; ხოლო ჩუენი ყოფაჲ წმიდასა ამას ად-
 გილსა საბა-წმიდას და ჰამბავი ყოველი მანვე მოსე მოგატყენოს, წმიდაო
 მამაო. სიტკბობასა შენსა მინდობითა გაუწყებთ, დაიჯერენ სიწმიდემან
 შენმან. წმიდათა ამათ ადგილთა მარადის ქსენებასა შენსა ვიკადრებთ ლოც-
 ვათა შინა ჩუენთა, რაჲთა უფალმან ჩუენ, უღირსნი ესე, [215] წმიდასა ლო-
 ცვასა შენსა ღირს გუყვენს ყოლადვე ნაწილელს.“

„მამაო, გვედია ეფროსინე, დაჲ ჩუენი, ღმრთისა სიყუარულისათჳს
 იკითხეთ და ლოცვაჲ და კურთხევაჲ შენი მასკა მიჰქინეთ, ამენ.“

და ესე ვითარათა მათ ღირსთა კაცთათჳს თქუეს პირველთა წმიდათა მა-
 მათა, ვითარმედ: „ჲამთა უკუანახსთა რომელ იპოვნენ ქრისტს¹ ნების მყო-
 ფელნი მამანი, ჩუენსაცა უწინარეს იყვნენ და მამათაცა ჩუენთა“.

21. ხოლო ნეტარი მამა გრიგოლ სასწაულთა მოქმედი ესრეთ განმგე-
 ბელ იყო წმიდათა კლარჯეთისა ყოველთა უდაბნოთა, რამეთუ სარწმუნოთა
 მონაზონთა² კეთილად ილუწიდა, ხოლო ბრალეულთა სინანულად მოაქცეედა
 და ურჩთა სიმართლისათა სრულიად განასხმიდა. რამეთუ ობიხელი ბერი³
 ერთი იტყოდა, ვითარმედ: „სიჭაბუკესა ჩემსა სამ გზის ოპიზით განძებულ
 ვიქმენ მამისა გრიგოლისგან უკეთურებისაგან სღვათა ჩემთადასაო“.

არამედ ვინათგან აღეშენეს კლარჯეთისა დიდებულნი უდაბნონი,
 მღდელნი და დიაკონნი მათნი ანჩელთა ეპისკოპოსთაგან იკურთხევიან და ეგ-
 რეთვე, ოდეს ეპისკოპოსთა აკურთხევიან. უკუეთუ სწორად ყოველთა მათ
 უდაბნოთა წამებაჲ არა აქუნ და წიგნი ყოველთაჲ კეშმარიტი საწამებელი,
 კათალიკოსმან საეპისკოპოსოსა მის ველთა დასხმაჲ ეპისკოპოსად არა ინე-
 ბის, არცა სათნო არნ სამართლითა საბჭოათა. დაღაცათუ ფრიად ურიცხუნი
 ჲამნი ჰქონან საყდარსა მას ანჩისასა უწინარეს აღშენებისანი და ეპისკოპოს-

ნუბასშია: ¹ ქვა. ² მწმნთა.



ნიცა მრავალნი კეთილად სასწაულთა მოქმედნი ყოფილ არიან. ქრისტეს¹ ტივ-სკა ქრისტემან წმიდათა მათ უდაბნოთა, რათა იყოს ჭირაქმელნი მათდა ეპისკოპოსი უმიზეზოა, წმიდაა და ღირსი, ვითარცა შეგავს წმიდასა მას საყდარსა ქალწულებით დამარხულსა გან[ხ]რწნისაგან წვალებისა გუ-
 5 ლარძნისა მოძღურებისა სახელსა ზედა წმიდისა ქრისტეს¹ ღმრთისა ხატი-სასა აღწენებულსა.

20 ხოლო ნეტარისა მამისა გრიგოლის ზე ღირსმან მღვდელთ-მთავარ-მან ზაქარია ესე სასწაულნი ქმნა. რამეთუ მონასტერსა ტბას ახლოს მყა-ფარსა მას გუერდსა საშინელი ლოდი იძრვოდა და შინისაგან მონოზონნი
 10 ივლტოდეს თუსთა სახლთაგან. ხოლო ზაქარია, სასოებით მდგომარემან, პრქუა მათ: „ხვალე იხილოთ ლოდი ესე მდებარე ადგილსა, რომელსა ჩუენ არაა გუევენოს“. და იყო ეგრე, რამეთუ ყოლად ვერ ცნეს მამათა მათ შე-ძრვავა მისი. და ხვალისა დღე მოუგონებელსა ადგილსა, სადაცა პრქუა წმი-
 15 დამან მან, მუნ მყარად იდვა, და აღიდებდეს ქრისტესა.

15 და იგივე ზაქარია სთულისა ჟამთა ჯდა ოდესმე ტბას თუსთა ბაბილო-თა მწიფეთა ქუეშე, რომელთა მრავალგზის შაშვ ჭამდა. ხოლო ჯუარი და-სწერა და მსწრაფლ მოკუდა და კულად ჯუარი დასწერა და განცოცხლე-ბული ფრინვიდა მოყუასთა თანავე თუსთა.

20 და ოდესმე მკალი ურიცხვ მოვიდა მახლობელად ანჩისა საზღვარსა. ხოლო ნეტარმან ეპისკოპოსმან ზაქარია წინა მიავება კუერთხი თუსი მღვდელ-თა ტელითა, და უფალმან მადლითა მონისა თუსისაათა მოსრა სიმრავლე იგი მკალთაჲ, რომელი დაჰფარვიდა ჰაერსა მზისასა. და ერი მორწმუნე ღმერთსა აღიდებდა.

25 კულად ორნი საშინელნი ვეშაპნი გამოჩნდეს ანჩისა ვენაქსა და მევენაგენი ივლტოდეს. ხოლო ზაქარია ლოცვითა მოაკუდინნა იგინი და კაც-ნი იგი სიხარულით ჰმადლობდეს ქრისტესა. და რამეთუ ესევეთარნი ღირსნი სხუანიცა [216] იყვნეს ეპისკოპოსნი სასწაულთა მოქმედნი ანჩს, მიმსგავსე-ბულნი უფლისანი, რომელთა სიყმილსა შინა მცირითა პურითა მრავალნი მშვიერნი გამოზარდნიან.

30 ახ. არამედ დასაბამი მადლისაჲ ესე იხილვა ზაქარიას სიყრმისა ჟამ-თა, რამეთუ მწყემსი იყო კრავთაჲ კლარჯეთისა ქუეყანასა შინა. და ვითარ-ცა მღვდელმან შესაწირავი განამზადა წინაშე პატროსანსა ჯუარსა და სხუანი ჩჩულნი ყრმანი გარე მოადგეს მას და დაუდუმებელად ჭმითა ჭმობდეს ანგე-ლოთა გალობასა ესრეთ: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი სა-
 35 ბაოთ, სასვე არიან ცანი და ქუეყანაჲ დიდებითა მისითა, ალილუია, ალი-ლუია², დიდება ღმერთსა“. და კვრიელესონი³ ფრიად მრავალი თქვან. ხო-ლო ზეცით მოწვენულ იყო სუეტი ფრიად ბრწყინვალე ნათლისაჲ უმანკოსა მას ზედა მღვდელსა ყრმასა. და მგზავრ მომავალი ვინმე ეპისკოპოსი ანჩელი ხედიდა სასწაულსა მას და მივიდა და ეზიარა ტელითა ღირსისა მის ყრმი-

40 საათა და თანა-წარიყვანა ანჩს. ხოლო დეკანოზსა გამოუცხადა ზიარებაჲ თუსი. და ეპისკოპოსისა მის ბრძანებითა ღირსთა კაცთა ტბას შინა აღზარ-დეს ნეტარი იგი ეპისკოპოსი ზაქარია. და ესევეთარნი კეთილნი სათნობე-ნი დაიმკვდრნეს ანჩისა ეპისკოპოსთა.

* შდრ. ესაია 6,3.

ნუსხაშია: ¹ ქ-ეს. ² აღ-ა აღ-ა. ³ კვრიალესონი.

21. ხოლო შორის იქელთა მათ წმიდათა იპოვა ერთი ვინმე ეგვიპტელი ლუარძლი სარწებს აღმოცენებული, დიაკონებასა შინა და ტფილის[ს] აღზრდილი საპაქ ამირისა ისმეაელის ძისაგან და მოციქულად მავალი აშოტ კურაპალატსა წინაშე, რომელმანცა იხილა ანჩისა ეპისკოპოსი გარდაცვალებული, და მიშუებითა აურაცხელად სულგრძელისა ღმრთისაათა საპაქ ამირისა მიერ მოითხოვა ანჩისა საყდარი აშოტ [v] კურაპალატისაგან უკეთურმან მან ცქირმან. და რატამს მძლავრებით დაიპყრა ანჩი, კუალად შესძინა ძვრი ძვრსა მისსა ზედა მრავალი, რომლისა მოვსენებაჲ ამას წიგნსა შინა არა ჯერ-არს შთაწერად ყოველი.

ხოლო უწესობეჲა მისი მრავალგზის ემხილა წმიდათა მათ პირველთა¹⁰ კლარჯეთისა მეუღაბნოეთაგან, მამათა და ყოველთა მათგან სამწყსოთა კათოლიკე ეკლესიისათა, უფროჲს ხოლო მამისა გრიგოლისგან, რამეთუ არქიმანდრიტი იყო იგი დიდებული მათ უღაბნოთაჲ. ხოლო მან სრულიად საღმრთოჲ შიმი განავდო ამბარტავანებისაგან ძლეულმან და ფარულად მოუწოდა ერისკაცსა ანჩელსა, ლირბსა და გლახაკსა და მავრიად მოისარსა, და აღუთქვა მიცემად სამი გრივი ფეტვ და ხუთნი თხანი, და წარავლინა ხანციქლად მოკლედ მამისა გრიგოლისსა. და გზას ვისგანმე ცნა, ვითარმედ არს იგი ხანციქლისა აგარაკსა და დღეს მოვალს შინა. მაშინ წარვიდა მზირად ტყესა მას ხანციქლისასა და მშულდი გარდაცემული ჯელთა აქუნდა.

22. ხოლო ნეტარი მამეჲ გრიგოლ თქსით აგარაკით მარტოჲ შთამოვიდოდა ხანციქლსა და მგზავრ სლვასა ზეპირით წმიდისა მამისა ევრემის თქმულთა საკითხავთა იტყოდა გოდებით ტირილსა შინა. ხოლო სულითა იხარებდა, რამეთუ ხედიდა საღმრთოთა ხილვათა მადლითა სულისა წმიდისაათა. მაშინ საწყალობელმან მან კაცმან იხილა სასწაული დიდი წმიდასა მას ზედა ზეგარდამო, რამეთუ სუეტი ნათლისაჲ ფრთად ბრწყინვალე ცად აღწევნული ჰფარვიდა მას. და იყო თავსა მისსა ჯუარი თულთ-მეუღდამი გარემო მისსა ცის-სარტყელის სახედ, შეენიგრაჲ რაჲ გამოჩნდის ქამსა უზმისასა. ესე დიდებაჲ მის ზედა იხილა კაცმან მან [217] და ფრთად ძრწოლამან შეიპყრა იგი, რამეთუ დაპყნდეს ძარღუნნი მკლავთა მისთანი და ზარისა მისგან დიდისა დაცემული იდეჲ ქუეყანასა ზედა.

პრეტუა მას ნეტარმან გრიგოლ: „ჰ საწყალობელო, ყავ ბრძანებული მისი, რომელმან მოგავლინა შენი, რამეთუ შენი ხარ უფარის-მყოფელი ქრისტიანობისაჲ, ვინაჲთგან უნდოჲსა სასყიდლისათჲს უბრალოჲსა ბერისა კაცისა სისხლთა გარდაისხამ. ანუ არა სამისა გრივისა ფეტვსათჲს და ხუთთა თხათათჲს მოსრულ ხარა მოკლედ ჩემდა, ჰ უგუნურო?“ მაშინ კაცი იგი ტირილით ევედრებოდა მას: „მემიწყალე, წმიდაო ღმრთისაო, განწირული ესე მკლველი შენი და მიემსგავსე ქრისტესა, მკლველთა თქსთა მონანულთა შემნდობელსა!, რამეთუ არა დაშთა ძალი ჩემი ჩემ თანა საშინელისა ხილვისა შენისაგან, რომელმან დამაქუეთა მე“. მაშინ წმიდამან მან წყალობით ჯუარი დასწერა და განუქრნა იგი, რამეთუ მრავალი გუემეჲა დაცემულ იყო მის ზედა და სიხარულით განუტევა სახილ თქსად. ხოლო კაცმან მან ყოველი იგი ყოფილი უთხრა ცქირსა. და იგი უფროჲს-და აღბორგნა და შესძინა სიბრმე სიბრმესა ზედა.

ნუსხაშია: ¹ შწმნდობელსა.



ქრისტე

და მრავალი ბოროტი შეამთხვა მამასა გრიგოლს და მის ქაშისა წმიდა-
თა მამათა და სხუათაცა მორწმუნეთა ერისკაცთა. და რომელი მარადის
სამართლად ანხილებდეს მას, მათვე ერთობით აუწყეს ყოველი დიდსა მას
კელმწიფესა აშოტ კურაპალატსა. და ბრძანებითა მისითა ყოველთა მათ მო-
წესეთა ანჩისა კათოლიკე ეკლესიისათა წიგნი მიწერეს ქართლისა კათალიკო-
სისა მიმართ, და მის მიერ ეპისკოპოსნი ღირსნი მოიწინეს ანჩს და მათ თა-
ნა შემოკრბეს ყოველნი იგი მეუღაბნოენი მამანი.

და სასწაულთა მოქმედი ნეტარი დედაჲ ფებრონია მივიდა კრებასა მას
წმიდასა მიმსგავსებულსა [v] ბირველთა მათ წმიდათასა და ყოველნი მღდელ-
ნი, მრგვლნი ანჩისანი, მათ თანა. და წინაშე ეპისკოპოსთა მათ წარმოუთხრეს
ცქირისა სამართალი, უშჯულოებაჲ მისი, სარწმუნოთა მათ სასწაულთა მოქ-
მელთა კაცთა წარმდები მიზეზი აუგთა მისთაჲ პირის-პირ.

მაშინ სარწმუნოთა მათ მღდელთ-მოძღუართა განკუთვლეს იგი პატივი-
საგან მისისა. და მამამან გრიგოლ და დედამან ფებრონია შემოსილი საკურ-
თხეველით შთამოიყვანეს და წინაშე საკურთხეველსა განძარცუეს, და ყოველ-
თა ერთობით განჯადეს კათოლიკე ეკლესიით, ვითარცა-ღა ასოჲ დამპალი,
მწველებელთაებრ ყოველით კერძოვე შჯულისა გარდამავალი განიდევნა იგი.
ხოლო მას, ვითარცა განჯმორა შეწევნაჲ ღმრთისაჲ, ღონე ყოველი დაელია
და ტფილის[ს] წარვიდა საჰაკ ამირისა, პატრონისა თუხისავე. და წყინებითა
მისითა რეცა მიეშუა კურაპალატი, და კუალად მძღაერებთ დაიპყრა ანჩისა
საყდარი, რათამცა შურ იგო მამისა გრიგოლის ზედა.

მაშინ შეკრიბა ერი ანჩისაჲ და წარავლინა დარღუევად ხანცთისა. და
აღმოსლვასა ოდენ მზისასა მივიდეს. ჰრქუა მათ მამამან გრიგოლ: „შვილნო,
ღრო მეცით მე და ცმათა ზემთა ვიდრე შუადღედმდე, რათათა წმიდასა შინა
ეკლესიისა ვყოთ ვედრებაჲ წინაშე ქრისტესა, და შევიწიოთ წმიდაჲ ვიორგი
და ყოველნი წმიდანი, და ყოც უფალმან სასწაულ კეთილ“. ხოლო მათ ისმი-
ნეს სიტყუაჲ მოხუცებულისაჲ მის ამისთჳს, რამეთუ ეხილენეს მისგან სას-
წაულნი.

ო. და ეამსა მას ცრემლით ვედრებისა მათისასა ისმინა უფალმან თხო-
ვაჲ მათი და წმიდისა ანგელოზისა მიერ ეუწყა მათ, ვითარმედ: „საღმრთოჲ
შურისგებაჲ [218] ეწია ბოროტსა მას მტერსა თქუენსა, და აჰა მოიწიოს
ქადაგი, ვითარმედ მოკუდა იგი, დაღაცათუ ორ დღე ცოცხალ ამისთჳს არს,
რათათა ვერ ღირს იქმნეს დამარხვად საყდარსა საეპისკოპოსოსა, და ყოველ-
თა ჰრწმუნეს განკუთვთაჲ მისი, ხოლო გული მისი აწვე მომკუდარ არს“.

და ვითარცა ესე გზაჲ სიხარულისა მათისაჲ ესმა ანგელოზისაგან ანგე-
ლოზთა სწორთა მამათა, განიხარეს ფრიად და დიდებაჲ შეწირეს ღმრთისა,
რომელმან ყვის საკრველი² მხოლომან. და გულისკმა-ყვეს წერილისაჲ, ვი-
თარმედ: „უგუნური რისხეამან მოკლისა“*, რომელი მარადის უწესობებასა იწურ-
თიდა და მართალთა თანა შეერაცხა თავი თჳსი. მაშინ გამოვიდა ეკლესიით
მხიარული ნეტარი გრიგოლ და ჰრქუა მათ: „ნულარა გეშინინ თქუენ მძღაერ-
ებისაგან მომავლინებელისა თქუენისა, რამეთუ უფალმან რისხვით მოკლა იგი“.

და მო-ხოლო-იწია კაცი, რომელი ეტყოდა კაცთა მათ: „ნულარა იკად-
რებთ დარღუევად დიდებულსა ხანცთასა, რამეთუ დამარღუეველი მაგისი

* შდრ. იოზ 5,2.

ნუსხაშია: ¹ ქესა. ² საკველი.



მოკულა“. მაშინ განიხარეს კაცთა მათ, ხოლო მამათა ისტუმრნეს^{ქაქელი} რულით წარვიდეს სახიდ თუსად და ადიდებდეს ღმერთსა.

ხოლო პირველსავე სიტყუასა მივიდეთ. რამეთუ ცქირმან, რაჟამს წარავლინა ერი იგი ხანკთას, მაშინ თუ წარვიდა ქორთას, რამეთუ ზუნ ნამარხევი მისი იყო, რაჟამცა წარიდო. და გზას, ვითარცა პურიჟამეს, მიერულა და საშინელი ჩუენებაჲ იხილა, სამხილებელი ბოროტთა საქმეთა მისთაჲ, უფროჲს ხოლო ხანკთელთა ბოროტის-ყოფნასთჳს. მაშინ საღმრთოჲ ვინმე მღვდელი ანჩელი იყო მის თანა, და უფალმან გამოუცხადა ბოროტად სიკუდილი ცქირისაჲ. [v] და მან მღვდელმან წარავლინა თუჲი მოწამე^{ქაქელი} ხანკთად და დამტკიცებულად აუწყა სიკუდილი ცქირისაჲ. და ვითარცა მიიწია ცქირი ქორთას, მოკულა ხოლო, და მუნ დაჰფლეს უფლისა მეორედ მოს[ლ]ვადმდე.

და რაჟამს განქარდა განსაცდელი იგი მის ჟამისაჲ, მაშინ წმიდამან მან საყდარმან ქრისტეს^{ქაქელი} ღმრთისა ცხოველისა ხატისაჲჲ სიხარული მსუღობის-ყოფისაჲ მიჰფინა სამწყსოთა თუსთა ზედა კეთილთა მწყემსთა გამობრწყინებითა.

ხოლო უკუანაჲსკენელთა ამით ჟამთა ჩუენთა გლახაკნი იხარებენ მადლითა უფლისაჲთა, ოხითა საუკუნითგან წმიდათაჲთა და ჯორციელად მოღუაწეებითა მეფეთა ჩუენთა დიდებულთაჲთა, რომელნი იყვნეს კეთილად ღმრთის-მსაიურ, წმიდათა ეკლესიათა აღმაშენებელ, ბარბაროზთა ბანაკსა დამარღუეველ, კეწმარიტთა ქრისტეანეთა სიქადულ და ნოწესეთა სიხარულ, რომელთა შორის იმოგაძ^{ქაქელი} დიდისა ადარნერსე კურაპალატისაჲ, ბაგრატ ერისთავთა ერისთავი, ცალითა ღმრთისაჲთა დიდი ჯელმწიფე^{ქაქელი}, ეზრას ზე. ღირსისა ანჩელ მამათ-მთავრისა ეპისკოპოსისა, დიდებულთა აზნაურთა დაღაჩულთა შვილისა.

ესე ბაგრატ, გულისკმის-ყოფითა ქებულ, წმიდათა ეკლესიათა აღმაშენებელ, საღმრთოთა წიგნთა მეძიებელ და შემკრებელ, წმიდათა ყოველთა ღირსად მადიდებელ; წმიდათა ოხაჲ მარადის შემწე ყუაენ მის აქა და საუკუნოდ, რომელმან ნეტარისა მამისა გრიგოლის ცხოვრებაჲ ესე განაახლა სასწაულთა მათ გამოჰუებულთა შერთვითა, შე-მცარულ არს იგი რიცხუსა პირველთა მათ წმიდათა მეფეთასა მეუფისა ქრისტეს^{ქაქელი} მიერ ლოცვითა ღირსისა გრიგოლისითა და ყოველთა წმიდათაჲთა, რომელმან ჩუენ, გლახაკთა შვილთა მამისა გრიგოლისთა, ყუედრებაჲ მოგვსპო და უმეცრებით მაჟუქრებელსა სირცხული [219] დაუმკვრა ამან დიდებულმან მეფემან. უფალმან ბრალთა მისთა ყუედრებაჲ, რომელსა ეჟუდეს, მოუსპენ მას სრულიად ღირსთა მამათა ვედრებითა და მათ თანა ნეტარისა მამისა გრიგოლის მადლითა, რომელიცაჲ ქუეყანასა ზედა ცხოვდებოდა ვითარცა ანგელოზი.

და ჟამსა მას მოხუცებულეებისა მისისასა, ამცნებდა ესრეთ ხანკთისა ხოლო კრებულთა, ვითარმედ: „აჩს მონასტერსა შინა სენაკებსა თანა ეგუტერსა ჟამის-საწირვად ნუვინ აღაშენებს, რაზეთუ უჯგოროვება არს, უკუეთუ ერისა ნებაჲ არა იყოს, თუნიერ დიდისა მის საეროასა ეკლესიისა ამის მიზეზისათჳს, რამეთუ ოდეს დეკანოზმან ჟამის-წირვისათჳს ჟამსა პირველს, მაშინ ყოველნი მღვდელნი მუნ არა მივიდენ, არამედ თუსთა ეგუტერთა დადგენ ჟამის-წირვად და დიდისავე ეკლესიისა სწორად აწყინებდენ კაცთა შესაწირავისა თხოვისათჳს, და დეკანოზსა ყოლადვე მათი ვედრებაჲ უწდეს დიდად



ეკლესიად მისლვისათჳს ეამის-მწირველთა მღღელთაჲსა. და აწ ამის წესისა ჯერ-არს დამტკიცებაჲ, ვინ მორჩილ იყოს სიტყუათა ჩემ გლანჯინსა გრიგოლისთა*.

5 **Q.C.** ხოლო ნეტარი ესე კაცი ღმრთისაჲ, მამა გრიგოლ, ნებისა ქრისტესისა¹ სამკვდრებელი, სასწაულთა მოქმედი დიდებული, ფრიად გარდარეულად დაბერდა, რამეთუ ას და ორისა წლისა ეამთა მიიწია. ხოლო ფერი პირისა მისისაჲ არა იცვალა, არცა შეემთხვა თუალთა მისთა მრუმელ მხედველობაჲ, და ჯორცითა ძლიერ იყო და რაჲთურთით უძღურებაჲ სიკუდილად-
 10 მდე არა იპოვა მის თანა, რამეთუ განძლიერებულ იყო იგი ძალითა ქრისტესითა² და აქუნდა მას სიქადულად სანთელი ქალწულებისაჲ, და ზეთი მოწყალებისაჲ, და სიყუარული ღმრთისაჲ და ძმათაჲ. ხოლო შრომაჲ დიდად უყუარდა [V] არა ხოლო ლოცვისა და მარხვისაჲ ოდენ, არამედ დღე და
 15 დამე ჭელთა თჳსითა იქმოდა, ვითარცა იტყჳს პავლე: «რომელი ათა შურე-ბოდის, ნუცალა ქამნო»³. და იყო იგი მხიარულად მესტუმრე და გლახაკთ-
 20 მოღლაწე.

ხოლო უმრავლესთა დღეთა შატბერდს იყოფინ, რამეთუ თჳსთა მათ მონასტერთა მამასახლისნი დაედგინნეს და იგინი იღუწიდეს მათ, და რომელი გარდამრე საქმე არნ, მას აუწყიან მსგავსად სიბრძნისა მის ღმრთიე მო-
 25 ცემულისა, რომელი მკვდრ იყო მის თანა ზარადის, ვიდრე აღსრულებადმდე მისსა და მიწვენად ბრძენი ბრძენთა თანა საუკუნესა ცხოვრებასა და სუფევებასა.

Q.D. ხოლო დღეთა მათ მოხუცებულებისა მისისათა იყო რაჲ შატბერდს, ზრუნვაჲ აქუნდა ძმათა მათ მკვდრთა ხანციფელისათა, რამეთუ ესმა, ვითარმედ
 30 ოხჳნი ამის ცხ[ო]რებისაჲ შატბერდს ეგულების სულიერად მამასა მათსა. მაშინ რომელთა სლვაჲ ძალ-ედგა, ერთობით მიიწინეს ყოველნი შატბერდს ძიებად წმიდისა მის. ხოლო ძმათა მათ შატბერდელთა განიხარეს მისლვაჲ ძმათა მათ თჳსთაჲ. და რაჲმას გულისგმა-ყვეს მიზეზი მისლვისა მათისაჲ, სიხარული მწუხარებად გარდაექცა. და ვითარცა ილოცეს თაყუანის-ცემით წმი-
 35 დასა ეკლესიასა წმიდისა ღმრთის-მშობელისასა⁴ და თაყუანის-სცეს ნეტარსა მამასა თჳსსა შეიღთა მათ სულიერად შობილთა და შრომით შეკრებულთა, ხოლო მან წადიერებით სურვიელად ამბორს-უყო ყოველთა და მოწოდე მო-
 40 იკითხნა, ვითარცა მამამან ტკბილმან და მოძღუარმან სახიერმან, და მერმე ურთიერთას ამბორს-უყვეს მოკითხვით ძმათა მათ ხანციფელთა და შატბერდელთა და დასხდეს. მაშინ სიტყუად იყყო ხანციფელთა⁵ მიმართ ნეტარმან
 45 გრიგოლ და ჰრქუა მათ:

„ძმანო და შეიღნო საყუარელნო, რაჲ არს მიზეზი [220] თქვენ ყოველთა აქა მოშრომისაჲ, მაუწყეთ“. ხოლო ეტჳჯანე და ზენონ ჰრქუეს ძმათა მათ სხუათა: „წეს-არს თქვენ მიერ ღირსი პასუხი, რაჲთა ბრძენთა მოწაფეთა ბრძნისა მოძღურისა მიმართ ღირსითა სიტყუთა ძღუენი გულს-მოდგინე-
 50 ბისაჲ შესწიროთ და სასოებით საწადელი სულისა ჩუენისაჲ მოვილოთ მადლითა ღმრთისაჲთა“.

მაშინ ყოველთა ერთობით კმა-ყვეს: „ჰ წმიდაო ღმრთისაო, სულიერად შეიღთა შენთა მშობელო მამაო და მზრუნველო ცხოვრებისა ჩუენისაო, და

* შდრ. II, თესალ. 3,10.

ნუსხაშია: ¹ ქრესისა. ² კესითა. ³ მშობლისასა. ⁴ ხანციფელთა.

შესავედრებელი კრისტს¹ მორწმუნეთაო, დაღაცათუ შატბერდელნი² ჩუენნი ყოველნი უფლისა სათნონი არიან და ნებისებრ ღმრთისა³ ნისა მორჩილ, არამედ ესოდენთა დღეთა არა მოსლვაჲ შენი ჩუენდა ხანციტისათჲს ფრიად სირცხულ არს და ჩუენთა ყოველთა საქდემელ ყოველთა კაცთაგან, რამეთუ პირველი ნაყოფი წმიდათა შრომათა შენთაჲ ხანციტაჲ არს. 5 და აწ ამისთჲს არს ჩუენი აქა მოსლვაჲ, რაჲთა ჰბრძანო ხანციტად და ნუგეშინის-ეცეს, რომელთა ვერ ძალ-უც აქა მოსლვაჲ, და სხუათაცა უღაბნოთა აჩუენოთ ჩუენდა მომართ სრული სიყუარული შენი. და ესე უწყოდე, უკუეთუ სმენაჲ არა ეპოოთ, ვიბოენეთ ყოველნი აქა წინაშე შენსა, რამეთუ მძიმე არს ჩუენდა ამას ჟამსა უშენოდ ხანციტად მისლვაჲ. 10

ხოლო წმიდამან მან თქუა: „კურთხეულ არს კრისტე ღმერთი ყოველთაჲ, რომელმან თჲსი წმიდაჲ მცნებაჲ სიყუარულისაჲ მტკიცედ დაპნერგა გულსა თქუენსა ჩემ გლახაკისა ბერისა მომართ თქუენისა, შეიღნო ჩემო საყუარელნო, და უფროჲს-ღა შეიღნო კრისტს²წმინა², წმიდისა ნებისა მისისა აღმასრულებელნო, რომელმანცა ბრძანებითა თჲსითა სახარება უწოდა, რამეთუ მოსლვითა თჲსითა მშუდობაჲ ახარა კაცთა, [v] მტერთა მისთა, რომელთაცა სიყუარულისათჲს სიკუდილი თავს-იდგა და გუასწავა ყოველთა, ვითარმედ „თავი არს სათნოებათა ყოველთაჲ საღმრთოჲ სიყუარული“. და აწ თქუენ სიყუარულმან მოგიყვანა აქა. ხოლო ჩემ ზედა ორკერძოვე მძიმე არს: პირველად, შეწუხებაჲ თქუენი და, მერმე, ძმათა ამათგან განშორებაჲ“. 20

მაშინ მოუწოდა ყოველთა შატბერდელთა ძმათა და ჰრქუა მათ: „მოვედით, შეიღნო, ხანციტისა მკვდრთა თანა, ძმათა თქუენთა, და ნებაჲ ურთიერთას შეზავეთ, რამეთუ შფოთი ივლტის ბრძენთაგან, და ერთობით უმჯობესი დაამტკიცეთ. ხოლო მე ვჰკონებ, უწინარეს აღშენებული ადგილი ემართლების მაშენებელსა თჲსსა უფროჲსსა პატივსა, ვითარცა მიხუცებული ემართლების ჭაბუკსა პატივით მსახურებასა“. 25

ხოლო შატბერდელთა ძმათა ჰრქუეს: „ქენმაროც არს ბრძანებაჲ შენი, წმიდაო მამაო, და უკუეთუმცა სამართალი არა მიგცემდა, ცხოველ არს უფალი და წმიდაჲ ლოცვაჲ შენი, არამცა მივეშუენით ძმათა ჩუენთა“. ესე რაჲ თქუეს და მსგავსა ამისი ჯერისაებრ, მაშინ ნეტაომან მამამან გრიგოლ ჰრქუა ყოველთა: „შეიღნო, ბრძანებამან კრისტს²წმინა² შეგუკრიბნა დღეს, რაჲთა სიმტკიცე ერთობისა და სიყუარულისაჲ აწ დაუმტკიცოთ მომავალთა ჟამთა ორთა ამით მონასტერთა შინა დამკვდრებულთა ძმათა შჯულად საუკუნოდ სიტყვსაებრ უფლისა, რომელ ჰრქუა მოციქულთა, ვითარმედ: „ანიო ცნან ყოველთა, რამეთუ ჩემნი მოწადენი ხართ, უკუეთუ იყუარებოდით ურთიერთას“*. და კუალად უბრძანა მათ: „რომელსა თქუენ გეტყჲ, ყოველთა ვეტყჲ“.*** აწ თქუენცა დაიმარხენით უფლისა ბრძანებანი ერთმანერთისა პატივითა და სიყუარულითა ყოველისა თანა სათნოებითა სიმდაბლითა უმეტეულითა და წმიდათა შინა ეკლესიათა თქუენთა ურთიერთას ულოცვედით. და მემცა გლახაკი, მარადის გაჲსოე [221] წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა, და ცნობასა თქუენსა კეთილად იხილგებოდეთ მახლობელთა და შორიელთაგან. და უკუეთუ ვიეთმე ძმათა სწადლოდის ყოფაჲ ხანციტელთა შატბერდს, გინა თუ შატბერდელთა ხანციტას, ნუ ვისმცა ზელ-ეწიდების არა შეწყნარე-

შდრ. * I ტომოთე 1,5. ** იოანე 13,35. *** მარკ. 13,37.

ნუსახაი: 1 ქ-ს. 2 ქ-ენო. 3 ქ-ემან.



და სურვიელად მოიკითხნეს ურთიერთას, და რამეთუ იყო ჯამი პურის-ქანისა, პურად ხოლო დახედეს. და შემდგომად პურის-ქანისა, განზრახეს მურ დადგომა ვიდრე ხელისადმდე. ხოლო მამამან მაკარი უზნობასა შინა იკითხა ნეტარისა გრიგოლისგან [223] ესრეთ: „უკუეთუ მწვალებელთა შეილი მოიქცეოდის მართლ-მორწმუნედ, ნათლის-ღებაჲ უკმსა ანუ არა?“

3 პრქუა მას წმიდამან მან: „მოციქული ძმა-მტყუერად მათ სახელ-სდებს*, რომელთაცა დრკუთა მათ მოძღუართა მათთა სახელი პრქვან. ხოლო ჭეშმარიტთა მორწმუნეთაგან წმიდათა მოციქულთა სახელის-ღებაჲ არა თავს-იდვა პავლე, არამედ აბრალებს და ეტყუხ: «რაასათუხ წვალებანი არიან თქუენ 10 მორის, რამეთუ კაცად-კაცადი თქუენი იტყუხ: მე პავლესი ვარ**», და შემდგომი ამისი. ხოლო მართლ-მადიდებელთა ყოველთა ქრისტიანე უწოდა. და აწ დალაკათუ მწვალებელთათუხ წერილიცა აჩინებს რომელთამე ნათლის-ცემასა და რომელთამე არა.

15 „ხოლო მე ამას ვიტყუ, ვითარცა ყოველთა უწყით, ჭეშმარიტთა ქრისტიანეთა შეილსა მწვალებელი მღღელი ვერ მოჰნათლავს, დალაკათუ უნათლავი მოკუდებოდის, რამეთუ ნათელი არა არს მათ თანა. და უნათლავისა სიკუდილი უმჯობეს არს, ვიდრე უმჯულოებაჲ მჯულისა გარდასლვითა. ეგრეთვე ჯერ და სამართალ არს ნათლის-ცემაჲ შეილსა ყოველთა მწვალებელთასა, დალაკათუ წვალებაჲ მათი თუხ-თუსად იხილვების, არამედ ურთიერთას 20 განთხზულ არს საცთურებით მსგავსად მელთა მათ, რომელთაჲ კუდი კუდსა შეუკიკუთა საფსონ და ლამბრები ყოველთა კუდებსა გამოაბა, რამეთუ სახე იყვნეს იგინი ყოველთა მწვალებელთა, რომელთაცა უკუანასკნელ საყოფელი მათი ცეცხლი არს საუკუნოჲ. რამეთუ უცხო [v] ქმნულ არიან წმიდისაგან დედისა ჩუენისა მხოლოასა კათოლიკე სამოციქულოასა ეკლესიისა. სტებიან 25 საშოთგან, რომელ საგონებელ არს მათთუხ მეორედ შობა. და იტყუან სიცრუეესა, რამეთუ მარადის ნაცილსა ქადაგებენ და ცილსა წამებენ შეჩუენებულნი იგი წმიდათა მამათა ჩუენთა მოძღუართა მიერ.

„და უკუეთუ კუალად შეილნი მწვალებელთანი კრებასა ლამოდინ, არ- 30 ლარა წეს არს მათთუხ, არამედ კრძალვაჲ და ყოლადვე სიტყუსა არა წარმოლდება მათ თანა კრებისათუხ. და რამეთუ მორწმუნესა, რომელსა სასწაულისა საქმე ვერ ძალ-უც, ურწმუნოთა თანა სიტყუს-გებაჲ არა უკმს და ოდეს მწვალებელთა ყოველთა პრქვან ერთი სახელი მწვალებელ, ცთომამცა მათი ერთად შემტკიცებულ არს მტრისა მიერ. ამისთუხ ყოველთაჲ ნათლის-ცემაჲ 35 ჯერ-არს, რაათა ცილობისა იჰუ დაჰკნდეს და ერთად იყოს სიხარული სრული ჭეშმარიტთა ქრისტეს¹ სამწყსოთაჲ“.

და ესევეთარი სიტყუაჲ მრავალი ბრძანა ნეტარმან გრიგოლ. ხოლო მამამან მაკარი პრქუა: „ჭეშმარიტად სამართალ არს ბრძანებაჲ შენი, წმიდაო მამაო, არამედ მაუწყე ცხადად წმიდისა სამებისათუხ სიტყუაჲ ღირსი სიტყუს-მგებელთა მიმართ“. ხოლო მან პრქუა: „ისწავე ესაიასგან, რამეთუ 40 თუ სერაბინთაგან ისწავა სწორი პატივი წმიდისა სამებისაჲ, რომელნიცა დაუდუმებელად კმობენ: «წმიდა არს. წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ», ხოლო გრიგოლ ღმრთისმეტყუელი იტყუს სამებისა სამ-გუამოენებისათუხ: «რაჲამს იყენენ სამნი სანთელნი სახლსა შინა, ვერ ეგების განყოფაჲ

* მდრ. ვალატ. 24. ** მდრ. I კორ. 11, 11-12. *** ესაია 63.

1 კ.ს.

ნათლისა მათისა და ვერცალა კუალად [224] შერევნა მათი». *ქართული*
 რწმუნობაა წმიდისა საიებისა.

„და «განძსა» წერილ არს ყოველი ჭეშმარიტებით და ამას იტყვს: «რამეთუ მამა ძესა არცა თუ თულისა წამითა არა უხუცეს არს». აწ ვითარცა გვსწავივს სიბრძნე წმიდათა წიგნთაგან, კმა არს მოძღურად შენდა ყოვლით ⁵ კერძო“.

ხოლო ნეტარმან მაკარი ჰრქუა მას: „წმიდაო მამაო, ვითარცა პირველ ხატი მონაზონებისაა ტელითა შენითა მომცა უფალმან, აწ ვგრეთვე სულიერი სწავლაა პირითა შენითა მომანიჭოს ზღუდელ ჩემდა უკუნისამდე“. და ვითარცა შემწუხრდა, ერთსა შინა სახლსა იყენეს სამნივე იგი ღმრთისა კაცნი და ¹⁰ წართქუნეს წესისაებრ ფსალმუნნი. ხოლო მაკარის ჰრულა და სარეცელსა ზედა მიეძინა.

Q.წ. მაშინ ნეტარი იგი მამა გრიგოლ და ზენონ სიტყვითა მდაბლითა ფსალმუნებდეს. და მადლმან საღმრთო მან განაბრწყინენა იგინი ნათლითა დიდებისაათა, და სახლი იგი ბნელი, ვითარცა მზისა მცხინვარებამან განა- ¹⁵ ნათლა. და ვითარცა განელეჯა მამასა მაკარის, თქუა: „ვითარცა საკრველად იხილვებინა წმიდანი ესე“. ჰრქუა მას მამამან გრიგოლ: „ძმაო მაკარი, რაჲსა გიკვრს ხილვაჲ ესე, არა გასმიესა წერილისა «საკრველ არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა»?“. და ესრეთ ჩხარებდეს სამნივე იგი სამებისა წმიდისა მადიდებელნი და წართქუნეს ცისკრისა საგალობელნი.

და ვითარცა განთენა მშვიდობისა სადგურთა მათ, ურთიერთას მშვიდობაჲ დაუტყვეს, და წარვიდა მამა მაკარი ობიზად, ხოლო მამა გრიგოლ და ზენონ აღვიდეს თჳსად მონასტრადვე. და რამეთუ ესე ზენონ მიწვეულ იყო სათნოებათა მოძღურისა თჳსისათა, რომლისათჳსცა იტყოდეს კაცნი შემდგომად ნეტარისა გრიგოლისა* [v] გარდაცვალებისა, ვითარმედ: „ზენონ არს ზღუ- ²⁰ დე მტკიცე კლარჯეთისა დიდებულთა უდაბნოთაჲ“.

Q.ბ. ხოლო ნეტარსა მამასა ჩუნესა გრიგოლს გულმან უთქუა განსლვაჲ ჯორცთაგან და ღმრთისა მისლვაჲ. და აუწყა უფალმან აღსრულებაჲ ნებისა მისისაჲ, ვითარცა თქუა დავით: «ნებაჲ მოწიშთა მისთაჲ ყოს უფალმან, ლოკვანი მათნი ისმინნეს და აცხოვნნეს იგინი»***. მაშინ უბრძანა ძმათა ³⁰ თჳსთა შესაქმე კერეონთა სანთელთაჲ შესაწირავად გარემო ყოველთა მათ მახლობელთა უდაბნოთა, რომელ არიან ობიზა და ფრთენი მისნი, ბერთაჲ და მახლობელნი მისნი, მიძნაძროჲ და წყაროჲს-თაჲ თანამკლრით მათით-ურთ. ხოლო შატბერდი, დალაკათუ სხუათა მათ უდაბნოთა მცირედ შორავს, არამედ განუყოფელად თანამომე არს მათი ერისა მის ღმრთისა სი- ³⁵ კეთითა და ყოველთავე საღმრთოჲსა მოძღურებისა წესითა და კანონითა მონაზონებისა შჯულის-დებისაათა. და ყოვლითავე კეთილისა საქმითა სწორად პატივემულ არს ღმრთისა მიერ და კაცთაგან, რამეთუ არს იგი სიქადულ ყოლადვე მახლობელთა მონასტრთა. მათ ყოველთა უდაბნოთა თანა-წარსცა კერეონები და შეუთუალა დღს იგი, რომელსა აღანთნენ და ლოკვა- ⁴⁰ ყონ მისთს.

Q.ბ. ხოლო მათ გულისკმა-ყვეს ჯამი იგი მიცვალებისა მისისაჲ ამიერ სოფლით, რამეთუ ვითარცა მიცვალებასა წმიდისა ღმრთის-მშობელისასა

* ფსალმ. 67, 36. ** კიდებე მინაწერია: „უფალო, შეიწყალე იონა. *** ფს 144, 19.



და სურვიელად მოიკითხნეს ურთიერთას, და რამეთუ იყო ჯამი პურის-ჭამისაჲ^{***} საჲ, პურად ხოლო დასხდეს. და შემდგომად პურის-ჭამისა, განაზრახეს მკურნალობა ვიდრე ხვალისდამდე. ხოლო მამამან მაკარი უბნობასა შინა იკითხა ნეტარისა გრიგოლისგან [222] ესრეთ: „უკუეთუ მწვალებელთა შვილი მოიქცეოდის მართლ-მორწმუნედ, ნათლის-ღებაჲ უკმსა ანუ არა?“

პრქუა მას წმიდამან მან: „მოციქული ძმა-მტყუვრად მათ სახელ-სდებს*, რომელთაცა დრკუთა მათ მოძღუართა მათთა სახელი პრქვან. ხოლო ჭეშმარიტთა მორწმუნეთაგან წმიდათა მოციქულთა სახელის-ღებაჲ არა თავს-იდვა პავლე, არამედ აბრალებს და ეტყუხ: «რამათჳს წვალეზანი არიან თქუენ შორის, რამეთუ კაცად-კაცადი თქუენი იტყუხ: მე პავლესი ვარ»**, და შემდგომი ამისი. ხოლო მართლ-მადიდებელთა ყოველთა ქრისტიანე უწოდა. და აწ დაღაცათუ მწვალებელთათჳს წერილიცა აჩინებს რომელთამე ნათლის-ცემასა და რომელთამე არა.

„ხოლო მე ამას ვიტყუ, ვითარცა ყოველთა უწყით, ჭეშმარიტთა ქრისტიანეთა შვილსა მწვალებელი მღდელი ვერ მოპნათლავს, დაღაცათუ უნათლავი მოკუდებოდის, რამეთუ ნათელი არა არს მათ თანა. და უნათლავისა სიკუდილი უმჯობეს არს, ვიდრე უმჯულოებაჲ მჯულისა გარდასლეთი. ეგრეთვე ჯერ და სამართალ არს ნათლის-ცემი შვილსა ყოველთა მწვალებელთასა, დაღაცათუ წვალეზანთა თჳს-თჳსად იხილვების, არამედ ურთიერთას განთხზულ არს საცთურებით მსგავსად მელთა მათ, რომელთაჲ კუდი კუდსა შეუიკცუა საფსონ და ლამპრები ყოველთა კუდებსა გამოაბა, რამეთუ სახე იყენეს იგინი ყოველთა მწვალებელთა, რომელთაჲცა უკუანაძსენელ საყოფელი მათი ცეცხლი არს საუკუნოჲ. რამეთუ უცხო [v] ქმნულ არიან წმიდისაგან დედისა ჩუენისა მხოლოსა კათოლიკე სამოციქულოსა ეკლესიისა. სტებიან² საშობაგან, რომელ საგონებელ არს მათთჳს მეორედ შობა. და იტყუან სიცრუესა, რამეთუ მარადის ნაცილსა ქადაგებენ და ცილსა წამებენ შეჩუენებულნი იგი წმიდათა მამათა ჩუენთა მოძღუართა მიერ.

„და უკუეთუ კულად შვილნი მწვალებელთანი კრებასა ლამოდინ, არღარა წეს არს მათთჳს, არამედ კრძალვაჲ და ყოლადვე სიტყუასა არა წარმოღებაჲ მათ თანა კრებისათჳს. და რამეთუ მორწმუნესა, რომელსა სისწავლისა საქმე ვერ ძალ-უც, ურწმუნოთა თანა სიტყუს-გებაჲ არა უკმს და ოდეს მწვალებელთა ყოველთა პრქვან ერთი სახელი მწვალებელ, ცთომიაცა მათი ერთად შემტკიცებულ არს მტერისა მიერ. ამისთჳს ყოველთაჲ ნათლის-ცემი ჯერ-არს, რამათა ცილობისა იკჳ დაპჳნდეს და ერთად იყოს სხარული სრული ჭეშმარიტთა ქრისტის¹ სამწყსოთაჲ“.

და ესევეთარი სიტყუაჲ მრავალი ბრძანა ნეტარმან გრიგოლ. ხოლო მამამან მაკარი პრქუა: „ჭეშმარიტად სამართალ არს ბრძანებაჲ შენი, წმიდაო მამაო, არამედ მაუწყე ცხადად წმიდისა სამებისათჳს სიტყუაჲ ღირსი სიტყუს-მგებელთა მიმართ“. ხოლო მან პრქუა: „ისწავე ესაიამსგან, რამეთუ სერაბინთაგან ისწავა სწორი პატივი წმიდისა სამებისაჲ, რომელნიცა დაუღუემებლად კმობენ: «წმიდა არს. წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბათო», ხოლო გრიგოლ ღმრთისმეტყუელი იტყუს სამებისა სამ-გუამოვნებისათჳს: «რამეს იყენენ სამნი სანთელნი სახლსა შინა, ვერ ეგების განყოფაჲ

* შდრ. გალატ. 2,4. ** შდრ. 1 კორინ. 1,11—12. *** ესაია 6,3.

1 კ-ს.

ნათლისა მათისა და ვერცალა კულად [224] შერევნა მათი». ქართული
ენების

რწმუნობაა წმიდისა სამებისა.

„და «განძსა» წერილ არს ყოველი ჭეშმარიტებით და ამას იტყვს: «რამეთუ მამა ძესა არცა თუ თულისა წამითა არა უხუცეს არს». აწ ვითარცა გვსწავიეს სიბრძნე წმიდათა წიგნთაგან, კმა არს მოძღურად შენდა ყოვლით 5 კერძო“.

ხოლო ნეტარმან მაკარი ჰრქუა მას: „წმიდაო მამაო, ვითარცა პირველ ხატი მონაზონებისა კელითა შენითა მომცა უფალმან, აწ ეგრეთვე სულიერი სწავლა პირითა შენითა მომანიჭოს ზღუდელ ჩემდა უკუნისამდე“. და ვითარცა შემწუხრდა, ერთსა შინა სახლსა იყენეს სამნივე იგი ღმრთისა კაცნი და 10 წართქუენს წესისაებრ ფსალმუნნი. ხოლო მაკარის ჰრულა და სარეცელსა ზედა მივინა.

Q.წ. მაშინ ნეტარი იგი მამა გრიგოლ და ზენონ სიტყვითა მდაბლითა ფსალმუნებდეს. და მადლმან საღმრთოზან განაბრწყინნა იგინი ნათლითა დიდებისაათა, და სახლი იგი ბნელი, ვითარცა მზისა მცხინვარებამან განა- 15 ნათლა. და ვითარცა განელჯა მამასა მაკარის, თქუა: „ვითარ საკვრველად იხილვებინა წმიდანნი ესე“. ჰრქუა მას მამამან გრიგოლ: „ძმარ მაკარი, რაჲსა გიკვრს ხილვაჲ ესე, არა გასმიესა წერილისა «საკვრველ არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა»?“ და ესრეთ ჩხარებდეს სამნივე იგი სამებისა წმიდისა მადიდებელნი და წართქუენს ცისკრისა საგალობელნი. 20

და ვითარცა განთენა მშუდობისა სადგურთა მათ, ურთიერთას მშუდობაჲ დაუტევეს, და წარვიდა მამა მაკარი ოპიზად, ხოლო მამა გრიგოლ და ზენონ აღვიდეს თჳსად მონასტრადვე. და რამეთუ ესე ზენონ მიწვეულ იყო სათნოებათა მოძღურისა თჳსისათა, რომლისათჳსცა იტყოდეს კაცნი შემდგომად ნეტარისა გრიგოლის* [v] გარდაცვალებისა, ვითარმედ: „ზენონ არს ზღუ- 25 დე მტკიცე კლარჯეთისა დიდებულთა უდაბნოთა“.

Q.ბ. ხოლო ნეტარსა მამასა ჩუენსა გრიგოლს გულმან უთქუა განსლვაჲ გორკთაგან და ღმრთისა მისლვაჲ. და აუწყა უფალმან აღსრულება ნებისა მისისაჲ, ვითარცა თქუა დავით: «ნება მოშიშთა მისთაჲ ყოს უფალმან, ლოკვანი მათნი ისმინნეს და აცხოვნნეს იგინი»***. მაშინ უბრძანა ძმათა 30 თჳსთა შესაქმე კერეონთა სანთელთაჲ შესაწირავად გარემო ყოველთა მათ მახლობელთა უდაბნოთა, რომელ არიან ოპიზაჲ და ფრთენი მისნი, ბერთაჲ და მახლობელნი მისნი, მიძნაძროჲ და წყაროჲს-თაჲ თანამკვდრით მათითურთ. ხოლო შატბერდო, დალაკათუ სხუათა მათ უდაბნოთა მცირედ შორავს, არამედ განუყოფელად თანამომე არს მათი ერისა მის ღმრთისა სი- 35 კეთითა და ყოველთაჲ საღმრთოჲსა მოძღურებისა წესითა და კანონითა მონაზონებისა შჯულის-დებისაათა. და ყოვლითაჲვე კეთილისა საქმითა სწორად პატივცემულ არს ღმრთისა მიერ და კაცთაგან, რამეთუ არს იგი სიჭადულ ყოლადვე მახლობელთა მონასტერთა. მათ ყოველთა უდაბნოთა თანა-წარსცა კერეონები და შეუთულა დღე იგი, რომელსა აღანთნენ და ლოკვა- 40 ყონ მსთჳს.

Q.ბ. ხოლო მათ გულისკმა-ყვეს ჭამი იგი მიცვალებისა მისისაჲ ამიერ სოფლით, რამეთუ ვითარცა მიცვალებასა წმიდისა ღმრთის-მშობლისასა

* ფსალმ. 67,36. ** კიდებე მინაწერია: „უფალო, შეიწყალე იანა. *** ფს 144, 19.



მოიწია გუნდი წმიდათა მოციქულთაჲ კიდეთაგან ქუეყანისაჲსა, ვინაჲსაჲ წმიდანი მამანი შემოკრბეს ჟამსა მას დროესა დღისა მისისასა პატივად ნეტარისა მის მოხუცებულისა და რაჲთა იკურთხნენ მის მიერ. ხოლო იგი სისარულთა აღიესო ხილვითა მათითა, და ქრისტესმიერთაჲ კურთხევითა აკურთხნა ყოველნი და პრქუა მათ: „მოგეცინ უფალმან შრომისა თქუენისა სასყიდლოი, რომელმანცა ბრძანა: „უძლურ ვიყავ და საპყრობილესა, და მოხუდით ჩემდაჲ,“ რამეთუ მე აწ ესერა ჯორცთა საპყრობილით განვალ და უძლურებისაგან განვთავისუფლდები მადლითა ღმრთისაჲთა, რომელმანცა ჯუარითა სიკუდილი დთრგუნა და ავაზაკისა თანა ყოველთა მორწმუნეთა წმიდაჲ ჯუარი თუნი მიანიჭა წინამძღურად და ანგელოზთა თანა წმიდათა ნიშად ქრისტეანობისა ბეჭედი იგი სამეფუთჲ, რომელიცა აქუს სულსა მორწმუნეთა კაცთასა საფარველად სამარადისოდ და საცხოვრებლად.

მანინ პრქუეს ყოველთა მათ მამათა ნეტარსა გრიგოლს: „წმიდაო ღმრთისაო, ბრძანებათა მათებრ ქრისტესთა“ ნეტარებისა საქმეთა მათ სა-
 15 მკვდრებელო, ნებისთ გლახაკო სულითა მით სიმდაბლისაჲთა სასუფეველისა დამკვდრებისათჲს, მგლოვარეო გულითა საუკუნოდ ნუგეშინის-ცემისათჲს, მწვლი გონებითა, სამოთხისა სიკეთესა მომლოდებელო, სიმართლისათჲს მშინ-
 20 ერო და წყურთელო, და ტკიბისა მას საზრდელსა ქუეყანასა მოუკლებელსა ღირს-ქმნულო, მოწყალეო გლახაკთაო, განუშორებელ არს შენგან მარადის წყალობაჲ ღმრთისაჲ.

„წმიდაო გულითა და სულითა შენითა, ყოლადვე ღმრთის-მხილველო, მწვდობის-მოქმედო ძმათა ძორის და მკვდობასა წმიდათა ანგელოზთასა მი-
 წვეწულო შეილ ღმრთისა წოდებითა, დვენათა და ჭირთა ღმრთისათჲს თავს-
 25 მდებელო ქრისტესს“ თანა მკვდრ-ყოფისათჲს, უუდრებულთათჲს ქრისტესათჲს ნავთასდგურო და მხრუნველო ცხოვრებისათჲს ჩუენისა სამარადისისა [V] მას ცხოვრებასა. შენ გიხაროდენ და მხიარულ იყავ, რამეთუ სასყიდლი შენი დიდ არს ცათა შინა, რამეთუ შენ, მსგავსად მოციქულისა პავლეს მართლი-
 30 სა, ლუაწლი კეთალი მოგილუაწებიეს, სრბაჲ აღვისრულებიეს, სარწმუნოე-
 ბაჲ დაგიმარბავს საქმითა კეთილითა განსრულებულთა. ამიერითგან მიგელის
 35 სიმმართლისა იგი ვკოვზნა, რომელი მოგანიჭოს მიუფემან შრომათა წილ შენ-
 თა წმიდათა.

„არამედ ნუ დამივიწყებ ჩუენ, სულიერად შეილთა შენთა. მი-რაჲ იწიო წინაშე პირსა სახიერისა, მოწყალისა და მწყალობელისა ტკიბისა უფლისა-
 35 სა, მომიტყენენ სამწყსონი შენნი და ნუ დაიდუმებ მოლუაწებასა ჩუენთჲს ქრისტესს¹ მიმართ, რამეთუ ყოლადვე ძალ-გიც შეწვენაჲ ყოველთაჲ, რომელნი
 ლოცვათა შენთა ესვენ და მეოხებასა შენსა მოივლტანა“. ხოლო წმიდამან მან პრქუა მათ: „დაღაცათუ თავი ჩემი განუშაადე უფალსა და სიყრმითგან ჩემით მსგავსად ცალისა ვშუერ, ხოლო უჯროას არს პატივი სიტყუათა თქუ-
 40 ენთაჲ, ქრისტესს²-მსახურნო ნამანო, არამედ ღმერთი გულს-მოადგინებასა ეციეს კაცთაგან და მიანიჭებს ნაცვალად სასუფეველსა მორჩილთა მისთა. და მეცა მომბადლოს მკვდრ-ყოლაჲ ნების-ყოფელთა თანა მისთა ლოცვითა თქუენ ყოველთაჲთა. ხოლო თქუენ გეგსენენ კრწალულებაჲ ჩემი მოთმინებით ნონაზონებისა მიმართ, რომელიცა იხილეთ, ვინაჲთგან დავემკდრე თქუენ

* მდრ. მათე 25,36; მათე 25,43.

ნუსხაშია: ¹ ქს ბრითა. ² ქსთა. ³ ქს. ⁴ ქსთს. ⁵ ქს. ⁶ ქს

შორის ვიდრე აქამომდე, რამეთუ ესრეთ ჯერ-არს იცებდა სასულიერო ცხოვრებასა და ჩემთვის ლოცვა[სა] ჰყოფდით, რაათა მომეცეს მადლი წინაშე ღმრთისა შეწევნად თქვენდა, შენწეთა ჩემთა, უფლისა მიერ*.

Q. მ. მაშინ პრეტუ ხანციფის შინა მყოფთა ემათა: „შვილნო, რომელი [226] მცნებდა პირველთაგან გესმა ჩემგან, სულსა თქუენისა საცხოვრებლად და იმარხეთ და ჰყოფდით მარადის საცნებელსა ჩემსა.

„და მე, უკუეთუ ეპოვო კანდიდობა წინაშე ქრისტესა¹, უხუებდა კეთილთა მისთა არა დაგაკლდეს ორსავე სოფელსა. ხოლო ამას გამცნებ აწ ჯუარცთა ქრისტესითა², რაათა ჯორცი ჩემნი დაჰმარხნეთ იმათა ჩემთა თანა, რამეთუ არა უნჯობეს ვარ ემათა ჩემთა სათნოებთა მოგებითა. ამისთვის უცვლელთა გვედრები, ნუ სადა დანიციწყებთ ლოცვისა თქუენსა ღმრთისა მიმართ ყოლადვე მლოცველსა თქუენსა და აწ ვედრებისა შემწირველსა თქუენთვის ქრისტეს³ მიმართ საუკუნოდ.

„მომიჯსენეთ მარადის ლოცვითა და გამისწირვითა სიკუდილით უცხოქმნული თქუენგან, იხილოთ რაა ადგილი წწირობისა ამის მკვდრობისა ჩემი. 15 საა, რამეთუ ამა ესერა ვიდრე ეამდრდე კვალად წოდებისა ჯორცი ჩემნი ნიქცევანი მწად, ხოლო სული ჩენი შეიწყნაროს უფალმან“.

II. და ამით რაა სიტყუათა იტყუა ნეტარი გრიგოლ, მაშინ ნათლითა მიუწოდნელითა შენიკოა შეუნიერად ხილვია ისი ბრწყინვალედ ქრისტეს⁴ მიერ. რამეთუ მანაკი ანგლოზთა უფლისათაა გარე მოადგა მას და პატიო- 20 სანთა საკუმეველთა სულწელებამან აღავსო ყოველი იგი ერი კრებული მამათა. და რამეთუ აქუნდა ჩუეულბაა ზეცისა წმიდათა მთავრობათა ხილვისაა სულსა მას მართალსა და აწ მათგანვე სიხარულისა ემა ესე: „ნუ გეშინინ წოლვად ჩუენ თანა, მსახურო ქრისტესო⁵, სანატრელო, რამეთუ ქუეყანისა ანგლოზსა და ზეცისა კაცსა გიწესს შეუფც ცათა ქრისტე. აწ მოვედ 25 სიხარულით და უფლისა შენისა თანა იხარებდ დაუსრულებელად, რამეთუ ნეტარ ხარ შენ შორის კაცთა ნეტარსა მას დიდებასა [v] დამკვდრებად განმზადებული და მხიარული საუკუნოდ“. ხოლო ესე სიტყუანი ესმოდეს რომელთაჲ მოწაფეთა მისთა, არამედ ხილვია იგი დიდებული ყოველთა იხილეს. მაშინ ნეტარმან მან სრულიად განიხარა მიუძღავერებელი იგი სიხარული და 30 ჯუარი დასწერა თუსსა მას მონასტერსა და მმანი თუსნი აკურთხნა საუკუნოათა კურთხევითა ყოველთა თანა ქრისტეს⁶ მორწმუნეთა და თქუა: „ნუფყო ქრისტე, ვინათგან თუთ თავადმან იგნე და გამოიციადე, ცალ-გიც მათდაცა შეწევნად, რომელნი-იგი გამოიციადებოდინ მახეთაგან და საცთურთა მტეოისათა, რამეთუ ქრისტეანეთა შეწვე შენ ხარ, უფალო, დაიფარენ მარჯუენითა 35 შენითა მოსავნი წმიდისა სახელისა შენისანი და ბოროტისაგან იცსნენ და მიეც მათ სიხარული უოხჰნოა. ხოლო მე, მონაა შენი, მაცხოვრე სასუფეველსა შენსა და წყალობით მომიჯსენე სუფევეითა შენითა“.

III. და ესრეთ შეჰვედრა სული უფალსა და შეერთო ანგლოზთა კრებულსა, რამეთუ უჯორციანი ანგლოზნი და სულნი კაცთანი ერთ-ბუნება 40 არიან და სულსა კაცისასა აქუს მეტყუელებაა ანგლოზებრი. დადაცათუ ჯორციელთა ენათა დაცხრომისათუს იტყუს დავით: «მას დღესა შინა წარწყმდიან ყოველნი ზრახვანი მათნი»*, არამედ იგივე იტყუს წმიდათა სულები-

* ფსალმ. 145, 4.

ნუსაზია: 1 ქუსა. 2 ქსითა. 3 ქუს. 4 ქს. 5 ქსო. 6 ქს.



სათჳს, ვითარმედ: «იქადიან წმიდანი დიდებითა, იხარებენ საცხენებელთა ზე-
და მათსა»,* და მეოხებასა ჰყოფენ ქრისტეს¹ მიმართ მადიდებელთა მათ-
თათჳს.

რამეთუ ვიდრე განშჯადმდე ცოცხალთა და მკუდართა ილუწიან მგელ-
რებელთა ჯორციელთა კაცთათჳს მორწმუნეთა და მოელიან სრულსა მას სიხა-
რულსა და მხიარულებასა აღთქმისაებრ მეუფისა მათისა, რაჟამს დიდებისა-
გან უდიდებულესსა დიდებასა დაეკვდრნენ უფლისა დიდებით მოსლვასა.
ხოლო რჩეულთა შეკრებაჲ ოთხთაგან [227] ქართა ცისათა კიდიტგან ცი-
საათ ვიდრე კიდემდე ცისა ესე არს, რამეთუ ქართა, ვითარცა ეტლითა,
10 შეკრბნეს ქრისტემან წმიდანი თჳსნი წინაშე მისსა სიხარულად და შეუბად
საუკუნოდ, ოდეს-იგი თითოეული მათი ნაშრომსა თჳსსა უჩუენებდეს უფალსა
და ნაცვალად მიაქუნდეს სიმდიდრე დაუღვენელი.

24. მაშინ, ნეტარო მამაო, ახალი იგი ქრისტეს² მოწამე იოვანე სანა-
ტრელი, ხანციტით იერუსალმად³ მიწვენული და სარკინოზთა ჯელითა ბად-
15 დადს ქრისტესთჳს⁴ მოკლული, და სასწაულითა ბრწყინვალე, იხარებდეს
რწეულთა თანა შეილთა შენთა, რაჟამს წარუდგინებდე მათ ქრისტესა⁵. მას
ჟამს არაჲ-მე იყოს ჩუენ უდებთათჳს ნუგეშინის-ცემა, რომელნი წოდებულ
ვართ შენდა მოწაფედ, რამეთუ განკმელ არს სიყუარული ურთიერთას და
ყოველი კეთილისა საქმე შემციობებულ არს და დაკლებულებაჲ აღორძინე-
20 ბულ!

არამედ შემდგომად ღმრთისა მოწყალებათა და ყოველთა წმიდათა მეო-
ხებისა ლოცვათა შენთა მიმართ არს სასოვებაჲ ჩუენი, წმიდაო მამაო! შეიწი-
რე სარწმუნოებაჲ ჩუენი, ღირსო, რამეთუ შენ უწყი სიყუარული ჩუენი. და-
ღაცბათ არა გჯილავ ჯორციელად, ნუ დამიფიწყებ ჩუენ, არამედ იყვენ მად-
25 ლი შენი შემწე ჩუენდა წმიდათა უდაბნოთა შენთა შინა დამკვდრებულთა და
ყოვლისა ერისა, რაჲთა ვიპოვნეთ შენ თანა სიხარულისა მის წარუვალისა
ცხოვრებასა.

აწ, საყუარელნო ქრისტეს⁶ მორწმუნენო, ჩუენცა გვღირს ყოველთა
გულს-მოდგინებაჲ მსგავსად ძალისა საქმედ კეთილისა მოწყალებასა თანა
30 ღმრთისასა და წმიდათა მეოხებასა, რაჲთა ღირს ვიქმნეთ ცოდვათა შენდო-
ბასა და დიდსა წყალობასა საუკუნოდ.

25. [v] ხოლო იყო გარდაცვალებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგო-
ლისი რიცხუსა წელიწადთა მისთასა ას და მეორესა წელსა, ქრონიკონსა
ოთხმოც და ერთსა. არამედ გარდაცვალებითგან მისით დაიწერა ცხოვრებაჲ
35 ესე მისი შემდგომად ოთხმოც და ათისა წლისა, დასაბამითგან გარდასრულ-
თა წელთა ექუს ათას ხუთას ორმოც და მეათოთხმეტესა წელსა, იერუ-
სალმის⁸ პატრიარქობასა აგათონისსა, მცხეთას კათალიკოზობასა მიქელისსა,
ქართველთა ზედა მთავრობასა აშოტ კურაპალატისსა, ძისა ადარნერსე ქართ-
ველთა მეფისსა, აფხაზთა ზედა მეფობასა გიორგისსა, ძისა კოსტანტი მეფი-
40 სისა, ერისთავთა-ერისთავობასა სუმბატისსა, ძისა ადარნერსე მეფისსა,
მაგისტროსობასა ადარნერსესსა, ძისა ბაკრატ მაგისტრონიასსა, ერასთავო-
ბასა სუმბატისსა, ძისა დავით მამულისასა. ქრისტემან დიდებაჲ უოხქნო მათ
ყოველთა მიანიჭენ!

* ფსალმ. 149, 5.

ნუსხაშვი: 1 ქს. 2 ქეს. 3 იმშდ. 4 ქსთს. 5 ქსა. 6 ქს. 7 25. 8 იმშა

ხოლო ეამსავე მას იყო ანჩს ებისკოპოსი მაკარი, და ნეტარისა მამისა გრიგოლის შენებულთა მათ მონასტერთა იყვნეს მამასახლისნი ნათესავით დიდთა აზნაურთა შვილნი: ხანცთას—მამა თევდორე, დის-წული მცხუელაძე-სა, და შატბერდს—მამა გრიგოლ, ძე ლიპარიტისი, სახელითა დიდისა მამისა გრიგოლისითა შემკობილი. ქრისტემან სრულიად შეამკვენ მადლითა მისითა და განამართლენ წინაშე მისსა საუკუნოდ!

ხოლო ხანციისა წინამძღურისა და იოვანე ძმისა მისისა და წიგნისა ამის აღმწერელისა გიორგი მერჩულისა, სამთავე ამით ერთად გულს-მოდგინებთა [228] დაიწერა ხანცთას შინა ნეტარისა გრიგოლის ცხოვრება ესე. ქრისტემან წიგნსა მას ცხოველთასა დაწერენ ივინი და სრულიად წყალობა-ყავნ ყოველთა მორწმუნეთათჳს, რაათა გულისგმა-ყონ საღმრთოთა ნიჭი ქუეყანისაჲცა ზეცისასა თანა.

რამეთუ ეკლესიასა შინა ერთი წიგნის მკითხველი მცირეთა მსმენელთა და მრავალთათჳს სწორად კმა არნ, და ეგრეთვე უკუეთუ ერთი იკურთხევიან ანუ მრავალნი—მაკურთხეველი იგი ერთი კმა არნ, რამეთუ მოუკლებელ არიან კეთილნი იგი ქრისტესნი! ჩუენდა მომართ და მადლი წმიდათა მეოხებისაჲ.

უწუ რომლისათჳსცა დღეს ჰსენება ნეტარისა მამისა გრიგოლისი იყავნ მარადის ჩუენდა სასო და აესავედრებელ სულისა და ჯორცთა და ყოველთა მართალთა შორის დასსა მას მონაზონთა ერისთავისა მამისა ჩუენისა დიდისა ანტონისსა ნათელსა შინა დაულაძებელსა, ვითარცა თქუა სილომონ: «ნათელი მართალთა ზედა მარადისა»*, და კუალად იტყჳს: «ხოლო სულნი მართალთანი ჰელთა შინა ღმრთისათა ცხოველ არიან».** და განათებულ მზისა მისგან სიმართლისა ცათა-დაუტყვენელისა და ქალწულისა საშოსა დატყვენულისა გამოუთქუმელად და ჩუენდა ცხოვრებად გამობრწყინებულისა ნათლისა მის დაუსაბამოსა ქრისტეს² ღმრთისა ჩუენისა, რამეთუ არაჲ შეუძლებელ არს მის წინაშე, რომელმანცა მისცა ქმნულსა თჳსსა მზის-თუალსა ამას ესე-ვითარი ბრწყინვალეობა, რომელ ყოველსა ხილულსა მიეფინების და განანათლებს ნათლითა მისითა. და მანვე ყოველისა შემძლებელმან ღმერთმან მისცა მადლი ჰელმწიფებისაჲ ყოველთა წმიდათა მისთა და ჩუენთჳს ვედრებასა ჰყოფენ მოუკლებელად მისსა მიმართ. ამისთჳსცა ჰსენება მათი ჰებით აღესრულების და დღესასწაულისა მათისა შენამკობელთა [v] ჰფარვენ მარადის და განანათლებენ სულთა მათთა, და მადლსა მიანიჭებენ ყოველთა მორწმუნეთა, ქენიანთგან ძალ-უც შეწევნაჲ სარწმუნოებით მვედრებელთაჲ მათ თითოეულსა მათგანსა და მარადის მეოხ არიან ჩუენთჳს წინაშე წმიდისა სამებისა, დამბადებელისა ყოველთაჲსა, რომლისაჲ არს ძლიერება, დიდება და დიდად შეუნიერება და სუფევა დაუსაბამო და დაუსრულებელი, და მისსა შეუენის ბატონი და ჰებით თაყუანის-ცემაჲ ეამთა უკუნისამდე და მერმეთა მათ საუკუნეთა, ამენ.

უწუ პირველ ყოფილი ესე სასწაული გუესმა ბერთაგან ჩუენთა, ვითარმედ ეამსა მამისა გრიგოლის მოწფისსა³ ხანცთას ეტჳფანეს მამობისასა იყო ვინმე კაცი მდიდარი ანჭკორას და სახელი მისი წერტა. და აწ რომელ წერტაჲსნი ჰრქჳან, თხათა მისთა სადგური ყოფილ არს. და მას ესუა ასული,

* იგაე. 13,9. ** შდრ. სიბრძნე სოლ. 3,1.

ნუსხაშია: ¹ კესნი. ² ქს. ³ მოწაფისასა (ჯერ ყოფილა: „მოწფისასა“ „ა“ მერმეა ჩამატებული).



შობილთაგან ყრულ და უტყვ. ხოლო ჰასაკითა მრთელი. და ვითარცა ¹ ~~ბაქანციქლისა~~ ~~წლისა~~ იყო ქალი იგი, დედისა მისსა ჩუენებით ძილსა შინა გამოეცხადა ღირსი ეტჳფანე და ჰრქუა: „ხანციას ჟამის-წირვისა ჩემსა ხვალე მოავლინე კაცი და ჳელთა ჩემ. ეტჳფანესთა ნაბანი მოვსცე შენდა და ასუ იგი ასულსა 5 მენსა და სცხე თავსა მისსა და განჳურნოს იგი ქრისტემან ვნებათა მისთაგან მადლითა ყოველთა წმიდათათა“.

ხოლო მორწმუნემან მან დედაკაცმან არა აუწყა ქმარსა თჳსსა ჩუენებაჲ იგი, რამეთუ მას ჟამსა კაცი იგი მონაზონთათჳს მკსინვარედ იყო. და იღუ- 10 მალ წარავლინა კაცი. ხოლო ნეტარმან ებიფანე უფლისა მიერ იცოდა, რაჲ იგი ყოფად იყო, და მისცა კაცსა მას ჳელთა თჳსთა ნაბანი, და მი-რაჲ იწია დედაკაცმან მან სარწმუნოებითა მტკიცითა, სცხოველოვია იგი უსისლოჲსა მსხუერპლისაჲ [229] ღირსად შემწირველისა მღდელისა[ა] ასულსა თჳსსა. ხოლო მას დაეძინა სამ დღე და სამ ღამე და რაჟამს განელჳდა, თქუა: „დიდებაჲ 15 ღმერთსა, დიდებაჲ წმიდასა სამებასა, რომელმან ლოცვითა ნეტარისა მამისა ეტჳფანესითა განმჳურნა და მიტსნა მე ეშჳკისაგან“.

და ვითარცა იხილა სასწაული ესე წერტა, მამამან მისმან, განკრვებული სიხარულითა სავსე წარვიდა ხანციად. და ვითარ საჩინოსა უდაბნოჲსასა მიიწია. გმა-მალლად ტი- 20 როდა პირველსა მის წარმდებებისა მისისათჳს. მაშინ მამამან ეტჳფანე სიხარულით და ნუგეშინის-ცემით მოიკითხა და ფრიად პატივ-სცა ძალისაებრ.

ხოლო წერტა დიადი შესაწირავი მიუძღუანა და შეწირა წინაშე წმიდისა მთავარ-მოწამისა გიორგისა და ჰმადლობდა ქრისტესა საკრველთ-მოქმედსა და მონასა მისსა ეტჳფანეს. რომლისა ლოცვითა სრულიად სიხარული მიეფი- 25 ნა. ხოლო ასული იგი მისი კეთილად ცხონდა ამას საწუთროსა და საუჳუნოდ. და ჩუენთჳსცა უფალმან სრულიად წყალობა ყავნ ოხითა ყოველთა წმიდათა მისთათა.

უწი. ხანციას მკადრი გაბრიელ მოძღუარი, ფრიად მოღუაწე ნეტარი წმიდაჲ მამაჲ, გჳთბრობდა იგი მამისა ბასილისსა, ვითა ზმედ მრავალთა წელ- 30 თა მამასახლისობასა მისსა ხანცითა, ესე იყო კანონი მისი.—ოდეს შანა არს, ტრაპეზისაგან კიდე საზრდელსა არარას მიიღებდა, არცა ჳამაღსა, არცა სასუმელსა. ხოლო ჟამსა სნეულებისა მისისაჲ, რომლითა გარდაიცვალა წინამძღურობასა შინა მისსა, მრქუა: „შვილო გაბრიელ, საოსტიგნით ცხელი საჳმელი კორკოტისაჲ მომართუ“. და მაშინ არა ეგზო, სხუაჲ შევაგბე და მივართჳ, რამეთუ მრავალთა დღეთა არარასა გემო-ეხილუა. და ვითარ ცნა, ვითარმედ მას [v] დღესა საეროდ იგი საჳმელი არა ყოვილ არს, მაშინ, 35 რომელი-იგი მიმელა, შუოთით დასთხია და ორსხვით მრქუა მე: „რად სცეთ, საწყალო, და მე მაცოუნებ?“ ხოლო მე მიშით მეკინდვე და ვჳკოთხე მიზეზი ფრიად მოგინებისაჲ.

ხოლო მან მრქუა: „შვილო, სიჳბუჳკესა ჩემსა მამისა ვრიგოლის საგე- 40 დარსა ვხედვდდი და მამასა ჩემთჳს ჳორციელსა საურავსა ვაწყინებდი. ხოლო მას ღმერთისა კაცსა წინაწარმეტყუელებასა მადლი აქუნდა ქრისტესაგან¹ და ესრეთ მიბრძანა: „ბასილო, მოკლედ შენ ხანციას მამასახლისად დასდგები, და აწ რომელსა იურვი, მერმე ვითარი გინდეს სამოსელი და აგებელი, გა- 45 ქუნდეს!? ხოლო მოხუცებული, სულიერად მამაჲ შენი, აწვე გ² კნებ და ჯუა-რითა ქრისტესითა² ჯუარსა დაგწერ: ოდეს ესე სიტყუაჲ ჩემცა აქმით იქმნას,

ნუსხაშია: 1 ქვისგან. 2 ქვისითა.



ხანტას შინა რაა იყო, ყოველსა ჯორცთა საღუაწლსა ტრაპეზსა სხუაგან რაა იყო, იგი პატივი შენ ჯორცთა შეუბად გეყოფისო.

და აწ მრავალთა წელიწადთა ჩემსა მამასახლისობასა კანონი მამისა ჩემისაა საქმით აღმისრულებიეს. ხოლო შენ სიკუდილისა ჩემისა ქამსა ურჩევისა პატივსა შთამაგდებდი, ამისთვის განვრისხენ შენ ზედა. და მე კუალად-ცა შეუვრდი და დამიკურდა ფრიადი იგი მოთმინებაა მისი. ხოლო მამამან ბასილი მაკურთხა ყოველთა კურთხევითა და მრქუა: „კურთხეულ იყავ უფლისა მიერ შენ და ყოველი ერი მართლმორწმუნე ოსითა წმიდისა ღმრთის-მშობელისაათა და წმიდისა გიორგისითა და ყოველთა წმიდათაათა, ანენ“.

[244] ოქტომბერსა :კო: 10

ცნობებამ და მოქალაქობამ ღმერთ ზემონილისა ნებარისსა მამისსა ჩუშენისამ სერაპიონისი

გუაკურთხენ, მამაო!

I. ფრიად უკუე შეუნიერისა და მრავალ-საწადელისა და საღმრთოასა ქებისა და ბრწყინვალედ შესხმისა ღირს არიან მოყუარენი ღმრთისანი და აღმასრულებელნი საღმრთოთა მცნებათა მისთანი. რამეთუ თავადი მეუფე და ღმერთი ჩუენი პნატრის მით ბრძანებათა შინა სახარებისათა, იტყოდეს რაა: „ნეტარ იყვენ გლახკნი სულითა“* და შემდგომითი: „შემდგომად სხუანი იგი ყოველნი ნეტარებანი. ხოლო დასასრულსა ვითარცა ნიჰსა რასმე და გვრგვანა ბრწყინვალესა წინა უყოფს და სასყიდლად წრომითა მიამადლებს და ეტყვს: „გიხაროდენ და მზიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი დიდ [არს] ცათა შინა.“** და სხუასა ადგილსა იტყვს: „ამას ზედა ნუ გიხარის, რამეთუ სულნი ბოროტნი დაგემორჩილებიან, არამედ გიხაროდენ, რამეთუ სახელები თქუენი აღწერილ არს ცათა შინა.“*** და კუალად მამაა ღმრთისაა დავით იტყვს: „ამისთვის განიხარა² გულმან ჩემმან და ვალობდა ენა[ა] ჩემი“****, და „ვითარ მზიარულთა ყოველთა მკვდრობაა შენდამი არს.“***** ხოლო ესე სიხარული მოიწვევის საღმრთოასა მისგან ნეტარებისა, რომელსა იგივე წინაწარმეტყუელი დასაბამსა [v] ფსალმუნთასა დასწერს ნეტარებასა კაცისასა „რომელი არა ვალს გზასა უღმრთოთასა“***** და კუალად: „ნეტარ არიან უბაწონი გზასა მავალნი შეჯულსა უფლისასა“*****. და ყოლად ბრძინსა მამისა ყოლად ბრძენი მე სოლომონ იტყვს: „ნეტარ არს კაცი, რომელმან მოიგო გონიერება და მოკუდაგმან, რომელმან პოვა მეცნიერება“*****, ხოლო ოქრო[ა] აედონი ეკლესიისა[ა] პავლე გმობს: „გიხაროდენ მარადის უფლისა მიერ და კუალად გეტყვ: გიხაროდენ.“***** რამეთუ სარწმუნოება თქუენი სამარადისოსა ნეტარებასა მოგატყუებს თქუენ და ამით სასოებითა განმტკიცებულთა ძუელისა და ახლისა სჯულისა წმიდათა ისწავებს მოთმინება და სარწმუნოებით რბოდეს გვრგვანსა მას ზეცისა ჩინებისასა, ვითარცა იგივე პავლე, პირი ქრისტესი, იტყვს: „რამეთუ არს

* მათე 5,3. ** მათე 5,12. *** ლუკა 10,20. **** ფსალმ. 15,9. ***** ფსალმ. 86,7. ***** ფსალმ. 1,1. ***** ფსალმ. 118,1. ***** იგავ. 3,13. ***** ფილიპ. 4,4.

ნუსხაშია: ¹ აწ. ² განიხაროს.



- სარწმუნოებამ მოსაგება მისთა ძალ საქმეთა მამბილებელ არა¹ ~~ქვეყნულად~~ „რე-
მეთუ ამას შინა იწამნეს მოხუცებულნი“^{*} ძუელსა დე ~~ქვეყნულად~~ ~~ქვეყნულად~~
საღმრთოდ განბრწყინებულნი. რამეთუ ვითარცა-იგი ერთისა მისგან მდიდ-
რად აღმომდინარისა წყარო[ა]სა მრავალნი ირწყუებიან მტილნი[ი] და სამო-
5 თხენი და სიმრავლე ნერგთა თუთო-სახეთა[ა] მადლისა მისგან და ნიჭისა
საღმრთო[ა]სა, ეგრეთვე მოეფინების ყოველთა თითოეულად განფენა მადლთა,
ვითარცა იგივე პავლე ჳმობს: „განფენანი მადლთანი [არიან]“^{**} და
თესლად-თესლადი ენათა. და კუალად იტყვს: „პირველად მოციქულნი,
მწყემსნი და მოძღუარნი და მამანი [245] დაეწესნეს“^{***}, რამეთუ შე-
10 მდგომითი შემდგომად არა დააკლებს მადლი სულისა აღმოშობად შვილთა
მათ ემბაზისათა ვითარცა-იგი სიტყუაჲ მეტყუელი, ვითარმედ: „მოიშოფავენი
ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით სახელითა მამისა[ა]თა და ძისა[ა]თა
და სულისა წმიდისა[ა]თა;“^{****} და „აჰა ესერა მე თქუენ თანა ვარ“^{*****}
და შემდგომი. და სხუთ „აღორძინდით¹ და განმრავლდით და განავსეთ ქუე-
15 ყანაჲ“^{*****}, და კუალად მოციქული² იტყვს: „იესუ ქრისტე, გუშინ და დღეს
და იგი თავადი უკუნისამდე“^{*****}, რომელმან აწცა აღმოაბრწყინვა ვითარ-
ცა რაჲ ელვა-ცისკროვნება[ა] ახალთა ამათ მნათობთა[ა] ახალსა სამყაროსა
წმიდისა ეკლესიისა[ა], რაჲთა ვითარცა მთიები ბრწყინვიდენ პირსა ყოვ-
ლისა სოფლისასა და ზაძვად საღმრთოდ მოქალაქობისა გულსა ყოველთა მო-
20 სწრაფეთასა. რამეთუ აჰა ესერა ჯერ-ჩინებთა ღმრთისათა ჟამთაცა ჩუენთა
იხილენეს ახალნი მნათობნი და მოძღუარნი და მასწავლელნი, ვითარცა ძუელსა
შინა ელია და იოვანე, და შემდგომად პავლე თებელი და დიდი ანტონი,
შაკარი, ეფთჳმი, საბა და გერასიმე. და რად გჳჳს თუთოეულად წარმოთქუ-
მა[ა], ყოველნი მსგავსნი და მობაძავნი მათნი, რომელთა ვლეს მოსწრაფებით
25 იწროჲ და საჭირველი გზაჲ, მიმყვანებელი ზეცისა ქალაქად, რომლისა ხუ-
როთ-მოძღუარ და შემოქმედ ღმერთი არს.
- ხოლო იტყვან ვიეთნიმე, ვითარმედ: „ჟამთა ამათ ჩუენთა არღარავის
[V] ჳელ-ეწიფების მსგავსებაჲ პირველთა მამათა[ა], რამეთუ განგებთა რა[ა]თ-
მე საღმრთოთათა მიფარულ არს“. არამედ შენ ისინიე გულს-მოადგინედ, სა-
30 ყუარგლო, რომლისათჳს აწ სიტყუაჲ წარმართებულ არს. რამეთუ ყოველი-
თურთ მსგავს იქმნა ამათ წმიდათა მამათა ყოლად ბრწყინვალე და ზეცისა
ჩინებისა ღირსი ყოლად წმიდაჲ მამაჲ და მოძღუარი ნეტარი სერაპიონ.
გარნა ვიტყუოდით ზოგს-რაჲმე შეკრებულთა ცხოვრებისა მისისათა აღწერით
მოთხრობად და საღმრთოთა სმენის-მოყუარისა სიწმიდისა თქუენისა მოკლე-
35 ნებად, ჳ პატრიოსანო და საღმრთოო კრებულო და მწყობრ-მდგომობით მი-
მსგავსებულნო ზეცისა დასთანო, რომელნი მკვდრ ჩინებულ ხართ ტალავართა
ნამუშავევთა მისთა, მდღელნო და მამანო უდაბნო[ა]სა დიდისა ზარზმისანო,
რომელთა წილ კეთელ გზულა³ დიდი ესე მნათობი მამაჲ, მამათა მოძღუარი
და მასწავლელი, რაჲთა გუესმოდინ[ა]ნ სწავლანი და საღმრთონი საქმენი და
40 შრომანი მისნი და ვადიდებდეთ მამასა ზეცათასა, ვითარცა-იგი უფალი
იტყვს, ვითარმედ: „ესრეთ ბრწყინვიდენ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაჲთა
იხილენ საქმენი თქუენნი კეთილნი“^{*****}, და შემდგომნი. ხოლო ჯერ არს

* ებრაელ. 11,1-2. ** I კორინ. 12,4. *** I კორინ. 12,28. **** მათე 28,19.

***** მათე 28,20. ***** შესაქ. 1,28. ***** ებრაელ. 13,8. ***** მათე 5,16.

ნუსხაშია: ¹ აღორძინდით. ² მოციქულნი. ³ გზოდა.

ჩუენდა. ძმანო, რაათა ჩუენცა ძალისაებრი ვაჩინოთ ბაძვა[ა] დიდისა მის მოძღურისა¹ და მწყემსისა[ა]²; და აწ გულს-მოდგინედ [246] და შრომის-მოყუარებით ვისმინოთ მცირე ესე სიტყვსამიერი გამოხატვაჲ ვრცელისა მის ფრიად საწადელისა ცხოვრებისა მისისა და აწინდელისა აქა შემოკრებისაჲ. ხოლო ცრემლით ვევედრები სიყუარულსა თქუენსა ყოლად უღირსი ესე, რაათა თანა-ღმობილ იქმნეთ უძღურებისა ჩემისა მოცემად სიტყუაჲ ღირსი აღებასა პირისა ჩემისასა სიტყვსა მიერ უსიტყუთა სიტყუერ-მყოფელისა და უძღურთა განმადღიერებელისა, რამეთუ იწყებს სიტყუაჲ დასაბამსა ცხოვრებისა მისისასა.

II. ესე ნეტარი და ყოლად ქებული სერაპიონ აღმოსცენდა ქუეყანასა კლარჯეთისასა მშობელთაგან ღირსთა და პატიოსნებით და ლიტონად ცხოვრებულთა, რომელნი შრომით და ქუეყანის-მოქმედებით იხარღებოდეს და ნაშრომისაგან მათისა მდიდრად ზრდიდეს გლახაკთა, და ძალისაებრსა მისცემდეს უღონოთა ტელის-აპყრობასა, და სიმშდით და სიმდაბლით იყოფოდეს მსჯავსად საწინაწარმეტყუელო[ა]სა სიტყვსა: «ვის მივებდ-¹⁵ ნე. გარნა მშვდსა და მდაბალსა»* და შემდგომი. ხოლო მამასა ამის ნეტარისასა ეწოდებოდა კჳრიანე, ხოლო სახელსა დედისა მისისასა უმეცარ ვართ, არა თუ სახე ბოროტებისა რაჲსათჳსმე, არამედ ჟამთაგან დაფარვისათჳს, რამეთუ რომელმან ესევეთარი გამოიღო ნაყოფი, ვერ ეგების მისი უშუერებით და უნდოდ წარწ[ვ]ქმედაჲ, ვითარცა უფალიცა იტყოდა: «ვერ ველ-წი²⁰ ფების ზესა კეთილსა ნაყოფისა ხენეშისა გამოღებად».** ესრეთ დედაჲ ამისი ნეტარისა[ა] სახელ-მოუტყენებლად დაიფარა სოფლით, რამეთუ ნათლად რაჲ გამოიყვანა წმიდაჲ ესე ნაშობი ორთა თანა ძმთა მისთა, რომელი ერთი იგი უხუცეს იყო და ერთი უმრწემეს, რომლისა ჳენებაჲ მრავალგზის ეგულების სიტყუასა, რამეთუ შვნა რაჲ საშნი ესე ნაშობნი და განიხარა²⁵ შევლთ-სხმისაგან, ვითარცა მეფსალმუნე დასწერს: «დედაჲ შევლთა ზედა სახარულეფანი»*** ნათლად გამომყვანებელი მათი ნათლად წარუვალად⁴ მიიცივალა. ხოლო უმრწემესი ძე იოვანე დაშთა ყოლად უსრული და ენა-ბრგუნილი¹. იგი უკუე აზარდა მამამან მისმან კჳრიანე, ვითარცა შეჳავს მამასა შევლთ-მოყუარესა. არამედ შემდგომად არა მრავალთა წელთა აღესრულა³⁰ მამა[ა]ცა ამით ნეტართაჲ⁵ და წინაშე ღმრთისა მიიცივალა სიბერიითა კეთილითა განპოხებული. და დაშთეს სამნივე იგი ყრმანი მსგავსად ბაბილოვნისა ყრმათა აღსა მას შინა სიგლახაკისასა შეთხუულნი.

ხოლო აქა ეგულების სიტყუასა მცირედ წიაღსლვა[ა] სხუად მიმართ, რაათა უმეტეს გამოჩნდეს კეთილთა მათ ნერგთა ნაყოფთ-მცენარებაჲ, და³⁵ ამისსა შემდგომად კუალად არა ოდენ ასწილ, არამედ უმეტესცა რტო-განრთხმით გარდაფენილებაჲ ოცდაათეულად, სამოცეულად [247] და ასეულად, რაათა დასასრულსა თხრობისასა გულისგმა-ჰყოთ, თუ ვითარი ტკბილი და შეუენიერი დამწიფდა ტევენი მათისა მის მოძღურებისა ნამუშავევთაჲ.

III. არამედ აწ ჯერ-არს ჩუენდა, რაათა დიდთა მათთჳს უდაბნოთა⁴⁰ და მონასტერთა მოვიჳსენოთ, თუ ვინა[ა] იქმნა შენება[ა] მათი, ანუ ვინ იყვნეს მაშენებელნი იგი, პირველად—სული იგი და მადლი საღმრთოჲ, და

* ესაია 66,2. ** მათე 7,18. *** ესაღმ. 112,9.

ნუსხანი: ¹ მოძღურისაჲ. ² მწყემსისა[ა] და აწ გულისცემის-ყოფა[ა] და ბაძვაჲ დიდისა მოძღურისა და მწყემსისაჲ. ³ წარვლად. ⁴ ბრგვნელი. ⁵ ნატრთაჲ.



- მერმე—მის მიერ აღძრულნი წმიდანი იგი მამანი. რამეთუ აღქმენა¹ რაჲ წმი-
დაჲ და დიდი უდაბნო[ა] ობიზაჲ მონაზონთა მიერ, რომელთა უწოდებოდა
ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი. ხოლო ამისსა შემდგომად მოვიდა მუნით
და აღაშენა უწყებითა საღმრთოთათა მცირე ეგუტერი და შესაკრებელი მცი-
⁵რეთა ძმათა[ა] ადგილსა კლდოანსა და უვალსა კაცთაგან, რომელსა პარბე
უწოდინ. ხოლო ესე სიტყუაჲ მამათა მიერ მოვალს ჩუენდა, რამეთუ მიქაელ
იყო აღმაშენებელი, სასწაულთა და ნიშთა მოქმედი მალალთა და დიდთაჲ,
რომელი იყო მოწაფე დიდისა შიოხის საკვრველთ-მოქმედისაჲ, რომელი, ვი-
თარცა მთიები განთიადისა[ა], ბრწყინვიდა ქუეყანასა ქართლისასა. ამისა ნე-
¹⁰ტარისა მიქაელის მიმართ წარემართა ყოლად ბრძენი სერაპიონ, რომელსა
თანა-ჰყვა ძმა[ა] მცირე ჰასაკითა. რამეთუ დიდსა მიქაელს, ვითარცა რაჲ
მამასა სულთასა და მზრდელსა ობოლთასა, შეჰვედრა თავი თჳსი. ხოლო ნე-
ტარსა მას სხუანიცა მრავალნი აქუნდეს მოწა[ვ]ლენი, სრულნი და ბრწყინვი-
ლენი სათნოებითა, ვითარცა დიდსა ანტონის ილარიონ და მაკარი, ეგრეთვე
¹⁵მიქაელს ბასილი და მარკელაოზ. და მათ თანა შეივედრა¹ ნეტარი სერაპიონ
თანა-ძმითურთ და თანააღრაცხილ ყენა დასსა მოწაფეთასა. ხოლო უხუცესი
იგი ძმა წესითა მსოფლიოთა დამპყრობელ ექმნა² მამულსა სამკვდრებელსა
და იგივე შეიტკბო ტალანტი, მოღუაწებაჲ უცხოთა და გლახაკთაჲ.
ამისსა შემდგომად მო-რა[ა]-იწია ჟამი, წმიდაჲ მამა[ა] ჩუენი ვითარცა
²⁰ღირსი ბრძანებითა მიქაელისითა პატივითა მღღელობისა[ა]თა სრულ იქმნა
და ღირსებით მსახურ საღმრთო[ა]სა საკურთხეველისა. და ამან ყოლად გან-
თქუქმულმან და დიდთა ნიშთა მოქმედმან მიქაელ აღზარდნა და სრულებად
სათნოებისა აღიყვანნა იგინი, ვინა[ა]ცა ხედვიდეს საღმრთოსა³ მას მოქალა-
ქობასა მისსა და მდინარეთა უმდიდრესთა სწავლათა⁴ და ნიშთ[ა] და სასწა-
²⁵ულთა დიდთა მის მიერ აღსრულებულთა, რომელნი შემდგომად სიკუდილისა
მისისა აღწერნეს მოწაფეთა მისთა. ამას რაჲ ყოველსა ხედვიდეს წმიდანი
იგი, ვითარცა მავალითა კეთილთა შთახედვიდეს მსგავსად ჳელოვანთა
მხატვართა და მისმიერთა მადლთა მოღებითა აშენებდეს საფუძველსა ზედა
სწავლათა მისთასა არა თივასა ლერწამსა, არამედ ოქროსა, ვეცხლსა და
³⁰თულთა ანთრაკთა. ხოლო მის მიერ შეყუარებულ იყვნეს ვითარცა კეთილად
მიმღებ[248]ელნი სწავლათა მისთანი. ამით ესევეითარითა საქმითა აღასრულეს
ჟამი მრავალი წინაშე მისსა და ყოვლითურთ მობაძავ მისსა იქმნნეს.
- IV. ხოლო ჩუენდა ჯერ-არს, რაჲთა ნეშტი თხრობისა[ა] გულს-მოღვი-
ნებით ვისმინოთ, თუ ვითარ მოიწივნეს[ა] სანახებთა ქუეყანისა სამცხისთა.
³⁵ესერა ვთქუათ, რამეთუ იყო რაჲ დიდი იგი მამა[ა] და მოძღუარი მიქაელ
მდგომარე ლოცვასა დამისასა, განკვრებება რაჲმე დაეცა და აღიტაცა ზეცად
და იხილა ვინმე, ვითარცა მღღელ-შუენიერად შემოსილი, და ეტყოდა მას,
რაჲთა მის მიერ განსწავლულნი იგი მოწაფენი მყის წარავლინნეს ქუეყანად
სამცხისა, რომელ არიან სერაპიონ და იოვანე. და უჩუენებდა ნიშთა რათმე
⁴⁰და სახეთა, თუ რომელსა მივიდენ ადგილსა; პოონ, მივიდენ რა[ა], სასწაული
იგი და მუნ⁵ გელ-ყონ აღშენებება მონასტრისა[ა] და შეკრიბნეს მას შინა
სულნი მრავალნი სადიდებელად ღმრთისა და მეუფისა ყოველთაჲსა. და ესე
ჩუენებება აქამომდე იყავნ!

ნუსხაშია: ¹ შეივედრა. ² იქმნა. ³ სლთ-სა. ⁴ სწავლა-თა. ⁵ მუნ მ-რ.

ხოლო მო-რა[ა]ეგო გონებასა წმიდაჲ იგი, რომელსა მრავალნი ქრისტე¹ ვენეს ნიშნი საღმრთონი, და მოუწოდა წმიდათა მათ და შეკმუნებულნი² მრ[ა]ეგო რითა ჰრქუა სერაპიონს: „საყუარელო შეილო და ქრისტეს მიერ ძმო სერაპიონ, ფრიად მიძიმედ აღმიჩნდა ბრძანებაჲ ესე, რამეთუ ფრიადცა უყუარს სულსა თანაზრდილობაჲ და უფრო[ა]ს-ლა, რომელნი საღმრთოთაჲ სიყუარუ-ლითა შეკრულ იყვნენ. აწ ვინა[ა][v]თგან საღმრთოჲ არს ბრძანებაჲ ესე, რაათა განხვდე ამიერ და აღაშენო სულთ-სამზრუნველოჲ, სადა-იგი გიჩუენოს შენ ღმერთმან“. ხოლო მას ესმა რაჲ წმიდისა მიერ, დავარდა ფერვთა თანა მისთა და მყოვარ ჟამ უკმოდ მდებარე იყო. ხოლო წმიდამან უპყრა კელი, აღადგინა და ეტყოდა: „გულაპრობილ იყავ, შეილო, რამეთუ შეუძლებელ არს ბრძანებასა საღმრთოსა მცირედცა წინა-განწყობაჲ, და ესეცა ბრძანებაჲვე არს, რაათა რომელი გეტყოდა ჯუარისა ოდენ მარტოდ ტვრთვისა³, იგივე გეტყვს, რაათა ცხოველი ხატი განკაცებისა მისისა[ა] იტვრთო⁴ და ეგრეთ განხვდეთ, რაათა აღ-რაჲ-აშენოთ წმიდაჲ ეკლესია[ა], მას შინა აღ-მართოთ იგი თაყუანის-ს[ა]ცემებლად და სენთა და უძღურთა განმდევნელად და სულთა მრავალთა გამოსაგნელად“. ესევეთარი რაჲ მრავალი ესმა წმიდასა მას, სიტყუსა წილ ცრემლთა სიმრავლე გარდამოადინა და ჰრქუა: „უკუეთუ სათნო არს, მამაო, წინაშე შენსა, ევედრე ღმერთსა ჩემოვს, რაათა არა განმამოროს წმიდასა კრებულსა შენსა და მარადის ხილვად წმიდასა პირსა შენსა“. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა, რაათა არა დააკლდე საღმრთოსა ჯვრგვანს მორჩილთასა, ამიერ დააცადენ სიტყუს-გებანი და მზა-ყავ თავე შენი სლვად გზათა, და თანამოგზაურ შენდა ყავ ძმა[ა] შენი იოვანე და ოთხნი⁵ ძმათა ამათგანნი. ხოლო აუწყნა ნიშნი [249] რა[ა]მე მის აღგილისანი, რაათა აღვილად იცნან ადგილნი იგი, რომლისა აღშენებად ბრძანება[ა] მოელო. და ესეცა ჰრქუა, ვითარმედ: „უწყოდეთ, შეილო, რამეთუ სულთა მრავალთა მიზეზ ექმნეთ ცხოვრებად საუკუნოდ, რაათა ვითარცა იტყვს მოციქული: «გმასა მას თანა საყვარისასა მრავალთა თანა შენ ძლით ცხოვნებულთა წარმოუდგე მეუფესა⁶». ესევეთარნი რაჲ სიტყუანი ესმნეს წმიდისა მისგან, არ-ღარა იკადრა წინა-განწყობაჲ, არამედ შეუ[ვ]რდა ცრემლით და მოწოდ⁶ შეიტკბენ[ს] ურთიერთას წმიდათა მათ, და ეგრეთვე მსგავსად ყოველნი ძმა-ნი, და ლოცვაჲ წმიდისა[ა] საგზალ თქსსა ყვეს.

V. ხოლო წარმოემართნეს რაჲ, მათ თანა-ეტვრთა ცხოველი ხატი ფერისცვალებისა[ა] თანა-შემწედ და სასიოდ ყოველთა ქრისტეანეთა. ხოლო სლვასა მას მათსა, ვითარცა სამეუფოთა პალატთა, უპირველად ვილოდეს, ვიდრემდის მოიწინეს მათსა მას, ვითარცა სიმაღლესა ცისასა აღძრულნი, და დადგეს ადგილსა მას, რომელსა ბერას ჯუარ⁷ ეწოდების. ხოლო წმიდამან მან ვითარცა თითითა უჩუენა მათ ადგილი იგი, სადა ეგულებოდა აღ-შენებაჲ მონასტრისა[ა]. და ვითარცა შთამოვიდეს დასასრულსა მას ჰევისასა, რომელ არს უტყუსა, მოვიდეს ადგილსა რასმე ძინძედ სახელ-დებულსა, განიმსტურეს⁸ რა[ა]მე და განიცადეს, და იხილეს, რამეთუ უდაზნო იყო და [v] შეცვულ ტყეთა და ჰეეთა. და შეიყუარეს იგი ძმათა მათ. ხოლო წმიდაჲ იგი ეტყოდა, ვითარმედ: „არა არიან სასწაულნი იგი ადგილსა ამას, რომე-

* I კორინ. 15, 52.

ნუსხაშია: ¹ ტვირთვასა. ² იტირითო. ³ ორნი. ⁴ ექმნეს. ⁵ მე⁷სა. ⁶ მოწილედ. ⁷ ბერას ჯუარი. ⁸ განმსტურეს.



ლი გვბრძანა წარმოგზავნელმან მოძღუარმან ჩუენმან*. ხოლო ეგრეთვე ველს¹ ყვეს და იწყეს შენებად მცირე ტალავარი და ადგილი რაქაქე² მონასტრისა[ა], და დაყენეს მუნ არა მცირედნი დღენი.

- ხოლო ეუწყა რაჲ უფალთა მის დაბისათა³, ვითარმედ უცხო[თა] ვიეთმე მონაზონთა პნებაეს ადგილსა მას⁴ აღშენებად მონასტერი, ხოლო მათ არა ინებეს, რამეთუ იყვნეს ყოვლითურთ მვეცებრივ, უწირავ და ბოროტ, რამეთუ არა ინებეს კურთხევა[ა] წმიდათა მათგან. ამისთჳს ზედა-მიეტევენეს მათ და ვითარცა იგი წერილ არს კაცთა მათჳს ნაზარეველთა⁵, ვითარმედ «მოიყვანეს ქრისტე წუერამდე მის მთისა, რომელსა ზედა ქალაქი მათი დაშენებულ იყო*», ეგრეთვე წმიდანი ესე—პირამდე მის მდინარისა, რომელ არს აღმოსავალით ადგილსა მას. და წიალ-მოვლეს რაჲ მდინარე იგი და მოვიდეს დასავალით მისსა, ვითარ თრ მილიონ, ადგილთა ყოლად ტყეთა და უფალთა კაცთა მიერ, და მიმო-რაქა-ვიდოდეს ქირით და შრომით ადგილთა მათ იწროთა, პოვეს[ი] ნიშები და სასწაულები, უწყებული დიდისა მისგან მოძღუროსა, და განიხარეს დიდითა სიხარულითა. და გულსავსებით მეციწერ იქმნეს, ვითარმედ არა ცუდ და ამოღ [250] არს გზა[ა] იგი საჭიროებით სლვისა მათისა[ა]. და იხილეს რაჲმე ბორცჳ მცირე, უმაღლესი სხუათა მათ ადგილთა[ა], და აღმოსავალით ბორცუსა მას წყალი აღმოცენარე, მდინარი და შეუნიერი, რომელი-იგი გულსავსე-ჰყოფდა წადილსა მას მგზავრობისასა. ხოლო მიმოგანიმსტურეს და იხილეს, და არა იპოვა ადგილი ველოანი და ფართოებით შემწყნარებელი მათი. და უბრძანა წმიდამან მან, რაჲთა საშუალ წყაროსა მას და ბორცუსა მოიქმნას ადგილი და აღშენოს მცირე ტალავარი, რომელი ექმნა მათ შემწყნარებელ უცხოებისა მათისა, და რაჲთა ცხოველ[ი] იგი ხატი მას შინა თაყუანის-იციემებოდის მათ მიერ.

- VI. ხოლო ჩუენ აქა წარგმართით სიტყუაჲ და განცხადებულად წარმოუჩინოთ სიყუარულსა თქუენსა, თუ ვითარ იყო ადგილისა მის წარმართებაჲ, ანუ ვინ იყო კაცი იგი, რომელმან ყოველივე ვითარცა ღმრთისამიერიითა ბრძანებითა კეთილად წარუმართა მათ. რამეთუ იყო ვინმე მთავარი დიდა და წარჩინებული ქუეყანასა ამას, რომელი ყოველთა ჰმატდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და ავარაკათათა, რომლისა სიერცე საზღვართ-ერცელ და მრავალ იყო. და არა თუ ქუეყანიერთა და ქუემეთრევეთაგან მდიდროდა, არამედ ღმრთის-მსახურებით ცხოვრებულთაჲ ყოველთა ერთოდა. და ვითარცა იობისთჳს წერილ არს: «ქეშმარიტად მართალ და უბრა[ვ]ლო**». ესევეითაჲ მეღსა სახელი ეწოდა გიორგი, მეორედ—გიორგიანიელი, რომლისა ტაძარი შენ იყვნეს სანახებსა გიორგიანისა და ზანავისასა⁶. ხოლო უმრავლესთა ეპითა ინადირობნ იგი ადგილთა მათ ცხროჳა წოდებულთა, რამეთუ იყო მუნ სიმრავლე თხათა და სხუათა ნადირთა ველურთა[ა], და არეთა მათ ეშენა სახლი, რომელ ოდესმე ეწიის ღამე, სადგურ ყვიან მას⁷ შინა სიბნელი-
- სათჳს ღამისა და უფალობისა და სიჭშოასა⁸ ტყეთა[ა]სა.

და იყო, რაჲმს დაიბანაკეს წმიდათა მათ ადგილსა მას ზემოკსენებულსა და ქმნეს [ტალავარი] მახლობელად ბორცუსა მის, და ალაგზნეს ცეცხლი,

* ლუკა 4,29. ** იობ. 1,1.

ნუსხაშია: ¹ თა მის დაბისასა. ² ადგილისა მის. ³ ნაზარეველთა გერგესეველთა. ⁴ ზანავისათა. ⁵ მათ. ⁶ სიჭშოასა.

და ვითარცა ავდა კუამლი დიდძალი. ხოლო ვითარცა იხილა გიფრე-მურ-
მუნემან, იყო რაჲ მდევარ ნადირთა, განკვრდა ფრიად და ჰრქუა წინაშე-
მდგომელთა: „ვინა[ა] არს ადგილსა იმას სიგზო[ა] კუამლისა[ა], ანუ თუ ვის
რად უკმს ცეცხლი? უკუეთუ ვინმე ეძიებს ნადირთა, რად კადნიერ და
ურცხვო¹ კმნილ არს? დაღათუ სხუაჲ საჭირო რაჲ ვის უკმს, ჩუენ ვითარ
არა მეცნიერ ვართ? არამედ ვერაეინ მისცა პასუხი, ვინა[ა]ცა მყის უბრძანა
ერთსა ვისმე მონათავანსა: „და წარვედ მსწრათლ“, ჰრქუა, „და ზედამიწევნი-
თ ცანი ძალი საქმისაჲ ამის და მაუწყე ჩუენ, თუ რა[251][ა]-მე არს სახილავი
ესე?“

ხოლო წარვიდა მყის ყრმა[ა] იგი და ჰირით და შრომით მიჰყვა კუამლ-
სა მის ცეცხლისსა. ხოლო ვითარცა მიიწია მუნ, იხილა ტალავარი იგი და
კაცი შემოსილნი ხალენებითა უცხოთა მეუღაბნოეთაჲთა. განჰკრთა უკუე
კაცი იგი, ხოლო იგინიცა განკვრდეს. და მივლინებული იგი ჰკითხვიდა ვი-
ნაობასა ანუ რაჲ-მე არიან საქმენი მათნი, რომელნი ესევეითარითა სიგლახა-
კითა იხილვებიან და ესევეითარსა ამას უღუაწსა ადგილსა იხილვებიან? ხოლო
მათცა მიუგეს და ჰრქუეს: „და საყუარელო, შენ უკუე ვინ ხარ, ანუ რად
გიკმს ზედამიწევნით ცნობაჲ ჩუენისა ვითარებისა[ა]?“ და კაცი იგი ეტყოდა:
„მთავრისა ვარ მე დიდისა, რომლისა სახელი გიორგი, რომლისა მიერ მო-
ვივლინე მე, რამეთუ დაუკვრდა ესევეითარსა ამას ადგილსა კუა[ა]მლი ცეცხლი-
სა[ა] და ყოლად ყოფაჲ კაცისა[ა]“. ხოლო წმიდასა მას ვითარცა ესმა, რამე-
თუ მთავარი არს და უფალი ადგილთა მათ, გამოიკითხა გამოწულილვით
ყოველი საქმე მისი. და ვითარცა ცნა ზედამიწევნით, ვითარმედ უფალ² არს
მათ ადგილთა და მპყრობელ ყოველთა მათ სანახებთაჲ, მეყსეულად იწყო
წმიდამან სერაპიონ და მყის წარმოუთხრა პირველითგან ვიდრე მუნ ეამამდე,
თუ რომლისა მიზეზისათჳს მოიწინეს ადგილსა მას, და ვითარმედ ეგულების
აღშენებაჲ მონასტრისა[ა]. და ესეცა შესძინა, ვითარმედ: „ბრძანე[ა] არს
საღმრთოჲ, და მოწათენი ვართ ნიშთა და სასწაულთა მიერ განბრწყინებუ-
ლისა მიქელ პარეხელისანი“.

და ვითარცა ესმა ესე ყოველი ქაცსა მას და რაჲ-იგი იხილა, ყოველი
მიუთხრა დიდსა მას მთავარსა და ყოველთა წინაშემდგომელთა. ხოლო იგინი
მთავრითურთ შიშმან და განკვრევებამან შეიპყრნა და საოცარ რა[ა]მე ჰგონეს
საქმე იგი. ხოლო კაცი იგი ეტყოდა მათ, ვითარმედ: „კაცი მინახვან ყო-
ლად ჯორცითა მყოფნი, ხატითა და სახითა მონაზონთა[ა]თა და არა საოც-
რად, არამედ ცხადად“. ხოლო განთენნა რაჲ, კუალად უბრძანა მთავარმან
ორთა საკუთართა თჳსთა და გონებითაცა ფრთხილთა, რაჲთა ზედამიწევნით
ცნან ყოველივე. ხოლო წარმოვიდეს კაცი იგი. და ვითარცა მოიწინეს წინა-
შე წმიდისა მის მამისა, და იხილნა იგინი და გულსიკმა-ყო, რამეთუ მთავარ-
ნი არიან და საკუთარნი დიდისა მის მთავრისანი, მიეგება და მოწოდ⁴ მო-
იკითხნა წმიდამან მან და წინაშე ხატსა წარავლინნა, და თაყუანის-ს[ს]ცეს
რა[ა], და იკურთხნეს და განიხარეს დიდად ფრიად.

მაშინ ჰრქუეს მთავართა მათ წმიდასა სერაპიონს და სხუათა მათ ძმათა:
„ვჰმადლობთ ღმერთსა, წმიდანო მეუფენო, რომელმან ეამთა ამათ მოხედვა-
ყო ჩუენ ზედა და ქუეყანასა ზედა გჯუენნა კაცი ზეცისანი. ხოლო აწ გულ-
სავსე გუჰყვინთ ჩუენ, თუ რომლისათჳს ჯერ-იჩინა სიწმიდემან [თქუენ]მან

ნუსხაშია: ¹ ურცხვინო. ² უფალი. ³ სანახებთაჲ. ⁴ მოწოდედ.



ქართული

მოსლვა[ა] უღლუწთა¹ ამით და უფალთა ადგილთა. [252] მაშინ² წმინდან³ მეუკუ⁴ მან სერაპიონ სახე პატიოსნისა ჯუარისა გამოსახა და სულთ-ითქუნა სიღრ-
 მით სულისა[ა]თ და ესრეთ პრქუა მათ: „ჩუენ, ზ საყუარელნო, დაღაცათუ
 ცოდვილ ვართ, კაცნი ვართ ქრისტეანენი, და გურწამს ქრისტე ღმერთი ჩუე-
 5 ნისა ცხოვრებისათჳს განკაცებული და მოველით აღდგომასა ყოველთასა და
 წმიდათათჳს განმზადებულსა ნეტარებასა, რომელ⁵ არას ვიტყუთ გარეგან
 ჰეშმარიტებისა, რამეთუ მოწაფენი ვართ დიდისა მის და განთქუ⁶ მულისა
 მიქელ პარეხელისანი და ბრძანებითა საღმრთოათა მის მიერ წარმოვლენილ-
 ნი, და რაათა ადგილსა ამას აღვაშენოთ შესაკრებელი ცხოვართა პირმეტ-
 10 ყუელთა[ა]“. და ყოველივე წარმოუთხრა შემდგომითი-შემდგომად. ხოლო მათ
 ვითარცა გულისკმა-ყვეს, რამეთუ ჰეშმარიტ არიან სიტყუანი მათნი, სახელი
 დიდისა მის მოძღურისა[ა] ესმა, თაყუანის-სცეს ხატსა მას ცხოველსა, და
 წმიდანი იგი მოიკითხნეს და წარემართნეს და მიიწინეს, რაათა წინაშე გი-
 15 ხოლო მას ესმა რაჲ, ვითარმედ მოწაფენი მიქელისნი არიან, ირწმუნა ჰეშ-
 მარიტებაჲ სიტყუათა მათთა[ა] და განიხარა, და წარვიდა სახიდ თჳსსა და
 სურვიელ იყო ხილვასა მათსა.

VII. ხოლო შემდგომად სამისა დღისა უბრძანა, რაათა მზა-ყვენენ გზანი
 მიმყვანებელნი ადგილსა მას, რომელსაცა იყენეს წმიდანი იგი. და აღე[ვ]კაზ-
 20 მა და აღილო მცირედი რა[ა]მე ევლოგიაჲ, რომელი შეეტყუებოდა კაცთა
 მათ მეუღაბნოეთა, და მის თანა წარიყვანნა⁷ ბუცენიცა საცეცხურ-საკუ-
 მველეებითა. და წარავლინნა წინაშთ მკურცხლ მავალნი[ი], რაათა განმზა-
 დებდენ გზათა; და მი-რა[ა]-იწინეს ადგილსა მას, რომელსა წმიდანი იგი
 იყენეს. ხოლო ცნეს რაჲ წმიდათა მათ, და მყის წინა მიეგებნეს მთავარსა
 25 და სადა-იგი წყარო[ა] [არს], განვიდეს ადგილსა მას, ვინა[ა]ცა გარდაჲდა
 საჯედარსა და შეუფრდა ხატსა მას ცხოველსა, და ეგრეთვე წმიდანი იგი
 მოიკითხნა და იკურთხა მათ მიერ. მაშინ მიუგო მთავარმან მამათა მათ ნე-
 ტართა და მღუღარითა სულითა ეტყოდა: „და ვ[ა]მადლობ ღმერთსა და მეუ-
 ფესა, ზ წმიდანო, რომელმან არა უგულვებელს-ყო უღირსებაჲ ჩუენი და დღე-
 30 თა შინა ჩემთა ყო ჩემ თანა სასწაული, რომელმან აწ ღირს-მყო ყოლად
 არაღირსი ესე პირველად თაყუანის-ცემად ცხოველსა ხატსა მისსა, და მერ-
 მე—წმიდათა პირთა თქუნთა“.

ხოლო სანატრელი სერაპიონ აღივსო სულითა წმიდითა და მსგაესად
 მდინარისა აღმოადინებდა თათლმწუთოლვართა მით ენითა სწავლათა საღმრ-
 35 თოთა. და ვითარცა მდინარე ედემისა[ა] აღმოუწყაროდა ოქროსკადულით
 პირით მისით, რომლისათჳსცა განკურდა მთავარი იგი და ყოველნი წინაშე-
 მდგომნი, რომლისათჳსცა შე[253]უ[ერ]დეს ფერჯთა მისთა და ეტყოდეს:
 „ვითარცა ერთი მოციქულთაგანი ქრისტემან მოგავლინა, აწ უკუე ჯერისა-
 ებრსა ყოფად გზბრძანებდი, მამაო!“ და წმიდათა მათ ძალისაებრ⁸ პრ[ქ]უეს
 40 არა ყოვნებად საღმრთოსა ბრძანებასა, ვითარცა ჯერ-არს ადგილსა ამას
 აღშენებად მონასტერი შესაკრებელად სულთა ღმრთის-მოყუარეთა. ხოლო
 მთავარი იგი შეუფრდა მათ და ეტყოდა: „გვევდრები, ზ წმიდანო, ნუ და-
 ამძიმებთ ჩემ ზედა სათხოველსა, რამეთუ აჰა ესერა ხედავთ, ვითარ ყოვლით-

ნუსხაშია: ¹ უღლუწთა. ² რომელრა. ³ წარიყვანა. ⁴ ეტყოდის. ⁵ ძღვისაებრსა.

ურთ უქმ და უღლად არს ადგილი ესე, და ყოლად უღონოდ გხედდა მო-
მსგავსად მოციქულთა. ხოლო ვინა[ა]თგან ღმერთსა მოღუაწედ ჩემდა მო-
უვლინებით, საქმენი ესე, რომელთა იტყუთ, თვნიერ ჩემსა არა² წარემართე-
ბიან. აწ უკუე არს ადგილი, რომელი მარჯუე არს და მომზაებელ ამთ საქ-
მეთა, ვინა[ა]ცა³ ბრძანენ სიწმიდემან თქუენმან, რაათა მუნ აღეშენოთ მო-
ნასტერი, რამეთუ აქა შეუძლებელ არს ყოლად რა[ა]საცა ეგვიეთარისა
საქმელ⁴.

ხოლო წმიდაჲ იგი ეტყოდა მას: „ღმერთმან, რომელმან უბრძანა მო-
სეს კუერთხითა განებდა ზღვსა[ა] და კუალად უღაბნოს კლდისაგან უღალისა
აღმოცენებად წყალი, და მოღებასა საზრდელისასა უწუმა მანანა[ა] ერსა,⁵
ვინა[ა] იგივე არს აქაცა, რომელმან ცნელოვანნი ადვილ ყვნეს⁶ ჯერ-ჩინებითა
შენითა და შე[ი]წვენიითა საღმრთოთა. ხოლო შეუძლებელ არს, რაათამცა
ბრძანებასა საღმრთოსა წინა-განვეწყვენიით და ადგილი ესე სხუად ვცვალებთ,
რამეთუ ნიშნი და უწყებანი ადგილსა ამას უწამებენ⁷. ხოლო მთავარმან
პრქუა: „ეგებისა ესე⁸, მამაო, რაათა კაცმან ნეფსით თავი კირთა მისცეს და⁹
უკუანა[ა]სკენელ მოკიცხულ და მაშურალ იპოოს ცუდად?“ ხოლო წმიდაჲ
იგი ეტყოდა: „გონიერად ისმინე, ჰ მთავარო, იგავი ესე, რამეთუ მარგალიტ-
ნი და თუალნი პატიოსანნი მიმოგანზნეულ რაჲ იყვნენ თანა-აღრევით მიწასა,
არა ესრეთ ბრწყინვენ წინაშე თუალებსა¹⁰ ხილვის-მოყუარეთასა, ვითარ-იგი
რაქამს გამოიჭურვენ და განწმდენ¹¹ და ოქროთხულებით შეიწყვენ¹² კეთილ-
თა მიერ მქედელთა, მაშინლა გამოჩნდეს ბრწყინვალებაჲ მათი და იქოს მუ-
შაკი და შეუნიერებაჲ მათი. ეგრეთვე ადგილი ესე რაქამს ზელ-ყონ ზელოვან-
თა მუშაკთა, მაშინ იხილოს თუალმან მხილველთამან შეუნიერებაჲ ადგილისა
ამის, ვინა[ა]ცა ნუ გუაიძულებ დატყეებად ადგილისა ამის და სხუად ცვალებ-
დად, რამეთუ ესე ვერ ეგების ჩუენ მიერ¹³“.

ესე რაჲ ესჲ მთავარსა, თავი მოიდრიკა და დადუმნა. ამისსა შემდგო-
მად აღდგა, ილოცა და პრქუა მათ: „ლოცვა ყავთ ჩუენთჳს, წმიდანო, რამე-
თუ მე არა მშურს ადგილი ესე, ხოლო სხუად თანაღმობაჲ და შეწვენი[ა]
ყოლად შეუძლებელ არს¹⁴. და მოჰგუარეს მას საქცდარი და წარვიდა,
და ეტყოდა და პრქუა წმიდათა მათ: „არა თურე ღირს ვიყავ ლოცვსა¹⁵
თქუენსა“. და წარვიდა მწუხარე. და ვითარცა მივიდა მდინარესა მას წინაშე
მათსა მყოფსა, და იხილა მცირე რა[ა]მე კლდე და გარდაჯდა მას ზედა და
დაჯდა. და მოუწოდა ერთსა ყრმათაგანსა და პრქუა მას: „მივედ, მამო, და
არქუ წმიდათა მათ, რაათა მოვიდენ ადგილსა ამას“. ხოლო ვითარცა წარ-
გზავნა იგი, პრქუა თჳსთა საკუთართა: „ვინა[ა]თგან არა ინტეს წმიდათა¹⁶
მათ ადგილთა მას ზანავისათა¹⁷, რაათამცა მუნ გუეშენა უღაბნო[ა] დიდი და
მაღალი, აწ უკუე რაჲ ჯერ-არს ყოფად?“ ხოლო ნათ პრქუეს: „რაათა არა
დავაბრკოლოთ გულის-მოღვინებაჲ მათი“.

ხოლო მთავარმან პრქუა: „საღმრთოჲსა ძალისა განუგებელად არა არს
საქმე ესე აცთაგან. ამისთჳსცა ჯერ-არს, რაათა ძალისებრი ვაჩუენოთ შე-
წვენი[ა]“. და ვითარცა მოიწინეს წმიდანი იგი ადგილსა მას, და კუალადცა
ეტყოდა მათ მთავარი იგი: „გვედრებო, წმიდანო ღმრთისანო, რაათა ერ-
თი მომბაღლო[თ] მე, რამეთუ არიან ადგილნი მრავალნი და კეთილნი და

ნუხსაშია: ¹ უღლად. ² არა არს. ³ ვინა[ა]ცა. ⁴ ყვნეს+და. ⁵ - ეგებისა ესე პრქუა.

⁶ თე⁶ლებსა. ⁷ გ⁷წმწმდენ. ⁸ შეიწყვენ. ⁹ ზანავისათა] ზ⁹ანავთასა.



ქრქუნი
გულსა

- ნაშენებითა ღონიერნი და იხილნეთ¹ იგინი, და უკუეთუ დიდად მყოფნიყს სულსა თქუენსა, აჰა ადგილნი და მესავალნი და ყოველი საგმარი უხუებით². ხოლო ნეტარმან სერაპიონ კუალადცა ჰრქუა: „მსგავსად მოციქულისა ვიტყოდი: «უკუეთუმცა ანგელოზი მა[ვ]ხარებდა, გარემე მისსა, რომელი გუეხა-
 5 რა, არა გურწამს»“.
- მაშინ გიორგი მოუწოდა ვისმე ჰაბუქსა ასაკითა, რომელ არს ძალითა, და ჰრქუა: „შვილო საყუარელო, გზა-მყევ წმიდათა ამათ და ხვალე განთიადითგან ვიდრე მწუხრამდე [რაოდენი] შემოწერით შემოვლონ, მიიციემეს მათდა, ვინა[ვ]თგან ადგილსა ამას წადიერ არიან. და უკუეთუ ვინმე იპოოს
 10 დამხარწვევლ მათდა უცხოებისათჳს, ყოველთავე აუწყე, ვითარმედ თავისუფლებით და ნებისაებრ აშენებენ მონასტერსა საბრძანებელსა შინა ჩუენსა“. ხოლო წმიდათა მათ მამათა ეტყოდა: „გულსურობილ იყვენით, ვითარმედ ყოველითა ძალითა თანაშემწე თქუენდა ვარ მე და მზრუნველ, და არავინ წინააღმდეგომ ჩუენდა არს ადგილთა ამათ, რომელთა გეგულებს დაპურობად,
 15 ხოლო შემდგომად სამისა დღისა კუალად ვიხილნე, უფალსა თუ ენებოს“. ვინა[ვ] წმიდათა მათ განიხარეს ფრთად და მადლობა აღუარეს. და მამათა ღამე³ იგი კლდესა მას ზედა განათიეს. და ესეცა სიტყუა ჰეშმარიტ არს, მოწვევული ჩუენდა, ვითარმედ ხილვა[ვ] ანგელოზისა[ვ] იხილა ღამესა ამას, რომელი განაძლიერებდა მას და გულს-მოდგინებით შრომად უბრძანებდა,
 20 რომლისათჳსცა შემდგომად ორისა დღისა შექმნა ორნი ჯუარნი წმიდამან მან ჯელითა თჳსითა და კლდესა მას ზედა აღმართნა სახელსა ზედა წმიდათა მთავარ-ანგელოზთასა. ხოლო უკუანა[ვ]სენელ მცირე[ვ] 25 წე ეგუტერიცა აღეშენა, რამეთუ ნიშნი და კურნებანი სნეულთანი იქმნებოდეს საღმრთო[ვ]საგან მადლის[ვ] წმიდათა მათ მთავარანგელოზთა[ვ]სა.
- 25 VIII. ხოლო ჩუენ კუალად აღვიდეთ პირველსავე სიტყუასა და ძალისაებრ ვიპყრათ წესი თხრობისა[ვ]. რამეთუ გან-რად-ათიეს ღამე იგი და მზე აღმობრწყინდებოდა, აღდგა წმიდა⁴ იგი და ძნა[ვ] მისი იოვანე და ერთი იმათა მათგანი, რომელთა რიცხჳ ექუს იყო, და წარემართნეს ჰაბუქსა მას თანა სამნი იგი და სამნი დეიტევენეს ადგილსა მას. ხოლო იწყეს სლვად პირ-
 30 სა მის მდინარისასა დასავალით კერძო. და ვითარ ვლეს, მიიწინეს შესაკრებელსა ორთა მათ წყალთასა. ხოლო იყო მუნ წისქვლი[ვ], სახლი რა[ვ]მე შესაკრებელსა მას შუა წყალთასა, რომელსა საძმო ეწოდებოდა. და ამას შინა იყვნეს კაცი რა[ვ]მე უკეთურნი, ყოლად მვეცებრიენი, ვითარცა ადგილისა უკაცო[ვ]სა და უცხო[ვ]სანი.
- 35 და ვითარცა მივიწიენით ადგილსა მას, მაშინ ჰაბუქი იგი, მოძღუარი ჩუენი, გუეტყოდა: „წმიდანო ღმრთისანო, სა[ვ]თ გნებავს სლვა[ვ]?“ ხოლო ჩუენ გუენება, რათა⁵ გარე-შეწერით შემოვლოთ სიმგრჯულე მათ ადგილთა[ვ], ვინა[ვ] პირი სამხრით ვიქცი[ვ]ეთ თანა-ალყოლად ერთისა მის მდინარისა. ხოლო გზილნეს რად კაცთა მის დაბა-წისქვლისათა, იწყეს ყენებად ჩუენდა, და ვითარცა ცოფნი წინა რბიოდეს. ხოლო ჰაბუქი იგი აყენებდა მათ და რისხვით [ვ] უთქუმიდა, რომელთაცა მიექცა წმიდა⁶ იგი და რისხვით ეტყოდა წინაწარმეტყუელებით: „ვიხილე უღმრთო⁷ აღმადლებული ნაძუთამდე ღიბანისათა და თანა-წავჰვედ, და არა იპოვა ადგილი მისი“⁸.

* გალატ. 1,8. ** ფსალმ. 36,35-36.

ნუსხაშია: ¹ იხილნათ ² მამათა. ღამე მთავარი ³ რ.

ხოლო, შენ, იხილე, საყუარელო, თუ ვითარ საღმრთოაქათა სკოლითა¹ სავე იყო წმიდაჲ ესე, ანუ თუ რასა-ლა მოასწავებდა კაცთა მართვ სიტყვითა² მით საწინაწარმეტყულოაქათა, არამედ შემდგომად მცირედისა მოოჯრებასა და სრულიად უჩინო-ყოფასა ადგილისაგან მათისა, რომელი-იგი შემდგომად მცირედისა დრო-მეც, საყუარელო, და სიტყუამან წარმოგიჩინოს.

ხოლო აწ პირველსავე შევეხნეთ თქუამად. რამეთუ აღვჰყევით პირსა მის მდინარისასა და მივიწიენით ჰევსა რასმე ღრმასა და უღალსა, რომელსა გოდერძისა ეწოდების, და ფრიად ძლით შევედით მას შინა, ვინააქცა სიჭოქსა მისგან მყოფარ ჟამ ვერლარა ვიხილეთ ცაჲ ანუ მზისა შარავანდედი, რომლისათუსცა ჭირით და შრომით დაყოვნებულნი³. ვითარცა სიხრქით⁴ აღმურისააქათ ანუ სიღრმით უყისააქათ აღმოშობილნი, აღვედით რაჲ თავსა მის ჰევისასა და ვიხილენით⁵ მცირენი რააქმე ყანობირნი და მცირე დაბაჲ-და მყის მიერ მოგუეგება კაცი ვინმე კეთილი, მკოვანი, და მოწლედ⁶ მოიკითხვიდა წმიდასა მას და აწუედა, რაჲთა მცირედ განისუენოს [256] შრომისა მისგან, რამეთუ განსმენილ იყო მოსლვააქ ჩუენი ყოველთა მით სანა-⁷ ხებთა. და გუჰითხვიდა კაცი იგი, თუ რად გვკმს უგზოთა და უვალთა ადგილთა სლვააქ. ხოლო ჭაბუქმან მან იცნა იგი და ყოველივე საქმე ჩუენი ზედამიწეენით მიუთხრა. და ვითარცა მრავალგზის გუეევედრებოდა კაცი იგი, რაჲთა ლამესა მას სავანე ვყოთ სახლსა მისსა. ხოლო წმიდამან მან მადლობით მიითვალა⁸ კეთილი იგი გონებაჲ მისი და ჰკითხა სახელი და⁹ ჰქრქუა, ვითარმედ: „მუედლებელ არს არა-მისლვააქ ჩუენი ადგოლსა მას დროსსა“. და კაცი იგი ეტყოდა: „სახელი ჩემი ია, ხოლო დაყოვნებულ თქუენდა [არს] ადგილსა მას მისლვაჲ, რომელსა იტყობ¹⁰“. ვინააქ წმიდაჲ იგი ეტყოდა: „საყუარელო ძმო ია, შრომა თავს-იდევ ღმრთისათუს და მცირედ თანამოგზაურ მექმენ ჩუენ“. ხოლო მოიღეს მცირედ პური და მარილი¹¹ და ყველი. და რომელთა ენება, ჭამეს, ხოლო წმიდასა მას ყოლად არარაჲსა გემოაქ უხილავს.

ხოლო კაცი იგი ია თანამოგზაურ გუექმნა ჩუენ. და წარვემართენით აღმოსავალით კერძო და ვიდოდეთ ქედთა რაქმე მალალთა, ტყინთა და ლოდოანთა. და ვითარცა აღვედით უმაღლესთა ადგილთა, და ჰკითხა მას¹² კაცსა წმიდამან მან: „საყუარელო ია, რაჲ ეწოდების ადგილსა ამას?“ ხოლო იგი ეტყოდა: „რამეთუ არს ესე შესაკრებელი ნადირთა ველისათააქ და ბაკთა ეწოდების“. [v] ხოლო წმიდამან მან აღიღო კელითა თუსითა ორთოვი¹³ რკინისააქ და გამოაქანდაქნა ჯუარნი ლოდთა რათმე ზედა დიდ-დიდთა, რომელნი-იგი იხილვებიან ვიდრე დღენდელქად დღემდე. ჭუალად მიიხილა¹⁴ წმიდამან და იხილა აღმოსავალით კერძო ქედსა ზედა მას ტბაჲ აღრეული ლალითა, რომელი-იგი სახედ მწკრისა იხილვებოდა. დაგვკარდა ჩუენ ფრიად და ვქკითხეთ კაცსა მას: „რაჲ არს ადგილი ესე უცხოაქსა ამის წყლისააქ?“ ხოლო ია მომიგო ჩუენ: „ესე არს ტბაჲ მღრვე ყოლადვე, რომელსა ეწოდების სათაკუე¹⁵. და არს ამას შინა სიმრავლე თაჭუთა [და] სხუათა ნადირთააქ და დედააქ¹⁶ შფოთთა და ბრძოლათააქ, რამეთუ ეამსა ამას აქა იხილვებიან მღვეარნი ნადირთანი, შეკრებულნი თუთოულთა სანახებთანნი და ურთიერთას მღვეარნი საქმეთა უჯეროთანი, რომელნი კლვადცა მზა არიან

ნუხანაშია: ¹ დაყოვნებულთა. ² ვიხილნეთ. ³ მოწილედ. ⁴ მიითვალა. ⁵ ეტყობ. ⁶ ორთოვი. ⁷ სათაკუე.



თვთოეულისა“. და ვითარცა წარვემართენით ტბისა მის მიმართ, და კაცნი იგი ია შეუქრდა წმიდასა და ღმრთისა მადლობასა აღუარებდა ხილვისათს ჩუენისა. და ესრეთ გუეტყოდა, რაჟთა ყოლადე უბრძანებდეთ, უკუეთუ რაჟ გუენებოს მის მიერ. ხოლო წმიდამან ჰრქუა მას: „ნუ წარხუალ ჯერეთ, მშაო, რამეთუ ჰაბუკი ესე უმეტარ არს ადგილთა ამათ“. და ია ეტყოდა: „ქრისტემან მომმადლოს, რაჟთა მარადის ვიყოფვოდე სიწმიდისა თქუენისა თანა, მშაო“. და ვითარცა შთა[257]ვედით პირსა მის ტბისასა, ვჰკითხეთ კაცსა მას ჟამი დღისა[ა]. ხოლო მან მომიგო: „მწუხრ არს და მიდრეკილ დღე“. ხოლო წმიდამან მან მიუგო: „რაჟ არს იმიერით ქედთა ამათ ტყიანთა, 10 ანუ სიმაღლე დიდისა ამის მთისა[ა], რომელ არს ზემოთ ჩუენსა?“ და მან მიუგო: „მთა[ა] ესე მაღალი არს, თავი ყოველთა ამათ ქედთა[ა], რომელსა ჰრქვან თა ვი შეშათა[ა]; რამეთუ თავი არს ყოველთა ამათ მალნართა[ა], ამისთს შეშის-თა ვეწოდების. და უვალ [არს] კაცთა და პირუტყუთა[გან] სიმაღლისათს მისისა. ხოლო წინა[ა]თ ჩუენსა არიან ადგილნი მცირედ კაც- 15 რიენნი, და აწ ვინა[ა]თგან მოსწრაფე ხართ, რაჟთა ადგილსა მას დროსსა¹ მიხედეთ, არა ჯერ-არს ყოენებად, რაჟთა არა უჟამოდ გეწიოს ღამე“. ვინა[ა]ცა ენება წმიდასა მას, რაჟთა ტბაჟ იგი მარჯუქენით წარულოთ და წარვიდეთ დელეთა მიერ, რომელნი იყენეს წინაშე ჩუენსა.

და ვითარცა ვიდოდეთ, აჟა ესერა მოვიდეს ვინმე კაცი უკეთურნი, 20 რომელნი გუეტყოდეს, რაჟთა დავაცადოთ სლვა[ა] კერძოთა მათ, რომელთა მიგუემართა², რამეთუ ჟამი არსო ნადირთაჟ, რომელნი მოვლენ ტბასა ამას, რამეთუ მზა არიან მონადირენი ადგილთა ამათ, რაჟთა არა იქმნას ცთომა[ა] მათი თქუენ მიერ. და არა გვტყენეს რაჟთურთით წარსლვად კერძოთა მათ. და ჰაბუკი იგი, მოძღუარი [v] ჩუენი, ძლიერად წინააღუდეგობდა მათ, და 25 არა იყო მათ თანა სმენა[ა], არამედ გარე-უკუ-მოგუაქცინეს და პირი იგი ზღვსა[ა] მის დასავალით წიაღ-ვლეთ, მოვედით თავსა შთასავალისა მის ქედისასა, რომელ არა იყო ყოლად კუალი მგზავრობისა[ა] და არცა გზა[ა]. ხოლო კაცი იგი ია გვჩუენებდა მცირესა რასმე დაბასა და სახელ-სდებდა კაცსა სახელთანსა და კეთილსა, რომელსა ეწოდა გარბანელ³ და გუეტ- 30 ყოდა: „მივედით ადგილსა იმას ამის იწროსა⁴ მიერ გზისა, და კაცმან მან ადვილად მივიყვანნეს ადგილსა მას, სადა[ა]თ იქმნა წიაღსლვა[ა] თქუენი განთიად“.

IX. არამედ, საყუარელნო მშაო და გულს-მოდგინედ სმენის-მოყუარენო მამანო, უმეტესად ჯერ-არს ჩუენდა, რაჟთა ვისმენდეთ საკრველთა ამათ საქ- 35 მეთა და ვადიდებდეთ ღმერთსა, რომელმან ესევითარი მოგუამდლა ჩუენ მამა და მოძღუარი. და ვითარცა მოვედით ადგილსა მას, რომელსა ბაბგენ უწოდიან, და ვიხილეთ მცირე ველი ადგილსა მას ბობხა წოდებულსა, და გვთხრა ჩუენ ია ყოველივე კაცისა მისთს გარბანელისა⁵. მაშინ ია შეუვრდა წმიდასა მას და მოწოდე მოიკითხა⁶. ხოლო წმიდამან მან ჯუარი 40 დასწერა და ეტყოდა მას: „ღმერთმან მოგავოს ნაცვალი მგზავრობისა შენისა[ა], მშაო! ხოლო გეტყვ შენ, რამეთუ აღრე იხილო [258] მისაგებელი კაცთა მათ ბოროტთა და შფოთის-მოყუარეთა[ა]“.

ნუქხაშია: ¹ დროსასა. ² მიგუემართა-ჩრ გუეტყოდეს რა დავაცადოთ. ³ გარბანელი. ⁴ იწროსაჟ. ⁵ გარბანელისა. ⁶ მოწოდე. ⁷ მოიკითხა.

ხოლო ვითარცა იგი განგუეშორა და წარმოვიდა, ჩუენ შთაშობილი¹ შთასაქანელსა მას, ვითარცა წყალთასა. და ვითარ მივედით დაბასა² წას, ესერა ზემო კაცი იგი კსენებული მივიდოდა სახედ თჳსად ორთა თანა ძეთა მისთა. და ვითარცა გზილნა ჩუენ ესევეითართა რაჲთმე სახითა, განჰკრთა და მოწლედ³ განგუკითხვიდა და განგუხილვიდა ჩუენ. და ვითარ ცნა, ვითარმედ ივინი არიან, რომელნი მოსრულ არიან ადგილთა ამათ აღშენებად მონასტრისა, და იხილა რაჲ, ვითარ-იგი არღარა იყო ჩუენ თანა სახე სამოსელთა ჩუენთა[ა] და ყოვლითურთ დაბძარულ იყვნეს ასონი ჩუენნი, მაშინ ცრემლით მოეხუა და ამბორს-უყოფდა ფერჯთა მის წმიდისათა⁴. და ესრეთ იხილა რაჲ წმიდამან მან კაცი იგი, ეტყოდა: „საყუარელო და ქრისტეს მიერ ძმომ გარბანელო⁵, აწ აპა ესერა მცირედ თანალმობით შეეწიე გზაგრობასა ჩუენსა და რაჲთა წარგუძლუე ვიდრე მდინარემდე, რომელ არს ჩრდილო[ა]თ ჩუენსა“. ხოლო იგი გულს-მოდგინედ და ცრემლით ეტყოდა, ვითარმედ: „რა ეგების ეგე, ჰ წმიდაო ღმრთისაო, რამეთუ ესერა დასლვასა მზისასა ღმერთ-მან მოგიყვანნა ცოდვილისა მონისა თქუენისა, და ვხედავ წყლულეობასა ფერჯ-თა თქუენ[ს]თასა და [გვედრებთ], რაჲთა მცირედ განისუენით მაშურალობისაგან გზაგრობისა თქუენისა და რაჲთა ზედამიწეენით ვცნა, უკუეთუ რაჲ არს ესოდენი ესე მდულარებაჲ სულისა თქუენისა[ა], რომელ ესრეთ გა[ი]რულა დადებად სული უღაღთა ამათ და უვალთა გზათა სლვად“. წმიდამან ჰრქუა მას: „შეუძლებელ არს ჩემგან, რაჲთამცა არა მივედით ადგილსა მას განჩინებულსა“. ხოლო შერბიოდა შინა კაცი იგი და კუალად გამოვიდა თაჲ ნა მგულლითურთ; მსგავსად სარეფთელისა და სომანიტელისა შეუვრდეს ფერჯთა წმიდისათა, და ვითარ ვერ არწმუნეს, მაშინ ჰბაბუკი იგი, მოძლუარი ჩუენი, შეუ[ვ]რდა ძმასა მისსა იოვანეს და ეტყოდა: „აპა ესერა არა დაშთომილ არს სული ჩუენ თანა, დავემორჩილნეთ კაცსა⁶ ამას, რამეთუ არღარა არს ეამი სლვისა[ა]“. ხოლო წმიდაჲ იგი ეტყოდა: „რომელმან-იგი გაბაონს ისო ნავესსა დაუყენა მზე⁷ და კუალად წმიდასა მას ბერსა ბესარიონს, ამანვე⁸ ჩუენცა ღირს მყვენს მზესა ამას თანა ხილვად და თაყუანის-ცემად წმიდასა ხატსა მისსა“. მაშინ წარმოუძლუა კაცი იგი და წარმო-რა[ა] ემართნეს, ჰბაბუკმან მან ჰრქუა წმიდათა მათ: „ლოცვა ყავთ ჩემთჳს, წმიდანო, რამეთუ ხვალე ინებოს თუ ღმერთმან, შევემთხუო წმიდათა ფერჯთა თქუენთა“. [259] ვინაჲცა ესე განგებულეებით იქმნა, [რაჲთა] თანა-ეწამოს იგი დიდებულსა მას სასწაულსა, რომელსა შემდგომად მცირედისა ეგულეების სიტყუასა წარმო-თქუმა[ა].

და ვითარცა წარმოვედით, იბოვა წინაშე ჩუენსა გზა[ა] რა[ა]მე, იწრო[ა] და ძნიად საჭირველი. ხოლო გარბანელმან⁹ უბრძანა ძესა თჳსსა, რაჲთა თანა გზა-მყვეს ვიდრე პირამდე მდინარისა, რომელსა შთავედით რაჲ, და აღმავალინ კუალად გუხილნეს ძმათა მათ, მოგუეგებნეს.

ხოლო შენ, საყუარელო, განიხილე-და საკრველი ესე, რამეთუ რაჲმს კაცისა მისგან წარმოვედით და ვიდრე მოსლვამდე ჩუენდა, კუალად ეგო [მზე] ადგილსა მას სიტყუასებრ წმიდისა, რომელი-ესე გუკრდა⁷ და ვადიდებდით ღმერთსა, მადიდებელთა მისთა. ხოლო გუხილნეს რაჲ ძმათა მუნ მყოფ-

* შტრ. ისუ ნაკე 10,12.

ნუხსაზია: ¹ მოწილედ. ² წ-თასა. ³ გარბ-ნელო. ⁴ ცვ-თა. ⁵ ამანვე+და. ⁶ გარბნ-ნელომან.

⁷ გუკვირდა.



თა, ცრემლოოდეს ჩუენ ზედა, რამეთუ სამოსელი ჩუენი ყოლად არღარა იყო, და ფერწნი ჩუენნი დაჯეჯკილ და დაბძარულ იყენეს. და მცირედ რაქაწენუგეშინის-ვიციით საზრდელი, რომელი პოვა მათ თანა, ხოლო განთენა¹ რაჲ, შეეწირენით ლოცვანი. და მოილო წმიდამან მან ჯელითა თჳსითა შეშაჲ, და ვითარცა პირველ ვთქუთ, და შექმნა ჯუარნი და აღმართნა სახელსა ზედა წმიდათა მთავარ-ანგელოზთასა. და ვითარცა იყო ეამი სამემისა[ჲ], ვილოცევდით რაჲ ადგილსა მას, და აჰა ესერა კაცი იგი გარბანელი² [v] და ჰაბუკი იგი, მოძღუარი ჩუენი, და ორნი კაცნი, უცხონი კაცნი, და მოიწინეს სწრაფით ჩუენდა. ხოლო ჩუენ ვიხილენით რაჲ, განვიხარეთ. და იგინი იყენეს

10 შეპყრობილ შიშითა რაჲთმე დიდითა, და კაცნი იგი უცხონი—ვითარცა მკუდარნი ხილვითა. ხოლო ჩუენ ვიკითხევდით მიზეზსა, თუ რა[ჲ]სათჳს სულთქუმით და ექვთ მოიწინეს იგინი, ანუ ვინ არიან კაცნი იგი, რომელნი სახედ მკუდართა უქმო და უსიტყუ არიან? ხოლო იწყო თბრობად გარბანელმან³ და ჰრქუა წმიდათა მათ: „რაჲამს-იგი წარმოხუდით თქუენ, და ჰაბუკი

15 ესე იყო ფრიად მაშურალ, და იყო ღამე, და მივიღეთ საზრდელი და გჳკრდა ფრიადი სიმენე თქუენი და ვადიდეთ ღმერთი და დავიმინეთ. ხოლო გან-რაჲ-თენა, წინაშე თქუენ[სა] წარმოსლვად ვეშადდებოდით. აჰა ესერა იქმნა ძრვა[ჲ] და ოხრაჲ რაჲმე, ვითარცა ქარისა[ჲ] და განგჳკრდით ფრიად. და შემდგომად მცირედისა მოვიდეს კაცნი ესე, ვითარცა-ესე ხედავთ, და ძლით

20 იწყეს სიტყუად. და ვითარცა ვჳკითხევდით, თუ: „რა[ჲ]-მე იყო ჳმაჲ ესე და ძრვაჲ?“ ხოლო ამით მოგვგეს და გურქუეს, რამეთუ „განიპო კლდე იგი, რომელი იყო დასავალით ტბისა მის, და წარვიდეს წყალნი იგი მრღჳენი[ი], და ჩუენ, რომელნი ვიპოენით გარემოს ადგილისა მის, განვიბნინით ძლიერისა მისგან [260] ზარისა და შთამოვედით კაცისა ამის, რამეთუ მეცნიერ იყო

25 ჩუენდა“. და ვითარცა იგინი ამას იტყოდეს მოწამედ სიტყუათა მათთა იხილვებოდა მდინარე იგი, რამეთუ არღარა იტგედეს ადგილნი თჳსნი, რამეთუ ყოველით კერძო გარდაეცა მრღჳე, ვითარცა მწვრუ, რომლისათჳსცა განკჳრვებამან შეგჳპყრნა ყოველნი.

ხოლო ჰაბუკი იგი ეტყოდა წმიდასა მას: „აჰა ესერა ვხედავ, რამეთუ

30 სიტყუანი შენნი საქმე არიან, ვინა[ჲ] მაგსოვს გუშინდელი იგი, [რა]ჲამს-იგი უბრძანებდით კაცსა მას, რამელი თანამოგზაურ გუქმნა ვიდრე ტბამდე სათაჯჳსა⁴, ვითარმედ აღრე იხილო მისაგებელი კაცთა ამათ შფოთის-მოყუარეთა და კჳლად კაცთა მათ, რომელნი-იგი შესაკრებელსა მას წყალთასა წინა რბიოდეს ვითარცა ეშმაქელნი; რამეთუ ვჳგონებ, რომელ არცალა თუ

35 კჳლი იპოოს ადგილისა მის“.

ხოლო ვითარცა დასცხრა მდინარისა მის დიდროაჲ, ვცანთ ქეშმარტი, ვითარმედ ადგილი იგი ტბისაჲ იხილვების ველად ლოდოანად, ხოლო ადგილი იგი წისქჳლ-სახლთა[ჲ] კჳლად წარღუნილ და უჩინო. ამისსა შემდგომად შეუ[ქ]რდა წმიდასა ჰაბუკი იგი და მიილო ლოცვა[ჲ], და ჰრქუა: „უთჳლ-სა თუ ენებოს, აღრე გიხილნე, ხოლო უქუეთუ რაჲ გნებავს მთავრისა მიერ,

40 მიბრძანეთ, რამეთუ მასცა ჰნებავს ხილვა[ჲ] თქუენი აღრე“. და წმიდამან [v] ჰრქუა: „თჳნიერ საღმრთოჲსა კურთხევისა არარაჲს მკადრე ვართ წინაშე მისსა, რამეთუ თჳთ უმჯობესად უწყის ყოველი, სიტყჳსაქმ[ერ] სოლომონისა“:

ნუსხაშია: ¹ განთენდა. ² გარბანელი. ³ გარბანელი. ⁴ სამთაჯჳსა. ⁵ სოლომონისსა.

ქართული
ენის ლექსიკონი

«ყურნი ბრძნისანი მარადის შუა არიან საღმრთოთა სიტყუთათა»¹ და ქაბუკი იგი და ჩუენ დაეშითთ ადგილსავე მას.

ხოლო მი-რა[ა]-იწია ქაბუკი იგი წინაშე მთავრისა, და ყოველივე წარ-
მოუთხრა შემდგომითი-შემდგომად. და რომელთა ესმა, განკურვება¹ დაეცა,
[ზარი] განჰკდა, და აღიდებდეს ღმერთსა. მაშინ ღმრთის-მსახური იგი ში-
შითა და სიხარულითა აღივსო და წარემართა ხილვად სასწაულთა მათ და
ნიშთა, და ყოველნი საბრძანებელნი მისნი მის თანა და გარემო სანახებნი
მათ არეთანი, რომელთაცა ასმი[ო]და დიდი ესე საკურველბაჲ, და მყის კრე-
ბული დიდძალი შეკრბა ადგილსა მას, სადა-იგი იყენეს წმიდანი იგი. და
ვითარცა მოვიდა მთავარი, ამბორს-უყო ხატსა მას ცხოველსა, და შიგერო-
10 მით მოიკითხნა იგინი, და განკურვებით იკითხვიდა² სასწაულთა მათთჳს. და
ყოველივე ზედამიწეებით ცნა კაცთა მათ მიერ, რომელნი მას წარველინენს,
ვითარ ადგილი ტბისა[ა] მის ველოან ქმნილ არს და შესაკრებელი იგი წყალ-
თა[ა] დათვარულ იყო ქვშათა მიერ და ლოდთა, რომელსა კაცნი იგი ქირისა
მისგან განრომილნი თუთ წარმოიტყოდიან³.

ხოლო მოვიდეს [261] მდღელნი და მონაზონნი თუთოეულთა მათგან
ადგილთა და სიხარულით მოიკითხვიდეს წმიდათა მათ. და სხუანიცა მონა-
ზონნი მრავალნი შემოკრბეს. და ადგილისა მისგან მის მდინარის-კიდისა
ლოცვით და ლიტანიით ადგილსა მას პირველ კსენებულსა⁴ ბორცუსა აღვე-
დით. და ბრძანებითა მთავრისა[ა]თა მოიქმნა ადგილი იგი და ველოან იქმნა.
20 და სხუანიცა მთავარნი მოიწინეს გარემოთა ადგილთანი და თუთოეულ[ნი]ი
უთხრობდეს წმიდათა მათ სიმარჯუესა⁵ სამონასტრეთა⁶ ადგილთასა, და კა-
ციცა იგი, რომელ პირველ იოტა ძინძედ წოდებულისა მისგან ადგილისა,
მოწოდელ⁷ შეუფრდებოდა და აწუევდა, რაჲთა მუნ აშენებდენ. რომელსაცა
მიუგო წმიდამან და პრქუა: „სულსა შინა უკეთურსა შიში ღმრთისაჲ არა
25 დაემკვდრების, არცა ჯერ-იყო მარგალიტსა დასხმად წინაშე ღორთა^{**}, რამე-
თუ ბრმა[ა]ცა თანა-წარჰდების ოქროსა მის წინაშე მდებარესა, არამედ შენ-
დობილ⁸ იყავნ პირველი ცთომა[ა] შენი, ხოლო ჩუენ ნუ ვინ გუაიძულებს
სხუად⁹ ცვალებად ადგილისა“. ხოლო ყოველი იგი კრებული დიდად განსთქუ-
მიდეს: „ესე სასწაულნი თანამოდგამ არიან მოსეს მიერ ქმნილთა მათ განპე-
30 ბასა ზღუასა და კლდისაგან აღმოცენებასა წყლისასა და კუალად კიდობნისა
მიერ განებასა იორდანისასა და კუალად გრიგოლის მიერ საკურვ[ი]ელთ
მოქმედისა განგზობასა მის ტბისასა, რომელი იყო მიზეზ მტერობისა მის ძმა-
თა[ა]სა. ეგრეთვე ტბაჲ ესე მიზეზი შფოთთა და კაცის-კლუათა[ა] განგზა
წმიდათა ამათ მიერ“. ხოლო წმიდაჲ იგი, ვითარცა იყო უცხო[ა] ზუაობისა-
35 გან, მიუგო და პრქუა მათ: „ნუ ჰგონებთ, მთავარნო და ერნო, თუმცა ჩუენ-
ნითა რაჲთმე ძალითა ქმნილ იყენეს სასწაულნი ესე, არამედ რამეთუ აღიდა
ხატი პირისა¹⁰ თუისისა[ა] ქრისტემან ღმერთმან, რაჲთა თქუენ გრწმენეს, ვი-
თარმედ არა ტყუვილ და ამო არიან საქმენი ესე, რომელთა თქუენ ხედავთ“. მი-
ეერთგან ეწოდა სახელი შემსგავსებული საქმეთა ადგილსა მას, რამეთუ ეწო-
40 და ზარზმა ერთა მათგან, რომელნი ჴარითა და შიშითა მიუთხრობელი-

* შდრ. იგა ავ. 18,15. ** მათე 7,6.

ნუსხაშია: ¹ განკურვებით. ² იკითხვდა. ³ წარმოიტყვდის. ⁴ პირველ კსენებულთა.

⁵ სამარჯუესა. ⁶ სამონასტრეთა. ⁷ მოწოდელ. ⁸ შენდობა. ⁹ სხვად. ¹⁰ პლისა.

თა შეპყრობილ იყვნეს. ხოლო ლოცვით და ვალობით განათიეს დაჲ იგი და განთიად მოიკითხნეს წმიდანი იგი და სიხარულით წარვიდეს სახიდ თჳსა¹.

X. ხოლო ღმრთის-მსახური გიორგი დაშთა მათ თანა და უბრძანა, რაჲთა მოიძიონ ადგილი, სადა ჰნებაეს აღშენებად ეკლესიაჲ. და მისცა სა-
 5 ჰმარნი უხუებით. და წარვიდოდა რაჲ, უბრძანა კულადცა მოსლვა[ჲ]. მიერითგან იწყეს ძიებად ადგილსა, სადა უშენონ ღმერთსა სადიდებელად ეკლესია[ჲ]. ხოლო წმიდასა მას ენება, რაჲთა[მცა] ბორცუსა მას ზედა უმაღლესსა აღაშ[262]ენა ეკლესიაჲ. და ძმაჲ მისი იოვანე და სხუანი ძმანი ეტყოდეს: „ნუ, წმიდაო მამაო, ადგილსა ამას, რამეთუ მაღალ და ცივ არს, და ძმანი ესე
 10 შიშუელ და გლახაკ“. რომლისათჳსცა იქმნა ცილობაჲ შორის მათსა. და ვითარცა-იგი გედგონ საწუმისი დადგა გამოცდად საქმეთა* და კულად დიდძან თევდოსი ნაწშირთა მიერ მოიძია ადგილი, სადა აღაშენოს მონასტერი, ეგრეთვე ამათ ნეტართა ყვეს, რამეთუ აღაცხნეს ორნი კანდელი სწორითა ზეთითა და დადგნეს ადგილთა მათ ცილობისათა. რამეთუ იყო მცირე დღე
 15 სამხრით ადგილსა მას უმაღლესსა, და კანდელი იოვანესი დადგა მუნ თუთ იოვანე, ხოლო ბორცუსა მას ზედა—წმიდამან სერაპიონ. და ორნივე დადგეს ლოცვად. ხოლო ვითარცა განთენა, იხილვა დავსებულად კანდელი იგი სერაპიონისი², ხოლო კანდელი იგი იოვანესი ბრწყინვიდა ვიდრე შუა სამხრამდე. რამეთუ ესე განგებულებაჲ იყო საღმრთოჲ, რაჲთა არა სწრაფით, არამედ
 20 ფრთად შუენიერად ეამსა თჳსსა აღეშენოს საყდარი მაღალსა მას ადგილსა. ესე რაჲ იხილეს ყოველთა, დაამტკიცეს, რაჲთა მუნ იწყონ შენებად ეკლესიისა.

ხოლო წმიდამან მან პრქუა ძმასა თჳსსა თათლმწთოლვართა მით ენითა: „ძმაო იოვანე, ღმერთმან გაჩუენა საკარველი ესე დიდებული, რამეთუ
 25 იხილა³ ნა[ვ]კლულევიანებაჲ გონებისა შენისა[ჲ]. ხოლო ესე უწყოდე, ვითარმედ შემდგომად² ცირიდისა ადგილსა ამას აღეშენოს საყდარი ფრთად შუენიერი“. და შეჰკაზმეს ადგილი იგი, და შეემატებოდა რიცხუსა ძმათსა, რამეთუ მოიზიდვიდა სახელგანთქმულეებაჲ კაცისა მის ღმრთისა[ჲ], და სახედ მდინარისა ირწყებოდეს ტბილთა მათ სიტყუათა მისთაგან, რამეთუ კაცი
 30 იგი პირველ ჰსენებული ვა რ ბ ა ნ ე ლ ი და ორნი იგი ძმანი, რომელნი დანთქმასა ტბისა[სა] ვანერნეს, იკურთხნეს მონაზონად ჰელითა მის წმიდისა[ჲ]თა, ვინა[ჲ]თგან ახალსა ამას მოსეს ებრძანა ახლისა ისრაჲლისა წინამძღურობაჲ, ამისთჳს უგმდეს თანა-შემწედ საქმესა მის კარვისა ახალნი ბესელიელ და ელიაბ⁴***. რამეთუ არა თუ ნისლსა შევიდა და ფიცარნი ქვისანი მოიხუნა,
 35 რომელსა შუჲლი და მცნებანი წერილ იყვნეს, არამედ თუთ იგი აღმწერელი მათი გონებითა მოაქუნდა, რომელი მისვე, მოსეს, ნაპრალსა კლდისასა დაფარულსა ეტყოდა: «მე ვარ, რომელი იგი ვარ»*** და მთასა ზედა თაბორსა მოსეს და ელიას თანა ზრახვიდა, თავთა მათ თანა მოწაფეთასა, ესე აქა გორცითა გამოსახული მჳართა ზედა ეტურთა და თაყუანის-საცემელად მორწ-
 40 მუნეთა აღეშართა. რომლისათჳსცა იწყეს შენებად ეკლესიისა და დადგეს სადუჯველი ადგილსა მას, რომელი იოვანე გამო[263]არჩია. ხოლო საქირო იქმნა შენებაჲ მისი, რამეთუ ქვანი მათ ადგილთანი ტყეთაგან დაფარულ იყვნეს, ვინა[ჲ]ცა წყლისაგან რაჲსმე ღონიერობდეს და უშუერსა რასმე ქვასა⁵ მუნით გამოილედეს.

* შდრ. მსაჯ. 6,37—38. ** გამო ს ღ ვ. 36,1. *** შდრ. I კორ. 15,10.
 ნუსაშთა: ¹ თსსა. ² სერაპიონისა. ³ იხილნა. ⁴ ელიობ. ⁵ ქუასა.

ხოლო იყენეს ხუროთმოძღვარ და ზედამდგომელ საქმისა მისგანგან-
 ნელი და ორნი იგი ძმანი. ხოლო განითქუა რაჲ, ვითარმედ ესწავთარნი
 ესე კაცნი ესრეთ აღაშენებენ ეკლესიასა, იწყეს სახედ მდინარისა მოსლვად
 საქმესა მას ეკლესიისასა, და არა იპოვა რაჲთურთით ქვა[ა], და ქირით და
 შრომით მდინარისა მისგან მოიღებდეს. ვინა[ა]ცა კულადცა მოვიდა მუნ
 ღმრთის-მსახური იგი გიორგი და განიცადა ყოველი საქმე მათი, და იურვო-
 და, რაჲთამცა კეთილად აღეშენა ეკლესია[ა] იგი. და მოუჭდა გულსა და
 პრქუა წმიდათა მათ: „ქრისტეს მიერ განბრძნობილნი მამანო, უკუეთუ
 სთნავს სიწმიდესა თქუენსა, არს ადგილი ერთი, სადა ეკლესია[ა] მისი დაცე-
 მულ არს ძრვისაგან. აწ, უკუეთუ ჰბრძანოთ, ადგილ არს, რაჲთა იგი მოვი-
 ლოთ“. ხოლო ცნეს რაჲ წმიდათა მათ, რამეთუ უქმ[რ]ად მდებარე არს ეკლე-
 სია[ა] იგი, ბრძანეს, რაჲთა სწრაფით გელ-ყონ საქმესა მას. და იწყეს მოღე-
 ბად მეყსეულად რაოდენი ეგმარებოდა ეკლესიისა მისთჳს. და იცნობებთან
 ქვანი იგი ზოგს-რაჲმე კუთხთა მიერ და კამარათა. ხოლო არს სახელი ადგი-
 ლისა მის უმწაჲ, რომელი შორავს [v] ათორმეტ მილიონ. 15

ხოლო შემდგომად სამისა წლისა სრულ იქმნა ეკლესიაჲ და შეიმკო
 ყოვლითა განგებითა, რომელი შეჭგვანდა ჟამსა მას. და აღმართეს მას შინა
 ცხოველს-მყოფელი ხატი ფერისცვალებისა[ა]. და ამისსა შემდგომად სენაკე-
 ბიცა იშენეს ძმათა. და შემოკრბა კრებული დიდძალი ძმათა[ა], რამეთუ მად-
 ლი სულისა[ა] და სახელგანთქ[უ]მულეზაჲ კაცისა მის ღმრთისაჲ მოიზიდვი-
 და ყოველთა. რამეთუ იტყჳს უფალი, ვითარმედ: «სადაცა იყენენ ორნი, გი-
 ნა სამნი, შეკრებულ სახელისა ჩემისათჳს, მუნ ვარ მე მათ შორის*». რაო-
 დენ უფრო[ა]ს მრავალთა თანა შეკრებულთა ღმრთის-მსახურებისათჳს! ხო-
 ლო ღმრთის-მსახურმან გიორგი მისცნა ყოველნი საგმარნი, ჯორები და
 კარაულები, და რაოდენი რაჲ უჭმდა სიმრავლესა ძმათასა. ხოლო წმიდამან 25
 მან განაჩინა წესნი და კანონნი საეკლესიონი, რომლისა მიერ ირწყევბოდეს
 საღმრთოათა მადლითა, ვინა[ა]ცა სოფლებნიცა (!) მისცნა კაცმან მან ღმრთი-
 სამან გიორგი, ვიდრემდის შოსწრაფე იყო, რაჲთა ყოველივე ადგილისა
 მისთჳს წარავოს. ხოლო მრავალთა იწყეს მიბაძვებად მისა¹. და ვითარცა
 პირველ კარავსა მოსესსა თულთა² და მარგალიტთა და სხუათაცა მათ 30
 ნივთ[თ]ა აღშენებისათჳს კარვისა, ეგრეთვე სახედ ძალისაებრ აჩუენებდეს
 შესაწირავსა ახლისა ამის კარვისას[ა], რომელ არს ეკლესიაჲ ქრისტესი.

XI. [264] ხოლო აქა სხუა[დ] იცვალეზის ლექსი სიტყჳსა[ა] უსაკუთრე-
 სად თქუმად სასწაულთა წმიდისა ამის კაცისათა და რაჲთა ცხოვრებაჲცა
 ღმრთის-მსახურისა გიორგისი უმეტეს გამოცხადნეს. ხოლო მოგუებთრა ესე 35
 არა თუ უჩინოთა ვიეთმე მიერ კაცთა, არამედ ფრიადცა საჩინოთა და
 ბრწყინვალეთა, ვიტყვო უკუე გიორგის ებისკოპოსსა: მაწყუერელსა, რომელი-იგი
 აღმოსცენდა ჰევისაგან შუარტყლისა, მშობელთაგან წარჩინებულთა და
 ღმრთის-მოშიშთა, ხოლო აღიზარდა იგი განთქუმულსა მას უდაბნოსა³
 ოპიზას, რამეთუ იტყოდა ღმერთ-შემოსილი იგი უტყუელითა მით პირითა, 40
 ვითარმედ: ვიყავ რაჲ უდაბნოსა ოპიზისასა, საყოფელსა წმიდისა წინამორბედისა
 ნათლის-მცემელისასა, და მიერ აღვედ დიდისა მამისა მიქაელისა⁴ და ვიყავ
 რაჲ წინაშე მისსა, მაშინ წარავლინა მიქელ ორნი მოწაფეთა მისთაგანნი
 და მიუწერა ებისკოლე სერაპიონს და ძმასა მისსა იოვანეს მსწრაფლ მი-

*მათე 18,20.
 ნუსხაშია: ¹ მისსა. ² თვალთა. ³ ოდაბნოსა. ⁴ მქელისა.



- სლვად წინაშე მისსა, რამეთუ იცოდა ჟამი განსლვისა¹ თვისისა[ა], რა[ა]ქთა იხილ-
 ვნენ ურთიერთას და რაათა ზედამიწევნით ცნას, თუ ვითარ იქმნა მხენებაჲ
 ზეცით უწყებულისა მის ადგილისა[ა]. ხოლო იგი, ვითარცა იყო შოთხნეგას
 მოძღურისა[სა] მორჩილ, მსწრაფლ მოვიდა თვისით ძმითურთ, რომელსა სხუა-
 5 ნიცა მრავალნი ძმანი ჰყვეს. და ვითარცა იხილეს ურთიერთას დიდმან [v]
 მიქაელ და სერაპიონ, განიშუეს, ვითარცა შეჰგავს მზიარულებით, ცრემლთა
 თანა აღრვეით ჰმადლობდეს ღმერთსა და მიიღეს კურთხევაჲ ყოველთა ძმათა
 ურთიერთას. და ვითარცა გარდაჯდეს ორნი დღენი და განვისუენით, მესამე-
 10 ადგილისა მის, ანუ თუ ვინ იყო თანა-შემწე და მოღუაწე მათდა. ხოლო ნე-
 ტარმან სერაპიონ იყო პირველითგან და ყოველი წარმოუთხრა: და ვითარ
 თანა-შემწე მათდა იქმნა დიდი იგი მთავარი გიორგი ჩორჩანელი, და ყოვე-
 ლივე მათ ზედა მოწევენული, და ვითარ ადგილსა მას ორძის სიმრავლე
 ძმათა, და სასწაულთა მათთჳს დიდთა განქმობისათჳს ტბისა და კაცთა
 15 მათთჳს ურჩთა დაფარვისა, და ყოველივე, რაჲცა იქმნა, შემდგომითი-შემდგო-
 მად. ვინა[ა] განიხარა წმიდამან მან და მადლი მისცა ღმერთსა და აკურთხა
 კურთხეული იგი კაცი გიორგი ჩორჩანელი; და თუ ვითარ შემსგავსებული
 სახელი ეწოდა ზარზმა ერთა მიერ, სასწაულთა საკრველთა ზარგანჯდილ-
 თა. ესე ყოველი რაჲ ესმა წმიდასა მას, იხარებდა სულთა.
 20 ამისსა შემდგომად მოუწოდა მამამან მიქაელ კელარსა და ჰრქუა, რაჲ-
 თა მზა-ყოს სერი. მერმე წართქუნეს განწესებულნი ფსალმუნნი ეამსა ცხრა-
 ემისასა და დასხდეს სერობად, და იწდიეს ღვინო, და სულიერი და ჯორციე-
 ლი სიხარული განზავეს. მაშინ წმიდამან მამამან დიდთა ნიშთა და [265] სა-
 სწაულთა მიერ ბრწყინვალემან მიქაელ მიხედა ნეტარსა სერაპიონს და ჰრქუა:
 25 „მსაყუარელო შვილო და ძმაო სერაპიონ, მრწამს ქეშმარიტად ღმრთისა
 სასწაულთა მათთჳს შენ მიერ აღსრულებულთა, ანუ თუ ვითარ იყოს წარმარ-
 თებაჲ ადგილისა მის, გულსავე ვიქმნე, უკუეთუ ესე იქმნეს“. ხოლო განგე-
 ბითა საღმრთოათა იყო კედელსა ეკლესიისასა რტოჲ ბაჲაჲსაჲ მრავალ-ეამეუ-
 ლი. და აღიღო ჴელითა თვისითა მამამან მიქაელ და მისცა წმიდასა სერაპი-
 30 ონს და ჰრქუა: „შვილო, დაჰნერგე ესე მახლობელად ეკლესიისა, და უკუეთუ
 განედლდეს, უწყოდე ქეშმარიტად, რამეთუ ნაყოფიერებაჲ არს ადგილისა
 მის. წარვედ და გულს-მოდგინედ აშენებდი“. ვინა[ა]ცა განკრვებამან შეიპყრნა
 ყოველნი მუნ მსხდომარენი და ჰრქუეს ურთიერთას: „არა დიდ არს ორთავე
 ამათ მიერ სიდიდე სასწაულისაჲ“. ხოლო ყოლად უცხო[ა] იგი ზეობისა-
 35 გან შეუქერდა წმიდასა მას და ეტყოდა: „წმიდაო ღმრთისაო, წინაშე შენსა
 არარაჲ შეუძლებელ არს, რამეთუ ჴელმწიფებდა მოგიღებინეს მათაცა ცვაღე-
 ბამდე“. და გამოულო ჴელთა მისთა და დაჰნერგა ქუეყანასა. ხოლო შემდგო-
 მად მცირედისა განედლდა და რტო-გარდაფენით ქადაგებდა დიდებულსა
 მას სასწაულსა. და ვითარცა იხილეს ყოველთა, განკრდეს და აღიდებდეს
 40 ღმერთსა. და ვითარცა განისმა სასწაული ესე გარემოთა მათ უდაბნოთა,
 ყოველნი განჰკრთეს და მისცეს დიდებაჲ [v] ღმერთსა და მოქმედსა საკრვე-
 ლებთათასა.

XII. ხოლო შეუდგა სასწაული სასწაულსა, რომელსა ეგულვები[ს] თქუ-
 მაჲ და კუალად-ქცევა[ა] საზღვართავე თვისთა სიტყუსა[თა]. რამეთუ ვიდრე-

და იყვნეს ესრეთ ეამ რაოდენმე მზიარულნი სულითა [და] შეებითა, ედგა ყოველნი აღივსებოდეს საღმრთოთათა მადლითა, ხოლო დღესა ერთსა, ელოცებოდეს რაჲ ეამსა სამემისასა და აჰა ესერა დაეცა განკჯრებამა წმიდასა მას და მყოვარ ეამ დგა განცუბრებული. ამისსა შემდგომად ვითარცა რულისავან ღრმისა განღვებულმან მიხედნა ნეტარსა სერაპიონს და ჰრქუა: „ისწრაფე, 5 ძმაო, და წარვედ ადგილთა ნამუშავეთა შენთა, რამეთუ შეფოთნი რაჲმე შეგმთხუევად არიან ეამ რაოდენმე, ხოლო თუ უნდეს ღმერთსა, აღრე იქმნას განქარვებამა მათი, გარნა მე ვერღა მიხილო ოდესცა სოფელსა ამას, რამეთუ აღრე წარვალ ამიერ. ხოლო შეკრებასა მას ყოველთასა ნებითა ღმრთისაჲთა გიხილო მზიარული და ბრწყინველე, ვითარცა რაჲ მუშაჲ კეთილი, სასყიდ- 10 ლითა განმდიდრებული. ხოლო ძმა[ა] შენი იოვანე მივედინ ადგილსა სხუასა, რომელი, ისწაოს რაჲ, შენებასა მისსა მოსწრაფედ თანა-მზრუნველ ექმნას კაცთა მათ, რომელნი პოვნეს ადგილსა მას, რომელსა მონასტერი აშენოს“. და მისცა მას სასწაული¹ და ნიში, რომელსა ეგულებოდა მისლვა[ა] იოვანეს.

ხოლო ესევეთარი რაჲ ტბილი ანდერძი წარმოთქუა და ყოველი ყო- 15 ფადი წინა[ა]სწარ მოუსწავა და წარგზავ[ა] 266² ენა ცრემლითა აღსავსენი და უფრო[ა]ს-ღა, რამეთუ არა ესვიდეს კუალად ხილვასა მისსა, ხოლო მოიწინეს რაჲ დიდსა მას უდაბნოსა კლარჯეთისასა, ოპიზას, მოგ[ა]ნეს მათ მამანი და სურვილით მოწოდებ² მოიკითხნეს და შემსგავსებული პატივი წინა-უყვეს³. და ვითარცა დაყვენეს დღენი რავდენნიმე...⁴ 20

ხოლო ვითარცა იყო წმიდაჲ იგი მდაბალ და აღუზუაგებელ⁴, ტბილი-თა და დაშნითა ჯელითა იხილვებოდა მდგომარედ ხუროთა თანა საეკლესიო-თა, რამეთუ იყო სხუათავე თანა სათნოებათა მეცნიერ სჯულთა საეკლესიოთა და ფრიად შემკულ წესითა ხუცობისა[ა]თა.

ვინა[ა] იხილა ვინმე იგი ესევეთარიითა სახითა ზუავემან⁵ და სილალითა 25 შეპყრობილმან, იწყო გამოად წმიდასა მის და იტყოდა: „აჰა დიდი და განათქუებული სერაპიონ ვითარ-ღა უსიტყუ და უტმო იხილვების და რაჲთურ-თით ესევეთართა პატივთა ყოლად არა ღირს არს ესე“. ამას რაჲ იტყოდა შურითა საეშმაკო[ა]თა აღსავსე იგი, ევა საკრველებათა შენთა ქრისტე! რამეთუ სიტყუაჲ წინაწარმეტყუელისა[ა] სრულ იქმნა, რომელი იტყუა: 30 „უფალმან მიაგოს უსჯულოებამა მათი“⁶, და კუალად: „[უტყუ] იყავნ ენა[ა] მზაკუარი მეტყუელი მართლისათჳს უსჯულოებასა“⁷. ხოლო ვითარცა მდგო-მარე იყვენეს ეკლესიას, მეს წინაშე ყოველთასა დაეცა კაცი იგი უტმოდ მდებარე და გარდამოადლო [v] ენაჲ განსივებული, საშინელთა პეროოდა და გორვიდა. მაშინ განკჯრებამან შეიპყრნა ყოველნი იგი დასნი მგალობელთა- 35 ნი, ხოლო რომელთა ასმი[ი]ოდა კაცისა მისგან გმობაჲ იგი წმიდასათჳს, ურ-თიერთას იტყოდეს: „ნუუტუე მის მიერ მოიწია მსწრაფლი ესე მხილებაჲ“. ხოლო კაცი იგი მოეგო გონებასა და გულსცემ-ყო ცთომილებამა თჳსი და დაღაცათუ ენითა ვერ მეტყუელებდა, არამედ ეგრეთცა შეუ[ა]რდა მწყობრსა მას მამათასა და წინაშე მათსა აღიარა ცთომილებამა თჳსი. ხოლო ყოველნი 40 იგი შეუ[ა]რდეს წმიდასა მას, რათა მიუტეოს ცოდვა[ა] იგი. და იგი ესრეთ ეტყოდა მათ: „კრებულაო წმიდაო და მწყობრო რჩეულაო, ნუ იყოფინ, თუმიცა

* აქ ტექსტს უნდა აკლდეს. ** ფსალმ. 93,23. *** ფსალმ. 30,19.

ნუსხაშია: ¹ სასწაული რაჲ. ² მოწოდებ. ³ უყუეს. ⁴ აღუზუაგებელ. ⁵ ზუავემან.



ჩემ ძლით რაჲ შეკმობუეოდა ძმისა ამას, არამედ სიტყუსაებრ ფერქმევითაჲ
 ლისა: «თანა-გუაჲც ძმათ-მოყუარებით, რაათა ყოველთა ულოცუესადი უყუარებ
 მან ყოს ლხინებაჲ უძღუორისა[ა] ამის*». ხოლო ყოველნი იგი უმეტეს შეუ[ვ]რ-
 დეს წმიდასა ამას: «მიუტევე, წმიდაო ღმერთისაო, და შეიწყალე საწყალობე-
 5 ლი ესე». ხოლო წმიდაჲ იგი ეტყოდა: «აჲა და მეცა მზა ვარ თქუნ თანა». და
 ზოიდრიცა მუგლნი და თქუა: «უფალო იესუ, ცეო ღმერთისა მამისაო,
 რომელი მოხუედ სოფლად მოძიებად შეცთომილთა, ვითარცა-იგი სიტყუთა
 აღატყუე ყრუ[ა] იგი და უტყვ. ვგრეთვე, მეუფეო უფალო ღმერთო, განკურ-
 ნე ყრმა[ა]ცა ესე, რომელი [226, B] შესცთა სიფერავითა ეშმაკისა[ა]ოა». და
 10 ვითარცა ესე თქუა, მყის დასცხრა ფრიადი იგი სასტიკებაჲ ენისა მისისა[ა]
 და კუალად ეგო ადგილსავე თუსსა. და რომელთა იხილეს, განკურნებულნი
 აღიდებდეს ღმერთსა.

და განითქუა სასწაული ესე ყოველთა შორის და იტყოდეს: «რომელ-
 მან-იგი რტო[ა] ბაჲაჲსაჲ განკმელი ფურცლის-შმოზლად გამოაჩინა მსგავსად
 15 განკმელისა მის ჯელისა, რომელი-იგი განკურნა უფალმან, და აპრონის მიერ
 განედლებულსა მის კუერთხისა და კუალად ხისა მის, რომელი მიყრდნობი-
 თა დიდისა მოწამისა ხარალამისითა განედლდა და მყის ნაყოფიერ იქმნა,
 და კუალად აკრატელთა ნათელმან გრიგოლი, ამთ სასწაულთა არაარაჲთ
 უდარეს არიან აწ აღსრულებულნი ესე წმიდისა სერაპიონის მიერ. რამეთუ
 20 იტყუს უფალი: «რომელსა მე ვპრწმენე, უმეტესი ჩემსა კმნეს**», და საკურველ
 არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა. ამათ და ამათვითართა ურთიერთას
 იტყოდეს ყოველნი იგი და აღიდებდეს ღმერთსა.

XIII. ამიერ კუალად ვიპყრათ ნეშტი იგი თხრობისა[ა] და პირველსავე
 სიტყუსაჲ აღვიდეთ. და ვითარცა ესე სასწაულნი იქმნ[ნ]ეს წმიდისა მის მიერ
 25 ადგილთა მათ, რომელთა აღზრდილ-და იყო, და წინაჲე მოძღუორისა, რომე-
 ლი იყო თავ და წარმართებაჲ ყოველთა საქმეთა მისთა, და ძმა[ა]ცა იგი მათი
 უხუცესი, რომელი პირველ ვაჟსენეთ, იხი[ვ]ლეს და სურვილით მოიკითხეს.
 და თანა ექცეოდა ყოველსა მას მუნ ყოფისა შინა მათსა, ხოლო იჯმნეს წმი-
 30 დათა მათ უდაბნო[ა]სა მისგან, და მოიკითხნეს წმიდანი იგი მამანი და წარ-
 ვიდეს. და ვითარცა ვარდიელეს მთა[ა] იგი არსიან წოდებული და მივი-
 დეს გეგსა ყველისასა, ხოლო იქმნა რა[ა]მე მუნცა ნაკლულეგანებისა
 სრულ ყოფად[271r 13] განგებულებით, რამეთუ აჲა ესერა მოგებნეს კაცნი
 ვინმე მონაზონნი და პრქუეს: «კეთილად მოხუედით, საღმრთონო მუშაკონო
 35 ქრისტეს ვენაჯისანო, რამეთუ ბრძანებულ არს, რაათა ადგილთა ამათ თქუნ
 მიერ აღეშენოს მონასტერი, რომელსა ჩუენცა ვიქირავით, და მოგელით თქუნ,
 ვითარცა უწყვი[ვ]ბულნი. რამეთუ აქაცა თქუნევე ხართ წინამძღუარ და
 მასწავლელ საქმეთა ამათ». და უჩუენეს ადგილი, რომელსა ზედა იხილუნეს
 ნიშნი იგი ბრძანებისაებრ დიდისა მიქაელისისა, და უბრძანა წმიდამან სერა-
 40 პიონ ძმასა თუსსა, რაათა გულს-მოდგინედ იწყოს და აღაშენოს მონასტერი
 ბრძანებისაებრ წმიდისა მის. რომლისათუსცა საქმე ესე ფრიად შეუძნდა იოვა-
 ნეს, ვარნა ვერ მკადრე იქმნა წინა-განწყობად ორთავე მათ ბრძანებასა, არა-
 მედ ესე ხოლო პრქუა სერაპიონს: «უკუეთუ ჯერ-არს, რაათა უამითით ვი-
 ხილვიდე საღმრთოსა პირსა თქუნესა, მზა ვარ მე აღსრულებად ბრძანებათა

* შდრ. იაკობ 5, 14—15. ** შდრ. იოანე 14, 12.

ნუსხაშია: 1 წარმართებაჲ.

შენთა“. ხოლო წმიდანან უბრძანა ყოლადვე ხილვად ურთიერთას. **ფეკლეუქლი**
შენა მონასტერი იგი ბრძანებისაებრ დიდისა მის მოძღურისა. **ფეკლეუქლი**
ყოველითა სამკაულითა, ვითარცა შეპჯვანდა, და უწოდა სახელი სენხაა თუი,
რამეთუ იოვანე-წმიდა¹ ეწოდების ადგილსა მას. ზოვიდოდა ჟამითი-ჟამად
ძმისა თუისისა თანა და ისწავებნ² ყოველსავე განგებასა მონასტრისასა.

არამედ აქა ნეპტი სიტყუსა[ა] წინაუკმო ვცვალეთ, რამეთუ შეეზავა სი-
ტყუა სიტყუასა და ვერლარა განგვაეთ აღწენებამ იგი მონასტრისა[ა], რო-
მელი სახელად იოვანესსა აღწენა. და ვითარცა წარვიდოდა მიერ წმიდა სე-
რაპიონ და მოვიდა თუთათა იგი თანა კრებულთა, და ყოველი მიეგებნეს
სინაზულთ და მოიკითხეს სურველით [272], და მოიხილნა იგინი და რაო-
დენი³ რაჲ ეშენა ახალსა მას⁴ ხუროთ-მოძღუარსა და ვითარ სიმრავლე ემა-
თა სიმრავლედ დიდად აღწენულად, ესე ყოველი რაჲ იხილა, განზიარუ-
ლებული ჰმადლობდა ღმერთსა.

XIV. ხოლო აქა ვგულებს სიტყუასა კუალად ქცევა[ა] სხუად მი-
მართ, რამეთუ წით[ხ]რეს ღმერთ-შემოსილსა მამასა სერაპიონს სიკუდილი⁵
დიდისა მის მთავრისა გიორგისი, რომელი იყო აღმაშენებელი ადგილისა მის.
ესე რაჲ ესმა, ვითარცა შეპჯვანდა, დიდად იგლოვა, ცრემლოვდა ვითარცა
მგსნელი ლაზარეს ზედა და უმეტეს, რომელ არა თანა-დახუდა სიკუდილსა
მისსა, ვინა[ა]ცა ჰრქუა იკონომოსსა და ხუცესთა და ძმთა ყოველთა, რათა
ხვალის დღე მივიდნ საფლავად მისსა, ადგილსა მას ზანავისასა, სადა-
იგი მონასტერი შეუნიერი შენ არს, რომლისა-იგი იყვნეს პირველნი აღმა-
შენებელნი ამასჲო და ქურდია. ხოლო აწ კუალად და[ა] გიორგისი,
რომელი იყო ცოლი დიდისა მთავრისა მირიანისი, ძისა ბეშქენ ბაჰ-
ლაუნდისა[ა] [ძისა] იოვანესი⁶. ხოლო გიორგი შეილთაგან ოწერ და უქმ
იყო, რამეთუ ორნი შეილნი სინოებასავე შინა წასრულ იყვნეს და შემდგო-
მად მათისა დედა[ა]ცა, ნათლად გამომყვანებელი მათი, მიიცივალა, და სხუსა
მეუღლისა შეერთებამ არღოდეს თავს-იდვა. და ვითარცა ვთქუთ, გარდა-რაჲ-
იცვალა [v] ყოლად კურთხეული იგი გიორგი, ყოველივე, რაჲცა აქუნდა.
და მამული და ყოველნი ეკლესიანი და მონაგები მისი დასა მისსა შექმედრა
და შეილთა მისთა საკუთრებით განუთუსა, რომელთა ეწოდა სულა, ბეშ-
ქენ და ლაკლაკი. ხოლო ვითარცა ვთქუთ, მივიდა წმიდა იგი საფლავსა
ზედა მისსა, მოწოდ⁷ და თანა-ღმობით იტირა. და ვითარცა ჯერ-იყო, მო-
იკითხა და ნუგეზინის-სცა დასა მისსა ლატავრის, რომელსა უკუანა[ა]-
სკნელ თეკლა ეწოდა, და კურთხევითა საღმრთო[ა]თა აკურთხნა სამნივე იგი
ყრმანი მსგავსად სამთა ყრმთა აბრაჰიანთა. მერმე მოილო ანდერძი დიდისა⁸
მის მთავრისა გიორგისი და წარიკითხა აღსაესემან ცრემლითა, და ილოცა
მისთეს და აკურთხა კურთხეული იგი კაცი, რამეთუ მდიდრად მიეცა ყოვე-
ლივე უბუებით: აგარაკნი თავისუფლებით და საქონელი მრავალდერი და სი-
მრავლე საჭედართა და მროწეულთა[ა]⁹. და სასოებით შექმედრა¹⁰ სული წმი-
დისა მის კაცისა[ა]. და ამას შინა გარდატდეს წელნი და აორძნდებოდა და
წარემატებოდა ადგილი იგი ფრიად.

ხოლო მოვიწინით რაჲ სიტყუასა ამას, ჯერ-არს გულისგმის-ყოფით-
რე სმენა[ა], თუ ვითართა მადლთა ღირს ქმნულ იყო დიდი იგი მამა[ა] მი.

ნუსხაშია: ¹ იოვანე-წმიდა. ² ისწავებნ. ³ რაოდენი. ⁴ ახალთა მათ. ⁵ იწესა.

⁶ მოწოდედ. ⁷ მრეწეულთა. ⁸ შეევიდრა.



- ქაელ, რამეთუ ამა ადგილი იგი, რომელი უწინაწარმეტყუელა ნეტარს სერაპიონს, ვითარმედ შფოთნი და განსაცთენი შემთხუვად [266] გრძელად გილსა მას ნამუშავესა შენსა, ამა ესერა წარმოვთქუათ. და ვითარცა იყო დიდსა დაწყნარებასა და მშვიდობასა შინა ადგილი იგი შემდგომად გარდაცვალებისა დიდისა მთავრისა გიორგისისა და კეთილად წარმატებოდა ყოველი საბრძანებელი მისი, რომელი დაეტევა დისა მისისა თეკლა[ა]სა და შვილთა მისთადა, ვინაჲ ბირებითა ეშმაკისა[ა]თა იქმნა უწყისო[ა] ამბოხი, რამეთუ მოკლა ლაკლაქმან დისიძე თუხი, რამეთუ მძლავრებით ეტყოდა, ვითარმედ ნაწილ-უც მამულსა თანა თქუენსა დასა ამას თქუენსა, ვინა[ა]თგან თქუენცა დედისა მიერ გაქუს, რომლისათუხცა განმრავლეს სიტყუს-გებანი ურთიერთას. და ესრეთ მოკლა დისიძე თუხი. და ესე რაჲ ესრეთ იქმნა, განგრძელდა საქმე ესე სამ წელ. ხოლო წელსა მეოთხესა ამათ საქმეთასა განაბრწყინვა ღმერთმან დიდი იგი მღვდელთ-მოძღუარი გიორგი შუარტყლელი, რომელმან დაიპყრა საყდარი აწყურისა[ა], რამეთუ არა ჯერ-იყო ცხედარსა ქუეშე დაფარვა[ა] სანთლისა[ა]*. და ზელთ-იდვა რაჲ განგებაჲ სამცხისა[ა], დააწყნარა ყოველი საბრძანებელი თუხი, ვითარცა წეს-იყო, და დაიპყრა ყოველი მამული და ეკლესიანი პირველთა მათ შემფოთეთანი. ხოლო ადგილი იგი, ზარზმად წოდებული, ეგო უძრავად ყოლადვე შეწევნითა ღმრთისა[ა]-თა და მადლითა სასწაულთა მიერ ნიშებ-შემოსილისა მამისა სერაპიონისითა.
- და ვითარცა გარდაქდა [v] წელიწადი შუად აღთუალული¹, დასცხრეს და დადუმნეს ყოველნივე შფოთნი და უწყისობანი წმიდისა ამის მღვდელთ-მოძღურისა გიორგის მიერ. ხოლო ყოველთა ამათ საქმეთა სიმრავლისათა მეტყუელ[ი] პირი და ენა[ა] დიდსავე თანა გიორგის მაწყურელსა იყო ნეტარცა მამა[ა] სერაპიონ. ვინა[ა]ცა ყოველნი ესე სასწაულნი და საქმენი, რომელნი-იგი პირველ ეპისკოპოსობისა და უკუანა[ა]სკნელ ეხილვნეს, მომიბზრნეს, პირმან მან უტყუველმან, გიორგის ვიტყუ მაწყურელსა, ვითარ-იგი ბაჲა[ა]საჲ რტოჲ განედლდა და ვითარ ეშმაკისა ბირებითა ცთუნებული იგი ზუაფი და ამპარტავანი ენა[ა] განკურნა, რამეთუ ყოველთავე თუმბილველ ქმნილ იყო.
- XV. ხოლო აწ კუალად აღვედინ სიტყუაჲ ჩუენი პირველ დაწყებულთა სიტყუათა შემდგომითი-შემდგომად. [266, v 14] და ვითარცა იქმნა დაწყნარებაჲ შფოთთა[ა] მათ, და დღითი-დღე შეეძინებოდა წარმატებაჲ მონასტრისა[ა] მის. და ენა[ა]ცა მისი იოვანე ზედაჲს-ზედა მოვალნ და იკურთხევინ მის მიერ და ისწავლინ ყოველსა, რაჲცა აკლდა მის მიერ შენებულსა მას მონასტერსა. ხოლო ესე წესი დაუდევს თავთა თუხთა ნეტართა მათ, რამეთუ ლოცვისა ღამისასა ზელ-განაპრობით დგინ დასსა თანა მგალობელთასა. ხოლო მოეახლის რაჲ ცისკარი, განემორნიან ვითარ ქვის-სატყარცელ ოდენ, და მყუდროებით და ცრემლით შესწირვიდიან ვედრებათა, რაჲთა ამითცა ემსგავსნენ თუხსა მეუფესა. და ესრეთ დღითი-დღე შესძინებდეს ტალანტსა, რაჲთა მიართუან აღნადგინებითურთ განმყოფელსა მას მადლთასა. ესრეთ რაჲ შუა წარტდა სიმრავლე წელთა[ა] და სიბერითა კეთილითა განაპოხნეს და ფუფუნებულ და ჩჩულ იქმნეს საღმრთოჲთა ცნობითა. და იყო ამისსა [267] შემდგომად გარდაიცვალა და[ა]ცა იგი გიორგისი თეკლა, და დაშთეს სამნი-

* შდრ. მარკ. 4, 21.

ნუსხაშია: ¹ აღთუალული.

ვე იგი ძენი მისნი, და წარემართა უფლებამ მათი, და იკურთხა თესლი მათი, ვითარცა აბრაჰამისი და იაკობისი.

XVI. გარნა აწ ჯერ-არს, ძმანო, რაათა გულს-მოღვინედ ვისმინოთ აწ თქუმული ესე. და გესმოდის რაა დასაბამი და აღსასრული ნეტარისა ამის ცხოვრებისა[ა], გიკვრდეს და ადიდებდეთ ღმერთსა. რამეთუ მახლობელ რაა იქმნა სოფლით წარსლვისა და მწუხარებისაგან სიხარულად¹ მისლვისა, მოუწოდა კრებულსა მას ძმათასა და პრქუა: „ძმანო და მამანო! მსურის მე², რაათა მოციქულისაებრ ვიტყოდი: «სრბამ აღსრულებულ არს და სარწმუნოებამ დამიმარხავს»³, ხოლო ვიტყუ³ არა თუ ზუაობითა, არამედ ვესაგ, რამეთუ «ამიერთგან მიმელის მე სიმართლისა იგი გვრგვნი»⁴, არა მე, არამედ ყოველთა, რომელთა შეიყუარეს გამოჩინებამ მისი, რამეთუ ესრეთ მზა არიან გვრგვნი⁵ მოყუარეთათს მისთა, ვითარცა თვთ თავადი იტყვს: «მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვრთ-მძიმენი და მე ვანგისუენო თქუნენ»⁶, «ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვდ ვარ და მდაბალ გულითა»⁷, ხოლო თქუნენ, შევილნო, ისწავეთ მეტყუელისა: «შეიყუარე უფალი ღმერთი შენი ყოველითა გულითა შენითა და ყოველითა სულითა და გონებითა, და მოყუასი, ვითარცა თავი თვისი»⁸. და კჳალად იტყვს: «უაქუე[ვ]თუ გინდეს, რაათა გიყონ კაცთა, ეგრეთ ჰყოფდით თქუნენ მათდა მიმართ. და ამათ მცნებათა და ყოველი სჯულ[ი] და წინაწარმეტყუელნი დამოკიდებულ არიან»⁹, და «ამით ცნან ყოველთა, ვითარმედ მოწაფენი ჩემნი ხართ, უკუეთუ იყუარებოდით ურთიერთსა»¹⁰. ხოლო თქუნენ, ძმანო, დაიმარხეთ ყოველისა პირველად სიყუარული ღმრთისა და მოყუსისა[ა]. ვითარცა თავი სჯულისა და წინაწარმეტყუელისა[ა], და მარადის ილოცევდით, რაათა არა შეხვდეთ განსაცთელსა, რამეთუ ლოცვა[ა] მიმახლებელი არს ღმრთისა[ა] და ბჳე სასუფეველისა[ა], შემეერთებელი ანგელოზთა[ა] და დამცემელი ეშმაკთა[ა]. რამეთუ წმიდათა და ღმერთ-შემოსილთა მამათა ლოცვა[ა] თქუნეს სატურველად, მარხვა[ა] ზღუდვად და წმიდანნი ცრემლნი საბანელად, ხოლო მორჩილებამ წამებად, რომელი-ესე ღლუწლით შემოსილთა მოწამეთა თანა დაუთხეველად სისხლთა გვრგვნოსან ჰყოფს კაცსა».

ესევეთარი მრავალი წარმოუთხრა წმიდამან მან ოქრონაკადულით პირით მისით მოწაფეთა თვსთა. და კჳალად პრქუა: „მე, ძმანო, აჰა ესერა წარვალ შემდგომად მცირედთა დღეთა, ხოლო თქუნენ იძიეთ მამა[ა] და წინამოდლუარი, რომელი შემცლებელ იყოს მიყსად თქუნენდა, ვითარცა შეილთა და ძმათა“. ხოლო ყოველნი იგი აღვსებულნი¹¹ ცრემლითა ტიროდეს ფრიალდა არავინ მიუგო ტირილისა მისგან ფრიადისა. [268] და მო-რაა-ევნეს თავთა თვსთა, მიუგეს ესრეთ და პრქუნეს: „ჩუნენ, მამაო, ვინაჲთგან ობოლ ვიქმნებით ტკბილისა და ყოლად მოწყალისა მამისაგან, არა უწყით რაა მიგიგოთ“¹². და წმიდამან პრქუა: „ვიწა[ა]თგან, შევილნო, არას მითხრობთ, მე, გლახაკსა, თანა-მაც, რაათა მე-ვე ვიტყოდი ჯერისაებრ“.

და იყო ვინმე მღვდელთაგანი კაცი კეთილითა სათნოებითა ბრწყინვალე და ტკბილი სიტყვთა და საქმითა, სახელით გიორგი. ამას მოუწოდა წმიდა-

* II ტიმოთე 4,7. ** II ტიმოთე 4,8. *** მათე 11,28. **** მათე 11,29.

***** ლუკა 10,27. ***** მათე 7,12; 22,40. ***** იოანე 13,35.

ნუხაზია: ¹ სიხარულა. ² მსურის მე რ-მე ესერა. ³ ეტყუ.



ქრისტესწამი

მან და ჰრქუა: „ჟ საყუარელო შეილო გიორგი, რამეთუ წველ ცხოვრებულს¹ რებულ არს შენდა, რაათა შემდგომდ ჩემსა სამწყსო[ა] ესე ქრისტესი ვითარცა მამამან სულთ-მოყუარემან კეთილად დამწყსო, და ვითარცა შეჰგავს შეილთა მამის-მოყუარეთა, შეუდგენ ზმასა შენსა“. ესე სიტყუანი რაჲ ესმენს ვიორგის, აღვსებული ცრემლითა ეტყოდა: „მძიმე არს, ჟ წმიდაო, დაღებად ბეჭთა ჩემთა ტურთი ძნიად სატჯრთავი, და გვეედრები, რაათა შენდობაჲ ჰყო და არღარა მიბ[რ]ძანო კულადცა“. ხოლო წმიდაჲ იგი ეტყოდა: „არა მე, არამედ ქრისტე გვბრძანებს ჩემ მიერ“. და სიტყუთა ამით დაარწმუნა წინამოდლ[უ]რობაჲ ძმათა მათ, რომლისათუსცა ყოველთა მათ განიხარეს, რამეთუ მსგავსადვე მისა² ხედვიდა ყოველი იგი კრებული. და შეჰვედრა სამწყსო[ა] იგი თუსი ვიორგის, და განუჩინ[ნ]ა ყოველნი, რაოდენ[ნი] უბ[ვ]მდეს მნენი ეკლესიისანი. და განაწყო კრებული იგი განგებითა საღმრთო[ა]თა და ფრიად შეუნიერთა, ვინა[ა]ცა დღესა მეჲდღესა ყოველთა ამით საქმეთისა მცირედ რაჲ-მე დასნეულდა და მიწვა ცხედრად. ხოლო დღესა მეხუთესა აღდგა, ვითარცა ახალ განჰაბუკებული, და მიიწია წმიდად საკურთხეველად და შეემთხვა წმიდასა ტრაპეზსა და განმაცხოველებელსა ხატსა ქრისტეს კაცობისასა. და უბ[რ]ძანა, რაათა აზიარონ ვორცსა და სისხლსა ქრისტესსა. და დაიბეჭდა საუფლოჲ ჯუარი და მოიკითხა თითოეულად სიმრავლე იგი ძმათა[ა] და ჰრქუა: „ილოცეთ ჩემთუს, ძმანო, და ცხონდით, რამეთუ ამიერითგან არღარა მიხილოთ სოფელსა ამას“. და წარვიდა და მიიწია ცხედრად ეამსა მეექუსესა. და მეცხრესა ეამსა შეჰვედრა სული თუსი ჯელთა ღმრთისათა, რომლისა[ა] სურვიელ იყო მარადის, ხოლო არა მცირედ იგლოვეს მამათა ლავრისათა ჯერისაებრ და ცრემლით.

მაშინ მოვიდა ძმა[ა] მისი იოვანე, რამეთუ უწყებული იყო სულისაგან, ვითარცა ღრუბლითა აღტაცებული. და შემოკრბა სიმრავლე გარემოთა მონასტერთა და სოფელთაჲ. ხოლო მოვიდა ღმერთ-შემოსილი გიორგი მწყურე-რელიცა ჯუართა ყოველთა თანა მწყობრთა ეკლესიისათა. და ესეცა ვთქუათ, რამეთუ მწყობრნი ანგელოზთანი კრებულსა თანა ყოველთა წმიდათასა შეერთებულნი მოიწინეს, ვითარცა თანა-მოკარვისა და თანა-მოსაგრისა მათისა. და ყოველთა აღიტყუენეს ჯელნი[ი] სიხარულითა და ზეცის აღიყვანეს³ ყო-ლად სანატრელი⁴ იგი სული მისი. და ზეცისანი განმზიარულებულნი აღიდგმ-დეს ღმერთსა, ხოლო ქუეყანისა[ნი] გუამისა მის წმიდისა შეხებითა სენთა და საღმობათაგან უსნილნი მადლობასა და თაყუანის-ცემასა შესწირვიდეს და ჯეროვნითა გალობითა და სანთელთა სიმრავლითა და საკუნეველთა სულ-ნელებითა შემურეს და დადგეს საფლავსა, რომელი-იგი თუთ შეემზადა მას აღმოსავალით საკურთხეველისა, რაათა დღითი-დღე ხალვითა მისითა იგსე-ნებდეს სიკუდილსა, რომელი-იგი სამარადისოდ წინაშე თუალთა⁴ აქუბდა. და ესრეთ სრულ ყვეს წესი იგი სანკუდროჲ. და მრავალნი ეამსა მას დაფლ-ვისა მისისასა მრავალფერთა სენთაგან განიკურნნეს, რაათა ყოველთა უწყო-დი[ან], ვითარმედ სიკუდილისაცა [შემდგომად] ცხოველ არს და იღუწის სარწმუნოებით შევედრებულთა.

ხოლო სიმრავლე სასწაულთა მისთა[ა] ვერცა თუ გონებათაგან მისა-წყ[უ]თამელ არს, გარნა კერძო-რაჲმე და მცირედი მოვიკვნენოთ და მერმე დუმილი მივსცეთ სიტყუასა.

ნუსხაშია: ¹ მისა. ² აღიყვანეს. ³ სანატრელნი. ⁴ თვალთა.

[V] ჯერეთ ცხედარსავე აქუნდა მრავალ-მოღუაწე იგი გუამი წმიდისა მის და აჰა ესერა მოიწია კაცი ვინმე ყოლად განჯმელი, რომელი ფრიად რაჲმე სასტიკებით განიჭრებოდა ტკივილისა სიმბაფრითა, რამეთუ სისხლი წარს-ლიოდა სარცხელსა მისსა და ჳმობდა ჳმითა უშუერიითა. და ვითარცა მყის მოიწია, მიეხუა მოწოდელ¹ ცხედარსა მისსა, და აჰა ესერა კაცი იგი იქმნა ვითარცა მკუდარი. და შეესულად სახილველად ყოველთა ასოსა მის თესლ-მცენარესა წარსცვის ორნი ქვანი განსაკ[რ]თომელნი სიდიდითა. და იქნა კა-ცი იგი ყოლად მრთელ, ვითარმცა არარაჲ შემთხუოდა² ვნებაჲ იგი. და ყოველთა, რომელთა იხილეს, ადიდეს ღმერთი, მადიდებელი წმიდათა მის-თაჲ. ვინა[ჲ]ცა ჟამსა მას მოიწია სიმრავლე თითო-სახეთი სნეულთა[ჲ] და ყოველნი განიკურნებოდეს და ადიდებდეს ღმერთსა. ხოლო შემდგომად და-ფლვისა მისისა და მიწად მიჯარვისა ვიდრე დღენდელად დღემდე მიუწ[უ]-დომელ არიან ნიშნი და ძალნი მის ნიერ აღსრულებულნი თუთოყულთა ზედა სნეულთა, და კაციბრთვისა ენისა მიერ შეუცლებელ არს წარმოთქუმა[ჲ] და აღწერა[ჲ] ყოველთა მათ სასწაულთა[ჲ], რომელნი-იგი სარწმუნოთა კაცთა³ 15 ფიცით მოგვთხრნეს ჩუენ:

ხოლო ჩუენთა ამათ ჟამთა ხილული და სმენილი ვითარ მიუთხრათ სი-ყუარულსა თქვენსა [278], რამეთუ უშურველად⁴ ფშვს მადლი ნაწილთა მის-თა[ჲ] სარწმუნოებით შევდრებელთათჳს, რომელი-იგი მარადის აღსრულებ-ბის სადიდებელად ღმრთისა. 20

XVII. ხოლო ამიერთგან მოვიკსენოთ, თუ ვითარსა მადლსა ღმრს ქმნულ იყო წინაწარმეტყუელებისა[სა]. რამეთუ აჰა ესერა ეგულების სიტყუა-სა მოჳსენებად სიტყუა[ჲ] იგი, რაჲმს პრქუა ძმისა თჳსსა იოვანეს, ვითარ-მედ: „ჟამთა ბორცუსა ამას ზედა აღეშენოს ეკლესია[ჲ] ფრიად შეუნიერი“. რამეთუ აჰა ჟამი იგი წინაწარმეტყუელებისა[ჲ] მოიწია, რამეთუ ვიდრე-ღა იგი ცოცხალ იყო, წმიდაჲ ესე ყოველთა მიერ საყუარელ და ყოველთა შეგო-ბარ იყო და მოძღუარ, რომლისათჳსცა დაემოწაფა წმიდასა ამას კაცი ვინმე ყოლად უცნაური. და იყო კაცი იგი ადგილისაგან მცირისა, რომელსა ძარ-ღუას სოფელ ეწოდების. და დღითი-დღე მოვიდის კაცი იგი და ეტყოდა წმიდასა მას, ვითარმედ: „მაკურთხე, მამაო, წმიდითა ჳელითა შენითა და შემრთე წმიდასა კრებულსა შენსა“. ხოლო იგი აყენებდა ჟამად, რაჲთა უფ-რო[ჲ]ს გამოიხნდეს საკურველი მისითა მით ერისკაცად მიყოვრებითა. ხოლო იგი ეტყოდა: „მაკურთხე, მამაო, და მიიღე მცირე ევლოგია და წარაგე სა-შენებელად მონასტრისა“. ხოლო იგი კუალადცა უბრძანებდა, რაჲთა დრო-ყოს და თუთ მოვალს ჟამი, რაჲთა იქმნეს მონაზონ და ევლოგია[ჲ], რომელ განგიზაღდებინა, [V] ფრიად რაჲმე იქმაროს. 35

ხოლო ვითარცა მოიწია ჟამი და მიიცვალა წმიდაჲ იგი, მოიწია მესამე დღე მიცვალებისა მისისა[ჲ] და დაიდგა წმიდაჲ იგი პირველ ჳსენებულსა მას საფლავსა, რომელი თუთ ექმნა აღმოსავალით საკურთხეველსა⁴ დამართებით სარკუმელსა. და მოვიდა კაცი იგი, ვითარცა ვთქუთ, დღესა მესამესა მიცვა-ლებისა მისისა[სა] და იტირა ფრიად და წმიდასა მას ეშუოდა ვითარცა ცხო-ველსა არა ჳელითა მისითა აღკუეცისათჳს მისისა. რომლისათჳსცა იტყოდა, ვითარმედ: „არა განეშოროს საფლავსა, ვიდრემდის არა მონაზონ იქმნეს⁵ და ევლოგია[ჲ]ცა იგი დადვას ადგილსა მას სამარხოსა მისისასა“. და ვითარცა 40

ნუსხაშია: ¹ მოწოდელ. ² შემთხუოდა. ³ კაცთა + მიერ. ⁴ უშორველად. ⁵ სკურთხულსა. ⁶ იქმნეს.



ქართული

- ესრეთ მდულარე იყო კაცი იგი, მაშინ უბრძანა მამასახლისმან მთელი ეკლესია სინათა, რაათა მოიღონ საშვარი და კუნკული და აღკუეცონ კაცი იგი. ხოლო მათ მსწრაფელ შეუდგინეს საქმე სიტყუასა, და აღკუეცეს კაცი იგი და აღასრულეს მის ზედა ყოველი წესი მონაზონთა[ა]. და ვითარცა წარვიდა
- 5 კაცი იგი სოფლად თჳსსა, იცნეს იგი კაცთა და მეგობართა, და განჰკრთეს, იხილეს რაჲ უცხო[ა]თა სამოსლითა შემოსილი, და ენება კუალად ერისაგან ყოფაჲ. და ვითარცა ვერ შეუძლეს მორჩილებაჲ მისი, უთხრეს ესე უფალსა მისსა¹, რამეთუ იყო კაცი იგი სავმარ და მსრბოლ გზათა შო[271]რთა.
- ხოლო კაცმან მან ვითარცა აგრძნა, ვითარმედ არა უტყევებენ ნებისაებრ
- 10 მისისა, მაშინ აღიღო ევლოგია[ა] იგი და რაოდენი² რაჲ ეცლო სახლით თჳსით და სივლტოლა[ა] იჭუმი. ვინა[ა]ცა დევნა-უყვეს უკ[უ]ნა მისსა, და შეწყენითა მის წმიდისა[ა]თა ვერ ეწინეს. და ვითარცა შევიდა კაცთა იგი მონასტრად და მღვვარნიცა იგი უკ[უ]ნა მისსა, და ვითარცა ენება, რაათა შეიპყრან და წარუღონ, რაჲ იგი აქუნდა, და მიიწია კაცი იგი დამართებით
- 15 სარკუმელსა ეკლესიისასა და შეგადო, რაჲ იგი აქუნდა ჰელთ-საჯოცელსა შინა გამოკრულ. და ესრეთ უღონო რაჲ იქმნეს მღვვარნი იგი, ევედრნეს წინამძღუარსა გიორგის, რაათა განეხუნენ კარნი ეკლესიისანი და რაათა წმიდასა მას თაყუანის-სცენ და მათცა იხილონ, რაჲ იგი შეეწირა ევლოგიაჲ კაცსა მას. ეჲ განგებულებაჲ საღმრთო[ა], და რაათა ცნან ყოველთა, ვითარმედ
- 20 მიცვალეებისა[ა] [შემდგომად] ძალ-უც წმიდასა მას ქმნად, რაჲცა ენებოს. და ვითარცა განეხუნეს კარნი და შევიდეს წმიდად³ [273 v, 2] ეკლესიად და აღვიდეს საკურთხეველად და იძიეს რაჲ იგი ცხადად შევრდომილ იყო სახილველად ყოველთა და არღარა იბოგა მათ მიერ, და შიშმან და განკვრევაჲმან შეიპყრან ყოველნი და აღიდებდეს ღმერთსა.
- 25 XVIII. ხოლო ვითარცა წარტდეს წელნი მრავალნი და წინამძღუარი გიორგი გარდაიცვალა, რომლისა მონაცვალედ დადგა მიქაელ ვინმე, რომელსა გიორგივე ამცნო, ვითარმედ: „იწყეთ შენებად ეკლესიისა ბრძანებისაებრ მამისა სერაპიონისა⁴ და ნურარას ზრუნავ წარსაგებელთათჳს, რამეთუ ჩუენებით მეუწყა წმიდისა მიერ, ვითარმედ ევლოგია[ა] იგი, რომელ მოიღო
- 30 კაცმან მან, იგი და[274]მარხულ არს ქუე შე კერძო ჯუარისა (რომელი იყო თავით კერძო წმიდისა მის), აღმოიღეთ იგი და მიეცით ყოველთა მუშაკთა, და კაცი იგი კეთილი ყავთ განმგე ყოვლისა, ვითარცა-იგი ჩემ მიერცა განმგებელ იყო ყოველთა საჭიროთა სამსახურთა მონასტრისათა⁵“. და ამის მიქაელის ზე იწყეს ეკლესია[ა] იგი, წინაჲსწარ გამოსახული წმიდისა მიერ თთუე
- 35 სა⁶ იენისსა ოთხსა, დღესა ხუთშაბათსა, რამეთუ ჰელოენებით განთქუმულსა კაცსა მოუწოდა მიქაელ ქუეყანისაგან ბერძენთასა, ადგილისაგან ხუფათ წოდებულისა, ბრძანებითა უფალთა[ა]თა, რომელსა თანა-შემწედ აქუნდა გალატოზ სახელით შუარტყელი. და ესე ორნივე იყენეს მოძღუარ და მასწავლელ⁷ სიმრავლესა მუშაკთასა. და ვითარცა უწყოდა მამამან მიქაელ
- 40 უწყებითა მამისა[ა]თა გიორგისითა, ძებნა ევლოგიაჲ იგი, რამეთუ მივიდეს მღვდელნი სახარებითა და სანთლებითა საკუმეველთა თანა, და თჳთ კაცი იგი მომღებელი ევლოგისა[ა] მის. და ვითარცა წარიკითხეს სახარებაჲ იოვანეს თავისა[ა]: „პირველითგან იყო სიტყუაჲ⁸“. და მოიღრიკნეს მუხლნი და ევედრ-

* იოანე 1,1.

ნუსხაშია: ¹ მისთა ² რაოდენი. ³ წიდაჲ. ⁴ სერაპიონისსა. ⁵ მონასტრისასა. ⁶ თჳს.⁷ მასწავლელ.

ნეს წმიდასა სერაპიონს, და გარდაუსუენეს¹ ჯუარი იგი, ვითარცა უწყებულს იყო მამისა გიორგისდა, ეპა საკრველეებათა შენთა, ქრისტე! რამეთუ იპოვა ყოლად შეუძრველად ბეჭედი, რომელი იხილა რაჲ კაცმან მან, განკვრდა. და ყოველთა მადლობაჲ მისცეს [v] ღმერთსა და წმიდასა სერაპიონს. ხოლო იკითხეს კაცისა მის მიერ რიცხვ ოქრო[ა]საჲ და ვითარებაჲ. ხოლო მან პრქუა: „ოქრო[ა] ეგე² არს ოქრო[ა]საგან თლილისა და წმიდისა, სახითა პირველთა მეფეთაჲთა, ხოლო რიცხვთ იყო ბეჭედსა ამას შინა დრაჰჰანი სამასი ხუთითურთ“. და ვითარცა განჰჰსნეს მანდილი, რომელსა შინა გამოკრულ იქ[მ]ნა, და იპოვა, ვითარცა პირველ ეთქუა კაცსა მას. და იწყეს შენებად გულს-მოდგინედ. და ყვეს კაცი იგი განმგებელ არა თუ გალატოზთა, არამედ ძმათაცა იკონომოსობაჲ ერწმუნა. და ესრეთ წარემართა შენებაჲ იგი ეკლესიისა[ა]. ვინა[ა]ცა საფუძველით და ხარის[ხ]თაჲთაგან ილუწოდა კაცი იგი ყოველთა მუშაკთა თზნიერ სანოვაგეთასა. და ვითარცა აღეშენა შტო[ა]თურთ ვიდრე სარკუმელთამდის, დაილია ოქრო[ა] იგი კაცისა[ა] მის, სადა-იგი გამოქანდაკებით ქანდაგებს, ვითარმედ: „აქა დაილია საფასე ჩემი, სადა ესერა³ მდგომარე ვარ და მიტვრთავს ჯუარი ქრისტესი“. და იყო ვითარ გასრულდა სარკუმლამდე, გამოხატეს თუთ მიქაელცა ორთა მათ თანა გალატოზთა ზედა სარკუმელსა აღმოსავლისასა. ხოლო მადლი წმიდისა[ა] მარადის მოსცემდის წარსაგებელთა⁴, რამეთუ სახედ მდინარისა შემოსდიოდეს საწმარნი. და აღეშენა ვიდრე სამჭურემდე მამობასა მიქაელისსა. და დაუტევა ცხორებაჲ⁵ 20 ესე და წარვიდა უფლისა.

ამისსა შემდგომად დაიდგინა მონაცვალედ მისა¹ პავლე ვინმე ხუცესი, [275] კაცი წამებული ყოვლისა მიერ ერისა. ვინა[ა]ცა ამან პავლე სრულ ყო ეკლესია[ა] და შეამკო ყოვლითა სამკაულითა. და აღმართეს მას შინა ხატი ფერისცვალეებისა[ა], და აკურთხეს ყოვლითა კურთხევითა მამობასა შინა² 25 პავლე სსა. და კაციცა იგი, მომღებელი ევლოგისა[ა], სიბერითა კეთილითა განაზიარებული, და წარვიდა უფლისა. და ესე აქამომდე იყავნ.

XIX. ხოლო ჩუენ შემდგომად ამისა³ სხუაჲცა მოვიტყენით და ეგრეთ დაეიბეჭდოთ სიტყუსა, რამეთუ თუთ დასწერს ბასილი, რომელმან ცხორებაჲ ესე წმიდისა[ა] აღწერა, და იტყუს, ვითარმედ: „მე ბასილი, ძმისწული წმიდისა სერაპიონისი, უნარჩევესი ყოველთა მოწესეთა[ა], შემდგომად ყამთა მიცვალეებისა მისისათა მოვიწიე ზედა წმიდასა სამარხვოსა მისსა და ვიხილე ყოლად ბრწყინვალედ და კეთილად ყოველივე ნამუშავევი მისი⁴, და განვიშვ და განვიხარე. ხოლო რაჲმს ვიხილე საფლავი მისი ადგილსა ფარულსა, რომელსა ყოველნი უძღურნი მიიღებდეს დღითი-დღესა კურნებასა, ამისთჳს⁵ 30 ცა ბრძანებითა უფალთა[ა]თა ჰელ-გყავ და შევჰმზადე ლარნაკი ქვისა და აღვადე საფლავსა მისსა, რომლისა მიერ გამოჰდა სული სულნელებისაჲ, მიუწდომელისა[ა], და ყოველნი აღვივსენით მადლითა და საკრველეებათაგან. მაშინ ქმნილთა ვადიდეთ ღმერთი, რამეთუ მრავალნი უძღურნი შე-რა[ა]-ებ-ნეს წმიდათა მათ ძუალთა მისთა, მრავალნი სენნი [v] დაიჰსნენეს და განმზი- 40 რულეებულნი მიიქცეოდეს და აღიდებდეს ღმერთსა საკრველეებათასა. და სანთელთა სიმრავლითა და მადლითა მგალობელთა[ა]თა დავსხენით ლარნაკსა შინა ახალსა, და აღემართეთ მას ზედა ჯუარი სახელსა ზედა წინამორბე-

ნუსხაშია: ¹გარდაუსუენეს. ² ეგრე. ³ მოსცემდე წარსაგებელსათა. ⁴ მისსა. ⁵ ამისი.

⁶ მათი.



დისა[სა] საჩინოსა შტოსა ახლისა ეკლესიისა[სა] და განვახმე² რამესა ტ³თი მღვდელთაგანი მესწირვიდეს მას შინა მსხუერპლსა საუფლოსა. ხოლო განვაწესეთ სატყევებელი წმიდისა ამის გალობითა და შესხმითა სულიერითა, და ლამის თევითა, დღესასწაულობითა, ოკდონბერსა ოც და ცხრასა, და შემდგომად ეამსა მის წირვისასა სულიერსა თანა შუებად ჯორციელთა სანოვაგეთა მიერ მდიდრად და უხუებით¹, რაათა ორკერძოვე მზიარულთა ვადიდოთ ღმერთი, რომელი აღიდებს წმიდათა მისთა⁴.

ხოლო ჩუენ ჟულად ერთიღა მივსცეთ სასწაულთა მისთაგანი თხრობასა და მერმე შევედრნეთ ნავთ-საყუდელსა მყუდრო-დუმილისასა, რამეთუ ვითარცა ოდენ გუედგა ლარნაკი იგი წმიდისა[ა] და გალობაჲ იყო პირსა შინა ყოველთასა, ამა ესერა მოიწია კაცი, რომელსა მრავლით ეამითგან ელმოდა თუალი მარჯუნენ, რამეთუ ნათლისაგან სრულიად დაკლებულ იყო, ხოლო ფრიადი იგი ტკივილი ცხად-ყოფდა ერთისა მისცა დაბრმობასა. და ვითარცა ვიხილეთ ყოველთა, გუელმოდა ყოველთა მის თანა. ხოლო იყო კაცი იგი დაბისაგან ბობლა წოდე[276]ბულისა. და ვითარცა მოიწია კაცი იგი, შეუ[ვ]რდა ლარნაკსა წმიდისასა. და ვიხილეთ ყოველთა საკვრველებაჲ დიდი, რამეთუ ყოლად მრთელად იპოვა მყის კაცი იგი. და ყოველთა ვადიდეთ ღმერთი, რომელი ყოლადვე იქმს დღითი-დღე ლარნაკსა ზედა მისსა წმიდისა[სა] ძალთა და სასწაულთა. ხოლო ამისსა შემდგომად ბასილი მითუა-²⁰ლა² წინამძღურობაჲ, რომელმან-იგი კეთილად იღუაწა³ ჟამ რაოდენმე ადგილი იგი ნამუშავევი მამის-ძმისა თუისისა[ა].

XX. არამედ ჩუენ, გლაბაკთა და უსწავლელთა, შენდავე მივაქციოთ სიტყუაჲ ჩუენი, ჟ მამო მამათაო, დიდო მოღუაწეო ყოველთაო, ვითარცა-იგი პირველ ჩუენსა, ეგრეთვე შემდგომითი-მემდგომად. აწცა ჩუენ უძღურთა და უღირსთა შვილად მენდა სახელ-დებულთა ნუ ოდეს დამივიწყებ და ნუცა გარე-უკუნ-აქცევ მეოხებად და ღუწად გამზადებულსა პირსა შენსა სიმრავლისათჳს ცოდვათა ჩუენთა[ა]სა. ხოლო ჩუენ რაჲ შესა[ა] მიგიძღუანით, რამეთუ უზეშთაჲს კაცთა ბუნებისა არს ბრწყინვალეებით წარმატებაჲ ცხოვრებისა შენისა[ა], ვინა[ა]ცა შენისავე მოღუაწებისა სიტყუათა შეგწირავთ შენდა, ვედრებითა შევივრდები რაჲ, მეოხებითა შენითა მყო ლხინებაჲ შეცოდებათა ჩუენთაჲ, ჟ ანგელოზთა თანამზრახვალო, სამებისა წმიდისა სარწმუნოო მონაო, რომელმან ას წილად აღაორძინე ტალანტი რწმუნებული შენდა. ჟ უძღურთა მკურნალო, ჳირვეულთა [v] შემწეო, ღელვა გუემულთა ნავთ-საყუდელო, გლაბაკთა სიმდიდრეო, უცხოთა და მოგზაურთა ნუგეჲინის-მცემელო, მოღუაწეთა სამკაულო, მონახონთა რჩეულებაო, მამათა სიქადულო, წინამძღუართა დიდო მნათობო, და ყოველთა შენდა მოლტოლვილთა ნავთ-საყუდელო უღელვოო, ხოლო მორჩილთა საღმრთოთასა შე-ისა მასწავლელო, მამათა დიდებაო, და რაათა მოკლედ ვთქუათ, ჟ ყოვლისა სახელისა და საქმისა კეთილისა ღირსო, შეიწირენ ჩემიერნი სათნოებათა შენთა სიტყუთა გ[ამო]სახვანი უღირსთაგან ბაგეთა აღმოთქმულნი, და ვითარცა ხარ მონა[ა] ღმრთისა სიტყუასა[ა], მიემსგავსე ქრისტესა მეუფესა, რომელმან-იგი ქურივისა წულ[ილ]ნი მითუალნა, და ნუ გარე მიიქცევ ალაბასტრსა უღირსთა ბაგეთასა, ვითარცა ქრისტემან მეფავისა მის, და სავანე ყავ ჩუენ თანა, ჟ წმიდაო, ვითარცა უფალმან სახლსა ზაქესსა, და მივსენ ჩუენ ლოცვითა შენითა ყოველთაგან მტერისა მანქანებათა, და ვითარცა სოფელსა ამას წმიდისა მო-

ძღურებისა შენისა მოწაფედ წოდებულ ვართ, ეგრეთვე ზიარ-მყვენიერებისა მას უკ[უ]ანა[ჲ]სკნელსა დღესა დიდებით მოსლვასა მეუფისასა, დგომად მან-ლობელად შენსა ყოველთა თანა წმიდათა, მარჯუენით უფლისა და ღმრთისა, უღირსნი ესე მოწაფენი შენნი, სამგზის სანატრელო მამაო წმიდაო სერაპიონ, მეოხებითა წმიდისა ღმრთის-მშობ[ე]ლისა[ჲ]თა და მადლითა და ლოცვითა შენითა და წმიდათა მოციქულთა და წინაწარმეტყუელთა და მო-
 [277]წამეთა[ჲ]თა და ყოლად ქებულთა მღდელთ-მოდღუართა[ჲ]თა და მამათა[ჲ]თა, რაჲთა ღირს ვიქმნეთ უღირსნი ესე სმენად ჳმასა მას ზატიკობისა-სა წმიდათა ანგელოზთა თანა, რომელნი სამ-წმიდაარსობით აღიდებენ სამე-ბასა ერთ-არსებასა, რომელსა შუენის ყოველი დიდებაჲ, პატივი და თაყუანის-
 ცემა[ჲ] აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ. 10

შინაარსი

1. წინასიტყვაობა	5—7
2. ტექსტები	9—347
ა. წამებად შუშანიკისი დედოფლისაჲ	11—29
ბ. მარტულობაჲ და ძოთმინებაჲ ვესტათი მცხეთელისაჲ	30—45
გ. წამებაჲ ჰაბოასი, რომელი იწაშა ქართლს შინა, ქალაქსა ტფილისს, გამო- თქუმული იოვანე ძისა საბანისი	46—81
დ. მოქცევაჲ ქართლისაჲ	81—163
ე. ცხორებაჲ და წამებაჲ კოსტანტისი ქართველისაჲ	164—172
ვ. წამებაჲ გობრონისი, რომელი ჭანიყვანეს ყველის ციხით	172—183
ზ. წამებაჲ ყრმათაჲ რიცხუთ ცხრათაჲ	183—185
წ. ყრმათა ორთა ძმათა დავითისი და ტირიქანისი საკითხავი	186—191
თ. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ იოვანე ზედაძნელისაჲ	191—217
ი. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ შიოასი და ვეაგრესი	217—229
ია. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ დავით გარეჯელისაჲ	229—240
იბ. მოქალაქობაჲ და წამებაჲ აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისაჲ	240—248
ივ. შრომაჲ და მოღვაწეებაჲ გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ ხანციისა და შატბერდისა აღმაშენებელისაჲ	248—319
იდ. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ სერაპიონისი	319—347

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

გამომცემლობის რედაქტორი ც. შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ნ. ჯაფარიძე
კორექტორი გ. ჯაყელი

გადაეცა წარმოებას 11.9.1962; ანაწყოების ზომა 7×12 ; ხელმოწერილია
დასაბეჭდად 11.6.1964; ქალაქის ზომა $70 \times 108^{1/16}$;
ქალაქის ფურცელი 10,88; საბეჭდი ფურცელი 29,81; სააგტორო
ფურცელი 26,60; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 27,21;
შეკვეთა 1087; უე 02715; ტირაჟი 1000
ფასი 2 მან. 11 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა,
თბილისი, გ. ტაბიძის ქ., №3/5

შემჩნეული შეცდომების გასწორება

გვ. სტრ.	ა რ ი ს	უ ნ დ ა ი ყ ო ს
33, 38	უჭადებდა	უჭადებდა
43, 23	რამთა	რამთა
44, 31	კრისაგან	ერისაგან
44, 33	ერამთა	რამთა
48, 26	სამკვდრებელნო	სამკვდრებელნო
55, 26	შენოსლევა	შემოსლევა
86, 20	[შ]	[v]
88, 37	მიერ	მიმართ
89, .3	ერწუ თიანელთა	ერწუ-თიანელთა
92, 27	მიოცვალა	მიოცვალა
93, 17	მიერ	მიმართ
93, 25	სამწელი, მონახონი	სამწელ მონახონი
96, .6	ნოკო და	მივიდა
98, 26	ბრალებით (ასეა ხელნაწერში)	შრიალებით
99, 2	და	და
99, 3	ღმრთისაჲ	ღმრთისაჲ
102, 2	თქუენისა[ჲ]	თქუენისა
102, 39	ენისა-	ენისაჲ-
105, 13	სადათმე	სადათ-მე
105, 14	შენი	შენი?
106, 25	ღმრთისა[ჲ].	ღმრთისაჲ
109, 21	და იყო.	იყო. და
109, 23	ზაბილოვნ	ზაბილოვნ,
111, 32	კეთილის	კეთილისა
112, 12	აღუდგეს	აღუდგეს
112, 13	ულსა	სულსა
112, 13	რამ-იგი,	რამ-იგი
112, 14	მათჲან	მათჲან,
114, 17	ავად[ა]გი,	ავად[ა]გი,
114, 34	ათრეანეტსა	ათრეანეტსა
117, 3	სასუფიველსა,	სასუფიველისაჲ,
118 24-25	ყუავილოს[ა]ნი ხარად,	ყუავილოს[ა]ნი. ხარად
120, 36	უკეთ[უ]რთა	უკეთ[უ]რთა
121, 8	კისიტე	კისიტე
122, 15	პოვეთ.	პოვენით.
122, 34	მივე[დ]	მივე[დ]
122, 38	აღდგა	აღდგა
126, 30	სულ-ჰამოჲ.	სულ-ჰამოჲ,
127, 25	იერუსალმისნი	იერუსალმის[ა]ნი
127, 31	ივლტოდა.	ივლტოდა
128, 34	ელიოზ	ელიოზ
129, 39	კაცთა	კაცთა



ეროვნული
ბიბლიოთეკა